საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№01 (283)
14 - 20 ნოემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## შარლიატანები და დასავლური ფარისევლობა 7

## საქართველო რელიგიური ექსტრემიზმის ნაღმზე ზის! 11

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ისლამური სახელმწიფოს» ჰაკერებმა აშშ-ის შეიარაღებული ძალების twitter-ი და Youtube გატეხეს



**„ალაჰის სახელით, რომელიც ყველაზე მოწყალეა, კიბერხალიფატი განაგრძობს კიბერჯიჰადს. ამერიკელო სამხედროებო, ჩვენ მოვდივართ, ფრთხილად იყავით“, — ასეთი შეტყობინება დატოვეს „ისლამური სახელმწიფოს“ ჰაკერებმა აშშ-ის შეიარაღებული ძალების „ტვიტერზე“.**

ჰაკერები დაემუქრნენ ამერიკელი სამხედროების ოჯახებსაც. ბიბისის ინფორმაციით, აშშ-ის შეიარაღებული ძალების twitter-სა და Youtube-ზე კიბერთავდასხმა სწორედ იმ მომენტში განხორციელდა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი კიბერუსაფრთხოების საკითხზე სიტყვით გამოდიოდა.



## ჯავახიშვილის ქუჩაზე მოძრაობა 2-3 თვის განმავლობაში აიკრძალება

**მიხეილ ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის) ქუჩაზე დაზიანებული გზის მონაკვეთის ექსპერტიზა და გაწმენდითი სამუშაოები დაწყებულია, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გზის დაზიანებული მონაკვეთის დათვალიერებისას.**

გზის დაზიანების მიზეზების დადგენის, ტერიტორიის გაწმენდისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგების შემდეგ აღნიშნულ ტერიტორიაზე საყრდენი კედლის მშენებლობა დაიწყება.

„უახლოესი 2-3 თვის განმავლობაში გზა მთლიანად უნდა ჩავკეტოთ, რათა ხიმინჯების ჩასხმა დავიწყოთ, შემდეგ დაიწყება კედლის მშენებლობა, რომელიც გზის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია. საპროექტო სამუშაოები სწრაფად დაიწყება. თბილისის მერია დღესვე მიმართავს დედაქალაქის საკრებულოს, რათა მივიღოთ გადაუდებელი სამუშაოების სწრაფად დაწყების თანხმობა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, გზის დაზიანების გამომწვევი მიზეზების გარკვევის შემდეგ დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.



## გარემოს დაბინძურებისთვის ახალი ჯარიმები ამოქმედდება

**15 იანვრიდან გარემოს დაბინძურებისთვის კანონით გათვალისწინებული ჯარიმები ამოქმედდება. ახალი კანონის — „ნარჩენების მართვის კოდექსის“ — აღსრულება შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს ევალება.**

კანონი საყოფაცხოვრებო, მუნიციპალური, სამშენებლო და სხვა ნარჩენების მოძრაობის, დასაწყობების, გადატვირთვისა და ნარჩენებით გარემოს დაბინძურების საკითხებს არეგულირებს.

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, დაჯარიმდებიან იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები და მგზავრები, რომლებიც სხვადასხვა სახის ნარჩენებს, ეს იქნება სიგარეტის ნამწვი, კვების პროდუქტის ნარჩენები თუ სხვა, ფანჯრიდან გადაყრიან.

საპატრულო პოლიცია არის ზედამხედველი ორგანო, რომელიც აღნიშნულ სამართალდარღვევას აღკვეთს. ჯარიმის ოდენობა 120 ლარს შეადგენს. კერძო ავტოტრანსპორტიდან ნარჩენების გადაყრის შემთხვევაში ჯარიმდება მძღოლი, რომელიც მართავს იმ მომენტში ავტომანქანას. საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში კი სამართალდამრღვევი მგზავრი ჯარიმდება. საპატრულო პოლიცია ასევე მოახდენს შესაბამის რეაგირებას, როცა მოქალაქის მხრიდან ნარჩენების უტილიზაციის მცდელობა იქნება ამისთვის არადადგენილ ადგილზე ან არადადგენილი წესით.



### ირაკლი ღარიბაშვილი:

## საქართველო ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ არანაირ კომპრომისზე წასვლას არ აპირებს

**რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გაუმჯობესდა, თუმცა პოლიტიკური კლიმატი არ გაუმჯობესებულა, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ესტონეთის პრემიერმინისტრთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.**

„ორი წლის წინათ, როდესაც ჩვენ მოვდიოდით ხელისუფლებაში, მხარს ვუჭერდით დიალოგის წარმოებას რუსეთთან და ასევე დავნიშნეთ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალური წარმომადგენელი. რუსეთის მხრიდან ეტაპობრივად გაიხსნა ბაზარი და, რა თქმა უნდა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გაუმჯობესდა, თუმცა პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას ადგილი არ აქვს. რუსეთი კვლავ განაგრძობს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას. მიუხედავად ჩვენი კონსტრუქციული ნაბიჯებისა, რუსეთს იმავე სულისკვეთებით არ უპასუხია და ამის ნათელი მაგალითია აფხაზეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულება. ანალოგიურ ხელშეკრულებას ამზადებს რუსეთი ცხინვალის რეგიონთანაც. რა თქმა უნდა, ჩვენ ამის გამო შეშფოთებას გამოვთქვამთ“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

მისივე თქმით, სიტუაცია მარტივი არ არის, მაგრამ ქართული მხარე ინარჩუნებს კონსტრუქციულ ურთიერთობებს ყველა მიმართულებით. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი არც ერთი ქვეყნის და მათ შორის რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

„ჩვენი ევროპული გზა რუსეთის წინააღმდეგ საერთოდ არ არის მიმართული. ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი. ეს არის საქართველოს სახელმწიფოს სუვერენული არჩევანი. საქართველოს, ხალხის გადასაწყვეტია, სად რა მიმართულებით ვიაროთ“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან შეშფოთება გამოხატა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ გადადგმულ ნაბიჯებზე და აღნიშნა, რომ საქართველო თავისი ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ არანაირ კომპრომისზე წასვლას არ აპირებს.



## ობამას ადმინისტრაციამ შეცდომა დაუშვა, როდესაც სოლიდარობის მარშში მონაწილეობა არ მიიღო

**თეთრი სახლის განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეცდომა დაუშვა, როცა პარიზში გამართულ სოლიდარობის მარშში მონაწილეობისთვის ამერიკელი მაღალჩინოსანი არ გაუშვა, — განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯოშ ერნსტმა.**

„ვფიქრობ, სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ უფრო მაღალი რანგის წარმომადგენელი უნდა გაგვეშვა პარიზში“, — განაცხადა ჯოშ ერნსტმა. მისივე თქმით, აშშ-ის პრეზიდენტს სურდა მარშში მონაწილეობა, ვითარება რომ სხვაგვარი ყოფილიყო. როგორც ჯოშ ერნსტმა განაცხადა, სოლიდარობის მარშში მონაწილეობის დაგეგმვა თეთრ სახლში 35 საათით ადრე დაიწყეს და ეს საკმარისი დრო არ იყო პრეზიდენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება პარიზში მყოფ აშშ-ის გენერალურ პროკურორ ერიკ ჰოლდერს, CNN-ის ცნობით, სოლიდარობის მარშს არც ის დასწრებია. აშშ-ის გენერალური პროკურორი პარიზში უსაფრთხოების თემაზე გამართულ სხდომებში მონაწილეობდა.

11 იანვარს პარიზში გამართულ სოლიდარობის მარშში 1,6 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის, მსოფლიოს 40-ზე მეტი ლიდერი.

### ნიკოლოზ მჟავანაძე:

## თუ ვინმეს ჰგონია, საქართველოში დავუშვებთ ქრისტესა და ღვთისმშობლის კარიკატურების დაბეჭდვას, ძალიან ცდება!



**„საშობაო ლიტურგიის შემდეგ კვლავ გააქტიურდნენ ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები, მათ, ჩვეულებისამებრ, შეურაცხყვეს საქართველოს ეკლესია“, — განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ, რომელიც რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვის დასჯის საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის.**

„მოვუწოდებთ ხელისუფლებას, შეიტანოს ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმადაც „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ დაემატება სპეციალური მუხლი.

კერძოდ, რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ადმინისტრაციული ჯარიმის საფუძველი გახდება. ამგვარი ქმედება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე, ხოლო წლის განმავლობაში მისი განმეორების შემთხვევაში — პირის 1000-დან 1500 ლარამდე დაჯარიმებას ან 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის დაკისრებას. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ ვერც „იდენტობა“ და ვერც ნინია კაკაბაძე, გურჩიანი თუ მსგავსი პირები ველარ გაბედავენ მილიონობით მორწმუნის გრძნობების შეურაცხყოფას და პატრიარქსა და ეკლესიაზე ხელაღებით საუბარს. ზოგიერთი ცდილობს, საფრანგეთში მომხდარი ტრაგედიითა და გამოხატვის თავისუფლებაზე საუბრით თავისი ბინძური ზრახვები განახორციელოს. თუ ვინმეს ჰგონია, საქართველოში დავუშვებთ ქრისტესა და ღვთისმშობლის კარიკატურების დაბეჭდვას, ძალიან ცდება. ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელმაც მეტეხთან ხატებს არ გადააბიჯა, რის გამოც მტკვარი სისხლით შეიღება და ერთ დღეს 100 ათასმა მოწამემ ქრისტიანობისთვის თავი დადო. ამიტომ ზოგიერთ ავადმყოფს ვურჩევ, რაიმე მსგავსის გაკეთება არც გაიფიქროს! ის, ვინც ქართველი ხალხის წინააღმდეგ წავა, უმკაცრესად დაისჯება,“ — ნათქვამია მჟავანაძის განცხადებაში.



## უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების შედეგად, სულ მცირე, 4 808 ადამიანი დაიღუპა

**გაეროს ანგარიშის თანახმად, აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების შედეგად, აპრილიდან მოყოლებული, სულ მცირე, 4 808 ადამიანი დაიღუპა, დაშავდა —10 468.**

როგორც გაეროს ანგარიშშია აღნიშნული, დაღუპულთა რაოდენობაში ითვლება მალაიზიური „ბოინგის“ ჩამოვარდნის შედეგად დაღუპულებიც. გაეროს ბოლო მონაცემებით, აღმოსავლეთ უკრაინაში, საბრძოლო მოქმედებების ზონაში 5,2 მილიონი ადამიანი რჩება, რომელთაგან 1,4 მილიონი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და ჰუმანიტარულ დახმარებას საჭიროებს.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### «ნიუ იორკ თაიმსი»: The New York Times

# პრესის მიერ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა დაუშვებელია!

**პოპულარულმა ამერიკულმა მედიასაშუალებამ, გაზეთმა The New York Times-მა განაცხადა, რომ Charlie Hebdo-ს ტრაგედიის შემდეგ პრესაში დაცული უნდა იყოს „პატივისცემის სტანდარტები“. სტატიის ავტორი, ცნობილი ჟურნალისტი დევიდ ბრუკსი აღნიშნავს: „რედაქციაზე თავდასხმა და ტერორისტული ჯოჯოხეთი საფრანგეთში არის იმის შედეგი, რომ სატირული ჟურნალის თანამშრომლები ზრდილობისა და პატივისცემის ელემენტარულ სტანდარტებს არ იცავდნენ“.**





„ლოზუნგი — „მე ვარ შარლი“, რომლითაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს მხარდამჭერი აქციები, სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებს ვერ გააერთიანებს. რატომ? იმიტომ, რომ, **დამნაშავეთა სისასტიკის მიუხედავად, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი მიდგომა სატირისადმი და როგორ ვაქციოთ პროვოკატორები ნაკლებ ფარისევლებად.** ჩემსავით ბევრი არ იზიარებს შეურაცხმყოფელ იუმორს, რომელსაც ეს გამოცემა აქვეყნებს. **ჟურნალისტებმა ზრდილობისა და პატივისცემის სტანდარტები უნდა დაიცვან.** Charlie Hebdo-ს ჟურნალისტებს მსგავსი რამ აშშ-ში რომ გამოექვეყნებინათ, მათი გამოცემა 30 წამსაც ვერ იარსებებდა, რედაქტორებს კი ქსენოფობიაში დაადანაშაულებდნენ“, — წერს დევიდ ბრუკსი.

შეგახსენებთ, რომ მედიასაშუალებებმა: The New York Times-მა, The Wall Street Journal-მა, Reuters-მა და Associated Press-მა კატეგორიული უარი განაცხადეს მუსლიმანთა შეურაცხმყოფელი კარიკატურების გამოქვეყნებაზე, თუმცა ამერიკელები თავის დროზე ქება-დიდებას არ იშურებდნენ წინასწარმეტყველი მუჰამედის შეურაცხმყოფელი კარიკატურების გამომქვეყნებელთა მიმართ.

**«რედაქციაზე თავდასხმა და ტერორისტული ჯოჯოხეთი საფრანგეთში არის იმის შედეგი, რომ სატირული ჟურნალის თანამშრომლები ზრდილობისა და პატივისცემის ელემენტარულ სტანდარტებს არ იცავდნენ»**



### ლარიჯანი:

## ტერორიზმი, რომელსაც დასავლეთი მხარს უჭერდა, დღეს თვითონ დასავლეთის უსაფრთხოებას ემუქრება

**ირანის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ალი ლარიჯანიმ განაცხადა, რომ ტერორიზმი, რომელმაც საფრანგეთს დაარტყა, კარგა ხანია, ტანჯავს და აწვალებს სირიას, ერაყსა და მუსლიმანური სამყაროს სხვა ქვეყნებს.**

ირანის საინფორმაციო სააგენტო IRNA-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ირანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ურმიაში გამართულ ფორუმზე („ერთობა და უსაფრთხოება“) ლარიჯანიმ აღნიშნა, რომ **„დასავლეთის ქვეყნები დუმდნენ ექსტრემისტებზე, მეტიც — აფინანსებდნენ მათ, მაგრამ დღეს ტერორიზმი, რომელმაც მხარდაჭერა მიიღო, თვითონ დასავლეთის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ემუქრება. ამიტომ მუსლიმანებმა ერთობა უნდა შეინარჩუნონ იმ ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ისლამურ სამყაროს განადგურებით ემუქრება“.**

შეგახსენებთ, რომ ირანმა დაგმო პარიზის ცენტრში მომხდარი ტერაქტი გამოცემა Charlie Hebdo-ს წინააღმდეგ და განაცხადა, რომ „ნებისმიერი ბოროტმოქმედება და ნებისმიერი ტერორისტული აქტი უდანაშაულო ადამიანის წინააღმდეგ ისლამის სწავლებას ეწინააღმდეგება“.



### ალექსანდრე ვუჩიჩი:

## ევროკავშირი ცდილობს, სერბეთის პრემიერს ხმა არ ამოაღებინოს და მარიონეტად აქციოს

**სერბეთის პრემიერმინისტრმა ალექსანდრე ვუჩიჩმა ევროკავშირის ხელმძღვანელობა ანტისამთავრობო მედიაკამპანიის მოწყობაში დაადანაშაულა.**

საინფორმაციო სააგენტო Reuters-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამ კამპანიამ მედიასაშუალებაში სტარტი აიღო სერბეთის ქვანახშირის საკვანძო საბადოს — „ტამნავას“ — აღდგენით სამუშაოებზე კრიტიკული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ. ეს საბადო 2014 წლის ზაფხულში წყალდიდობამ დააზიანა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო კორპორაცია Elektroprivreda Srbije-მ სამუშაოების შესრულების ნებართვა გასცა საწარმოზე, რომელსაც სათანადო გამოცდილება არ აქვს და ამიტომ სამუშაოების ღირებულება შეიძლება გაზარდოს. სერბეთის პრემიერის აზრით, სერბეთში ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელი მაიკლ დევენპორტი და ევროკავშირის ხელისუფლება მედიასაშუალებებს აფინანსებს იმისთვის, რომ სერბეთის ხელისუფლებას ცილი დასწამოს, პრემიერს ხმა არ ამოაღებინოს და ევროკავშირის ხელში მარიონეტად აქციოს.



## ნიგერიაში ტერორისტებმა 100-ჯერ მეტი ადამიანი დახოცეს, ვიდრე საფრანგეთში და... სრული სიჩუმე

**ისლამისტური დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ ტერორისტებმა ნიგერიის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებში სისხლიანი კალო მოაწყვეს. გავრცელებული ინფორმაციით, მათი სისასტიკის მსხვერპლი 2 ათასი ადამიანი გახდა.**

ნიგერიის ოფიციალური წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტერორისტები სატვირთო მანქანებითა და ჯავშანტრასპორტიორებით გადაადგილდებოდნენ სოფლებში და ხვრეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. თავდასხმა განხორციელდა 16 სოფელზე. ტერორისტები მიზანმიმართულად ხოცავდნენ სკოლის მასწავლებლებსა და პოლიციელებს, არ ინდობდნენ ბავშვებსა და ქალებს. მიუხედავად ამხელა მსხვერპლისა, დასავლურ მედიასაშუალებებსა და პოლიტიკოსებს ისეთი ხმაური არ აუტეხავთ, როგორიც ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ რედაქციაზე თავდასხმას მოჰყვა.



### ბერლუსკონი:

## მკვლელობები პარიზში ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომების შედეგია

**იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრი სილვიო ბერლუსკონი საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.**

„ძალზე გაუბედავად ვიცავდით ჩვენს ღირებულებებს. ერთი სანტიმეტრითაც უკან არ უნდა დავიხიოთ ჩვენი ცივილიზაციის დაცვაში. მილიტარისტული ისლამიზმი დასავლეთის მთავარი საფრთხეა. ჩვენ ვდგავართ ევროპული საგარეო პოლიტიკის წინაშე, რომელიც არასწორი აღმოჩნდა: „არაბული გაზაფხულით“ მოვახდინეთ ჩრდილოეთ აფრიკის დესტაბილიზაცია, კადაფის რეჟიმის დამხობამ მოგვიტანა ხალიფატი, იგივე ეხება ერაყიდან ჯარების გამოყვანასაც. ახლა მსგავსი შეცდომა ავღანეთში არ უნდა დავუშვათ ჯარების გამოყვანით“, — წერს ბერლუსკონი სოციალურ ქსელ Facebook-ში.

### ბრიტანელი მწერალი რობერტ ფიქსი:

## ტერაქტები პარიზში საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგია



**ბრიტანულ გაზეთ „ინდეპენდენტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მწერალმა რობერტ ფიქსმა აღნიშნა, რომ ფრანგულ გამოცემა Charlie Hebdo-ს რედაქციაზე თავდასხმა საფრანგეთის კოლონიურ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.**

სტატიაში ფიქსი წერს, რომ ალჟირის ოკუპაციის პერიოდში ფრანგი ჯარისკაცები ბილწ დანაშაულებს სჩადიოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ, შედეგად მილიონობით ალჟირელი დაიღუპა. გარდა ამისა, ალჟირელები, მრავალი წელია, ებრძვიან ტერორისტულ და ექსტრემისტულ დაჯგუფებებს, ამ ბრძოლას ათასობით ალჟირელის სიცოცხლე შეეწირა.

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სირიასა და ერაყში საქართველოს რამდენიმე ასეული მოქალაქე იბრძვის, გაცილებით მეტი, ვიდრე უკრაინაში. როდესაც ისინი დაბრუნდებიან (ფრიად შეცვლილი მსოფლმხედველობით), მათი რეინტეგრაცია მშვიდობიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქართველოსთვის დამახასიათებელ ტოლერანტულ გარემოში უპრობლემო ნამდვილად არ იქნება.**

# ბართლომეს ღამე-2015, ანუ პარიზის აგდებას რა უნდა

**როდესაც მილიონობით გაღიზიანებული ადამიანი მზადაა, დაუპირისპირდეს სხვებს, მათი პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის, მსოფლმხედველობის ან, სულაც, ეროვნების თუ კანის ფერის გამო, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისვას კითხვები: ვის აძლევს ეს ხელს? ვის წისქვილზე ასხამს წყალს პროცესი, რომელიც პარიზის ტერაქტის შემდეგ დაიწყო? ვინ ცდილობს ემოციების მართვას? ვის შეუძლია თანაგრძნობის ნიადაგზე აღმოცენებული „შარლიზმი“ გამანადგურებელ ინსტრუმენტად გადააქციოს?**




დღეს ზეიმობენ ისინი, ვინც წლების განმავლობაში ამტკიცებდნენ, რომ ისლამი შეუთავსებელია თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრების ფუნდამენტურ პრინციპებთან; ისინი, ვინც აფუძნებდნენ საკუთარ თეორიებს ბერნარდ ლუისის 1990 წლის ავადსახსენებელ სტატიაზე „მუსლიმთა სიავის ფესვები“ თუ ჰანტინგტონის ცნობილი თეორიის ვულგარულ ინტერპრეტაციებზე და დღეს ამაყად გვიმტკიცებენ, რომ თანაარსებობა გამორიცხულია, ხოლო „ცივილიზაციათა ომი“ — გარდაუვალი. მათი სიხარული უფრო დიდია იმის გამო, რომ **ის ემოციური მობილიზაცია, რომელიც დღეს საფრანგეთში და მსოფლიოში დაიწყო, ლიბერალურ-დემოკრატიული ლოზუნგების მიუხედავად, რიგი მანიპულაციების შემდეგ შეიძლება ანტიმუსლიმანურ მობილიზაციად გადაიქცეს და ევროპაში ქსენოფობიის „მეცხრე ტალღა“ წარმოშვას. მას, პრაქტიკულად, გარანტირებულად მოჰყვება ახალი სისხლიანი ინციდენტები, მასობრივი შეტაკებები, ქაოსი და ბოლოს დღევანდელზე გაცილებით მკაცრი რეჟიმის დამყარება მთელი რიგი შეზღუდვებით, რასაც, თავის მხრივ, შეიძლება ყოვლისმომცველი სამოქალაქო დაპირისპირება და ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი ბურჯის — საფრანგეთის მკვეთრი დასუსტება მოჰყვეს.** ამ ჰიპოთეტურ დაპირისპირებაში ევროპამ შეიძლება ძალიან ბევრი ღირებული და მიმზიდველი რამ დაკარგოს და გასული საუკუნის 30-იანი წლებისთვის დამახასიათებელ ატმოსფეროს დაუბრუნდეს. შესაძლოა, ფსონი ამ თამაშში გაცილებით დიდია, ვიდრე ლე პენის ან სარკოზის პოლიტიკური ბონუსები. გამორიცხული არაა, რომ „შარლი ებდოს კრიზისის“ უკან გაცილებით მასშტაბური გათვლები დგას, რომელთა მიზანი გეოპოლიტიკური ოლიმპოდან ევროკავშირის ჩამოგდებაა.

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ **ტერორისტული აქტის შემდეგ ერთ-ერთი პირველნი საფრანგეთის საელჩოსთან თანადგომის გამოსახატად ის ნაძირლები მივარდნენ, რომელნიც სააკაშვილის რეჟიმის ყველა დანაშაულს ამართლებდნენ, იქნებოდა ეს ტელეკომპანია „იმედის“ შტურმი, მიტინგების დარბევა თუ, უბრალოდ, კაცთაკვლა.** სააკაშვილის ზონდერებმა (ხელკეტიანმა თუ მიკროფონიანმა მნიშვნელობა არ აქვს) სოციალურ ქსელებში დაიყენეს ავატარები „მე ვარ შარლი“ და დაიწყეს მსჯელობა (ღმერთო ჩემო!) ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე. ეს საკმაოდ საგულისხმო ფაქტია იმ მარტივი მოსაზრების საილუსტრაციოდ, რომ **ყველაზე ნათელი გრძნობებითა და სამართლიანი**

**ტერორისტული აქტის შემდეგ ერთ-ერთი პირველნი საფრანგეთის საელჩოსთან თანადგომის გამოსახატად ის ნაძირლები მივარდნენ, რომელნიც სააკაშვილის რეჟიმის ყველა დანაშაულს ამართლებდნენ, იქნებოდა ეს ტელეკომპანია „იმედის“ შტურმი, მიტინგების დარბევა თუ, უბრალოდ, კაცთაკვლა**

**პროტესტით შეიძლება უსინდისო ნაძირლებმა ისარგებლონ, როგორც საქართველოში, ისე ნებისმიერ ქვეყანაში.**

ზოგიერთი კომენტატორი ამ დღეებში ცდილობს, სიტუაცია ისე წარმოაჩინოს, თითქოს საფრანგეთი გულჩვილი ელფების ქვეყანაა, რომელსაც ცოფიანი ორკები (მიგრანტები) უტევენ. ვიდრე პრობლემის ისტორიას ჩავუღრმავდებით, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამქვეყნად ყველაფერს აქვს ფასი, მათ შორის კოლონიურ წარსულსა და ხელისუფლების შეცდომებს. **ალჟირელების „პირველი ტალღა“ მეტროპოლიაში თავად ფრანგებმა ჩაიყვანეს პირველ მსოფლიო ომში საბრძოლველად და საწარმოებში მუშა ხელის დეფიციტის შესავსებად.** საინტერესოა, რომ საწარმოთა მეპატრონეები ხელს უწყობდნენ ალჟირელი მუშებისთვის სამლოცველოების გახსნას და მათთვის საგანგებოდ მოწვეულ სასულიერო ლიდერებს მოკავშირეებად აღიქვამდნენ, რომლებიც ხელს უწყობდნენ დისციპლინის შენარჩუნებას და ასე თუ ისე ანეიტრალებდნენ, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი, ისე კომუნისტური შინაარსის პროპაგანდას. თუმცა **ფრანგული ცხოვრებით თავბრუდახვეული ალჟირელი მუშების ნაწილს შეზღუდვები და შეგონებები, როგორც ჩანს, დიდად არ ანაღვლებდა,** საგულისხმოა, რომ 1918-ში ხელისუფლებამ კაფე-რესტორნების მეპატრონეებს მათთვის ალკოჰოლის მიყიდვა აუკრძალა. ალბათ, აქვე უნდა ითქვას, რომ პარიზის დიდი მეჩეთის აგება 1926-ში არა მუსლიმური საზოგადოების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთის ხელისუფლების ინიციატივით მოხდა. იმ წლებში ფრანგული ელიტა აღიქვამდა მუსლიმ სასულიერო პირებს, როგორიც მნიშვნელოვან დასაყრდენს კოლონიების დამორჩილება-დამშვიდების საქმეში, ხოლო თანამედროვე პოლიტიკური ისლამის აღზევებამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო რჩებოდა.

კოლონიებიდან მუშების ჩამოყვანა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობის დროს განახლდა, საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმების რაოდენობამ 200 ათასს გადააჭარბა, ალჟირის ომის შემდეგ კი — ნახევარ მილიონს. საგულისხმოა, რომ ალჟირიდან საფრანგეთში გაიქცა 40-50 ათასი არაბი, რომელთა ოჯახები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ფრანგ კოლონიზატორებთან და ახალი ეროვნული ხელისუფლების რეპრესიების ეშინოდათ. ეს ჯგუფი საინტერესოა იმიტომ, რომ მის წარმომადგენლებს ყველაზე მეტად სურდათ ფრანგულ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია, რომელსაც უმრავლესობამ ვერ მიაღწია და სწორედ მის შიგნით მოხდა „მამებისა და შვილების“ ტრაგიკული კონფლიქტი — **ერთნი ცდილობდნენ, მაქსიმალურად დამსგავსებოდნენ ფრანგებს, მეორენი კი უსვამენ ხაზს თავის წარმომავლობას და ხშირად რადიკალების გავლენის ქვეშ ექცევიან.**

გარდატეხა 1974-ში მოხდა, როდესაც ეკონომიკური კრიზისის გამო, საფრანგეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ყოფილი კოლონიებიდან შრომითი მიგრანტების შემოდინება მკვეთრად შეეზღუდა. იმ მომენტში საფრანგეთში მყოფმა მუშების უმრავლესობამ დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო და ყველა საშუალებით ცდილობდა, საფრანგეთში ოჯახებიც ჩაეყვანა. მკვეთრად გაიზარდა საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმების რაოდენობა, შეიცვალა მათი მოტივები და ცხოვრების სტილი. **თუ ადრე მათი უმრავლესობა საფრაგეთში შრომობდა, რათა სამშობლოში უკეთესი ცხოვრება მოეწყო, ამ შეზღუდვების შემდეგ უკან დასაბრუნებელი გზა მოეჭრათ, რამაც უბიძგა საფრანგეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, „პატარა სამშობლოს“ ჩამოყალიბებისკენ,** შესაბამისი ტრადიციებით და ადათწესებით; იქამდე საშოვარზე ჩასულებს ეს პრობლემები ნაკლებად აწუხებდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდშიც, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ისლამი გაცილებით აგრესიული გახდა, საფრანგეთის მმართველი წრეები მაინც განიხილავდნენ სასულიერო ლიდერებს (მათ შორის აშკარა რადიკალებს) გაცილებით ნაკლებ საფრთხედ, ვიდრე კომუნისტებს და მათში ისევ მნიშვნელოვან მოკავშირეებს ხედავდნენ. სწორედ ამ პერიოდში ფრანგულ საზოგადოებაში იწყება მუსლიმი მიგრანტების საწინააღმდეგო განწყობების მკვეთრი ზრდა, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის ალჟირის ომის დროინდელი კომპლექსები, საუბრები კულტურულ შეუთავსებლობაზე, უკმაყოფილება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და სხვ.

ცხადია, ეს ისტორია არ შედგება მხოლოდ შეცდომებისგან, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა მშიდობიანი თანაცხოვრებისთვის და დაპირისპირების გრადუსის დასაგდებად, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ერთმა ცუდმა გადაწყვეტილებამ შეიძლება უამრავი რამ გააფუჭოს. მაგალითად, **როდესაც სირიაში ომი დაიწყო, ოფიციალური პა-** ▶

**მნიშვნელოვანია, არავის მივცეთ ჩვენი ემოციების მართვის შესაძლებლობა, რათა «ცივილიზაციათა ომისთვის» სახარჯ მასალად, სხვისი ინტერესების მიღწევის ინსტრუმენტად არ გადაგვაქციონ. ახლა ძალზე მნიშვნელოვანია, ვამხილოთ ყველა, ვინც ცდილობს მაღალფარდოვანი ლოზუნგებით შენიღბოს ქსენოფობიასა და შეუწყნარებლობაზე აღმოცენებული ახალი ევროპული ფაშიზმის დაბადება, რომელიც, ადრე თუ გვიან, უბედურებას ჩვენს ქვეყანასაც მოუტანს**

მსოფლიო

## ისლანდია უარს ამბობს ევროკავშირში შესვლაზე

**„ისლანდიამ შეიძლება, უახლოეს ხანში უკან გაიწვიოს 2009 წელს შეტანილი თავისი განცხადება ევროკავშირის წევრობაზე“, — წერს ჟურნალი Parliament Magazibne.**

ისლანდიის პრემიერმინისტრ დევიდ გიუნლიოიგსონის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლებას განზრახული აქვს, უკან გაიწვიოს განცხადება ევროკავშირში ისლანდიის გაწევრების შესახებ, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის. 2013 წლის მაისში ისლანდიის მთავრობამ, რომელიც, ძირითადად, ე. წ. ევროსკეპტიკოსებისგან შედგება, ბრიუსელსა და რეიკიავიკს შორის დაძაბული ურთიერთობის ფონზე შეაჩერა მოლაპარაკებები ევროკავშირში ისლანდიის შესვლის თაობაზე. დაძაბულობა ევროკავშირსა და ისლანდიას შორის წარმოიშვა ევროკავშირის პოზიციით თევზჭერის მიმართ, სახელდობრ, თევზის ჭერის კვოტებზე, რომელსაც არ დაეთანხმა რეიკიავიკი.

ამჟამად ევროკავშირის წევრობის კანდიდატების სტატუსი მინიჭებული აქვს 6 ქვეყანას: ალბანეთს, ისლანდიას, მაკედონიას, სერბეთს, თურქეთსა და ჩერნოგორიას.



სააკაშვილის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით აფრიკისა და ახლო-აღმოსავლეთის 170-მდე ისლამურ სახელმწიფოსთან ხომ უვიზო მიმოსვლა გვქონდა (რომლის შედეგადაც თბილისი არაბული ჰარამხანების ქალაქად გადაიქცა), „ბელადმა" საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეებიც მაქსიმალურად გამოიყენა იმისთვის, რომ თურქეთის მოქალაქე ათასობით მუსლიმისთვის ქართული პასტორტები დაერიგებინა. დღეს კი არაერთი „პასპორტდარიგებული" საქართველოს სახელით სირიაში იბრძვის, ზოგი კი იქიდან მუქარის წერილებს გვიგზავნის, — საქართველოში ქვას ქვაზე არ დავტოვებთო...

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სირიაში მებრძოლი საქართველოს მოქალაქე ჯიჰადით გვემუქრება

**უკვე ოცი წელიწადია, ვითომ პროდასავლური გზით მივდივართ და ცხელი თავებისგან 24 საათიან რეჟიმში გვესმის პროპაგანდა, ეს ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანიაო. მეტიც, ამ ისტორიული სიცრუის აპოლოგეტები გვარწმუნებენ, თუკი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შევაღწევთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ და რუსეთს კუდით ქვას ვასროლინებთო.**



**რიზი, ფაქტობრივად, ხელს უწყობდა საფრანგეთში მცხოვრები ახალგაზრდა მუსლიმების ჩაბმას ბრძოლაში (ამა თუ იმ ფორმით), შემდეგ კი მათი ნაწილი „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლთა რიგებში აღმოჩნდა, რომელსაც საფრანგეთი მოკავშირეებთან ერთად უპირისპირდება, ნაწილი კი იმედგაცრუებული და უკიდურესად გაღიზიანებული საფრანგეთში დაბრუნდა და გლობალური ხალიფატის შექმნის იდეებს ერთგულებს.** ვინ აიძულებდა საფრანგეთის მთავრობას, ხელი შეეწყო ამ ახალგაზრდების რადიკალიზაციისთვის, მათი გადამტერებისთვის დასავლურ ცივილიზაციასთან?

ეს პრობლემა ჩვენც გვეხება. **სირიასა და ერაყში საქართველოს რამდენიმე ასეული მოქალაქე იბრძვის, გაცილებით მეტი, ვიდრე უკრაინაში. როდესაც ისინი დაბრუნდებიან (ფრიად შეცვლილი მსოფლმხედველობით), მათი რეინტეგრაცია მშვიდობიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქართველოსთვის დამახასიათებელ ტოლერანტულ გარემოში უპრობლემო ნამდვილად არ იქნება.** მით უმეტეს, რომ სააკაშვილის მსახურები, უკვე რამდენიმე წელია, მიზანმიმართულად ცდილობენ, პოტენციურად პრობლემურ რეგიონებში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის დაპირისპირების პროვოცირება მოახდინონ. ასე რომ, კარიკატურაც შეიძლება დაახვედრონ, ღორის თავიც და ა. შ.

**„შარლი ებდოს კრიზისი" არ არის შემთხვევითი მოვლენების დრამატული თანხმედრა ან დაგროვილი წინააღმდეგობების სტიქიური ამოფრქვევა — ეს დიდი პოლიტიკაა და პროცესი იმართება.** თქმული არ ნიშნავს, რომ ამ ტრაგედიის ყველა მონაწილეს პირველივე წუთიდან მარიონეტებივით მართავდენ, როგორც ამას კონსპიროლოგები გვიმტკიცებენ ხოლმე, მაგრამ ტელევიზორებთან მიჯაჭვული მასების ემოციების მართვა ნამდვილად ხდება და ისიც აშკარაა, რომ **საფრანგეთს სამოქალაქო დაპირისპირებისკენ უბიძგებენ.**

„ახალი ცივი ომი" მოითხოვს მსხვერპლს, მეტ პოლიტიკურ სიცხადეს და მკაცრ ბიპოლარულ დაყოფას. ევროკავშირის, როგორც ეკონომიკური გიგანტის და პოლიტიკურად (თითქმის) დამოუკიდებელი ცენტრის აღზევება ძველი „ცივი ომის" დასრულებამ განაპირობა და ეს ყველას როდი მოსწონს. მარტივად რომ ვთქვათ, ვაშინგტონს დღეს, როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, ისე საერთაშორისო არენაზე სჭირდება გაცილებით დამჯერი ევროპა, ისეთი უმცროსი პარტნიორი, როგორიც 70-იანებში ჰყავდა. **ვაშინგტონს არ მოსწონს „გერმანული ამბოხი" და არაპირდაპირი სტრატეგიის ფარგლებში შეიძლება ძირითადი დარტყმა ევროკავშირის სუსტ რგოლს — საფრანგეთს მიაყენოს, რომელმაც არაერთგზის დაამტკიცა, რომ მისი ჩაძირვა ქაოსში არც ისე რთული ამოცანაა** (ძველად რომ იტყოდნენ, „პარიზის აგდებას რა უნდა"). დასავლეთ ევროპაზე აშშ-ის მკაცრი კონტროლის აღდგენის პარალელურად, **რუსები, სავარაუდოდ, შეეცდებიან, პოსტსაბჭოთა სივრცე და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა საკუთარი გავლენის სფეროში მოაქციონ. საზოგადოდ კი, ყველაფერი, რაც დღეს კონტინენტზე ხდება, პარიზში თუ დონეცკში, გერმანიის (და შესაბამისად ევროპის) მომავლისთვის, ბერლინისთვის გამართული ბრძოლის ნაწილია.** გათავისუფლდება და აყვავდება ევროპა თუ მისი მორიგი მოტაცება-გაუპატიურება მოხდება?

დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ შემზარავი ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნას და ასეთ დროს **მნიშვნელოვანია, არავის მივცეთ ჩვენი ემოციების მართვის შესაძლებლობა, რათა „ცივილიზაციათა ომისთვის" სახარჯ მასალად, სხვისი ინტერესების მიღწევის ინსტრუმენტად არ გადაგვაქციონ. ახლა ძალზე მნიშვნელოვანია, ვამხილოთ ყველა, ვინც ცდილობს მაღალფარდოვანი ლოზუნგებით შენიღბოს ქსენოფობიასა და შეუწყნარებლობაზე აღმოცენებული ახალი ევროპული ფაშიზმის დაბადება, რომელიც, ადრე თუ გვიან, უბედურებას ჩვენს ქვეყანასაც მოუტანს.** ალბათ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ ვის სჭირდება, რომ ევროკავშირი (და მისი სამეზობლო, რომელსაც ჩვენც მივეკუთვნებით) პოლიტიკური და ეკონომიკური თვითგანადგურების რეჟიმში გადავიდეს.



მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე ჩნდება შეკითხვა — **ვინ დაიცავს საქართველოს უსაფრთხოებას: ის ევროპა, რომელიც სიტყვის თავისუფლების სახელით შეურაცხყოფს ნახევარ მსოფლიოს (მუსლიმანებს, ქრისტიანებს, საზოგადოდ — რელიგიას), ახორციელებს კულტურულ-იდეოლოგიურ ექსტრემიზმს და მერე ამის საპასუხოდ ისლამისტების ტერორისტული აქტებისგან საკუთარ მოქალაქეებს ვერ იცავს?! ეს, ბოდიში და, უნიფხვო ლიბერასტები დახვდებიან ჩვენს ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით მომავალ ჯიჰადს?!** არადა, საფრთხე კარსაა მომდგარი, ამ ოცი წლის განმავლობაში იმდენ უადგილო ადგილას ჩავყავით ცხვირი, იმდენი ვიტრაბახეთ, ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ვართ საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაშიო, აქამდე რომ არ გავხდით რადიკალების სამიზნე, ფრიად გასაკვირია. თუმცა ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, აგერ, სულ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მოქალაქემ, ბათუმელმა, 27 წლის თამაზ ჭილლაძემ (რომელიც სირიაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობს), სოციალურ ქსელში მიმართვა გაავრცელა. აი, როგორ ემუქრება ის „ისლამური სახელმწიფოს" სახელით საქართველოს: **„ყურადღება! საქართველოს ქააფირებს მივმართავ, რომლებმაც ისლამისა და მუსლიმანების წინააღმდეგ რამე ჩაიდინეთ ნატოს მისიებით ერაყში, ავღანეთში, აფრიკაში თუ საქართველოში (ლაფანყურში, პანკისში, გურიაში, აჭარაში, ჯავახეთსა თუ სხვა რეგიონებში), ყველა ფაქტი გვახსოვს და ყველა მონაწილის სახელი და გვარი ვიციით. ვიციით ყველა კაგებეშნიკი, ვინც ჩვენს ძმებს შეურაცხყოფას აყენებს. ვიციით ყველა თქვენი ნამოქმედარი. ამ ყველაფერზე პასუხს აგებთ თქვენი ბინძური ქააფირი სისხლით..."**

იმავე მიმართვაში ნახსენებია საპატრიარქოც და ექსტრემისტი მებრძოლი სასულიერო პირებს პირდაპირ ემუქრება: **„საპატრიარქოს აჭარლებისა და აჭარის პრობლემებისთვის ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, რომ, თქვე ანაფორიანო ვირთხებო, ინატრებთ, რომ ქვეწარმავლებად გაჩენილიყავითო..."**

**ვინ დაიცავს საქართველოს უსაფრთხოებას: ის ევროპა, რომელიც სიტყვის თავისუფლების სახელით შეურაცხყოფს ნახევარ მსოფლიოს (მუსლიმანებს, ქრისტიანებს, საზოგადოდ — რელიგიას), ახორციელებს კულტურულ-იდეოლოგიურ ექსტრემიზმს და მერე ამის საპასუხოდ ისლამისტების ტერორისტული აქტებისგან საკუთარ მოქალაქეებს ვერ იცავს?! ეს, ბოდიში და, უნიფხვო ლიბერასტები დახვდებიან ჩვენს ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით მომავალ ჯიჰადს?!**

ბევრმა შეიძლება, ჩათვალოს, რომ ეს ვიღაც ჭილლაძე ერთი რიგითი მოქალაქეა და იმ მუქარიდან მესამედის შესრულებაც არ შეუძლია, მაგრამ მოდი, რეალურად შევხედოთ ამ ყველაფერს: ჯერ ერთი, მის უკან ექსტრემისტების მთელი არმია დგას, რომელთათვისაც წმინდა ომში სიკვდილი სამოთხეში მოსხვედრის, ანუ მარადიულობაში გადასვლის ტოლფასია, და მეორეც — სულ რომ არავინ იდგეს, ერთ-ორ თავზეხელაღებულ ტერორისტს რა შეუძლია, Charlie Hebdo-ს მაგალითზეც ვნახეთ. სხვათა შორის, ამ საკითხზე წინა კვირას მკაცრი განცხადება გააკეთა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა: „უნგრელებს არ სურთ, საკუთარ ქვეყანაში რიცხობრივი უმცირესობა ნახონ, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისგან კულტურული თავისებურებით გამოირჩევიან". ახლა გავიხსენოთ, რას აკეთებდა ამ მხრივ „ნაცების" მოღალატე ხელისუფლება: სააკაშვილის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით, აფრიკისა და ახლოაღმოსავლეთის 170-მდე ისლამურ სახელმწიფოსთან ხომ უვიზო მიმოსვლა გვქონდა (რის შედეგადაც თბილისი არაბული ჰარამხანების ქალაქად გადაიქცა), „ბელადმა" საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეებიც მაქსიმალურად გამოიყენა იმისთვის, რომ თურქეთის მოქალაქე ათასობით მუსლიმისთვის ქართული პასპორტები დაერიგებინა.

დღეს კი არაერთი „პასპორტდარიგებული" საქართველოს სახელით სირიაში იბრძვის, ზოგი კი იქიდან მუქარის წერილებს გვიგზავნის, — საქართველოში ქვას ქვაზე არ დავტოვებთო...

**ჯაბა ჟვანია**

## ფესტივალი „ახალი ტალღა" იურმალის ნაცვლად სოჭში ჩატარდება

**საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ახალი ტალღა" ამიერიდან, ლატვიის ქალაქ იურმალის ნაცვლად, რუსეთის ქალაქ სოჭში ჩატარდება. ამის შესახებ კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრ ტკაჩევმა განაცხადა.**

„მინდა, ჩემი სიხარული გაგიზიაროთ. ჩვენ მოვიპოვეთ უფლება, ვუმასპინძლოთ ფესტივალ „ახალ ტალღას". ამით ჩვენ შევძლებთ დიდი რაოდენობით ტურისტი მოვიზიდოთ, შევავსოთ სასტუმროები და შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები", — აღნიშნა ტკაჩევმა. მისივე ინფორმაციით, ფესტივალის ჩატარების პრეტენდენტები ასევე იყვნენ კალინინგრადი და იალტა. ორგანიზატორებმა კი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ არჩევანი სოჭზე შეაჩერეს.

ახალგაზრდა შემსრულებლების საერთაშორისო კონკურსი „ახალი ტალღა" ლატვიის ქალაქ იურმალაში 2002 წლიდან ტარდებოდა. კონკურსის დაფუძნების ინიციატორები იყვნენ კომპოზიტორები რაიმონდ პაულსი და იგორ კრუტოი.

აღსანიშნავია, რომ საქართველო იურმალაში გამართულ კონკურსებში ყოველწლიურად მონაწილეობდა. „ახალი ტალღა 2014"-ის გამარჯვებული ქართველი მომღერალი ნუცა ბუზალაძე გახდა.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1990-დან 2010 წლამდე პერიოდში ევროპის მუსლიმანური მოსახლეობა გაორმაგდა და 45 მილიონი შეადგინა. 2030 წლამდე, ყველაზე მოკრძალებული გათვლებით, ევროპაში მუსლიმთა რაოდენობა კიდევ 15-20 მილიონით გაიზრდება და 60 მილიონს გადააჭარბებს. დროის იმავე მონაკვეთში არამუსლიმანი ევროპელების რაოდენობა 30 მილიონით შემცირდება და საგრძნობლად დაბერდება. ევროსტატის გათვლებით, 2010-დან 2060 წლამდე მონაკვეთში ევროპის მოსახლეობას კიდევ 86 მილიონი იმიგრანტი დაემატება.**

# შეუძლია დასავლეთს საქართველოს დაცვა?

# ევროპის ისლამური დაისი

**2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებას, ანუ უკვე ასოცირებული ვართ სახელმწიფოების გაერთიანებასთან, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის სტაბილურობასთან, დაცულობასა და პროგრესთან ასოცირდება. ასოცირდება ისე ჯიუტად, რომ მასთან დაახლოება ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანად გამოაცხადეს და ამ კურსიდან გადახვევაზე უბრალო საუბარსაც კი ლამის ქვეყნის ღალატად მიიჩნევენ.**

ამ რეალობის გათვალისწინებით აქტუალურია კითხვა – შეუძლია კი ევროპას ჩვენი დაცულობისა და პროგრესის უზრუნველყოფა? ან სულაც – დაცულია თვითონ მისივე საზოგადოება და მომავალი?

გასულ კვირას მსოფლიო შეძრა საფრანგეთში ისლამისტი ტერორისტების თავდასხმების სერიამ. 7 იანვარს პარიზში, ჟურნალ Charlie Hebdo-ს რედაქციაში ორი უცნობი შეიჭრა და ავტომატური იარაღიდან 12 ადამიანი დაცხრილა. ტერორისტებმა ადგილიდან მიმალვა პოლიციის მისვლამდე მოახერხეს. როგორც შემდგომ გაირკვა, თავდამსხმელები ალჟირელი ემიგრანტების შვილები იყვნენ — საიდ და შერიფ კუაშები.

8 იანვარს პარიზის სამხრეთ გარეუბანში უცნობმა მამაკაცმა ცეცხლი გაუხსნა ორ პოლიციელს. სროლის შედეგად ერთი პოლიციელი დაიღუპა, მეორე მძიმედ დაიჭრა.

9 იანვარს ძმები კუაშები, რომლებსაც პოლიცია ორ დღეს უშედეგოდ ეძებდა, ქალაქ დამარტან-ენ-გოელის ტიპოგრაფიაში შეიჭრნენ და მძევალი აიყვანეს. რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შემდეგ პოლიციამ შენობის შტურმი დაიწყო და ტერორისტები გაანადგურა.

იმავე დღეს კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა პარიზის აღმოსავლეთ რაიონში. აფრიკული წარმომავლობის 32 წლის ამედი კულიბალი სუპერმარკეტში შეიჭრა და მძევლები აიყვანა. თავდამსხმელმა ოთხი მძევალი მოკლა და რამდენიმე დაჭრა, ვიდრე პოლიცია მის განადგურებას მოასწრებდა.

ამ სისხლიანი თავდასხმების მონაწილეები რადიკალური, ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ წევრები აღმოჩნდნენ. საინტერესოა, რომ ისინი საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილნი იყვნენ.

2011 წელს ტელევიზია TF1-ის ეთერში საფრანგეთის პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზიმ საფრანგეთში მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის სრული კრახის შესახებ განაცხადა: **„დიახ, ეს კრახია. სიმართლე არის ის, რომ ჩვენს დემოკრატიულ ქვეყანაში ზედმეტად ზრუნავენ ჩამოსულების იდენტობაზე და თითქმის არ ზრუნავენ მიმღები მხარის იდენტობაზე. ჩვენ არ გვჭირდება საზოგადოება, რომელშიც ეროვნული სათვისტომოები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ. თუ ვინმე საფრანგეთში ჩამოდის, ის უნდა შეერიოს ერთიან ადგილობრივ საზოგადოებას, რომელიც ნაციონალურია. თუ ვინმე ამას არ ეთანხმება, დაე, ნუ ჩამოვა საფრანგეთში“.**

2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე ნიკოლა სარკოზი ფრანსუა ოლანდთან დამარცხდა. დამარცხდა კანდიდატთან, რომლის საპრეზიდენტო პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი საფრანგეთში უცხოელი იმიგრანტების უფლებების დაცვა და იმიგრაციის პროცესის ლიბერალიზაცია იყო. პრობლემა არის ის, რომ საფრანგეთში მოქალაქეობის მქონე იმიგრანტების, (განსაკუთრებით — ისლამური ქვეყნებიდან ჩამოსულთა) რაოდენობა უკვე ისე გაიზარდა, რომ უკიდურესად რთულდება იმიგრაციის პროცესის გამკაცრების ან ფრანგულ საზოგადოებაში იმიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის გატარება.

კარგა ხანია, ევროპაში მწვავე დემოგრაფიული კრიზისი ევროპული ელიტის სერიოზული შეშფოთების საგანია. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპის მოსახლეობის ზრდის საკმაოდ დიდი წილი ემიგრაციაზე მოდიოდა. **2005 წლისთვის კი მთელი ევროკავშირის მოსახლეობის მატების 81% მიგრაციულმა ნაკადმა უზუნველყო.** 2009 წლისთვის ევროკავშირში ერთ ქალზე საშუალოდ 1.59 ბავშვი მოდიოდა, რაც ისე ცოტაა, რომ ამ მაჩვენებლების პირობებში მოსახლეობის ზრდა სრულიად გამორიცხულია. საზოგადოების დაბერების პრობლემის მოგვარებასა და მუშახელის უკმარისობის თავიდან აცილებას ევროპა იმიგრაციის, უპირატესად მუსლიმური იმიგრაციის (2010 წელს საფრანგეთში მთლიანი მიგრაციული ნაკადის 70%-ს მუსლიმანები შეადგენდნენ) ხარჯზე ცდილობს. მუსლიმან იმიგრანტებში კი გამრავლების ტემპი ევროპელთა გამრავლების ტემპს, სულ ცოტა, ორჯერ აღემატება.

**1990-დან 2010 წლამდე პერიოდში ევროპის მუსლიმანური მოსახლეობა გაორმაგდა და 45 მილიონი შეადგინა. 2030 წლამდე, ყველაზე მოკრძალებული გათვლებით, ევროპაში მუსლიმთა რაოდენობა კიდევ 15-20 მილიონით გაიზრდება და 60 მილიონს გადააჭარბებს.**




**კვლევების მიხედვით, გერმანიაში მცხოვრებმა ყოველმა მეოთხე მუსლიმანმა არ იცის გერმანული, ხოლო ყოველი მეორე თითქმის არ ურთიერთობს გერმანელებთან. მუსლიმანების 20%-ზე მეტი სოციალურ დახმარებაზე ცხოვრობს და დაახლოებით 15% ღიად ამბობს უარს გერმანულ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე**



**დროის იმავე მონაკვეთში არამუსლიმანი ევროპელების რაოდენობა 30 მილიონით შემცირდება და საგრძნობლად დაბერდება. ევროსტატის გათვლებით, 2010-დან 2060 წლამდე მონაკვეთში ევროპის მოსახლეობას კიდევ 86 მილიონი იმიგრანტი დაემატება.**

ასაკი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დემოგრაფიული პერსპექტივების შეფასებაში. დღეს ევროპის მუსლიმანური მოსახლეობის 50% 30 წელზე ახალგაზრდაა, მაშინ, როცა არამუსლიმანთა შორის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 30%-ია. უფრო შემაშფოთებელია ევროპის სამომავლო ასაკობრივი პერსპექტივა: **2060 წლისთვის გერმანიის, ბრიტანეთისა და ესპანეთის მოსახლეობის 40 წელზე ახალგაზრდა, ანუ ყველაზე აქტიური და შრომისუნარიანი ნაწილის ნახევარი უცხოელი იმიგრანტები იქნებიან.**

ევროპის ეთნიკური და რელიგიური სურათი იცვლება. **ევროპის მოსახლეობა ბერდება და კვდომის პროცესშია, მას არაბული და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული რადიკალური, ისლამური მასა ანაცვლებს, რაც შეუქცევლად იწვევს ტრადიციული ევროპული ფასეულობების ცვლას და შევიწროებას.**

ევროკავშირი იმედოვნებს, რომ ამ საფრთხის თავიდან აცილებას ჩამოსულთა ასიმილაციითა და მათ ევროპულ ფასეულობებზე გადაყვანით შეძლებს, მაგრამ იმიგრანტთა ნაკადი ისე დიდია, რომ ასიმილაციის პროცესი შემაშფოთებლად ნელა მიმდინარეობს.

გერმანიაში ფართო რეზონანსი გამოიწვია გერმანიის ფედერალური ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრის — ტილო სარაცინის 2010 წელს გამოცემულმა წიგნმა „გერმანიის თვითლიკვიდაცია“. წიგნში მოყვანილი იყო გერმანიის მთავრობის დაკვეთით შესრულებული, ფართო საზოგადოებისთვის მანამდე უცნობი სოციოლოგიური კვლევების შედეგები. კვლევების მიხედვით, გერმანიაში მცხოვრებმა ყოველმა მეოთხე მუსლიმანმა არ იცის გერმანული, ხოლო ყოველი მეორე თითქმის არ ურთიერთობს გერმანელებთან. მუსლიმანების 20%-ზე მეტი სოციალურ დახმარებაზე ცხოვრობს და დაახლოებით 15% ღიად ამბობს უარს გერმანულ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. თითქმის ყოველ მეოთხე მორწმუნე მუსლიმანს (23,5 პროცენტს) ერთხელ მაინც უქურდია ან უძალადია თანატოლებზე.

ევროპის **უმსხვილეს ქალაქებში მუსლიმანები, ძირითადად, ერთად სახლდებიან, ქმნიან მუსლიმანურ უბნებს, გეტოებს, რომლებიდანაც ადგილობრივი მოსახლეობა თანდათან გაედინება. შვედეთსა და დანიაში არსებობს მთელი ქალაქები, რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ მთლიანად დატოვა და ჩამოსულებს დაუთმო. ამ გეტოებში თითქმის არ მოქმედებს ადგილობრივი კანონები და არ მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესი. აქ ცალკე მიკროკულტურაა, რომელიც თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და რომელიც სულ უფრო იზრდება, ფართოვდება და აგრესიული ხდება.**

ანტიტერორისტული სპეცოპერაციების დასრულების შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა და განაცხადა, რომ მომხდარ თავდასხმებს ისლამთან კავშირი არ აქვს, რომ კაშერული პროდუქტების სუპერმარკეტზე განხორციელებული თავდასხმა, უბრალოდ, ანტისემიტური აქტი იყო.

სამწუხაროდ, **ევროპაში კულტურულ-რელიგიური დაპირისპირება უკვე შემაშფოთებლად რადიკალურ ფორმებს იღებს და ლიბერალური ევროპული საზოგადოება მას ვერაფერს უპირისპირებს; ვერაფერს, გარდა დათმობებისა, რომლებიც მუსლიმანების რადიკალურ ნაწილს მხოლოდ აძლიერებს.**

სააგენტო „ფრანს-პრესის“ ინფორმაციით, 10 იანვარს „ალ ქაიდამ“ უკვე ღიად განაცხადა, რომ საფრანგეთს ტერაქტების ახალი სერია ელის.

„თქვენ არ იქნებით უსაფრთხოდ, ვიდრე ალაჰს და მორწმუნეებს ებრძვით“, – წერია შეიხ ან ნაზარის განცხადებაში, რომელიც ისლამურ საიტებზე დაკვირვების ამერიკულმა სამსახურმა გამოაქვეყნა.

**2014 წლის 27 ივნისს ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას; ევროკავშირთან, რომელიც ბევრისთვის დაცულობასა და სტაბილურობასთან, მომავალთან ასოცირდება. ასოცირდება ისე ჯიუტად, რომ მასთან დაახლოება ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანად გამოაცხადეს.**

მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს თვითონ ევროპელებიც ველარ აღიქვამენ საკუთარ მომავალს დაცულად და ევროკავშირის თავზე სულ უფრო შემაშფოთებლად იკვეთება ისლამური ჯიჰადის დროშის სილუეტი.

**შოთა ბერიძე**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ცივილიზებული“ სამყარო გასუსულია, როდესაც ე. წ. ისლამური სახელმწიფოს ავაზაკები ასობით ქრისტიანს თავებს აჭრიან და „ურწმუნოთა“ დასაშინებლად მსხვერპლთა შიგნეულობას მიირთმევენ...**

# შარლიატანები და დასავლური ფარისევლობა

## «შარლი ებდო», როგორც ევროკავშირის პორტრეტი

**თითქმის ერთი კვირაა, დაჟინებით მოვუწოდებ ჩემში „დაბუდებულ“ ადამიანობას, შემაცოდოს ტრაგიკულად დაღუპული ფრანგი კარიკატურისტები. ამასთანავე, ვათვალიერებ მათი „შემოქმედების“ ნიმუშებს. გაჩენილი სიბრალულის ნაპერწკალს უმოწყალოდ აქრობს აღშფოთების გრიგალი. აგერ — კომიქსი „შობა“, სადაც მაცხოვრის ქვეყნად მოვლინება გადმოცემულია ფიზიოლოგიური დაწვრილებით, ხოლო ღვთისმშობელი და ჩვილი ქრისტე უფრო ჯოჯოხეთის მაშხალებს მაგონებენ...**

„შარლი ებდოს“ კიდევ ერთი „შედევრი“ — ქრისტე ეკლიანი გვირგვინით, ჭრილობებით ხელის მტევნებზე და გადმოკარკლული თვალებით, „ხმარობს“ მამა-ღმერთს, თვითონ კი „გარჭობილი“ აქვს სამკუთხედი ყოვლისმჭვრეტელი თვალით... წარწერა მიმითითებს, რომ ეს თურმე სულიწმინდაა... რა თქმა უნდა, „იუმორისტული“ ჟურნალის „ღადავისტებმა“ არც წინასწარმეტყველი მუჰამედი დაინდეს — მილიარდი ადამიანის უდიდესი ავტორიტეტი გააშიშვლეს და ოთხზე დააყენეს, ხოლო მისი უკანალი მკითხველს მიუშვირეს...

**ამ საზიზღრობების ნახვისთანავე მიჩნდება კანონზომიერი ეჭვი მისი ავტორების ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ. ეჭვი რწმენაში გადამდის, როდესაც ვათვალიერებ ერთ-ერთი მოკლული კარიკატურისტის ფოტოსესიას პერფომანსით — საზოგადოების თანდასწრებით, „მხატვარი“ უკანალში „გაჩხერილი“ მელნით სავსე ოყნით რაღაცას „ხატავს“ იატაკზე... რა გაეწყობა, ზოგიერთი თავისებურად აღიქვამს რეალობას.**

ისე, რა მოხდა? — როგორ თუ, რა მოხდა?! მთელი ცივილიზებული სამყარო გაოგნებულია, შოკშია პარიზის ცენტრში დატრიალებული ტრაგედიით! ესროლეს არა მხოლოდ ჟურნალისტებს, არამედ თავისუფალ სიტყვას! — მესმის ყველა მხრიდან.

**მაოგნებს დონბასში ათასობით უდანაშაულო მშვიდობიანი ადამიანის მკვლელობა, ბავშვების დასახიჩრებული სხეულები, რომლებსაც დასავლეთი ჯიუტად არ ამჩნევს! „თავისუფალი“ სამყარო, „დაბრმავდა“ მაშინ, როდესაც მის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული, სინამდვილეში კი შეურაცხადი სააკაშვილი და მისი პირსისხლიანი რეჟიმი ადამიანებს ქუჩაში მხუთავი გაზით წამლავდა, ხვრეტდა, ციხეებში ცოცხებით აუპატიურებდა!** უფრო მეტიც, შეგულიანებულმა ნაცხროვამ აკადემიკოსი გურამ შარაძე ჯერ დააპატიმრა, როდესაც გაბედა და სექსუალური გადახრებით დაავადებული პოლონელი „მხატვრის“ მკრეხელური სურათი ჩამოგლიჯა, შემდეგ კი გამოჩენილი მეცნიერი სასტიკად მოკლა... **„ცივილიზებული“ სამყარო გასუსულია, როდესაც ე. წ. ისლამური სახელმწიფოს ავაზაკები ასობით ქრისტიანს თავებს აჭრიან და „ურწმუნოთა“ დასაშინებლად მსხვერპლთა შიგნეულობას მიირთმევენ...** სოციალური ქსელები აჭრელდა დახოცილი პალესტინელი და ავღანელი ბავშვების სურათებით! ეს გამოუსწორებელი ფარისევლობაა; ფარისევლობაა, როდესაც შენ მიერვე გაძარცვული ქვეყნებიდან ჩამოგყავს გასაცოდავებული მიგრანტები, რომლებსაც აცხოვრებ შენივე მოსახლეობის შრომის ხარჯზე, აპარაზიტებ, ხელს უწყობ მათ გათავხედებას: რა? მოსწავლეთა რაციონში ღორის ხორცია? ეს შენს რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს? შენ კარგად იყავი და, დღეიდან რაციონში აღარ იქნება ღორის ხორცი!.. რა? ეკლესიების ზარების გუგუნი გაწუხებს? შე კაი ადამიანო, მე ხომ არ ვიცოდი, გეთქვა ადრე! აღარ შეგაწუხებს ზარები! — ეს, ერთი მხრივ. პარალელურად, **მარგინალების კონტროლს დაქვემდებარებული მასმედია ადგილობრივებს უნერგავს რწმენას: მიგრანტი ნახევრად ადამიანია, თითქმის ცხოველი! და კარიკატურებით უბილწავ სიწმინდეებს! ხოლო, როცა მუსლიმები ხმას იღებენ თავიანთი რელიგიის დასაცავად, იმავე „თავისუფალი“ მედიის საშუალებით „მეგობრულად“ ურჩევენ: „გაჩერდი! ხმა! კრინტი! თორემ წახვალ იქ, საიდანაც მოეთრიე. დაგავიწყდა, რა ნაგვიდან ამოგიყვანე?!“**



მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული! მოთმინების ფიალა აივსო 7 იანვარს... „ჰეზბოლაჰის“ თავკაცი ჰასან ნასრალა აცხადებს: **„ტერორიზმმა მიაღწია იმ ქვეყნებამდე, რომლებმაც მისცა ამ ტერორიზმს არსებობის უფლება ახლო აღმოსავლეთის მიწაზე... ამ ღვთისმგმობელმა ჟურნალისტებმა ისე შეურაცხყვეს ჩვენი წინასწარმეტყველი, როგორც არასდროს ისლამის ისტორიაში. წინასწარმეტყველი მუჰამედის დაბადების დღის დღესასწაულზე ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ მუჰამედის ნამდვილ ბიოგრაფიაზე, რათა განვდევნოთ ტერორიზმი, რომელიც ცდილობს, მიუახლოვდეს ისლამს“.** დამაფიქრებელი სიტყვებია!

**ამ საზიზღრობების ნახვისთანავე მიჩნდება კანონზომიერი ეჭვი მისი ავტორების ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ. ეჭვი რწმენაში გადამდის, როდესაც ვათვალიერებ ერთ-ერთი მოკლული კარიკატურისტის ფოტოსესიას პერფომანსით — საზოგადოების თანდასწრებით, «მხატვარი» უკანალში «გაჩხერილი» მელნით სავსე ოყნით რაღაცას «ხატავს» იატაკზე...**

კვლავ ვათვალიერებ „შარლი ებდოს“ „შემოქმედებას“ და ვფიქრობ, აქვს თუ არა ზღვარი თანამედროვე ევროპული კულტურის გაპირუტყვებას, იმ „კულტურის“, რომელსაც დასავლელი იდეოლოგები აბორიგენი მოღალატეების დახმარებით ნერგავენ ჩემს სამშობლოში? **დეისაძე, ბურჭულაძე, კაკაბაძე, ქარუმიძე, თუთბერიძე, რამიშვილი, ჯაჯანიძე, სააკაშვილი, ბოკერია... ნუთუ ეს ხალხი მოვა გონს, მოინანიებს?! არა, არავითარი იმედი არ მაქვს მათი შემობრუნებისა.** უაზრობაა, მათ აუხსნა ქცევის ნორმები. ეს იგივეა, ღორს მოუწოდო, არ ჩაწვეს მყრალ წუმპეში, ან ძაღლს, — არ ალოკოს თავისი ნარწყევი, ან ზოოპარკის ვოლიერში მოთავსებულ მაიმუნს ესაუბრო ზნეობის კატეგორიებზე... და, თანაც, იმ დროს, როცა ის საკუთარ ასოს „ათამაშებს“...

ადამიანი მხოლოდ ადამიანთან, მიუხედავად მათი განსხვავებული რელიგიური მრწამსისა, გამოძებნის საერთო ენას; მაგრამ გაპირუტყვებულ (და გაპირუტყვებას უკვე ვინღა ჩივის), დემონად ქცეულ არსებასთან ვერასდროს იპოვის საერთო ენას.

დროა, რედაქციაში მივიტანო ეს წერილი და მაინც, მეზობლის ტელევიზორიდან მესმის: „ესროლეს თავისუფალ სიტყვას!“. კი, ესროლეს, მაგრამ სიტყვასაც გააჩნია. ადამიანმა შეიძლება მოწიწებით წარმოთქვას: „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“; ასევე, მას შეუძლია, დაემსგავსოს დეპუტატ ბობოხიძეს, რომელმაც ეთერში საწინააღმდეგო სიტყვები „აფრინა“...

ყველამ ვიცით სიტყვის სიძლიერე. მას შეუძლია, დაგჭრას ან მოგკლას ისე, როგორც არველაძის „იმედის“ ეთერში გასულმა „მოდელირებულმა ქრონიკამ“, რომელმაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა! იმ სიტყვით, რომელიც „ბრძანეს“ ფრანგმა ჟურნალისტებმა, საკუთარი სამარე გაითხარეს. რა თქმა უნდა, ჩემს „კოლეგებს“ სიკვდილი არ უნდოდათ. მათ ხომ პატრონ-დამფინანსებლებმა ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, მაგრამ კაცი ბჭობდა და... მაგ ხალხმა სიცოცხლის ფასად მიაღწია იმას, რომ ჟურნალის ტირაჟი სრულად გაიყიდა, ტირაჟი გაიზარდა; და მიიღეს „დიდება“, ოღონდ სიკვდილის შემდეგ; ამიტომ ამ „დიდებით“ ველარ ისარგებლებენ, რადგან ახლა საკუთარი ქმედების გამო უკვე სხვა განზომილებაში ღმერთის წინაშე აგებენ პასუხს...

**რომელი ღვთისმგმობელი იქნება შემდეგი? — საკითხავი, აი, ეს არის!**

**გიორგი კორძაძე**

**მაოგნებს დონბასში ათასობით უდანაშაულო მშვიდობიანი ადამიანის მკვლელობა, ბავშვების დასახიჩრებული სხეულები, რომლებსაც დასავლეთი ჯიუტად არ ამჩნევს! «თავისუფალი» სამყარო, «დაბრმავდა» მაშინ, როდესაც მის მიერ «დემოკრატიის შუქურად» წოდებული, სინამდვილეში კი შეურაცხადი სააკაშვილი და მისი პირსისხლიანი რეჟიმი ადამიანებს ქუჩაში მხუთავი გაზით წამლავდა, ხვრეტდა, ციხეებში ცოცხებით აუპატიურებდა!**

## ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩერგოლეიშვილი განზოგადებული სახელია ამ „შარლებისა“ და სხვა შარლატანების, მაგრამ არც ეს გამოდის, რადგან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში ყველაზე ხშირად სწორედ მისი მეუღლე გიგა ბოკერია ფიგურირებს და ბოლო ეპიზოდში მის ღვიძლ დასაც უნახავს მოგება მედიის შევიწროებისგან! ასეა თუ ისე, ვამბობთ ჩერგოლეიშვილი და ვგულისხმობთ ერთ კონკრეტულ პარტიას ან — პირიქით!**

# «შარლი», მანიქეველები და ბინქარან მაცდურის თანამეცხედრე

**ვიდრე დღევანდელ „შარლებსა“ და სხვა შარლატანებზე ვისაუბრებდეთ, რამდენიმე თეზისი „სიტყვის თავისუფლებისთვის“ ადუღებული ამ სუბიექტებისთვის:**
**ტერორიზმს გამართლება არ აქვს.**
**არანაირი.**
**არასდროს.**
**არც ერთი საბაბით.**
**არც პარიზში, არც მოსკოვში და არც თბილისში. ნუ ვიკამათებთ იმაზე, რომ ადამიანების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა არ არის სიტყვის თავისუფლება. ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს იმ ადამიანებთან, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში საკუთარი მოსახლეობის ტერორით ტკბებოდნენ. უსაგნო კამათს აზრი არ აქვს. ნურც იმ ეჭვებზე ვისაუბრებთ, რომლებიც, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მსგავსად, პარიზში Charlie Hebdo-ს რედაქციაში ატეხილმა სისხლისღვრამ გააჩინა; ამის დროც მოვა, ახლა კი მთავარ სათქმელს დაგვაშორებს და იმავე კალაპოტში ჩაგვაყენებს, რომლისკენაც, ეს ერთი კვირაა, გლობალური მედია გულმოდგინედ მიგვერეკება.**



**როცა არჩევანი სამარცხვინო კარიკატურების ავტორებსა და ტერორისტებს შორის კეთდება, ეს არ არის არჩევანი. ეს არის არჩევანი ძალიან ცუდსა და მასზე უარესს შორის. ეს არის ხელოვნური კონსტრუქცია, რომელიც ნორმალურ ადამიანებში პროტესტს ბადებს. ეროვნული ან ევროპული ერთიანობის იმიტაცია პარიზში შეშინებული პოლიტელიტის მიერ საკუთარი თავის გამხნევებას უფრო ჰგავს, თორემ იმ ქუჩებს მეტი ადამიანიც ახსოვს, რომელთა ხმა ამ ელიტას არ შეუსმენია! იმ ადამიანების, რომლებიც არც «შარლი» არიან და არც ტერორისტები!**

„შარლიისტერიის“ ფონით ისარგებლა და „ჩლუნგებს“ სოციალურ ქსელში სიტყვის თავისუფლების სახელმძღვანელო შესთავაზა გიგა ბოკერიას თანამეცხედრემ **თამარ ჩერგოლეიშვილმა.** არ ღირს მისი ციტატების მოტანა, რადგან მთელი ეს ტექსტი საკუთარი უპირატესობის გრძნობით შეპყრობილი ადამიანის მიერ ნაჩქარევად ჩამოწერილი პრიმიტიული დებულებებით არის სავსე.

მხოლოდ ორიოდე ამონარიდი, რომელიც ნათლად მიანიშნებს, როდის ყოფილა შესაძლებელი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა: „საქმე ეხება მოწოდებას, რომელიც ძალადობის მყისიერ საფრთხეს შეიცავს — მაგალითად, ვდგავარ ბევრი ტაბურეტმომარჯვებული ადამიანის წინ და მოვუწოდებ, ამ ტაბურეტებით ჩაქოლონ ის ადამიანები, რომლებიც მათ არ მოსწონთ“. და კიდევ ერთი: „რელიგიური, პატრიოტული, მამაკაცური, ქალური, დედაშვილური, მამაშვილური ან რაიმე სხვა ტიპის გრძნობების შემლახავი სიტყვა საქართველოში და თავისუფალი სამყაროს უდიდეს ნაწილში არ იზღუდება. არის მცირე გამონაკლისები ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ნაცისტური სიმბოლიკის გამოსახვის, ჰოლოკოსტის უარყოფის სახით. ზოგან მსგავსი შეზღუდვა უმცირესობების დაცვის მოტივითაა ნაკარნახევი, თუმცა მე ამგვარ შეზღუდვებს არ ვეთანხმები, ამერიკული მიდგომა მიმაჩნია სწორად“.

**„ვდგავარ ბევრი ტაბურეტმომარჯვებული ადამიანის წინ“ — ეს არის ყველაზე კოშმარული სიზმარი, საზოგადოდ, „თავისუფლებისთვის“ მებრძოლი ამ ქალბატონისა, რომელიც ამერიკულ მიდგომებს იზიარებს და მხოლოდ უმცირესობის უფლებებზე დარდობს. არ მოტყუვდეთ — ისინი ახლა უმცირესობაში არიან (პოლიტიკურ უმცირესობას ვგულისხმობ, სხვა რამ არ ივარაუდოთ) და სწორედ საკუთარი უფლებებისთვის ზრუნავენ, თორემ უმრავლესობაში როცა იყვნენ, სულის ამოხდას გვპირდებოდნენ და როგორც შეეძლოთ, გვისრულებდნენ კიდეც დანაპირებს.**

მინაწერი „ჩლუნგებისთვის“ განკუთვნილ სახელმძღვანელოზე: „უცბად დავწერე. მგონი, არაფერი გამომრჩა. თუ გამომრჩა — დავამატებ, როცა გამახსენდება. I love you too!“

ახლა — თუ რა გამორჩა „ჩლუნგების“ შემგონებელს:

**1. 2002 წელს, როცა სააკაშვილი, როგორც იქნა, თბილისის საკრებულოს დაეპატრონა, ჟურნალისტმა გიორგი უძილაურმა მას შენობის გარედან რამდენჯერმე დაუძახა „მიშუტკა“.** განსაკუთრებით „ჩლუნგებმა“ გაითვალისწინეთ – არც დედა შეუგინებია, არც დაუწყევლია, მხოლოდ თიკუნით მიმართა. **დღევანდელმა „შარლებმა“ და სხვა შარლატანებმა ჟურნალისტი საკრებულოს შენობაში შეათრიეს და რამდენიმე საათი ჰყავდათ დატყვევებული. სამართლის ენაზე ამას თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან მძევლად აყვანა ჰქვია, მძევლები კი სწორედ ტერორისტებს აჰყავთ.** დღევანდელი „შარლები“ და სხვა შარლატანები ერთ წელიწადში სახელმწიფო გადატრიალების გზით, უკვე თბილისის კი არა, მთელი საქართველოს მასშტაბით ძალაუფლებას დაეპატრონენ და მძევლებისა და უკანონო პატიმრების რაოდენობამ ათი ათასებს მიაღწია. **ჩერგოლეიშვილი** დუმდა.

**2. 2004 წლის 19 თებერვალს, დღევანდელი „შარლების“ და სხვა შარლატანების ხელისუფლებაში მოსვლიდან სამ თვეში დაიხურა ტელეკომპანია „იბერია“, გაზეთი „ახალი ეპოქა“ და ჟურნალი „ომეგა“.** სპეცოპერაცია მოგვიანებით „ტელეიმედის“ დარბევის რეპეტიცია აღმოჩნდა. ჩერგოლეიშვილი და მისი მეგობრები ამ ფაქტს იმით ამართლებდნენ, რომ ტელეკომპანიის იდეოლოგია მათთვის მისაღები არ იყო.

**3. დღევანდელი „შარლების“ და სხვა შარლატანების ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთ წელიწადში დაიხურა ტელეკომპანია „მეხუთე არხი“.**

**ჩერგოლეიშვილს** პროტესტი არ გამოუთქვამს.

**4. დღევანდელმა „შარლებმა“ და სხვა შარლატანებმა 2004 წელს დახურეს ტელეკომპანია „ობიექტივი“, ხოლო მისი სიხშირე სააკაშვილის ჯიბის ტელეკომპანიებს – „ალანიასა“ და REGION TV-ს გადასცეს.**

არც იმხანად გაუგია ვინმეს **ჩერგოლეიშვილის** ქმუნვა სიტყვის თავისუფლებაზე.

**5. დღევანდელმა „შარლებმა“ და სხვა შარლატანებმა 2004 წელს — ყველა პოლიტიკური თოქ-შოუ, ხოლო 2005 წელს ყველა საინფორმაციო პროგრამა დახურეს, ცოტა ხანში კი კომპანია „რუსთავი 2“-ს გადასცეს.**

გახსოვთ **ჩერგოლეიშვილის** პროტესტი? რაც არ ყოფილა, რა გემახსოვრებათ?!

**6. 2005 წლის 1 დეკემბერს ტელეკომპანია „რიონის“ პირდაპირ ეთერში აკაკი ბობოხიძემ, რომელიც იმხანად იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული იყო, სცემა ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი, რომელსაც ცხვირი გაუტყდა და ტვინის შერყევა მიიღო.** ამ ფაქტისთვის არავის მიუცია სამართლებრივი შეფასება, სააკაშვილმა კი თავისი სურვილით თანამდებობიდან გადამდგარი გუბერნატორი რამდენიმე კვირაში საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდლად დანიშნა. იმნაიშვილი კი იძულებული შეიქნა, საქართველო დაეტოვებინა და ინგლისში წასულიყო.

**ჩერგოლეიშვილს** არ გაუპროტესტებია.

**7. 2006 წ. 7 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყველაზე რეიტინგული გადაცემის — „თავისუფალი თემის“ ავტორმა და წამყვანმა, საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ეკა ხოფერიამ პირდაპირ ეთერში სანდრო გირგვლიანის შესახებ გადაცემის მსვლელობისას განაცხადა, რომ მან „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერისგან, გიგა ბოკერიასგან, მიიღო ინსტრუქციები იმის შესახებ, რა უნდა ეთქვა და რა — არა**. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ხელისუფლებიდან წამოსულმა ასეთმა „რჩევებმა“ უკვე რეგულარული ხასიათი მიიღო, ამიტომაც ის პროტესტის ნიშნად ტოვებს ტელევიზიას. ბოკერიას თანამეცხედრეს არც ამ შემთხვევაში ჰქონია რეაქცია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე. შესაძლოა, საძინებელში უსაყვედურა ქმარს, მაგრამ საზოგადოებისთვის ეს უცნობი დარჩა.

**8. 2006 წელს დღევანდელი „შარლებისა“ და სხვა შარლატანების უშუალო მონაწილეობით დაიხურა ტელეკომპანია „202“. ტელეკომპანიის დამფუძნებელი შალვა რამიშვილი დააკავეს და ციხეში გაამწესეს.**

**ჩერგოლეიშვილს** ძალიანაც არ უდარდია ეს ამბავი.

▶

## მართვის მოწმობის გაცემის წესები იცვლება

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 1 მარტიდან მართვის მოწმობები განსაზღვრული ვადით გაიცემა.** მოქმედების ვადა იმ პირის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობისა, რომელსაც მინიჭებული აქვს: A, B, BE, T, S, A1 და B1 კატეგორიები (ქვეკატეგორიები), იქნება 15 წელი, ხოლო იმ პირის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის, რომელსაც მინიჭებული აქვს: C, CE, D, DE, C1, C1E, D1 და D1E კატეგორიები (ქვეკატეგორიები) — 5 წელი. მართვის მოწმობის მოქმედების ვადის განსაზღვრა, აგრეთვე, ვრცელდება 2014 წლის 1 მარტამდე საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობებზეც. 2006 წლის 1 აპრილამდე საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ 2018 წლის 1 იანვრამდე. მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, მისი შეცვლა მოხდება მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარების გარეშე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა IV-100/ა) მომსახურების სააგენტოში წარმოდგენის საფუძველზე. მართვის მოწმობის შეცვლა სავალდებულო არ არის მისი მოქმედების ვადის გასვლამდე, ხოლო ახალი მოწმობის აღდგენის ან/და შეცვლის შემთხვევაში, მისი დღეს არსებული ღირებულება დარჩება უცვლელი. 2014 წლის 1 მარტიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასასვლელად, დაკარგული მართვის მოწმობის აღსადგენად ან დაზიანებული მართვის მოწმობის შესაცვლელად, სავალდებულო იქნება დაინტერესებული პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა IV-100/ა) სააგენტოში წარდგენა.

**„ვდგავარ ბევრი ტაბურეტმომარჯვებული ადამიანის წინ“ — ეს არის ყველაზე კოშმარული სიზმარი, საზოგადოდ, „თავისუფლებისთვის“ მებრძოლი ამ ქალბატონისა, რომელიც ამერიკულ მიდგომებს იზიარებს და მხოლოდ უმცირესობის უფლებებზე დარდობს. არ მოტყუვდეთ — ისინი ახლა უმცირესობაში არიან (პოლიტიკურ უმცირესობას ვგულისხმობ, სხვა რამ არ ივარაუდოთ) და სწორედ საკუთარი უფლებებისთვის ზრუნავენ, თორემ, უმრავლესობაში როცა იყვნენ, სულის ამოხდას გვპირდებოდნენ და, როგორც შეეძლოთ, გვისრულებდნენ კიდეც დანაპირებს!**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**9. 2007 წელს ბადრი პატარკაციშვილისა და მიხეილ სააკაშვილის დაპირისპირების გამო ამ „შარლებმა“ დაარბიეს და დახურეს ტელეკომპანია „იმედი“, რომელსაც შემდგომში კიდევ ერთი „შარლი“ — გიორგი არველაძე მართავდა.** მისი მართვა დაუვიწყარი „იმიტირებული ქრონიკით“ აღინიშნა.

**ჩერგოლეიშვილი** რას ამბობდა ამ დროს? — იხ. წინა პუნქტი.

**10. 2008 წლიდან ნაციონალური მასშტაბის სამივე ტელეარხი („საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი 2“, „იმედი“) სახელმწიფო ცენზურას საბოლოოდ დაექვემდებარა. კონტროლს კი „ნაციონალური მოძრაობის“ სხვადასხვა ლიდერი – გიგი უგულავა, ლევან რამიშვილი, გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, გიორგი არველაძე ახორციელებდნენ. ჩერგოლეიშვილი** ცენზურას არ იმჩნევდა.

**11. დღევანდელმა „შარლებმა“ და სხვა შარლატანებმა 2009 და 2010 წელს ორჯერ დაარბიეს იმ გაზეთის რედაქცია, რომელსაც ახლა თქვენ კითხულობთ. „საქართველო და მსოფლიოს“ მთელი ტექნიკური ბაზა და მასთან ერთად, გამოცემა „უუფლებობის ზონის“ მთელი ტირაჟი გაანადგურეს.**

**ჩერგოლეიშვილს** აღშფოთება არ დასტყობია.

**12. 2011 წლის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „მაესტროს“ საკაბელო კომპანიებთან შეექმნა პრობლემა, თელავში, რუსთავში, ახმეტაში და ბევრ სხვა ქალაქში „მაესტროს“ გავრცელება შეიზღუდა. ხშირად საკაბელო კომპანიების თანამშრომლები კერძო საუბრებში აღიარებდნენ, რომ მათ ამ სახის დავალება სახელისუფლებო წრეებიდან მიიღეს.**

**ჩერგოლეიშვილს** ეს შეზღუდვა კანონიერად ეჩვენებოდა.

**13. 2011 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლების დახმარებით ფავორიტი ბიზნესმენების — ძმები შარანგიების ხელში აღმოჩნდა ორი ინტერნეტპორტალი — „სილქნეტი“ და „კავკასუს ონლაინი“. ამ უკანასკნელის მფლობელობაში არსებული ITV.გე და პრესა.გე კი „რეალტივის“ გადაეცა, რომლის პატრონადაც ვანო მერაბიშვილს განიხილავდნენ.**

სად იყო **ჩერგოლეიშვილი?**

**14. 2011 წელს ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს ევროპის პრესისა და ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში ზურაბ ქურციკიძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე, ასევე მისი ფოტოგრაფი მეუღლე, ნათია გედენიძე, და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გაზეთ „ალიას“ ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე.**

**ჩერგოლეიშვილს** არც ეს მიუტანია გულთან.

**15. 2009 წლის აპრილიდან 2011 წლის ივლისამდე თბილისის მერიამ ყოველგვარი ტენდერის გარეშე, ჯიხურის განთავსებაზე 739 ნებართვა გასცა. აქედან, ნახევარზე მეტი — 387 ჯიხურის განთავსების უფლება იმ კომპანიებმა მიიღეს, რომლებიც მმართველი ელიტის წარმომადგენლების და მათი ოჯახის წევრების საკუთრებაში იყო.** მათ შორის, — „უაით დისტრიბუშენი“ (185 ჯიხური), „აუთდორ ჯი“ (50), „მაგი მედია“(50), „ნუგეში“(85) და ლატარიის კომპანია (17). აქედან „უაით დისტრიბუშენს“, „აუთდორს“ და „მაგი მედიას“ ერთი და იგივე მეპატრონე ჰყავდა, ძირითადი — „ბლექსთაილ მენეჯმენტი“, რომელიც ვირჯინიის კუნძულებზე — ოფშორშია რეგისტრირებული. საჯარო რეესტრის მიხედვით, ამ კომპანიებში წილებს ასევე ფლობენ: კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორი გოგი გეგეშიძე და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის — ჭარხალაშვილის მეუღლე სოფია ბრიტანჩუკი. ამ კომპანიებს კი მართავდნენ თავდაცვის ყოფილი მინისტრის — დავით კეზერაშვილის ცოლისძმა და უშიშროების საბჭოს მდივნის — გიგა ბოკერიას ცოლისდა.

მეც უცბად დავწერე. თუ რამე გამომრჩა, თქვენ დაამატეთ. მინდოდა, დამეწერა, რომ **ჩერგოლეიშვილი განზოგადებული სახელია ამ „შარლებისა“ და სხვა შარლატანების, მაგრამ არც ეს გამოდის, რადგან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში ყველაზე ხშირად სწორედ მისი მეუღლე გიგა ბოკერია ფიგურირებს და ბოლო ეპიზოდში მის ღვიძლ დასაც უნახავს მოგება მედიის შევიწროებისგან! ასეა თუ ისე, ვამბობთ ჩერგოლეიშვილი და ვგულისხმობთ ერთ კონკრეტულ პარტიას, ან — პირიქით!**

**ახლა — თვითონ ტერაქტსა და მის გამო ორად გაყოფილ საზოგადოებაზე: როცა არჩევანი სამარცხვინო კარიკატურების ავტორებსა და ტერორისტებს შორის კეთდება, ეს არ არის არჩევანი. ეს არის არჩევანი ძალიან ცუდსა და მასზე უარესს შორის. ეს არის ხელოვნური კონსტრუქცია, რომელიც ნორმალურ ადამიანებში პროტესტს ბადებს. ეროვნული ან ევროპული ერთიანობის იმიტაცია პარიზში შეშინებული პოლიტელიტის მიერ საკუთარი თავის გამხნევებას უფრო ჰგავს, თორემ იმ ქუჩებს მეტი ადამიანიც ახსოვს, რომელთა ხმა ამ ელიტას არ შეუსმენია! იმ ადამიანების, რომლებიც არც „შარლი“ არიან და არც ტერორისტები!**

**კახა კაციტაძეს არ დასცალდა ქართველ მანიქეველთა შესახებ ვრცელი კვლევის დაწერა, მანიქეველები კი კვლავაც აქ არიან და მეც «შარლი» ვარო, — გაიძახიან. ისინი, მართლაც, ერთნი არიან: ყველას შეურაცხყოფის უფლება აქვთ და მხოლოდ თვითონ უნდა იყვნენ ხელშეუხებელნი. ჩვენი ხელისუფლებაც ამ თამაშს არის აყოლილი და გიგა ბოკერიას სიტყვებს იმეორებს «სიტყვის და, ზოგადად, თავისუფლების» შესახებ. არადა, იმას მაინც უნდა ხვდებოდეს, რომ გიგა ბოკერიას, მისი მეუღლისა და სხვა დიდი თუ მცირე «შარლების» სიტყვების გამეორება თუნდაც იმიტომ არ ღირს, რომ ისინი მანიქეველები არიან**



ამ საყოველთაო „შარლიზაციის“ პროცესში საფრანგეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელმა ჰერცოგმა დ'ანჟუმ განცხადება გაავრცელა: **„ემოციური ნაკადის წინააღმდეგ წავალ და გავემიჯნები მოძრაობას „მე შარლი ვარ“. არა, მე შარლი არა ვარ, რადგან არასოდეს მიყვარდა ეს მანიქეველთა გაზეთი. CHARLIE HEBDO ჩვეულებრივი ქაღალდია, რომელსაც ეზიზღება ნებისმიერი აზრი, საკუთარის გარდა. იგი გამოხატვის თავისუფლების საფარქვეშ პროვოკაციულ ქმედებებს მიმართავს. CHARLIE HEBDO აგრესიული გაზეთია, რომელიც რელიგიებს შორის შუღლს და სიძულვილს აღვივებს თითქოსდა იუმორის გამოყენებით. CHARLIE HEBDO ევროპული ათეისტური საზოგადოების სახეა, რომელიც ხალხებსა და ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ძმობის ნაცვლად მტრებსა და წყენას ბადებს, განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა და რელიგიისა. ასე რომ, უარს ვამბობ „პროშარლურ“ მოძრაობაში მონაწილეობაზე, რადგან, უბრალოდ, არ მესმის, რა უნდა დავიცვა. უპატივცემულობას როდი გამოვხატავ დაღუპული მხატვრების მიმართ. სიტყვები არ მყოფნის გაზეთის რედაქციაზე თავდასხმის საშინელების გამოსახატად. ვგმობ ამ ბარბაროსულ აქტს და გარდაცვლილთა ოჯახებს ღრმა სამძიმარს ვუცხადებ.**

ვგმობ ეროვნული ერთიანობის ამ მცდელობას და იმ მოქალაქეთა ფარისევლობას, რომლებსაც არასოდეს წაუკითხავთ ეს იუმორისტული ყოველკვირეული.

**პატივს მივაგებ მსხვერპლთ.**

**CHARLIE HEBDO-ს — ვერ მივაგებ!“**

ყურადღება მიაქციეთ გამონათქვამს **„მანიქეველთა გაზეთი“.** იგი ბევრ რამეს ხსნის. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს **კახა კაციტაძეს,** რომელმაც მანიქეველობაში ჩვენებური დღევანდელი „შარლები“ და სხვა შარლატანები ჯერ კიდევ 2011 წელს პირველმა ამხილა. თამარ ჩერგოლეიშვილის კიდევ ერთი, „ჩლუნგებისთვის“ განკუთვნილი მაშინდელი შეგონების პასუხად კახა წერდა: **„მოძღვრებას, რომელიც ამტკიცებს, რომ უმაღლეს და საბოლოო ჭეშმარიტებას ფლობს და ამბობს, რომ სამყარო ნათელი და ბნელი ძალების ბრძოლის ასპარეზია, სადაც თვით ისინი ნათლის მხედრების არიან, ხოლო ოპონენტები — ბნელები; რომ მიდის გადამწყვეტი ბრძოლა მათ შორის და კეთილებმა ნებისმიერი, თუგინდ უღირსზე უღირსი საქციელის ფასად უნდა გაიმარჯვონ, მანიქეველობა ეწოდება.**

„ტაბულას“ რედკოლეგიაში, კიდევ უნდა იყვნენ ფილოსოფოსები, რომლებსაც სამეფო კარზე ტაკიმასხარებად მუშაობის პერიოდში კვალიფიკაცია ბოლომდე არ დაუკარგავთ.

**აღმოსავლეთში ჭეშმარიტების დაუფარავად მთქმელნი, ანუ ფილოსოფოსები, ჩვეულებრივ, სამეფო კარის მასხარები არიან. ჩვენთან, სამწუხაროდ, ფილოსოფოსთა მოზრდილი ნაწილი საკუთარი სურვილით იქცა სამეფო კარის მასხარად.**

ჰოდა, ამ ფილოსოფოსყოფილმა ადამიანებმა ქალბატონ ჩერგოლეიშვილს უნდა აუხსნან, ვინ იყო მანიქეველთა სექტა და რა სახით ვრცელდებოდა ის საქართველოში.

**ჩვენში მანიქეველობა გავრცელებული ყოფილა დაახლოებით IV-V საუკუნეებში, ცნობილია მათი ერთ-ერთი ლიდერის — ბინქარან მაცდურის შესახებ. ახლა მანიქეველობის ლიდერობაზე პრეტენზიას გიგა ბოკერია აცხადებს.** ჯანმრთელობის გაუმჯობესების პარალელურად გადაწყვეტილი მაქვს, დავწერო ისტორიული ბესტსელერი დენ ბრაუნის სტილში: ქართული მანიქეველობა – ბინქარან მაცდურიდან გიგა ბოკერიამდე. ვიმედოვნებ, მკითხველი ხელს გამიმართავს.

**კახა კაციტაძეს არ დასცალდა ქართველ მანიქეველთა შესახებ ვრცელი კვლევის დაწერა, მანიქეველები კი კვლავაც აქ არიან და მეც „შარლი“ ვარო, — გაიძახიან. ისინი მართლაც ერთნი არიან: ყველას შეურაცხყოფის უფლება აქვთ და მხოლოდ თვითონ უნდა იყვნენ ხელშეუხებელნი. ჩვენი ხელისუფლებაც ამ თამაშს არის აყოლილი და გიგა ბოკეhრიას სიტყვებს იმეორებს „სიტყვის და, ზოგადად, თავისუფლების“ შესახებ. არადა, იმას მაინც უნდა ხვდებოდეს, რომ გიგა ბოკერიას, მისი მეუღლისა და სხვა დიდი თუ მცირე „შარლების“ სიტყვების გამეორება თუნდაც იმიტომ არ ღირს, რომ ისინი მანიქეველები არიან.**

## გერმანელი დეპუტატი: იაცენიუკი ჩვენი მოკავშირე არ არის!

**გერმანიის ბუნდესტაგის ფრაქცია Die Linke-ს თავმჯდომარე ვოლფგანგ გერკემ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც გერმანიის ხელისუფლება გააკრიტიკა.**

„არ არსებობს მიზეზი იმისათვის, რომ იაცენიუკს მოკავშირე ან მშვიდობის გარანტი ვუწოდოთ. ამ საკითხზე გფრ-ის პრეზიდენტ იოახიმ გაუკისა და კანცლერ ანგელა მერკელის განცხადებები უადგილო და არაკორექტულია“, — მიიჩნევს გერკე.

დეპუტატის აზრით, იაცენიუკი არის წამქეზებელი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს მემარჯვენე ექსტრემისტებთან: „მას დასავლეთისგან სურს, კურსი რუსოფობიური ევროპისკენ. იაცენიუკი ოლიგარქების რუპორია. მას, ვისაც ნამდვილად სურს მინსკის შეთანხმების შესრულება, უკრაინის ჯარების გაყვანას უნდა მოითხოვდეს აღმოსავლეთი უკრაინიდან. ამ შეთანხმების შესრულება, აგრეთვე, ითვალისწინებს ჰუმანიტარულ დახმარებას ლუგანსკისა და დონეცკისთვის. ის კი, ვინც აბუქებს ნატოში უკრაინის გაწევრების მნიშვნელობას და ცდილობს უკრაინის არმიის გაძლიერებას აშშ-ის დახმარებით, მშვიდობაზე კი არა, ბლოკების ახალ კონფრონტაციაზე ფიქრობს. ეს არც გერმანიას სჭირდება და არც — ევროკავშირს“. — წერს გერმანელი დეპუტატი თავის განცხადებაში.



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქართველები ვისზე ნაკლები მატრაკვეცები ვართ და იმწამს ბევრი ჩვენგანი „შარლი“ ისე გახდა, არც კი უფიქრია ამ ჟურნალის რეალურ ნამოღვაწარს გასცნობოდა და ცოტა მაინც დაფიქრებულიყო — მსოფლიოში არსებული ათასობით რედაქციიდან, რომელთა ნახევარი მაინც, ალბათ, თავისუფლად აქვეყნებს რელიგიურ კრიტიკასაც, რაღა მაინცადამაინც არც ისე ცნობილ პარიზულ „შარლი ებდოში“ მოუნდათ შევარდნა ტერორისტებს?**

# «შარლის» უხამსი «ანგელოზები», ანუ პრივატული დედების გასაჯაროება

**რა თქმა უნდა, ძნელია ამ თემაზე ირონიული სტილით წერა და, რა თქმა უნდა, მიუღებელია და გაუმართლებელიც. ადამიანების სიცოცხლე ხელშეუხებელია ნებისმიერ შემთხვევაში და ასევე, ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელია ტერორიზმი და ძალადობა.**

გეთანხმებით — ეს ერთობ ბანალური აზრია. ასევე ბანალურად და, ამასთანავე, ზუსტად ვიცი, რომ ზოგიერთი ელოდება ამ ფრაზის შემდეგ სიტყვას — „მაგრამ“ და ამ „მაგრამის“ შემდეგ — ასევე ბანალურად გაშლილ მსჯელობას რელიგიაზე, ღვთის მგმობელთათვის უმძიმესი სასჯელის მოვლენაზე და ა.შ.

და ამ ბანალურად გაშლილ მსჯელობას ისევ და ისევ ბანალურად მოჰყვება პასუხი — ტერორიზმის გვერდით სიტყვა „მაგრამ“-ის გამოყენება არ შეიძლება! ამას კი მოსდევს უკვე უბრალო რახარუხად ქცეული „სიტყვის თავისუფლების“ „საკუთარი აზრის გამოხატვისა“ და სხვა მსგავსი „სიტყვა-ნიღბების“კორიანტელი.

აი, ასე გაატარა შობისშემდგომი ერთი კვირა სრულიად საქართველომ.

მიხვდით, ალბათ, რომ თემა პარიზულ ე.წ. სატირულ ჟურნალ „შარლი ებდოსა“ და მის რედაქციაზე თავდამსხმელებს ეხება.

ასე ვთქვათ, **ქართველები ვისზე ნაკლები მატრაკვეცები ვართ და იმწამს ბევრი ჩვენგანი „შარლი“ ისე გახდა, არც კი უფიქრია ამ ჟურნალის რეალურ ნამოღვაწარს გასცნობოდა და ცოტა მაინც დაფიქრებულიყო — მსოფლიოში არსებული ათასობით რედაქციიდან, რომლთა ნახევარი მაინც, ალბათ, თავისუფლად აქვეყნებს რელიგიურ კრიტიკასაც, რაღა მაინცადამაინც არც ისე ცნობილ პარიზულ „შარლი ებდოში“ მოუნდათ შევარდნა ტერორისტებს?**

თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, რამდენიმე „ზედმეტად“ ცნობისმოყვარე მაინც აღმოჩნდა და **მას შემდეგ, რაც თანამედროვე ელექტრონული საშუალებების მეშვეობით უსწრაფესად გავრცელდა რელიგიურ თემაზე (და არამხოლოდ ისლამზე) შექმნილი პორნოგრაფიული კარიკატურები, ბევრმა „შარლიმ“ სოციალურ ქსელებში სასწრაფოდ უარყო თავისი „შარლობა“...**

მოკლედ, როგორც ჩვენი სზოგადოებისთვის (და, სავარაუდოდ მსოფლიოს საზოგადოებრიობის ე.წ. აქტიური ნაწილისთვის) არის დამახასიათებელი, „შარლი ებდოს“ გარშემო განვითარებულმა მოვლენებმაც ორი რადიკალურად განსხვავებული უკიდურესობის „ურთიერთჯახის“ კლასიკური სურათი წარმოგვიჩინა და როგოც ხდება ხოლმე (ჩხუბში გამშველებლისა არ იყოს) ყველაზე მეტი ნორმალურ ადამიანებს „მოგვხვდა“!

ერთ მხრიდან „სიწმინდეთა შეურაცხმყოფელების“ დაცვა დაგვწამეს, მეორე მხრიდან „გამოხატვის თავისუფლების“ წინააღმდეგ ბრძოლა!

ეს იმიტომ, რომ **არც ტერორიზმი და მკვლელობა მიგვაჩნია „სიწმინდეების შეურაცხმყოფლებთან“ ბრძოლის მისაღებ ხერხად და არც სიწმინდეთა შეურაცხყოფა — „გამოხატვის თავისუფლებად“!**

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით თანამედროვე „ინკვიზიტორებისგან“ (რომლებიც პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ითხოვენ მოწინააღმდეგეთა ფიზიკურ განადგურებას) განსხვავებით, მეორე უკიდურესმა მხარემ — **წმინდანთა პორნოპოზებში გამოქვეყნების „გამოხატვის თავისუფლებად“ წარმოაჩენის მოწადინეებმა, გაცილებით მეტი მონდომება და გასაოცარი უტიფრობის უნარი გამოავლინეს.**

მათი მხრიდან „შარლის“ უხამსი „ანგელოზების“ შესახებ მსჯელობისას, ისეთი წარმოუდგენელი არგუმენტები მოვისმინეთ, რომ მართლაც ძნელია გარკვევა, ეს ხალხი რეალურად ამ დონის უტვინოა თუ ამდენად დახვეწილი დემაგოგი და ნაძირალაა.

მაგალითისთვის „რესპუბლიკელი“ **დავით ზურაბიშვილის** ყოვლად უსუსური ფრაზებიც კმარა:

„მილიონობით ადამიანის რწმენის შეურაცხმყოფელი საძაგლობები რომ იბეჭდება, ამას ჰქვია სწორედ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, სხვას კი არაფერს!

მუჰამედი, ქრისტე, ბუდა არ არის პრივატული. განსხვავებით დედისგან. მასე შეძლება, ვილაცისთვის პრეზიდენტი ობამაა მშობელზე ძვირფასი, ვილაცისთვის — მიშა სააკაშვილი და ვილაცისთვის — სტალინი. რა ვქნათ? თაყვანისმცემელთა რაოდენობის მიხედვით განვსაჯოთ? რახან მუჰამედი უფრო მეტი ადამიანისთვის არის ძვირფასი, ვიდრე სტალინი, ამიტომ იმისი კარიკატურა უნდა ავკრძალოთ და ამისი დავუშვათ?“

აი, ასეთ „ჩამჭრელ“ კითხვებს რომ ადამიანი დასვამს, წესით, ის საზოგადოებამ საკრებულოში კი არა, საბავშვო ბაღშიც არ უნდა დასვას!

ამ დროს, ბატონი „რესპუბლიკანი“ იქით ემართლება, ლანძღავ ს და დაცინის საზოგადოებას „შარლის“ მიმართ გამოთქმულ პროტესტს „აზროვნების დიარეას“ უწოდებს...




**ბატონო «თავისუფალმესიტყვენო», თუკი თქვენივე სიტყვებით, «გამოხატვის თავისუფლებას საზღვრები არ შეიძლება, ჰქონდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში ის თავისუფლება აღარ იქნება!» მაშინ მე რატომ მიკრძალავთ, თქვენს პრივატულ დედებზე ჩემი «თავისუფალი აზრი» გამოვხატო?.. სად წერია ეგ, რომ «შეუზღუდავი თავისუფალი სიტყვა» სულიერ მამებზე არ იზღუდება და მხოლოდ პრივატულ დედებზე იზღუდება?**

არადა, ვფიქრობ, ამ სემთხვევაში ძალიან მარტივია დადგენა, რეალკურად ვის აქვს აზროვნებაში „დიარეაც“ და შერეული სიმპტომებიც - მოვლითი ფორმით, ხან „ფაღარათისა“ და ხანაც მძიმე ფორმის „შეკრულობის“ სახით...

ჯერ ერთი — **„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“ ნამდვილად არ ჰქვია არც „მილიონობით ადამიანის“ და, სხვათა შორის, არც თუნდაც ერთი ადამიანის შეურაცხყოფას!**

მეორეც — მინდა პატივცემულ „რესპუბლიკანელს“ ვკითხო: **რატომ არის, რომ კანონით განსაზღვრულია ს ა ჯ ა რ ო მოხელის (ამ შემთხვევაში პრეზიდენტ ობამას, სააკაშვილის, ანდა მის სიცოცხლეში — სტალინის) „თმენის ვალდებულება“ და არც ერთ კანონში არაფერი წერია „სულიერი ლიდერების“ ან, მით უმეტეს წმინდანთა „ვალდებულებების“ შესახებ?**

ანუ, სულიერ და საერო ლიდერებს შორის რაღაც განსხვავება ყოფილა, ხო?

რა ვიცი, წესით, როდესაც მართლა საბავშვო ბაღის აღსაზრდელივით ვუხსნი „ამხელა პოლიტიკოს კაცს“ ასეთ აქსიომურ რაღაცებს, სულ ცოტა, უნდა განითლდეს მაინც...

მაგრამ **ბატონი დავით ზურაბიშვილი უცოდინარი, უვიცი და (როგორც მის ლიდერს — ლევან ბერძენიშვლს უყვარს ხოლმე თქმა) „ოროსანია“ თუ, უბრალოდ, მიზანმიმართული დემაგოგი და ნაძირალა, ეს 2016 წლისთვის მისმა ამომრჩეველმა გაარკვიოს და გაითვალისწინოს...**

დარწმუნებული ვარ, „თავისუფალსიტყვისტები“, ახლა უკვე ძალიან გამწარდებიან და მეცემიან,— „პიროვნულ შეურაცხყოფაზე რატომ გადადიხარო?“ - ანუ ჩემ მიერ გამოყენებული სიტყვა „ნაძირალა“ არ ესიამოვნებათ, მათ, ვინც, მუჰამედის, ქერისტეს, ბუდას, ღვთისმშობლისა და სხვადასხვა რელიგიის სხვადასხვა წმინდანის პორნოგრაფიულ პოზაში გამოსახვას „სიტყვის თავისუფლებად“ ასაღებს...

სხვათა შორის, სწორედ ამიტომ აქვს მიყვანილი თავის „ბრძნულ რეჩში“ ბატონ ზურაბიშვილს ფრაზა: „მუჰამედი, ბუდა, ქრისტე, არ არის პრივატული, განსხვავებით დედისგან“...

ანუ, ბატონი „თავისუფალმესიტყვეები“ ბოლომდე მაინც ვერ ელევიან „ბნელ“ აზროვნებას და საკუთარ დედებს აზღვევენ,— ემანდ არავის არაფერი წამოცდეს, რადგან დედა პრვატულიაო!

კი მაგრამ, **ბატონო „თავისუფალმესიტყვენო“, თუკი თქვენივე სიტყვებით, „გამოხატვის თავისუფლებას საზღვრები არ შეიძლება, ჰქონდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში ის თავისუფლება აღარ იქნება“ მაშინ მე რატომ მიკრძალავთ, თქვენს პრივატულ დედებზე ჩემი „თავისუფალი აზრი“ გამოვხატო?**

მერე რა რომ პრივატულია?

სად წერია ეგ, რომ „შეუზღუდავი თავისუფალი სიტყვა“ სულიერ მამებზე არ იზღუდება და მხოლოდ პრივატულ დედებზე იზღუდება?

თუ ამ „შეზღუდვებსაც“ თქვენ აწესებთ და როდესაც გინდათ და სადაც გინდათ იქ დადებთ ამ „ზღვარს“, რომელიც რაიკომის მდივნის „პაპკასავით“ იღლიაში გაქვთ ამოჩრილი?

ახლა მე რომ შევუკვეთო, დავახატინო და გავავრცელო კარიკატურა, სადაც დავით ზურაბიშვილი წაკუზული იქნება და ორალურ ხვრელში ბიძინა ივანიშვილი „გაჟიმავს“, ანალურში კი მიხეილ სააკაშვილი - ეს ჩემი „გამოხატის თავისუფლება“ იქნება?

რაო, თუკი ქრისტე და ობამა შეიძლება ზურაბიშვილს რატომ არ შეიძლება კარიკატურულ პორნოგრაფიაში მივაღებინოთ მონაწილეობა?

როგორ, **თუკი სიტყვების — „ზ ა ნ გ ი ს“ და „პ ე დ ე რ ა ს ტ ი ს“ — გამოყენება „საშინელ დანაშაულად“ „ქსენოფობობად“ „ბნელობად“ და „ჩამორჩენილობად“ ითვლება, მსოფლიოს უდიდესი რელიგიების მამების მძიმე შეურაცხყოფა რატომ არის „თავისუფალი სიტყვა“?**

„ზანგი“ და“პედერასტიც“ პრივატული ხომ არ არის? აშკარად ზოგადია!

ისე, სიმართლე ითქვას, მსგავსი პორნოგრაფიის დახატვა და გამოქვეყნება, თქვენ წარმოიდგინეთ, სტალინზეც კი დაუშვებელია ნორმალური ადამიანისთვის! მეტიც — არც ჰიტლერულ ოფიციალურ პროპაგანდას უკადრებია ეგ სტალინის წინააღმდეგ და არც საბჭოთას — ჰიტლერის წინააღმდეგ!

**უ ხ ა მ ს ო ბ ა ვერასოდეს იქნება „სიტყვის თავისუფლება“,** თორემ, ისე, იულიანე აპოსტატადან დაწყებული, ლეო ტაქსილის გავლით, ზენონ კოსიდოვსკით დასრულებული (ნიცშეზე ჩუმად ვართ), „ბიბლიის“ ბევრი კრიტიკოსის შესახებაც გვსმენია და ჭურში ნამდვილად არ ვსხდვართ, პატივცემულო „თავისუფალმოსიტყვენო“!

უბრალოდ, გაითვალისწინეთ — მაგ თქვენს „შარლის“ მეტისმეტად უხამსი „ანგელოზები“ ჰყავს და, თუკი საზოგადოების წარმომადგენლებს (ანუ, როგორც თქვენ უწოდებთ — „მუჰამედის ან ქრისტეს მილიონობით თაყვანისმცემელს“) უხამსობის მაგალითს მისცემთ, მერე ისინი ნამდვილად აღარ დაგიდევენ თქვენი დედების „პრივატულობას“ და თავიანთი „თავისუფალი აზრის“ გამოთქმის გზით თქვენი დედების შესახებ აუცილებლად გაასაჯაროებენ მათ!

ამიტომ სჯობს, სახელმწიფომ (არა მხოლოდ საფრანგეთმა, არამედ — ნებისმიერმა!) დროულად და სათანადოდ მიაქციოს ყურადღება ასეთ უტიფარ გამოხტომებს, აუცილებლად ალაგმოს ისინი და უზრუნველყოს ყველა სარწმუნოების მიმდევართა დაცვა უხამსი ფსიქოლოგიური ტერორისგან!

დასასრულ, მინდა, აუცილებლად ვთქვა ამ „თავისუფალმესიტყვეთა“ კიდევ ერთი უტიფრობის შესახებ და ამით დავასრულო კიდეც ეს ტექსტი: **გამოიკვეთა ტენდენცია ვითომ ირონიისა, იმის გამო, რომ ნორმალური ადამიანები „შარლი ებდოს“ გარშემო მომხდარის შეფასებას იწყებენ სიტყვებით: „ტერორიზმი მიუღებელია, მ ა გ რ ა მ“...**

ამ ნორმალურ ადამიანებს დაცინვით „მაგრამისტები“ შეარქვეს და ცდილობენ, მათაც ფსიქოლოგიური ტერორი ჩაუტარონ და ჩააჩუმონ. ამიტომაც, ასე მივმართავ ამ „გამოხატვის თავისუფლების აპოლოგეტებს“:

თავისუაფალაზრიანებო! თქვენთვის ესოდენ ძვირფასი „გამოხატვის თავისუფლება“ სწორედ სიტყვა „მაგრამ“-ით იწყება!

სადაც ეს სიტყვა არ წარმოიშვება, იქ არც არანაირი „თავისუფლება“ არ არსებობს!

როგორც ჩანს, თქვენ **სწორედ იმიტომ ებრძვით ამ სიტყვას, რომ თქვენთვის „თავისუფალი აზრი“ არის მხოლოდ თქვენი აზრი!**

თავისუფალ აზრს ვითომ პატივს ცემთ და ამ დროს სხვისი „მაგრამ“-იც კი ძალიან გაღიზიანებთ?

არადა, სწორედაც რომ — **მ ა გ რ ა მ!**

რადგან ტერორიზმის გმობა სულაც არ ნიშნავს ისეთი **მ ა რ ა ზ მ ი ს ა** და იმნაირი ავადმყოფების მხარდაჭერას, როგორიც „შარლი“ და მისი თამშრომლები არიან!

ამიტომაც, რაც უნდა უნიჭოდ იცინიკოსოთ ამ თემაზე, კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით გავიმეორებ:

**ტერორიზმი დაუშვებელია, მ ა გ რ ა მ...**

„მაცხოვრის როგორი კარიკატურაც უნდა დახატონ, ჩვენ არსად შევიჭრებით და არავის დავხოცავთ, თუმცა უკიდურეს შეშფოთებას გამოვხატავთ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებმაც იციან: სიწმინდეების შეურაცხყოფისთვის რომ იჩივლოს, სამართალს ვერ იპოვიან, ამიტომ ისე მოქმედებენ, როგორც შეუძლიათ".

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველო რელიგიური ექსტრემიზმის ნაღმზე ზის!

**საფრანგეთში მომხდარ ტერაქტზე, ტერორიზმის საშიშროებაზე, დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოდან" მომდინარე საფრთხეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ანალიტიკოსი ვალერი კვარაცხელია და პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრებიან.**



ვალერი კვარაცხელია:

## სხვისი სიწმინდეების შელახვა უზნეობაა!

**ვალერი კვარაცხელია:**

— **სიწმინდეების შეურაცხყოფა და შემდეგ ამ საქციელის სიტყვის თავისუფლებად და პიროვნების თვითგამოხატვად გასაღება, ზნეობას სცილდება. ტერორიზმის გამართლებად არ ჩამითვალოთ, მომხდარს ვგმობ, მაგრამ ადამიანი, რომელიც ზნეობრივ საწყისებს სცილდება, ვერ ჩაჯდება ვერც სიტყვის თავისუფლებისა და ვერც თვითგამოხატვის პარამეტრებში. სხვისი სიწმინდის შელახვა უზნეობაა! შემაკავებელი ფაქტორები უნდა არსებობდეს.**

საქართველო ტერორიზმისგან დაზღვეული არ არის. ისეთმა სახელმწიფომ, როგორიც საფრანგეთია, თავდაცვა ვერ მოახერხა, ჩვენ კი ვართ ქვეყანა, რომელიც მსგავს ხიფათში თავს ძალით ყოფს, ამიტომ გამორიცხული არაფერია, უფრო მეტიც, ეს რეალურად შესაძლებელია.

ჩვენი სამხედრო ნაწილები ათას ადგილას არიან მიმოფანტული და სამხედრო ოპერაციებში იქაა ჩართული, სადაც არანაირი ლოგიკით არ უნდა იყვნენ. ამას დავუმატოთ ისიც, რომ მოხალისეები „ისლამურ სახელმწიფოში" მიდიან, იბრძვიან და სამშობლოში ბრუნდებიან, ეს კი უზარმაზარი საფრთხის შემცველია. ისევე, როგორც საფრანგეთში, ჩვენთანაც ბევრი მუსლიმანი ცხოვრობს და ბევრი სახიფათო კერა შეიძლება გაჩნდეს. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო რელიგიური ექსტრემიზმის ნაღმზე ზის — ეს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს.

— **როგორ უნდა გაითვალისწინოს — ქართულმა ჯარმა ნატოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს?**

— რა თქმა უნდა, **ნატოს სამშვიდობო მისიებში ჩვენმა ჯარმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. ნატოს მისია იმ ადამიანების მოგონილია, რომლებიც ისეთ სიტუაციებს, ისეთ რაღაცებს ქმნიან, როგორიც საფრანგეთში შეიქმნა ახლახან. ეს არის გეგმა ამერიკისა, რომელიც მსოფლიოზე გაბატონებას ცდილობს. ასეთ გეგმებს კი, ჩვენნაირი პატარა ქვეყნები ეწირებიან.** საქართველომ ამერიკელთა გეგმას ბევრი რამ შეწირა, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ გეტყვით, რომ 9 აპრილიც ამ გეგმის ნაწილი იყო. იმხანად ერთა შორის შუღლი გაღვივდა და დღემდე გრძელდება...

— **თემას ცოტა გადავუხვევ, რადგან შეუძლებელია, არ გკითხოთ თქვენი აზრი უკრაინის პრემიერის — არსენი იაცენიუკის განცხადებაზე, — მეორე მსოფლიო ომში გერმანიას თავს საბჭოთა კავშირი დაესხაო. ეს ისტორიის დამახინჯების მცდელობის კიდევ ერთი უტყუარი ფაქტია. დღეს თაობები ასე იზრდებიან.**

— დიახ, ამ ეპოქის კიდევ ერთი მახასიათებელია თეთრის შავად წარმოჩენა და პირიქით... იაცენიუკის ეს განცხადებაც, რომელიც სიმართლესა და ზნეობას მოკლებულია, სწორედ ამის დასტურია. ადამიანები ისტორიის გადაწერას ცდილობენ. აი, ასე ხდება ფასეულობების გაუფასურება.

— **რამდენიმე დღეა, მედიასაშუალებებში მომხდარ ფაქტზე საუბრობენ და აღმოჩნდა, რომ ძალიან ცოტა რამ ვიცით ტერორიზმსა და მუსლიმანურ განშტოებებზე...**

— მუსლიმანური რელიგია, როგორც ყველა კლასიკური რელიგია, სიკეთეს, მშვიდობასა და სიყვარულს ქადაგებს, მაგრამ პოლიტიკა, რომელსაც ამერიკა კაცობრიობას თავს ახვევს, წარმოშობს იმ კატაკლიზმებს, რომლებსაც რელიგიების ჩათრევაც შეუძლია.

ამერიკა ცხოვრობს პრინციპით — რა უნდა ჩვენს ნავთობს მათ ქვიშებში?! ამერიკა თვლის, რომ ნავთობი, ოქრო და ყველანაირი წიაღისეული მათია და სხვისი მხოლოდ ქვიშა, უდაბნო და გვალვაა. ეს პრინციპი წინააღმდეგობას წარმოშობს, რომელიც შემდგომ უკონტროლო ხდება.

მაცხოვრის როგორი კარიკატურაც უნდა დახატონ, ჩვენ არსად შევიჭრებით და არავის დავხოცავთ, თუმცა უკიდურეს შეშფოთებას გამოვხატავთ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებმაც იციან: სიწმინდეების შეურაცხყოფისთვის რომ იჩივლოს, სამართალს ვერ იპოვის, ამიტომ ისე მოქმედებენ, როგორც შეუძლიათ. შევხედოთ მეორე მხარესაც — სიტყვის თავისუფლების გამომხატველებმაც იციან, რომ რეაქცია უარყოფითი იქნება. **თუ ზნეობა არ გაქვს, შიშმა მაინც უნდა გაგაჩეროს! ღირს კარიკატურის დახატვა საკუთარი სიცოცხლის ფასად? ეს არ იყო ფრანგი ჟურნალისტების შემოქმედების „ამოხეთქვის" შედეგი. ფაქტია, იმ ადამიანებმა ვიღაცის შეკვეთა შეასრულეს.**

ჩვენი კოლეგები არიან და მომხდარით ძალიან შეწუხებული ვარ, მაგრამ იმის დაუნახაობა, სად არის ამ სიბინძურის სათავე, არ შეიძლება. **ამერიკის პოლიტიკას გლობალური ომის უფსკრულისკენ მივყავართ.**

— **ამ ყველაფრის შემაკავებელი რაიმე ძალა თუ არსებობს?**

— რელიგიური დაპირისპირება დაუშვებელია. ამას შეაკავებს დიდი და გონივრული პოლიტიკა, რომელიც ომის დაწყების გარეშე შეძლებს ამერიკის აღვირახსნილობის შეჩერებას. ეს ცალკე არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია, თუმცა რუსეთის სამხედრო პოტენციალი ამერიკას ძალიან აშინებს და, გარკვეულწილად, აფერხებს კიდეც. **ჩვენ კი, ქართველები, სამგლე გოჭებივით არ უნდა ვიქცეოდეთ — რასთან გვაქვს საქმე, უნდა გავაანალიზოთ, ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ქვეყანა შეინარჩუნოს,** მაგრამ ამისთვის არაფერი კეთდება, **მხოლოდ ამერიკის დირექტივას ითვალისწინებენ. ამის კლასიკური მაგალითია ვლადიმერ პუტინის შემოთავაზებაზე, რომ შეხვედრისთვის მზად არის, პრეზიდენტ მარგველაშვილის პასუხი: „კონსულტაციებს ევროპელ პარტნიორებთან გავივლით!"**



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

## «ისლამური სახელმწიფო», ისევე, როგორც თავის დროზე «ალ ქაიდა», აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ორგანიზაციაა

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

— ტერორისტული აქტების გახშირება სირია-ერაყის შიდა ომებს უკავშირდება. მსხვერპლის 80% მოდის ერაყზე, ავღანეთზე, პაკისტანზე, ნიგერიასა და სირიაზე.

„ისლამურ სახელმწიფოს (სახალიფოს)" ე. წ. არმიაში 100 ათასზე მეტი მეომარია, მათ შორის — ევროპის, აზიის ქვეყნებიდან, კავკასიიდან, საქართველოდანაც. ეს ორგანიზაცია ხასიათდება ორგანიზებული სტრუქტურით, მისი მიზანია დაპყრობილ ტერიტორიებზე „სახელმწიფოს" განმტკიცება. ტერორისტები პერმანენტულად იღებენ თანამედროვე შეიარაღებას, ეკიპირებას, ავტომატ M4-ებს, „ღამის ხედვის" მოწყობილობებს, საზენიტო-რაკეტულ კომპლექსებს. „ისლამური სახელმწიფო" აღიარებულია ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციად, მათი წლიური შემოსავალი 3 მილიარდი დოლარია.

აშშ, ერთი შეხედვით, გულმოდგინედ იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ, ქმნის „ისლამური სახელმწიფოს" საწინააღმდეგო კოალიციას, ბომბავს „ისლამურ სახელმწიფოს", მაგრამ შედეგი არ არის, რადგან ამერიკა ორმაგი სტანდარტით თამაშობს. **„ისლამური სახელმწიფო", ისევე, როგორც თავის დროზე „ალ ქაიდა", აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ორგანიზაციაა.**

რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ თავისი სიტყვა უნდა თქვან მართლმადიდებლებმა, ქართულ-რუსულმა ეკლესიებმა, სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ, ირანულმა შიიზმმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაჰაბიზმსა და სალაფიზმს ფართო გასაქანი მიეცემა რეგიონში და საქართველოშიც, სადაც ამ მხრივ აქტიურობა თვალში საცემია.

— **საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემაზე საჯაროდ არ საუბრობს, თქვენ კი თვლით, რომ საქართველოში რელიგიური ექსტრემისტების აქტიურობა თვალში საცემია.**

— ლაფანყურის ამბებზე საქართველოს ომბუდსმენის აპარატის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოააშკარავა ის, რაზეც გაცილებით ადრე საუბრობდნენ ამერიკელი ექსპერტები — **სააკაშვილის ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობდა ექსტრემისტებთან, „ბოევიკებთან", მათი გამოყენების მიზნით, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე სირიაში.**

ის, რომ ჯიჰადისტები აქ წვრთნას გადიოდნენ, ფაქტია; ფაქტია ისიც, რომ შედგომ სირიაში გადადიოდნენ. სირიის ტერიტორიაზე მოქმედი „ისლამური სახელმწიფოს" სამხედრო ძალებში საქართველოს ათობით მოქალაქე იბრძვის.

**ქართველების, ისევე, როგორც იქ მებრძოლი სხვა ქვეყნების მეომართა სამხედრო საქმიანობა როტაციულ სისტემას ექვემდებარება. გარკვეული საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, ჯიჰადისტები სამშობლოს უბრუნდებიან. სამშობლოში დაბრუნებული ჯიჰადისტები კი ნელი მოქმედების ნაღმებია**. სწორედ ამიტომ ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ გაამკაცრა კანონი „ისლამური სახელმწიფოდან" დაბრუნდებული პირების მიმართ.

საგულისხმოა ისიც, რომ **სუნიტური „ისლამისტური სახელმწიფოს" ნომერ პირველ მტრად გამოცხადებულია ქრისტიანობა, შიიტური ირანი და ალავიტური (შიიზმის განშტოება) სირია. სწორედ ზემოჩამოთვლილი აღმსარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გააერთიანა მთელი რიგი ტერორისტული დაჯგუფებებისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და არ მხოლოდ გააერთიანა, იდეოლოგიურ-ფინანსურ-სამხედრო „ოყნაც" გაუკეთა „კეთილშობილური" ომის საწარმოებლად.**

შიიტური ფაქტორი კავკასიაშიც, კერძოდ, საქართველოშიც, გასათვალისწინებელია. ჩვენ კი ამისთვის არაფერს ვაკეთებთ. საქართველოში მუსლიმანებით დასახლებულ ტერიტორიებზე იშვიათობა არ არის ვაჰაბიზმი და სალაფიზმი და, როგორც ამ საკითხებში ღრმად ჩახედული უცხოელი სპეციალისტები ამბობენ, მათი რაოდენობა არათუ იკლებს, — მატულობს.

**ვაჰაბიტებისა და სალაფიტების წინააღმდეგ თავიანთ სიტყვას ამბობენ საქართველოში არსებული ირანული შიიტურ-რელიგიური დაწესებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რელიგიურ ექსტრემიზმს, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ამ ორგანიზაციებს მოქმედების საშუალება მისცეს, საქართველოს ხელისუფლება პირიქით იქცევა — თვითონ არ შესწევს ბრძოლის უნარი, სხვას კი ხელს უშლის.**

ამიტომაც ვამბობ, რომ „სახელმწიფოსთან" ბრძოლაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რუსულ-ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, ირანულმა შიიზმმა და სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ, მიუხედავად იმისა, რომ აქამდე სომხეთიდან არც ერთი ჯიჰადისტი არ არის აღრიცხული „სახელმწიფოში".

— **ბატონო ჰამლეტ, ამბობთ, „ისლამური სახელმწიფოს" შექმნაში ამერიკას დიდი წვლილი მიუძღვისო. ამის თქმის უფლებას რა გაძლევთ? ცნობილია, რომ აშშ ტერორიზმის დაუძინებელი მტერია.**

— ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რა შეიარაღება აქვს „ისლამურ სახელმწიფოს". ფაქტია, რომ **ვიღაცას ხელს აძლევს „სახელმწიფოს" გაძლიერება, მისი პოზიციების განმტკიცება და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. ეს ვიღაც კი თქვენთვის კარგად ნაცნობი ამერიკაა, რომელმაც თავის დროზე შექმნა „ალ ქაიდა", ახლა კი აკვანი „ისლამურ სახელმწიფოს" დაურწია და მას სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებს.**

აშშ-ის პოლიტიკას ახასიათებს მსგავსი ქმედებები, ანუ მოწინააღმდეგესთან იატაკქვეშა მოლაპარაკებები. გავიხსენოთ „თალიბანისა" და ამერიკის წარმომადგენლების შეხვედრები. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ „ისლამურ სახელმწიფოსთან" ამერიკას ასეთი კავშირები აქვს, რადგან არსებობს ამ ორგანიზაციის ლიდერებისა და ჯონ მაკკეინის ერთად გადაღებული ფოტოები.

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა დააშავა ბეჩავმა უკრაინამ? უკრაინელებიც ხომ ჩვენნაირი ადამიანები არიან: მათაც უნდათ სიცოცხლე, ბედნიერება, ჯანმრთელობა, მომავალი; მათ ჯერ არ იციან, რას უქადიან ეს „მსოფლიო მოქალაქეები“, თორემ, „რეფორმებით“ ხიბლში ყოფნის ნაცვლად, დიდ ხანია, განგაშის ზარებს დაარისხებდნენ! ვიღაცამ იხუმრა, — მაგათი მოშორება რომ მოგინდებათ და ვერ მოიშორებთ, მერე ცოტა ხნით ბიძინა ივანიშვილს გათხოვებთო!**

# ბეჩავო, ბეჩავო უკრაინავ!

**ვაჰ, დრონი, დრონი! დრო იყო, უკრაინაში საქართველოს დავით გურამიშვილი წარმოადგენდა, დრო მოვიდა, როცა საქართველოს სახე „ნეზალეჟნაში“ შეიძლება დავით საყვარელიძე გახდეს! გილოცავ, უკრაინავ, სამასტიინა-ნეზალეჟნავ! მიშას ეპოქის მთავარი პროკურორის ერთბაშად ორ ყოფილ პირველ მოადგილეს მაღალ თანამდებობებს ჰპირდებიან.**

პარტია „უდარის“ წევრ ვალერი პაცკანს უთქვამს, რომ უკრაინის პრეზიდენტთან არსებული მოქალაქეობის საკითხების კომისიამ რეკომენდაცია მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე 2 პირს გაუწია – **დავით საყვარელიძესა** და **გიზო უგლავას.** „ესენი არიან სპეციალისტები, რომლებმაც გაატარეს რეალური რეფორმები საქართველოს პროკურატურაში,“ — აცხადებს პაცკანი.

პრინციპში, **სანდრო კვიტაშვილის** გამინისტრების შემდეგ ალარაფერია გასაკვირი — რაც ამ სუბიექტმა ქართულ ჯანდაცვას და დედაუნივერსიტეტს დამართა, იმავე სიკეთეს აწვნევინებს უკრაინულსაც, თანაც, კიდევ ერთი რეფორმატორის — **კახა ლომაიასი** არ იყოს, პირველი, რაც მინისტრის პოსტზე თქვა კიევში, დაჭერები უნდა დავიწყოთო! **განათლების მინისტრი ლომაიაც ასეთი შემართებით მოითხოვდა ხალხის დაჭერას და ახლა ჯანდაცვის მინისტრი კვიტაშვილიც ასევე აგრესიულად იმუქრება კიევში.**

**ბეჩავო უკრაინავ! შენ ვინ მოგცა კვიტაშვილის დასაჭერი შვილები? შენ ისიც გეყოფა, ქვეყნიდან გაძევებული იანუკოვიჩი რომ გყავს „ინტერპოლზე“ ძებნისთვის გადაცემული, ხოლო ჩვენი მაოხრებელი გზირი — სააკაშვილი მანდ გიზის და „ქვეყნის ხსნის“ მისეულ გრანდიოზულ გეგმებს ჩაგჩურჩულებს ყურში!** ისე, სადაა სამართალი? **იანუკოვიჩს ეძებენ, ჩვენმა ხელისუფლებამ კი ისიც ვერ მოახერხა, რომ მხოლოდ ქვეყნის შიგნით არ ეძებოს ჰალსტუხიჭამია ლაჩარი, რომელმაც საქართველოს მეხუთედი ისე გაასხვისა, რომ დღეს მხოლოდ მის „რეფორმატორობაზეა“ ლაპარაკი, მის მიერ დაჭერილ-დახვრეტილ-დატერორებული ადამიანები კი არავის გახსენებია! მთავრობავ, პარიზში სიარულს და „გამოშარლებას“ ის გირჩევნია, ხალხს მოხედო და სამართალს პური აჭამო! კრუასანს ხომ არ ითხოვს, პურსა და წყალზეც თანახმაა!**

კიდევ ერთი ქართველი მალალჩინოსანი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ეკა ზღულაძე** ჯერჯერობით არავის იჭერს — „ვარსკვლავურ“ საათს ელის, როცა დაზაფრულ უკრაინას მწყაზარი სახით ამცნობს: „დონბასიდან დაძრული ტანკები კიევზე არ მოდიან, აგერ, ორჭოსანთან გადაუხვიესო“! საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის — ეკატერინე ზღულაძის მეუღლემ და მიხეილ სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა რაფაელ გლუკსმანმა ფინურ გაზეთ „ინკონსეს სეტლს“ ინტერვიუ მისცა, სადაც საქართველოში თავისი ცხოვრების თაობაზე ისაუბრა.

**გლუკსმანის განცხადებით, საქართველოში ცხოვრება მისთვის მხოლოდ ერთი რამით იყო საინტერესო: დაკვირვებოდა ხალხს, შეძლებდა თუ არა ის განვითარების ევროპული გზით წასვლას.** „ქართველები უცნაური ხალხია — ჭამენ, სვამენ, მღერიან და არ ამჟღავნებენ მიდრეკილებას ცივილიზაციისკენ. მათი დიდი ნაწილი მორწმუნე ორთოდოქსია. **მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა ქართველი ხალხის სწორი გზით წაყვანას, მაგრამ მას დაბრკოლებები გამოუჩნდა. ახლა კი ქართველები, სამწუხაროდ, ბუნებრივი „განვითარების“ გზას დაუბრუნდნენ“, — აცხადებს გლუკსმანი. მისივე თქმით, მისი მეუღლე ეკატერინე ზღულაძე გამორჩეულია და სხვა ქართველებს არ ჰგავს, რის გამოც მას საკუთარ ხალხთან გაუცხოება დაემართა“.**

ეჰ, რაფაელ, რაფაელ! **საკუთარ ხალხთან გაუცხოება მარტო ეკას კი არა, მთელ მაგ ხროვას სჭირდა, „ხალხის სწორი გზით წამყვანი“ სააკაშვილის თამადობით, მაგრამ ეს არც ჭამის, არც სმისა და არც სიმღერის ბრალი არ არის. ქართველები მართლაც „არ ამჟღავნებენ მიდრეკილებას ცივილიზაციისკენ“, უფრო სწორად იმისკენ, რაც შენ და შენნაირებს გგონიათ ცივილიზაცია. აგერ გუშინწინ ლუვრის დერეფნებში ისაქმებდნენ „გალანტური საუკუნის“ კავალრები და ქალბატონები და დღეს უნიტაზის მოხმარება ცივილიზაციის მწვერვალად გეჩვენებათ!**




**დღეს უკრაინა იმაზე უფრო ნაკლებად სუვერენულია, ვიდრე საბჭოთა დროში — მაშინ მას მოსკოვიდან მხოლოდ მეორე მდივანს უნიშნავდნენ, ვაშინგტონმა კი 45-მილიონიან ქვეყანას საქართველოდან ძლივს მოშორებული საკუთარი «ძაღლისშვილები» მოახვია თავს!**

ჩვენ ხომ არ დაგცინით ამის გამო, რაფაელ, ნურც შენ დასცინებ შენი „გაუცხოებული“ ცოლის მშობელ ხალხს! თუმცა „შარლი ებდოსთან“ შედარებით შენი დაცინვა დედის ლოცვასავით არის და არც დაცინვას მოუკლავს ადამიანი.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ უკრაინის მოქალაქეობა უკვე მიიღო **ზურაბ ადეიშვილმა** და პოროშენკოს ხელისუფლებაში საკვანძო ფიგურა ხდება. ამბობენ, რომ ადეიშვილი უკვე მუშაობს კანონპროექტებზე პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელსაც განიხილავენ და შემდეგ უკრაინის რადა დაამტკიცებს. ადეიშვილი ასევე მუშაობს კანონზე ანტიკორუფციული სამსახურის საქმიანობის შესახებ. იმასაც ამბობენ, რომ ძებნილ ადეიშვილს უკრაინაში ანტიკორუფციული სამსახურის უფროსად დანიშნავენ. **ეკა ტყეშელაშვილი** და **გია გეწაძეც** უკვე უკრაინის მოქალაქეები არიან და რა სიკეთეც ჩვენ გვაჩვენეს, იმას არც უკრაინას „დაამადლიან“.

ბეჩავო უკრაინავ! განა საკუთარი დეგენერატები (სოციალოგიური ტერმინის მნიშვნელობით) არ გყოფნიდა, რომ ჩვენი გამონაცვალიც შეიფარე? უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საქართველოდან „სექონდ ჰენდი“ იგზავნება... ნახმარი პოლიტიკოსების სახით! მე რომ მკითხო, მოხვიოს ხელი სააკაშვილმა ყველა თავის ნამინისტრალ-ნაპოლიციებ-ნაგუბერნატორლებს და მოაშოროს აქედან – ჰაერიც გაიწმინდება და ბევრი გამწარებული ადამიანიც ცდუნებას აცდება, რომელიმეს ცხვირპირი რომ არ დაუნაყოს სადმე სადარბაზოში! მაგრამ...

რა დააშავა ბეჩავმა უკრაინამ? უკრაინელებიც ხომ ჩვენნაირი ადამიანები არიან: მათაც უნდათ სიცოცხლე, ბედნიერება, ჯანმრთელობა, მომავალი! მათ ჯერ არ იციან, რას უქადიან ეს „მსოფლიო მოქალაქეები“, თორემ, „რეფორმებით“ ხიბლში ყოფნის ნაცვლად, დიდ ხანია, განგაშის ზარებს დაარისხებდნენ! ვიღაცამ იხუმრა, მაგათი მოშორება რომ მოგინდებათ და ვერ მოიშორებთ, მერე ცოტა ხნით ბიძინა ივანიშვილს გათხოვებთო!

**დღეს უკრაინა იმაზე უფრო ნაკლებად სუვერენულია, ვიდრე საბჭოთა დროში — მაშინ მას მოსკოვიდან მხოლოდ მეორე მდივანს უნიშნავდნენ, ვაშინგტონმა კი 45-მილიონიან ქვეყანას საქართველოდან ძლივს მოშორებული საკუთარი „ძაღლისშვილები“ მოახვია თავს!** არა, მხოლოდ საქართველოდან არა — ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო დეპარტამენტში გამოწვრთნილ **ნატალია იარესკოს**, ხოლო ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტრო **ლიტველ აივარას აბრომავიჩუსს** ჩააბარეს. **თუ ვის ინტერესებს მოემსახურება ეს აჯაფსანდალივით არაუკრაინული მთავრობა, ამის კითხვა აღარც ღირს.**

ადგილობრივი წარმოშობის პრემიერმინისტრი არანაკლები უბედურებაა ბეჩავი უკრაინისთვის. არსენი იაცენიუკმა ახლახან გერმანულ ტელეარხ ARD-ს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირი უკრაინასა და გერმანიას თავს დაესხა! გერმანულმა გამოცემამ Der Spiegel-მა გვარიანად იხალისა ამაზე: „1942 წელს საბჭოთა ჯარი უმოწყალოდ მიიწევდა აღმოსავლეთისკენ. ისინი უკრაინის ტერიტორიაზე უშიშრად ედგნენ კვალში დემოკრატიულად არჩეული კანცლერის — ადოლფ ჰიტლერის ჯარს, რომელიც უკან იხევდა. უფრო გრძელი მარშრუტი, შავი ზღვის სამხრეთით, უკრაინის გვერდის ავლით მათთვის მოუხერხებელი იყო. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი შეიჭრა გერმანიაში მისი აღმოსავლეთ საზღვრიდან და გერმანიის ტერიტორია დაიკავა, როგორც ეს არსენი იაცენიუკთან ერთად ჩვენც გვახსოვს“.

რაფაელ, რაფაელ, დაცინვა სწორედ ასეთი უნდა და არა შენნაირი, მაგრამ ჩვენი არ იყოს, შენც ჭამა-სმას გადაჰყევი და სარკაზმი დაგიჩლუნგდა! სააკაშვილმა „დესანტი“ კიევში ჯერ კიდევ გასული წლის ივნისში გადასხა. დეპუტატ **გიორგი ვაშაძის** განცხადებით, ეს 10-12 კაციანი ჯგუფია, რომელიც უკრაინის რეფორმირებაზე იწყებს მუშაობას. კახა ბენდუქიძე გამოაკლდათ, მაგრამ სამაგიეროდ, IT-ტექნოლოგიების ექსპერტი **დავით კიზირია** და უძრავი ქონების ექსპერტი **ჯაბა ებანოიძე** შრომობენ.

გიორგი ვაშაძე ძირითადად ადმინისტრაციულ სერვისებსა და ელექტრონულ ტენდერებზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო ჯაბა ებანოიძე ადმინისტრაციულ სერვისებზე აცხადებს, რომ მთავარი პრობლემა მენტალიტეტია: „ჩვენ საქართველოში ადამიანებისა და მოხელეების მენტალიტეტის შეცვლა მოვახერხეთ. 2007 წლამდე რეესტრიდან ამონაწერის მიღება დახურული იყო. ჩემს ქონებაზე ცნობის მიღება მხოლოდ მე შემეძლო. 2006 წლიდან პარლამენტში კანონპროექტი შევიტანეთ და ამონაწერი საჯარო გახდა. მე ვიცი ჩემი ქონება, სახელმწიფომ იცის და სამოქალაქო საზოგადოებამ არ იცის? ეს როგორ? მე მინდა, ვაკონტროლო ჩემი მინისტრი — რა იყიდა, რა ქონება გაუჩნდა იმის შემდეგ, რაც მინისტრი გახდა. რას ყიდულობს მისი ცოლი, რა ეკუთვნის მის სიდედრს, მძღოლს. ჩვენ შევცვალეთ მენტალიტეტი, ყველაფერი საჯარო გახდა“.

**ეს „ექსპერტი“ მორცხვად დუმს იმაზე, რომ საქართველოში დღესაც ვერავის გაურკვევია, ვის ეკუთვნის ტელეკომპანია „რუსთავი 2“ (დოკუმენტურად, თორემ ისე სააკაშვილის მოსამსახურე რომაა, ამას ყველა კარგად ხედავს) და, საერთოდ, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ვისი წილი ვის ოფშორშია, კაცმა ვერ გაიგო! ამ „ექსპერტ-რეფორმატორმა“ ისიც არ იცის, რომ საჯარო პირისა და მისი ოჯახის წევრების დეკლარაცია იმთავითვე საჯარო დოკუმენტი იყო და მისი ნახვა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევიდან ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო! ეს ისე, „რეფორმების“ შინაარსის გამო, თორემ მთავარი აღიარება წინაა:**

დავით კიზირია, კიდევ ერთი უცნობი რეფორმატორი: „ჩვენ, როგორც „დესანტი“, პრობლემის იდენტიფიცირებას ვახდენთ და ვაგვარებთ მას. ექსპერტები, რომლებიც საქართველოში რეფორმებით იყვნენ დაკავებულნი, სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობენ. ახლა მივიღეთ წინადადებები ალბანეთიდან, ▶

**უკრაინას უკრაინელები არ მართავენ. ის ოკეანის გაღმიდან იმართება, თანაც — ჯენ ფსაკის ინტელექტით, იმ ფსაკისა, რომელიც იმუქრებოდა: თუ რუსეთის ჯარი დონბასში შევა, მაშინ აშშ-ის მეექვსე ფლოტი ბელარუსის ნაპირებთან გადმოსხდებაო! ბელარუსს ზღვაზე გასასვლელი რომ არა აქვს, აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა არ იცის. არც მიშამ იცის გეოგრაფია და არც იაცენიუკმა — ისტორია. რა მერე — ვერ მოიყვანეს და ვერ დასვეს ამერიკელმა პატრონებმა?**

ბიძინა ივანიშვილს ჟურნალისტებისთვის იმის მეათედი არ უთქვამს და გაუბედია, რაც ზემოხსენებულ ეთერში ირაკლი ალასანიამ თქვა და, მიუხედავად ამისა, უსწრაფესი ტემპით აიწება „ჟურნალისტთა მჯირყვნელის“ სახელი. დარწმუნებული ვარ, იგივე ბედი ელოდა ალასანიასაც, გაბუნიას „არჩევანში“ კვლავაც „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრის სტატუსით რომ წამდგარიყო, მაგრამ ის, რაც არ ეპატიებოდა „ოცნების“ ალასანიას, ხახვივით შერჩა „ევროატლანტიკურ კურსს შეწირულ“ ალასანიას.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თურქეთიდან, ბელარუსიც კი დაინტერესდა. ჩვენი ექსპერტები მონღოლეთში მუშაობენ. მოვდივართ, ვაკეთებთ საქმეს და მივდივართ“.

გიორგი ვაშაძე: „ჩვენი სტრატეგიაა ასეთი. მოვდივართ, სისტემას ავამუშავებთ, პლატფორმას დავძრავთ და სხვა ქვეყნებში მივდივართ“.

**ეს „ბრემენელი მუსიკოსები“ თუ ასე აპირებენ ხეტიალს მთელ დუნიაზე, ნურც დავუშლით და ნურც ნერვებს ავიშლით. უკრაინელებიც მეცოდება, ალბანელებიც და თურქებიც, მაგრამ ქართველები უფრო მეტად და ისემც უქნიათ, სულ ნუ მობრუნდებიან საქართველოში! ელექტრონულ ტენდერებს და კორუფციას რაც შეეხება, ამის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის საქართველოში, ისევე, როგორც ქართულ პოლიტიკაში ცალ-ცალი კალოშით მოსული „კონკიების“ ზღაპრული გამდიდრების ისტორიები და, ამას უკრაინელები რომ მიხვდებიან, გვიანი იქნება.**

**უკრაინას უკრაინელები არ მართავენ. ის ოკეანის გაღმიდან იმართება, თანაც — ჯენ ფსაკის ინტელექტით. იმ ფსაკისა, რომელიც იმუქრებოდა: თუ რუსეთის ჯარი დონბასში შევა, მაშინ აშშ-ის მეექვსე ფლოტი ბელარუსის ნაპირებთან გადმოსხდებაო! ბელარუსს ზღვაზე გასასვლელი რომ არ აქვს, აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა არ იცის. არც მიშამ იცის გეოგრაფია და არც იაცენიუკმა — ისტორია. რა მერე — ვერ მოიყვანეს და ვერ დასვეს ამერიკელმა პატრონებმა?**

ბრალი უბრალო ხალხისა, თორემ ესენი, უკრაინიდანაც რომ გაყრიან, კიდევ სადმე გაატარებენ „რეფორმებს“ ვაშინგტონის ხელდასხმით და საკუთარ პატრონებს უშურველად მიართმევენ ამა თუ იმ ქვეყნის რესურსებს.

**ბეჩავო, ბეჩავო უკრაინავ! შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა შარში გაყავი თავი. არც ის იცი, რა მძიმე იქნება მაგ შარიდან გამოძრომა. ისე კი, ჩვენი არ იყოს, ასე წარმოგედგინა დამოუკიდებლობა და თავისუფლება? სააკაშვილის ბრტყელ-ბრტყელი განცხადებების უკან უკრაინასთან სოლიდარობის შესახებ, მისი საკუთარი ინტერესების გარდა, არაფერი დგას. ენდეთ უბრალო ქართველებს (სიტყვა უბრალო ქართულად უდანაშაულოს ნიშნავს, ანუ ბრალი რომ არ მიგიძღვის) — ეგენი რომ „რეფორმებს“ ეძახიან, სინამდვილეში კაცთმოძულე და ანგარიშსწორებაზე აგებული სისტემაა, რომელიც ადამიანებზე ძალადობს. თუ ახლა ვერ გამოფხიზლდით, 45 მილიონზე გადათვლით, სულ ცოტა, სამ მილიონამდე პატიმარი, ათჯერ მეტი პრობაციონერი და ქონებაწართმეული მოქალაქე გეყოლებათ. მერე ადიდეთ „რეფორმატორები“ და მათი დამსმელი ოკეანისგაღმელი „ძმები“!**

**თამარ დავითულიანი**

# იმას — შეზღუდვა, ამას — გამოხატვა! ხელებიც დამიბანია!

**ცნობილი ქართული მულტიპლიკაციური ფილმის ასეთი პერიფრაზი ყველაზე კარგად გამოხატავს იმ მიდგომებს, რაც ბოლო პერიოდში საქართველოში მედიის მიმართ ხორციელდება. განსხვავება არის ის, რომ „სიზმარაში“ ბოროტი მეფე მხოლოდ ცუდს უსჯის ხელქვეითებს — ან „სიკვდილს“, ან „ჩამოხრჩობას“.**



აი, თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსები კი მედიასაშუალებებს ერთმანეთისგან სრულიად საპირისპირო ვერდიქტს გამოუტანენ ხოლმე და, თუკი ერთის მიმართ აგრესიული განწყობით მის შეზღუდვას, შეჩერებას და „ჭკუის სწავლებას“ ითხოვენ, მათივე მეორე კოლეგას შენიშვნაც კი რომ მისცეს ვინმემ, იმწამს ამ მედიასაშუალების ჩაგვრაზე ალაპარაკდებიან და მისი „გამოხატვის“ თავისუფლებას კბილებით იცავენ.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითი გასულ კვირაში მოხდა: **ყველას გვახსოვს, ზოგიერთი ვითომ ძალიან „ღირსეული“ ქართველი „მოღვაწე“ როგორი მონდომებით დასცინოდა კონკრეტულ ქართულ გამოცემებს. დაცინვის ძირითადი მიზეზი იყო, რომ ეს გამოცემები არიან „უზრდელები“, „კადრულობენ ყოველგვარ სიბინძურეს“, „იგინებიან და ილანძღებიან“ და, ამავე „ღირსეულ მოღვაწეთა“ აზრით, ეს იყო არა „სიტყვის თავისუფლების“ გამოხატულება, არამედ ზღვარგადასული უკულტურობა, ჟურნალისტური ეთიკის ნგრევა, დაბალი დონე და სიბნელე...**

**და აი, ბოლო ერთ კვირაა, ზუსტად ამ ადამიანებს პორნოგრაფიული კარიკატურების დამბეჭდავი „შარლი ებდოს“ მხარდამჭერი სტატუსები აქვთ გაშვანშვალებული სოციალურ ქსელებში საკუთარ „პროფილებზე“ და ყველანი ერთხმად „შარლები“ არიან!**

არადა, ამ აშკარად უნიჭო და უზრდელ „შარლისთან“ შედარებით, ზემოხსენებული ქართული პერიოდული გამოცემები, შემიძლია დავიფიცო, მსოფლიო ჟურნალისტიკის მეტრებად და აკადემიური ბეჭდური გამოცემების ეტალონებად ჩანან...

საზოგადოდ, რა თქმა უნდა, **არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც ქართულ და, ალბათ, მსოფლიო სინამდვილეშიც უკვე მკვეთრად შესამჩნევ ორმაგ სტანდარტებზე ვწერ.**

თუმცა რაღა „შესამჩნევი“, ასეთი ორმაგი სტანდარტი უკვე ისე თვალში საცემია რომ, როდესაც ვინმე დამსახურებულ „ორმაგსტანდარტოსანს“ შესაბამის შენიშვნას აძლევ, ისინი აღარც კი აპროტესტებენ და პასუხად მხოლოდ „ბრძნული“ ღიმილით შემოიფარგლებიან.

სხვათა შორის, არც ისე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ **იმ ლიდერებსა და პოლიტიკოსებს, რომლებსაც „რუსეთუმეების“ იმიჯი აქვთ შექმნილი და რომლებსაც „საბჭოთა“ და „კომუნისტურ“ აზროვნებაში „ამხელენ“, უფრო შესტკივათ გული ქართულ ეკლესიაზეც, ქართულ ენაზეც და სხვა ეროვნულ ღირებულებებზეც, ვიდრე „საბჭოთა მონობის“ წინააღმდეგ თავდადებული „მებრძოლის“ სტატუსით აღჭურვილ „ევროატლანტიკოსებს“...**

**ადამიანს, რომელიც ქვეყანაში ყველაზე «წონიანი ევროატლანტიკოსის» ტიტულის პრივატიზებას ცდილობს, ოდნავადაც არ გახსენებია «გამოხატვის თავისუფლება» და «თავისუფალი მედია»!**

პირველნი, ასე თუ ისე, მაინც მორიდებით ცდილობენ თავიანთი „კურსის“ უპირატესობაში საზოგადოების დარწმუნებას, განსჯიან, ფიქრობენ და, ქვეყნისთვის თუნდაც მცირე პროცენტით მოსალოდნელი უარყოფითი შედეგის მიღების შიშით, თავზეხელაღებით მაინც ვერ ბედავენ, გაიწიონ ჩრდილოეთისკენ.

ეს მაშინ, **როდესაც „ევრო-ამერიკული“ ვაზელინი იმდენია და მისი „მომხმარებლები“ ისე ძალუმად ფართხალებენ, მასში უკვე, მხოლოდ თავით კი არა, ტან-ფეხიანად არის ამოსვრილი ზოგიერთი!**

როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთათვის მთავარია, რუსული არავინ არაფერი „შემოგვაპაროს“, თორემ, თუ ინგლისურად გამოგვიყვანეს წირვა და აგვიგეს წესი, ეს მათთვის დიდი ტრაგედია არ იქნება!

აი, ამიტომაც იყო, ამას წინათ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განგაშით რომ გვაცნობა, ჩემი სამსახურიდან გაშვება საქართველოს ევროატლანტიკური კურსის დაკარგვას ნიშნავსო!..

მართალია, მას შემდეგ კაი სამი თვე გავიდა და კურსს ცვლილება არ ეტყობა, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი „მოევროატლანტიკე“ ისევ გვამარაგებს საინეტერესო მოსაზრებებით:

**„ის მთავარი გამოწვევა, როლის განხორციელებასაც რუსეთი შეეცდება 2016 წლამდე, ანუ მომდევნო არჩევნებამდე, ეს არის ანტიდასავლური პროპაგანდა მედიაში. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია, საქართველოში არსებობდეს სტრუქტურა, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს მედიასაშულებებში წარმოებულ პროპაგანდას“. ეს ისეთი დაბეჯითებით თქვა ირაკლი ალასანიამ „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთ „თოქ-შოუში“ სტუმრობისას, გეგონებოდათ, რომელიმე საქონელმცოდნე უცხოეთიდან შემოსული საკვები პროდუქტების უვნებლობის შესახებ საუბრობსო...**

**ადამიანს, რომელიც ქვეყანაში ყველაზე „წონიანი ევროატლანტიკოსის“ ტიტულის პრივატიზებას ცდილობს, ოდნავადაც არ გახსენებია „გამოხატვის თავისუფლება“ და „თავისუფალი მედია“!**

არადა, ეს, ფაქტობრივად, ე.წ. გამოცხადებული დიქტატის ქრონიკაა, რომლის ათვლაც უკვე შეგვიძლია დავიწყოთ და, თუკი 2016 წელს (თითქმის უშანსოა, მაგრამ დავუშვათ) ალასანიას გუნდმა არჩევნებში სერიოზულ შედეგს მიაღწია, ფაქტია, რომ ვერშემდგარი, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად „გასაოცარი დემოკრატიის“ დასასრულის მომსწრენიც გავხდებით!

არადა, **წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რუსეთისკენ ოდნავ მაინც „გადახრილ“ რომელიმე პოლიტიკოსს რომ გაეკეთებინა ანალოგიური განცხადება „ქართული დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ფლაგმანის“ ეთერში და ისეთ „მიუკერძოებელ“ ჟურნალისტთან, როგორიც გიორგი გაბუნია გახლავთ!**

დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ წამყვანი იქვე, იმწამსვე მიახლიდა რესპონდენტს მისი არაწორი დამოკიდებულების შესახებ მედიისადმი, ხოლო მეორე დილიდანვე ატყდებოდა „არასამთავრობოთა“ განცხადებების კორიანტელი, რომ „აზრის გამოხატვის შეზღუდვა დაუშვებელია“ და არავის აქვს უფლება, მედია აკონტროლოს ან უკარნახოს მას, რა ინფორმაცია გაავრცელოს და რა ინფორმაციის გავრცელება შეზღუდოს...

მოკლედ, მოხდებოდა ის, რაც ბოლო 10 წლის განმავლობაში არაერთხელ გვინახავს!

თუნდაც ცნობილი „რკინის კაცი“ გავიხსენოთ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ ეს სიტყვები საერთოდ სხვა კონტექსტით თქვა და სავსებით კონკრეტული პიროვნებების მისამართით, ხოლო მედიასაშუალებებმა მას იმწამს „საზოგადოების და ჟურნალისტების მიმართ მუქარა“ დასწამეს და ისეთი ხმაური ატეხეს, რომ ქვეყანაში მინისტრთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომაც კი მოჰყვა!

რაღა შორს წავიდეთ და აგერ, სულ რაღაც, ორიოდე წლის წინათ ქართული მედიის მიერ ხელზე და ენაზე დახვეული სიტყვა „მიჯირყვნა“ ავიღოთ.

**ბიძინა ივანიშვილს ჟურნალისტებისთვის იმის მეათედი არ უთქვამს და გაუბედია, რაც ზემოხსენებულ ეთერში ირაკლი ალასანიამ თქვა და, მიუხედავად ამისა, უსწრაფესი ტემპით აიწება „ჟურნალისტთა მჯირყვნელის“ სახელი.**

**დარწმუნებული ვარ, იგივე ბედი ელოდა ალასანიასაც, გაბუნიას „არჩევანში“ კვლავაც „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრის სტატუსით რომ წამდგარიყო, მაგრამ ის, რაც არ ეპატიებოდა „ოცნების“ ალასანიას, ხახვივით შერჩა „ევროატლანტიკურ კურსს შეწირულ“ ალასანიას.**

**ვიცი, მონდომებული მკითხველი იტყვის, „კარგი, ეგ „რუსთავი 2“-მა შეარჩინა, მაგრამ სხვა ტელევიზიები და მედიასაშუალებები რაღას მიკეთებენო?“...**

ამაზე ვრცელი პასუხი შემიძლია დავწერო, მაგრამ მოდი, მოკლედ მივმართავ სწორედ ამ „სხვა ტელევიზიებს“ და ვიმედოვნებ, ამ მოკლე ფრაზიდან მკითხველისთვისაც ყველაფერი სრულიად გასაგებია გახდება:

**სხვა ტელევიზიებო!**
**მინდა, იცოდეთ, რომ „კარგი ტელევიზია“ სულაც არ ნიშნავს იმას, რომელი თქვენგანი მიბაძავს უფრო ზუსტად „რუსთავი 2“-ს!**

მგონი, მოკლედ და გასაგებად ავხსენი ყველაფერი და, სიმართლე გითხრათ, ჩემი მკითხველის გარდა, ძალიან მინდა, რომ ეს იმ „სხვა ტელევიზიების“ მესვეურებმაც გაიგონ და შეიგნონ!

თუ არადა, ელოდეთ მშვიდად, როდის გამოიტანს შესაბამის ვერდიქტებს რომელიმე ძალიან დემოკრატი „ევროატლანტიკოსი“ — ვის „მიესჯება“ შეზღუდვა და ვის — გამოხატვის თავისუფლება...

**ჩვენ ხომ იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომელშიც ზოგიერთ „ანტიბოლშევიკს“ თურმე სამების ზარების რეკვაც ყურს ჭრის და აწუხებს, სხვა „ანტისაბჭოელები“ სრულიად თავისუფლად უქცევენ ყბას „მონაზონთა კოლექტიური დაორსულების“ თემას...**

მაგრამ, თუკი მეზობელი აფროამერიკელის პატივსაცემად „ბუნგა-ბუნგას“ ცეკვა არ ისწავლე და ლგბტ აბრევიატურის განმარტება სხაპასხუპით არ ჩამოარაკრაკე — ქსენოფობი, ჰომოფობი და კიდევ ბევრი ფობი ხარ, ამიტომ ცივილიზებულ საზოგადოებაში შენნაირ ბნელსა და ჩამორჩენილს არაფერი ესაქმება!

**ბაკურ სვანიძე**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში, ევროკავშირის მითითებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ხომ პირდაპირ გვაიძულეს და აქამდე ასე ვიცოდით, რომ აღნიშნული კანონი ევროპის გარეთ რელიგიური და სექსუალური უმცირესობების შეურაცხყოფას კრძალავდა. არადა, იმაზე დიდი შეურაცხყოფა რა უნდა იყოს, როდესაც ჟურნალში შიშველ იესო ქრისტეს, შიშველ მუჰამედს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მშობიარობას დახატავ?“**

# შეურაცხყოფა «გამოხატვის თავისუფლების» სახელით

**მსოფლიო შეძრა საფრანგეთში 7 იანვარს ჟურნალ Charlie Hebdo-ს რედაქციაზე განხორციელებულმა თავდასხმამ, რომელსაც 12 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. როგორც ცნობილია, ტრაგედია „ტვიტერზე“ ჟურნალის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის — აბუ ბაკრ ალ-ბაღდადის კარიკატურის გამოქვეყნებას მოჰყვა, თუმცა ვითარება კვლავ დაძაბულია. „ალ ქაიდა“ ახალი ტერაქტებით იმუქრება. „თქვენთვისვე უმჯობესია მუსლიმთა წინააღმდეგ აგრესია შეწყვიტოთ, რათა უსაფრთხოდ იცხოვროთ“, — აცხადებს „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი — ჰარით ალ ნადარი.**

**საფრანგეთში მომხდარ ტრაგედიას საქართველოში ცხარე დისკუსია მოჰყვა. რა თქმა უნდა, ტერორიზმს არ აქვს გამართლება, რა თქმა უნდა, იმის მტკიცებაც კი ზედმეტია, რომ არავის აქვს უფლება, სხვა ადამიანს სიცოცხლე მოუსწრაფოს, მაგრამ... სწორედაც რომ მაგრამ... (როგორც უნდა აგვიკრძალონ ამ სიტყვის თქმა იმ ადამიანებმა, რომლებიც, ერთი მხრივ, სიტყვის თავისუფლებაზე ქადაგებენ და, მეორე მხრივ, სხვებს აკრძალვებს უწესებენ).**

**ეს მაგრამ ტერორისტების მხარდაჭერას არ ნიშნავს, პირიქით — ახლა მხოლოდ ტერორიზმის დაგმობის კი არა, მიზეზებზე საუბრის დროა, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.**

**ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მედრესეზე მიმაგრებულ ღორის თავს აღშფოთებით შეხვდნენ, ამ მართლაცდა ამაზრზენი კარიკატურების ავტორების საქციელს გამოხატვის თავისუფლება უწოდეს და უცებ დაავიწყდათ, რომ სხვის რწმენას, კეთილი უნდა ინებო და, პატივი სცე. ქვეყანაში, სადაც სიტყვა „ზანგის“ ხსენებაც კი რასობრივ დისკრიმინაციად მიიჩნევა, ქვეყანაში, სადაც ჰომოსექსუალებზე უწყინარი ფრაზების გამო ადამიანებს სამსახურებიდან ყრიან, ღმერთისა და სიწმინდეების დაცინვას გამოხატვის თავისუფლებად მიიჩნევენ. თვით ევროპაც კი, რომელიც ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ ყველა ადამიანის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული და რამდენიმე წლის წინათ ბრიტანეთში ჯვრისა და რელიგიური სიმბოლოების ტარებაც კი აკრძალეს სამსახურებში, რათა ვიღაცას თავი უხერხულად არ ეგრძნო, ამ ევროპაში მორწმუნეების უფლებების დაცვაზე რატომღაც არავის უფიქრია.**

**ორმაგი სტანდარტებით მოცულ მსოფლიოში, ალბათ, რთულია, განსაზღვრო, სად გადის ზღვარი შენს თავისუფლებასა და სხვის შეურაცხყოფას შორის და მაინც — აქვს თუ არა ადამიანს დემოკრატიის სახელით ყველაფრის უფლება, თუნდაც სხვა ადამიანების რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფის უფლება, და როგორი პასუხი უნდა გასცეს მორწმუნემ ღვთის შეურაცხმყოფელ ქმედებებს.**

**„საქართველო და მსოფლიო“ მართლმადიდებელი სასულიერო პირების პოზიციით დაინტერესდა.**



**დეკანოზი დავითი (ქვლივიძე), მაცხოვრის ნათლისღების ტაძრის მღვდელმსახური:**

— ძალიან გამიკვირდა, რომ ეს კარიკატურები დაიბეჭდა საფრანგეთში, ევროპულ ქვეყანაში, სადაც მეგონა, რომ სხვა რელიგიური მიმდინარეობის შეურაცხყოფა აკრძალული იყო. **საქართველოში, ევროკავშირის მითითებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ხომ პირდაპირ გვაიძულეს და აქამდე ასე ვიცოდით, რომ აღნიშნული კანონი, ევროპის გარეთ, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების შეურაცხყოფას კრძალავდა. არადა, იმაზე დიდი შეურაცხყოფა რა უნდა იყოს, როდესაც ჟურნალში შიშველ იესო ქრისტეს, შიშველ მუჰამედს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მშობიარობას დახატავ?** ეს არ არის თავისუფლება, ეს შეურაცხყოფაა. **წარმოიდგინეთ, ჩვენ, ქრისტიანებმა, მუჰამედის კარიკატურები რომ დავხატოთ და მარნეულში, ხულოსა თუ პანკისში გავავრცელოთ, ხომ გვეტყვიან, ქსენოფობები და რელიგიური შუღლის გამღვივებლები ხართო და მართლებიც იქნებიან. ან მამათმავლებზე რომ დავხატოთ მსგავსი კარიკატურები, ჩაგვქოლავენ, როგორც კაცთმოძულეებს.** მაშინ ახლა ევროპაში სხვა სტანდარტებით რატომ ზომავენ, რატომ ამართლებენ ამ ჟურნალის ქმედებებს?

**— ზუსტად ის ხალხი, რომელიც მედრესეზე ღორის თავი მიმაგრებას აღშფოთებით შეხვდა, ამ კარიკატურების ავტორების საქციელს გამოხატვის თავისუფლებას უწოდებს...**

— როგორც ჩანს, ამ ხალხს ორმაგი სტანდარტები აქვს. ჯერ საკუთარ თავში გაერკვნენ. ეს ჟურნალი შეურაცხყოფს ქრისტიანებსაც — მაცხოვრის შობაა გაშარჟებული. კარიკატურა დაცინვაა, ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რელიგიური კარიკატურების გამოქვეყნება, მით უფრო, თუ ეს კარიკატურა უხამსიცაა, თუმცა ქრისტიანებმა ამ ყველაფერს ყურადღება არ მიაქციეს. მუსლიმანებმა ვეღარ მოითმინეს და ძალიან ცუდი რამ გააკეთეს. არ ვამართლებ მათ საქციელს. ყოვლად მიუღებელია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, მაგრამ ასეთი რამ რომ აღარ განმეორდეს, უნდა შეწყდეს ადამიანების შეურაცხყოფა. უნდა დაისვას კითხვა: რატომ მოხდა ეს ტრაგედია პარიზში? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ **ვიღაცები რელიგიურ ნიადაგზე ომის გაჩაღებას ცდილობენ. ფრანგული გამოცემის მიერ მუსლიმანური სიწმინდეების შეურაცხყოფა საეჭვოდ დაემთხვა საქართველოს პატრიარქის შეურაცხყოფას. როგორც ჩანს, ვიღაცებს დაძაბულობის გადმოტანა საქართველოშიც სურთ.**

**— არსებობს საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე არეულობის დაწყების საშიშროება? მაგალითად, „იდენტობის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა ირაკლი ვაჭარაძემ პატრიარქის ეპისტოლე ქალთა დისკრიმინაციად შეაფასა, რასაც მუქარაც მოჰყვა. ამას გარდა, გატეხეს ფრანგული ჰოპერმარკეტების ქსელის — „კარფურის“ ვებგვერდი და მუქარის შემცველი წერილი დატოვეს.**

— ვაჭარაძის საქციელი არის მცდელობა, პროვოკაციაზე წამოაგონ ქრისტიანები, რათა მერე დაიწყონ ყვირილი, როგორ ჩაგრავენ და ავიწროებენ. ჩვენთვის მიუღებელია რელიგიური ნიშნით ადამიანების შეურაცხყოფა. ქართველები საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად ვცხოვრობდით სხვა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანებთან ერთად და ერთმანეთის რელიგიურ საკითხებში არ ვერეოდით.

**— საქართველოს პატრიარქის თხოვნით, 4 იანვარს საპატრიარქოსთან დატოვებული წარწერების ავტორები არ დააპატიმრეს, თუმცა ზოგიერთისთვის არც ეს ქმედება აღმოჩნდა მოსაწონი და ილია მეორე სახელმწიფოს საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულეს. რატომ აქვთ ამ ადამიანებს ასეთი დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიისა და პატრიარქისადმი?**

— ამ ხალხს არ უყვარს ღმერთი და თავისი სამშობლო. ისინი ყველაფერზე მიდიან, რათა ქულები დაიწერონ და კაპიკები მიიღონ. ერთ მაგალითს მოვიყვან: დედამიწაზე ორი უდიდესი წმინდანი იყო — განკაცებული ღმერთი იესო ქრისტე და იოანე ნათლისმცემელი. ისინი განსხვავებული წესებით ცხოვრობდნენ. იესო ქრისტე ცოდვილებთან ერთად დადიოდა, მათთან ერთად ჭამდა და დააბრალეს, ცოდვილი კაცია, რადგან ცოდვილებთან ერთად დადისო და ჯვარზე გააკრეს. იოანე ნათლისმცემელი ცხოვრებას უდაბნოში ატარდებდა და დააბრალეს, ეშმაკეულია, არც ჭამს, არ სვამსო და თავი მოჰკვეთეს. ასეთი ადამიანების გულს ვერაფრით მოიგებ. ეს ხალხი საცოდავი ხალხია. პატრიარქმა გვითხრა ამას წინათ, დაანებეთ თავი ამ ხალხს, მათ ღმერთი მიხედავსო. ასეთია ამ დიდსულოვანი ადამიანის, პატრიარქის დამოკიდებულება ადამიანებისადმი.

**ამ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებმა, აბა, გაბედონ და მუსლიმანებზე რაიმე მსგავსი თქვან, რასაც მართლმადიდებლებზე და ჩვენს პატრიარქზე ამბობენ.** მორწმუნე ადამიანმა სარწმუნოება უნდა დაიცვას სიტყვით და საქმით, ისე, როგორც ამას ჩვენი მამა-პაპა აკეთებდა. ჩვენი წინაპრები ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, დღეს ამ ადამიანებს ჩალმა ეხურებოდათ და ასე თამამად ვერ ილაპარაკებდნენ. სარწმუნოების გამო ქართველები თავს წირავდნენ, ამიტომ **ყველა იმ ადამიანს, რომელიც რელიგიურ შუღლს აღვივებს, პასუხი უნდა მოსთხოვონ სწორედ იმ ანტიდისკრიმინაციული და სხვა კანონებით, რომლებიც რელიგიური მიმდინარეობების შეურაცხყოფას კრძალავს.**

## «ეს კარიკატურები არის კატასტროფა, ჭეშმარიტი ღმერთის შეურაცხყოფა, სიბილწე და ამის გასაღება გამოხატვის თავისუფლებად უარესი დაცინვაა კაცობრიობის. კანონი უნდა სჯიდეს ამ ადამიანებს. ანტიდისკრიმინაციული კანონი ხომ მიიღეს, ეს კარიკატურები ჩვენი დისკრიმინაცია და შეურაცხყოფა არ არის?»



**დეკანოზი დავითი (ლასურაშვილი), სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი:**

— სამწუხარო ფაქტი მოხდა საფრანგეთში და, როდესაც ვინმეს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა ხდება, არა მგონია, რომელიმე ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი ამას ამართლებდეს, მაგრამ **ეს ტერაქტი ძალიან ჰგავს რელიგიური ფაქტორით პოლიტიკის კეთების მცდელობას, რომელიც თავისთავად მიუღებელი და გაუმართლებელია.**

**— რას გულისხმობთ — მიზანმიმართულად იყო ეს ყველაფერი დაგეგმილი?**

— არ ვიცი, ვის მიერ და რა იყო მიზანმიმართულად დაგეგმილი, მე ვამბობ ჩემი, ერთი მართლმადიდებელი სასულიერო პირის, აზრს, **ეს ყველაფერი არის რელიგიით მანიპულირება პოლიტიკაში, რომელიც ცეცხლთან თამაშის ტოლფასია.**

მართლმადიდებელი სარწმუნოება ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა და ადამიანებს შორის მშვიდობას ქადაგებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ადამიანი, დაჯგუფება, პოლიტიკოსი, რელიგიურ მრავალფეროვნებას გაგებით უნდა მოეკიდოს და არავინ შეურაცხყოს. **მართლმადიდებელი ეკლესია აქ, საქართველოში „მოღვაწე“ ზოგიერთი ორგანიზაციის მხრიდან ხშირად გამხდარა შეურაცხყოფის სამიზნე.**

**— აგრესია, ძალადობა მიუღებელია, მაგრამ როგორი პასუხი უნდა გასცეს მორწმუნემ მისი სიწმინდეებისა და ღვთის შეურაცხმყოფელ ქმედებებს?**

— რა თქმა უნდა, მორწმუნეს უნდა ჰქონდეს ამგვარი ქმედების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება. ჩვენი რწმენის შეურაცხყოფის უფლება არავის აქვს და, თუ ვინმე ასე იქცევა, უნდა ვუთხრათ, შევაგონოთ სიტყვით, ავუხსნათ, პროტესტიც გამოვხატოთ ამის წინააღმდეგ. აღნიშნულ ჟურნალში ქრისტიანების შეურაცხმყოფელი კარიკატურებიც დაიბეჭდა, რაც მიუღებელი და ამაზრზენია. ეს არ არის გამოხატვის თავისუფლება, ეს შეურაცხყოფაა! **ერთი ადამიანის თავისუფლება სრულდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის უფლება.** შეუძლებელია, ამ ყველაფერზე მწვავე რეაქცია არ ჰქონდეს ადამიანს. რა თქმა უნდა, ჩვენ, ქრისტიანები, არავის მოვუწოდებთ აგრესიული ქმედებებისა და სხვა ადამიანების სიცოცხლის ხელყოფისკენ, მაგრამ **ეს კარიკატურები არის კატასტროფა, ჭეშმარიტი ღმერთის შეურაცხყოფა, სიბილწე და ამის გასაღება გამოხატვის თავისუფლებად უარესი დაცინვაა კაცობრიობის.** კანონი უნდა სჯიდეს ამ ადამიანებს. **ანტიდისკრიმინაციული კანონი ხომ მიიღეს, ეს კარიკატურები ჩვენი დისკრიმინაცია და შეურაცხყოფა არ არის?** უკიდურესად მიუღებელია ჩვენთვის ამ შეურაცხმყოფელი კარიკატურების გამოქვეყნება.

მართლმადიდებელი ეკლესია თავს არავის ესხმის, მაგრამ საქართველოს ეკლესია ვალდებულია, ჩვენი სიწმინდეების დაცვის სადარაჯოზე იდგეს. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ჩუმად. ნურავინ ჩათვლის, რომ ეკლესიას რწმენის მეტი სხვა ვალდებულება არ აქვს, ვინაიდან ჩვენთვის ყველაზე მაღლა ჩვენი სარწმუნოება დგას და რწმენის შეურაცხყოფა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის მიუღებელია.

მოამზადა **შორენა ციბჭარაშვილმა**

**P.S.** ევროპაში ტერაქტების ახალ სერიას ელოდებიან. მსოფლიოში საშიში პროცესი დაწყებულია. კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი — მშვიდობა საფრთხეშია. პატივი ვცეთ ერთმანეთის რწმენას და ღირებულებებს, რადგან მხოლოდ სიყვარული და პატივისცემა გადაარჩენს სამყაროს.

„ეჩმიაძინი ყველანაირად ცდილობდა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა და აკაკი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ უპატრონოდ დარჩენილი ქართველი ხალხის მონათვლას გრიგორიანელებად. ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც მიზანს, თავის დროზე უამრავი ჩვენი თანამემამულე, ეროვნებით ქართველი, გადავიდა მათ სარწმუნოებაზე. შემდეგ, რასაკვირველია, ეს ყველაფერი ისევ ჩვენ წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. ილიას შემდეგ საქართველოში არ აღმოჩნდა თუნდაც ერთ საზოგადო ან პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ პროცესს“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოში სომხეთის რელიგიური ექსპანსია გრძელდება

**სომხეთში მოქმედ რიგ პოლიტიკურ ძალებსა და ოფიციალურ ერევანსაც დიადი არმენიის იდეა დღემდე რომ არ ასვენებთ და ქართულ მიწა-წყალზე თვალი ქორივით რომ უჭირავთ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის არახალია. ზოგიერთ სომეხ ისტორიკოსს თუ დავუჯერებთ, საქართველოს თურმე სომხეთის ტერიტორიები მიუტაცებია და ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შესანარჩუნდებლად „ისტორიული სამართლიანობა“ უნდა აღდგეს. გარდა ამისა, ქართულ ტაძრებზე პრეტენზიას აცხადებს წმინდა ეჩმიაძინი. საუბარია 650 ეკლესიაზე, რომლებიც, მათი მტკიცებით, სომხური კულტურის განუყოფელი ნაწილია. ეს პროპაგანდა განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, როცა სააკაშვილის მოღალატე ხელისუფლებამ 2011 წლის 5 ივლისს საქართველოში მოქმედ ხუთ რელიგიურ კონფესიას იურიდიული სტატუსი მიანიჭა. მოკლედ, იქიდან მოყოლებული დღემდე სომხური ლობი მსოფლიოს მასშტაბით ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მათი ისტორიული ძეგლები საქართველომ მიითვისა.**
**ამ ძეგლების დაბრუნების მოთხოვნით მათ რამდენიმე დღის წინათ მიმართეს რელიგიურ საქმეთა სამსახურს (ასევე კულტურის სამინისტროს) და, კულუარული ინფორმაციით, მოლაპარაკებებიც დაიწყო...**
**მეზობელი სახელმწიფოსგან მომდინარე საფრთხეებზე თვალსაზრისის გამოთქმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, არმენოლოგ ალექსანდრე აბდალაძეს ვთხოვეთ.**



**«საქართველოში დღემდე არსებობენ ისეთი ე.წ. ისტორიკოსები, რომლებიც მიექირავნენ სომხურ ლობს — ზოგი აზერბაიჯანს, ზოგიც — თურქეთს და მიმდინარეობს საშინელი ანტიქართული პროპაგანდა. ეს ყველაფერი ემსახურება ისტორიის გაყალბების მცდელობას და შედეგიც ჩანს — ვისაც რა სურს, იმ პრეტენზიას გვიყენებს»**

**— ბატონო ალექსანდრე, საფუძვლიანად მიგაჩნიათ სომხური ეკლესიის არგუმენტები ტაძრების გადაცემაზე?**

— საერთოდ, სომხებს პრეტენზია ბევრი აქვთ. ეს არ არის მხოლოდ წმინდა რელიგიური პრობლემა. სომხურ წრეებს მუდამ სურდათ საქართველოს მიტაცება, ანუ მათ უნდოდათ, აღედგინათ ე. წ. დიდი სომხეთი, რომელიც ან არსებობდა, ან არა და ეს უნდა მომხდარიყო საქართველოს ტერიტორიების ხარჯზე. სამწუხაროდ, თავის დროზე ქართველთა შორისაც აღმოჩნდნენ ამ იდეის აპოლოგეტები. ვგულისხმობ იმ ვაიისტორიკოსებს, რომლებიც გაიყიდნენ ფულზე და ეწეოდნენ სომხების მხარდამჭერ პროპაგანდას. საუბედუროდ, საქართველოში დღემდე არსებობენ ისეთი ე. წ. ისტორიკოსები, რომლებიც მიექირავნენ სომხურ ლობს. ზოგი აზერბაიჯანს მიექირავა, ზოგიც — თურქეთს და მიმდინარეობს საშინელი ანტიქართული პროპაგანდა. ეს ყველაფერი ემსახურება ისტორიის გაყალბების მცდელობას და შედეგიც ჩანს — ვისაც რა სურს, იმ პრეტენზიას გვიყენებს...

**— ლაპარაკობენ, რომ უნდა შეიქმნას მეორე სომხური ეპარქია ჯავახეთში. ეს რა მიზანს ემსახურება?**

— ეს არის კულტურული, დემოგრაფიული, რელიგიური (და კიდევ რაც გინდათ, დაარქვით) ექსპანსიის მცდელობა. საერთოდ, სომხებს ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ, როგორც ჩვენთან, ისე აზერბაიჯანთან და თურქეთთანაც, მაგრამ თავის დროზე, ვგულისხმობ XX საუკუნის დასაწყისს, ვერც ერთს ვერაფერი დააკლეს და ჩვენზე გადმოიტანეს აქცენტი. აი, ამის შედეგია დღეს ეს გაშმაგებული პროპაგანდა, რომ თურმე საქართველოს სომხური ეკლესიები აქვს მიტაცებული.

**— კი მაგრამ, თურქეთსა და აზერბაიჯანს თუ ვერაფერი დააკლეს, ჩვენ რატომ მიგვიჩნიეს დაბალ ლობედ?**

— იმიტომ, რომ ჩვენ, როგორც დღეს არ გვყავს პატრონი, მაშინაც არ გვყავდა. იმხანად სათავეში იყვნენ მენშევიკები, რომლებიც ლანძღავდნენ, აგინებდნენ და საფლავშიც არ ასვენებდნენ ილია ჭავჭავაძეს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მკვეთრად ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდნენ. ცხადია, ეს კარგად გამოიყენეს სომხებმა და იცით, რაც მოხდა 1918 წელს... სხვათა შორის, ჟორდანიას დოყლაპია მთავრობა მარცხდებოდა იმ ომში, მაგრამ ხალხი გამოფხიზლდა და გადავრჩით...

**— რა როლს თამაშობდა ამ პროცესებში სომხური ეკლესია?**

— ეჩმიაძინი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ანტიქართული გეგმების განხორციელებაში. ეჩმიაძინი ყველანაირად ცდილობდა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა და აკაკი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ უპატრონოდ დარჩენილი ქართველი ხალხის მონათვლას გრიგორიანელებად. ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც მიზანს, თავის დროზე უამრავი ჩვენი თანამემამულე, ეროვნებით ქართველი, გადავიდა მათ სარწმუნოებაზე. შემდეგ, რასაკვირველია, ეს ყველაფერი ისევ ჩვენ წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. **ილიას შემდეგ საქართველოში არ აღმოჩნდა თუნდაც ერთ საზოგადო ან პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ პროცესს.**

**— როგორ ფიქრობთ, არსებობს დღეს სეპარატიზმის საფრთხე სამცხე-ჯავახეთში?**

— სეპარატიზმის საფრთხე არსებობს არა მხოლოდ სომხებით დასახლებულ ჯავახეთში, არამედ სხვა რეგიონებშიც. სომეხი მეცნიერები ცდილობენ, გააღვივონ შუღლი ქვეყნის კუთხეებს შორის. მაგალითად, იყო ასეთი ქართველოლოგი პარუირ მურადიანი, რომელსაც ჩემი ყოფილი თანამშრომელისთვის — ავთანდილ თორდიასთვის უთქვამს, — თქვენ, მეგრელები, ქართველები არ ხართ. საერთოდ, ეს ძველი ამბავია და ამ პროპაგანდის სათავე უნდა ვეძებოთ სომხეთის უმაღლეს წრეებში...

**— როგორ ფიქრობთ, ადეკვატურია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა ამ საფრთხეების მიმართ?**

— ადეკვატურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. **ეს ხელისუფლება, ისევე, როგორც წინა, რასაც უბრძანებენ ამერიკიდან, იმას აკეთებს. არადა, ხომ იცით, რა გავლენიანი ლობი ჰყავს სომხეთს ვაშინგტონში. მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება, წინამორბედის მსგავსად, წყალს ასხამს მტრის წისქვილზე...**

**— დავუბრუნდეთ ეკლესიების თემას, სომხური მხარე ითხოვს სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც შეისწავლის სადავო ტაძრების წარმომავლობას და დაადგენს, რომელია სომხური და რომელი — არა. როგორ ფიქრობთ, ამ გზით მოხერხდება საკითხის გადაჭრა?**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ეს ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად პრინციპულად უნდა მიუდგეს. რომელიმე ეკლესია, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ის მართლა სომხებმა ააშენეს საქართველოში, უნდა გადაიქცეს მუზეუმად და არა — მოქმედ ეკლესიად, რადგან, აქ რაც უფრო ბევრი იქნება მოქმედი სომხური ეკლესია, მით მეტად შეეცდებიან სომხები თავიანთი იდეოლოგიის დანერგვას. ამ იდეოლოგიის თანახმად კი საქართველო სომხეთის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს.

**— იდეოლოგია და თეორიული გათვლები გასაგებია, მაგრამ რეალურად რა სახეს მიიღებს ეს ყველაფერი?**

— მოდი, ასე შევხედოთ საკითხს: **ვთქვათ, გადავცათ სომხებს ის ეკლესიები, რომლებზეც პრეტენზია აქვთ, ამ ეკლესიებს ხომ ეყოლება მრევლი, ხომ ეყოლება მღვდელი — ტერტერა? დარწმუნებული ვარ, ეს ტერტერები გააჩაღებენ ანტიქართულ პროპაგანდას სომხურ ენაზე. ახლა მითხარით, ვინ გააკონტროლებს მათ რამეს — ამჟამინდელი ხელისუფლება, რომელიც, რასაც უბრძანებენ ამერიკელები, იმას აკეთებს, მაგის გამკონტროლებელია?..**

**«ეს ხელისუფლება, ისევე, როგორც წინა, რასაც უბრძანებენ ამერიკიდან, იმას აკეთებს. არადა, ხომ იცით, რა გავლენიანი ლობი ჰყავს სომხეთს ვაშინგტონში. მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება, წინამორბედის მსგავსად, წყალს ასხამს მტრის წისქვილზე»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



## ენდრიუ პარკერი: სირიაში მებრძოლი ტერორისტები დასავლეთში მასობრივ თავდასხმებს ამზადებენ

**ბრიტანეთის ეროვნული უსაფრთხოების (MI 5-ის) ხელმძღვანელის — ენდრიუ პარკერის განცხადებით, სირიაში მებრძოლი ისლამისტი ტერორისტები დასავლეთში მასობრივ თავდასხმებს ამზადებენ და სადაზვერვო სამსახურები, შესაძლოა, უძლური აღმოჩნდნენ მათ შესაჩერებლად.**

„ჩვენთვის ცნობილია, რომ სირიაში მებრძოლი „ალ ქაიდას“ ტერორისტები დასავლეთის ქვეყნებში ტერაქტებს გეგმავენ. ჩვენი და ჩვენი პარტნიორების მცდელობის მიუხედავად, არ გვაქვს იმედი, რომ მათ შევაჩერებთ“, — განაცხადა ენდრიუ პარკერმა.

2014 წელს დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ქვეყანაში ოთხი ტერაქტი აღკვეთეს.




## გერმანელმა სანიტარმა 30-მდე პაციენტის მკვლელობა აღიარა

**38 წლის მამაკაცს, ქალაქ დელმენჰორსტის კლინიკის ყოფილ სანიტარს, 3 პაციენტის მკვლელობასა და კიდევ 2 ადამიანის მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებენ.** ქალაქ ოლდენბურგის სასამართლოში გამართულ პროცესზე კი ფსიქიატრმა, რომელმაც ყოფილი სანიტრის ფსიქიკური მდგომარეობა გამოიკვლია, განაცხადა, რომ მამაკაცმა მასთან საუბარში 30-მდე პაციენტის მკვლელობა აღიარა. მას პაციენტების ორგანიზმში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო პრეპარატები ჭარბი დოზით შეჰყავდა და მათ სიცოცხლეს ასე უსწრაფებდა.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტეცკოს „პრემიერობის“ ერთი კვირის განმავლობაში ლვოვში 7 ათასი კაცი გამოასალმეს სიცოცხლეს, ძირითადად — ებრაელები; რამდენიმე ათასი დახვრიტეს ქალაქის გარეუბნებში, სადაც უკრაინელი ნაციონალისტები მაროდიორობდნენ. შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში გერმანელმა ფაშისტებმა და მათმა უკრაინელმა თანამზრახველებმა ლვოვში მცხოვრები ყველა ებრაელი დახვრიტეს — დაახლოებით 100 ათასი კაცი. უკრაინული მილიციის რაზმები ებრაელებისთვის ჩამორთმეული ქონებითა და ფულით ფინანსდებოდა. „გერმანული რაზმები (აინზაცკომანდო) კლავდნენ მოზრდილებს, ბავშვების დახვრეტას კი უკრაინელ დამქაშებს ანდობდნენ.**

# გერმანულის გაკვეთილები უკრაინისთვის და არამხოლოდ მისთვის (ნაწილი მესამე)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №46-47 2014 წ.

### იაროსლავ და იაროსლავა სტეცკოები მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნაცისტებთან ერთად სსრკ-ისა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში

იაროსლავ სტეცკომ (1912 წ. ტერნოპოლი — 1986 წ. მიუნხენი) ანტისაბჭოთა კარიერა იატაქვეშა ორგანიზაცია „უკრაინის ნაციონალისტურ ახალგაზრდობაში“ დაიწყო. მალე შევიდა „უკრაინის სამხედრო ორგანიზაციასა“ და „უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციაში“, რომელიც 1929 წელს შეიქმნა უკრაინის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მიზნით. 1939 წელს, როდესაც სტეცკო რომში „უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის“ კონგრესს ამზადებდა, ამ ორგანიზაციის ძველ გვარდიასა (ანდრეი მელნიკი) და ახალგაზრდა რადიკალებს (სტეპან ბანდერა) შორის განხეთქილება მოხდა და ორგანიზაცია ორად გაიყო. სტეცკოსა და ბანდერას ალიანსი 1959 წლამდე გაგრძელდა, ბანდერას გარდაცვალებამდე.

**ბანდერა და მისი თანამებრძოლები თვიანთ ფულს პოლონელი პოლიტიკოსების მკვლელობით შოულობდნენ და ამისთვის პოლონეთის ციხეში ისხდნენ. სწორედ იქ იპოვეს ისინი გერმანელმა ნაცისტებმა, რომლებსაც გეგმა „ბარბაროსასთვის“ უკრაინელი აგენტები სჭირდებოდათ საბჭოთა არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად.** რადიკალურად განწყობილი უკრაინელი ნაციონალისტებიდან ფაშისტებმა იდეოლოგიური მოკავშირეები შეარჩიეს. უკრაინელი ნაციონალისტების ფანატიკური სიძულვილი ებრაელების, რუსებისა და პოლონელების მიმართ სრულად პასუხობდა ფაშისტების მოთხოვნებს და უკვე 1939 წელს დაიწყეს 400 უკრაინელი ნაციონალისტის მომზადება აბვერის ბანაკებში — ზაკოპანეში, კომარნესა და კირხენდორფში. ნაცისტებმა უკრაინელი თანამზრახველები პოლკებში გააერთიანეს.

**„სპეციალური ქვედანაყოფი „ნახტიგალი“ (ასე იწოდებოდა ის აბვერის დოკუმენტებში) ბანდერასა და სტეცკოს ხელმძღვანელობით უკრაინის დამპყრობელთა ავანგარდში უნდა ყოფილიყო. „ნახტიგალს“ დაუსახეს ამოცანა — თავს დასხმოდა საბჭოთა არმიის არიერგარდს და გაეჩაღებინა პარტიზანული ომი. ბანდერელებმა, აგრეთვე, ჩამოაყალიბეს საიდუმლო პოლიცია, რომელსაც დაპყრობილი ტერიტორიები ებრაელებისა და რუსებისგან უნდა გაეწმინდა.** პოლიციის ხელმძღვანელად დანიშნეს **მიკოლა ლებედი** — უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის იერარქიაში მესამე პირი.

ამერიკელმა მკვლევარებმა — ძმებმა **ანდერსონებმა** დაწვრილებით შეისწავლეს აღმოსავლეთევროპელი კოლაბორაციონისტების, კერძოდ, სტეცკოს მოღვაწეობა ომის პერიოდში და მის შემდგომ: „1941 წლის 30 ივნისს ვერმახტის მოწინავე საჯარისო შენაერთები ლვოვში შევიდნენ. მათ შორის იყო უკრაინული „ნახტიგალი“ გერმანელი ოფიცრის — თეოდორ ობერლანდერისა და იაროსლავ სტეცკოს მეთაურობით. სტეცკომ პატარა ოთახში დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბა „ეროვნული საკრებულო“. შემდეგ კი უკრაინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ გამოაცხადა და თავი პრემიერმინისტრად დაინიშნა“.

დარბევები კოდური სახელწოდებით — „პეტლიურას ოპერაცია“ ლვოვში სტეცკოსა და ობერლანდერის სამხედრო შენაერთის შესვლიდან რამდენიმე საათში დაიწყო. ებრაელებს, ინტელიგენციას, ეთნიკურ რუსებს, კომუნისტური პარტიის წევრებს — ყველას, ვისზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ ახალ წესრიგს შეეწინააღმდეგებოდნენ, ფაშისტებმა და უკრაინელმა ნაციონალისტებმა ერთ ადგილას მოუყარეს თავი და დახვრიტეს. **სტეცკოს „პრემიერობის“ ერთი კვირის განმავლობაში ლვოვში 7 ათასი კაცი გამოასალმეს სიცოცხლეს, ძირითადად — ებრაელები; რამდენიმე ათასი დახვრიტეს ქალაქის გარეუბნებში, სადაც უკრაინელი ნაციონალისტები მაროდიორობდნენ. შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში გერმანელმა ფაშისტებმა და მათმა უკრაინელმა თანამზრახველებმა ლვოვში მცხოვრები ყველა ებრაელი დახვრიტეს — დაახლოებით 100 ათასი კაცი.**

**უკრაინული მილიციის რაზმები ებრაელებისთვის ჩამორთმეული ქონებითა და ფულით ფინანსდებოდნენ. „გერმანული რაზმები (აინზაცკომანდო) კლავდნენ მოზრდილებს, ბავშვების დახვრეტას კი უკრაინელ დამქაშებს ანდობდნენ.**




პლაკატი „ჩვენ ერთი გზა გვაქვს“ — გერმანიის ვერმახტის ჯარისკაცი და ეს-ეს-ის უკრაინული დივიზიის მოხალისე

მას შემდეგ, რაც სტალინგრადისთვის ბრძოლამ ომის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, უკრაინელი ნაცისტების საჭიროება კიდევ უფრო გაიზარდა. 1943 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა დაიწყეს გალიციელი მოხალისეებისგან ეს-ეს-ის დივიზიის შექმნა, რომელსაც ეს-ეს-ის გრენადერთა მე-14 ვაფენ დივიზია „გალიჩინა“ (1-ელი უკრაინული) უწოდეს. დივიზიის წევრებისთვის ფიცი ისეთივე იყო, როგორიც რაიხის სხვა მოხალისეთა ქვედანაყოფებისთვის: **„მე გემსახურები შენ, ადოლფ ჰიტლერ, როგორც ფიურერსა და გერმანიის რაიხის კანცლერს, ერთგულებითა და თავდადებით. ვფიცავ, გმორჩილებდე სიკვდილამდე. უფალი იყოს ჩემი შემწე!“**

იმხანად გერმანული პრესა ხშირად აქვეყნებდა მასალას ბოლშევიკებთან ბრძოლაში უკრაინის ამბოხებულთა არმიის წარმატებებზე და ამ ორგანიზაციის წევრებს „თავისუფლებისთვის მებრძოლ უკრაინელებს“ უწოდებდა. მოგვიანებით, უკვე არა — გერმანული, არამედ აშშ-ის სახელმწიფო უწოდებს უკრაინელ ნაციონალისტებსა და სტეცკოს „თავისუფლებისთვის მებრძოლებს“.

ფაშისტური გერმანიის კრახი და მსოფლიოში ძალების ახალი დისპოზიცია, სადაც საბჭოთა კავშირის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა, უკრაინელი ნაციონალისტების დამარცხებას და, აქედან გამომდინარე, რეორგანიზაციის აუცილებლობას ნიშნავდა. 1945 წელს უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის კონფერენციაზე აირჩიეს გამგეობა სამი წევრის შემადგენლობით. ესენი იყვნენ: **სტეპან ბანდერა (თავმჯდომარე), იაროსლავ სტეცკო და გენერალი შუხევიჩი.**

1946 წლის აპრილში მიუნხენში შეიქმნა ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკი (ხაბ), რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ევროპისა და აზიის 15 სახელმწიფოს ანტიკომუნისტური ორგანიზაციები. ხაბ-ის პრეზიდენტად აირჩიეს იაროსლავ სტეცკო. ის ამ მოვალეობას სიცოცხლის ბოლომდე ასრულებდა.

ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკი წარმოადგენდა საბჭოთა რესპუბლიკისა და სოციალისტური ქვეყნების ანტიკომუნისტური ორგანიზაციების საკოორდინაციო ცენტრს, რომელშიც სხვადასხვა პერიოდში შედიოდა ბელარუსის, ბულგარეთის, უნგრეთის, ხორვატიის, ჩეხოსლოვაკიის (მოგვიანებით ჩეხეთისა და სლოვაკიის), საქართველოს, სომხეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და სხვა ქვეყნების ორგანიზაციები. ხაბ-ის შტაბსა და ფილიალებში დაკავებული იყვნენ პროპაგანდისტული მასალების გავრცელებით, ანტისაბჭოთა მანიფესტაციების ორგანიზებითა და საერთაშორისო პრესკონფერენციებისა და კონგრესების გამართვით. 1967 წელს სტეცკოსა და სხვათა ძალისხმევით ჩამოყალიბდა საერთაშორისო ანტიკომუნისტური ლიგა, რომლის გამგეობაშიც სტეცკოს მიენიჭა მუდმივი წევრის სტატუსი. ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის მიზანი ანტისაბჭოთა პროპაგანდის წარმოება იყო. ანტიკომუნისტები მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან რეგულარულად აწყობდნენ თათბირებს, ხშირად ხვდებოდნენ აშშ-ის კონგრესისა და თეთრი სახლის წარმომადგენლებს, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ დასავლეთის ქვეყნების დაზვერვებთანაც.

**50 წლის შემდეგ ზუსტად ასევე დაიწყებენ შეკრებებსა და გამოცდილების გაზიარებას სერბეთის, საქართველოს, უკრაინის, ყირგიზეთისა და სხვა სახელმწიფოების „ფერადი რევოლუციების“ ლიდერები. ისინი ეწვევიან იმავე ოფისებს ვაშინგტონში და შეხვდებიან აშშ-ის პრეზიდენტს — უკვე ჯორჯ ბუშ-უმცროსს. ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რუსეთის წინააღმდეგაც ბრძოლა გლობალური პროექტის ხასიათს შეიძენს. ხაბ-ი, ფორმალურად, 1996 წელს დაიშალა, თუმცა მისი მისია სხვა ორგანიზაციებმა განაგრძეს ახალი სახელწოდებებით.**

1983 წლის 13 ივლისს ყოფილი ჯალათი, ფაშიზმისადმი ერთგულების ფიცის დამდები, ებრაელების, რუსებისა და პოლონელების გენოციდში მონაწილე იაროსლავ სტეცკო თეთრ სახლში მიიწვიეს, რათა აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანისგან მოესმინა: **„თქვენი ოცნება — ეს ჩვენი ოცნებაა. თქვენი იმედი — ეს ჩვენი იმედია“.**

რთული ცხოვრების გზა იაროსლავ სტეცკოს მარტო არ გაუვლია. ყველა წამოწყებასა და ორგანიზაციაში მის გვერდით იდგა მეუღლე და თანამოსაგრე იაროსლავა (სლავა) სტეცკო. როდესაც სტეცკო ხაბ-ს ხელმძღვანელობდა, იაროსლავა ცენტრალური კომიტეტის წევრი, პრესბიუროს ხელმძღვანელი და ხაბ-ის ბეჭდური ორგანოს მთავარი რედაქტორი იყო; მსოფლიოს ანტიკომუნისტური ლიგის შექმნის შემდეგ კი იქ ხაბ-ის მუდმივი დელეგაციის წევრი გახდა. 1986 წელს, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, კი იაროსლავა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის მეთაურად და ხაბ-ის პრეზიდენტად აირჩიეს.

1991 წლის 30 ივნისს იაროსლავა, 47-წლიანი განშორების შემდეგ, პირველად ჩავიდა უკრაინაში — „უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ გამოცხადებიდან 50 წლისთავზე. იმავე წელს ის საბოლოოდ გადაბარგდა უკრაინაში, სადაც უპირველეს ამოცანად უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის ბაზაზე პოლიტიკური პარტიის შექმნა დაისახა, და შექმნა კიდეც უკრაინელი ნაციონალისტების კონგრესი. უკრაინის მოქალაქეობის მიღების შემდეგ იაროსლავა სტეცკო უკრაინის უზენაესი რადის წევრად აირჩიეს. და როგორც უხუცესმა დეპუტატმა, 1998 წლის 14 მაისს ახალარჩეული პრეზიდენტის პირველი სხდომა გახსნა.

**ყველაფერმა, რაზეც ოცნებობდნენ უკრაინელი ნაციონალისტები, რისთვისაც იბრძოდნენ ეს-ეს-ის გრენადერთა მე-14 ვაფენ-დივიზია „გალიჩინის“ რიგებსა და აშშ-ის დაზვერვის აგენტურულ ქსელში, განხორციელება დაიწყო უკრაინის დამოუკიდებლობის დღიდან.**

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ დასრულებისთანავე იუშჩენკოს მთავრობამ უდიდესი ძალისხმევა გამოიჩინა კოლაბორაციონისტების „გასათეთრებლად“ და უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის მოღვაწეობა უკრაინის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლად გამოაცხადა.

### თეოდორ ობერლანდერი: პროფესორი-დემოგრაფი, უკრაინელი ჯალათების კურატორი, მინისტრი გფრ-ის მთავრობაში

თეოდორ ობერლანდერი ეს-ეს-ის იმ უკრაინული ქვედანაყოფების კურატორი იყო, რომლებმაც სტეცკოსა და ბანდერას მეთაურობით ლვოვში ებრაელები, რუსები და პოლონელები დახოცეს.

ობერლანდერის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ძალიან რთულია, მაგრამ არსებობს 1960 წელს გამოცემული წიგნი — „ობერლანდერი: გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის კვლევა“ („Oberlander: A Study in German Eastern Poilitics“), რომლის ავტორები არიან პოლონელი მკვლევარები: ალექსანდრა დროზდინსკი და იანა ზაბოროვსკი, რომლებმაც დოკუმენტურად აღწერეს ობერლანდერის ცხოვრების ეტაპები.

ობერლანდერი დაკავებული იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით — პოლონეთის ეკონომიკის, დემოგრაფიისა და სოციალური ასპექტების შესწავლით. ადგენდა გეგმებს პოლონეთში გერმანელების დასახლებაზე. 1937-38 წლებში მუშაობდა აბვერის ცენტრალურ სამმართველოში — გერმანიის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოში. 1939 წელს გადაიყვანეს ბრესლაუში ▶

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1983 წლის 13 ივლისს ყოფილი ჯალათი, ფაშიზმისადმი ერთგულების ფიცის დამდები, ებრაელების, რუსებისა და პოლონელების გენოციდში მონაწილე იაროსლავ სტეცკო თეთრ სახლში მიიწვიეს იმისათვის, რათა აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანისგან მოესმინა: „თქვენი ოცნება — ეს ჩვენი ოცნებაა. თქვენი იმედი — ეს ჩვენი იმედია“.

(ვროცლავი) აბვერის განსაკუთრებულ განყოფილებაში, რომელიც აბვერის მეორე დეპარტამენტის ამოცანების (საბოტაჟი, ძირგამომთხრელი საქმიანობა, „მეხუთე კოლონების“ ორგანიზება, ფსიქოლოგიური ომი და სხვ.) სარეალიზაციო ცენტრი იყო. ობერლანდერი ამ ამოცანების შესრულებას ხელმძღვანელობდა გერმანიის ჯარების მიერ პოლონეთის დაპყრობის წინ.

შემდეგ ობერლანდერი კრაკოვში გადაიყვანეს — მას უნდა გაეძლიერებინა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია, რომელთანაც უკვე მუშაობდა აბვერი. სწორედ ამ მომენტში დაიწყო განხეთქილება უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციაში (უნო) და ის ორად გაიყო: ანდრე მელნიკისა და სტეპან ბანდერას მომხრეებად. ტერორისტული საქმიანობისა და საბოტაჟის გამოცდილების გამო, აგრეთვე, ობერლანდერის ლობირებით, ფაშისტებმა მხარი სტეპან ბანდერას ჯგუფს დაუჭირეს — უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია „ბ“-ს (ბ — ბანდერას ჯგუფს ნიშნავდა).

1940 წელს ბერლინში მიიღეს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გადაწყვეტილება და უკრაინელ ნაციონალისტებთან თანამშრომლობაც აქტიურ ფაზაში გადავიდა. ობერლანდერი პრაღაში გადაიყვანეს. 36 წლის დემოგრაფმა ობერლეიტენანტის წოდება მიიღო. აბვერმა ჩამოაყალიბა ორი უკრაინული სამხედრო ქვედანაყოფი, რომლებსაც გერმანული დაზვერვის ამოცანები უნდა შეესრულებინა, ამის სანაცვლოდ, უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციას თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება ეძლეოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. სწორედ ამით იყო გამოწვეული სტეცკოს მიერ უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადება და საკუთარი თავის დანიშვნა პრემიერმინისტრის პოსტზე. **ობერლანდერი კი დაინიშნა აბვერისა და უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის ერთობლივ ოპერაციებზე პასუხისმგებელ პირად.**

1941 წლის 8 მაისიდან 18 ივნისამდე პერიოდი ობერლანდერმა ნოიჰამერში მდებარე „ნახტიგალის“ ბაზაზე გაატარა. 12 დღის შემდეგ, 30 ივნისს, ქვედანაყოფები ობერლანდერის მეთაურობით ლვოვში შევიდნენ.

**ობერლანდერს პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება „ნახტიგალის“ დანაშაულებზე, რადგან ეს ქვედანაყოფი უშუალოდ მის ბრძანებებს ასრულებდა. ის ნაწილობრივ პასუხისმგებელია უკრაინის მილიციის მიერ მოწყობილ დარბევებსა და ეთნიკურ წმენდაზე, რადგან სტეცკოს „მთავრობის“ მიერ შექმნილი სადამსჯელო რაზმების პოლიტიკური კურატორი იყო.**

1945 წლის აპრილში, როდესაც ომი დასასრულს უახლოვდებოდა, გაიმართა გერმანელი ოფიცრებისა და კოლაბორაციონისტების შეკრება, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კონტაქტი დაემყარებინათ დასავლელ მოკავშირეებთან. 23 აპრილს ობერლანდერი გაემართა ამერიკელი გენერლის — პატონის შტაბში.

ობერლანდერმა, რომელმაც თავისი ბიოგრაფია გაასუფთავა — გააქრო ჩანაწერები, რომ აბვერის თანამშრომელი იყო — ბავარიაში, ბად კისინგენში დენაციფიკაციის ადგილობრივი კომისიისგან რეაბილიტაციის დოკუმენტი მიიღო. 1950-იანი წლების დასაწყისში ობერლანდერი გერმანიის მთავრობაში ლტოლვილთა საკითხების მინისტრად დაინიშნა. ეს პოსტი ობერლანდერს საშუალებას აძლევდა, „გაესუფთავებინა“ ნაცისტური წარსულის მქონე სხვა პირების ბიოგრაფიები და ისინი სხვადასხვა თანამდებობაზე დაენიშნა. ასე იქნა ასეულობით ყოფილი ნაცისტი რეინტეგრირებული დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო სტრუქტურებში.

## რეინჰარდ გელენი: მესამე რაიხის დაზვერვის ლეგენდა და „ამერიკის №1 ჯაშუში“

ომის დამთავრებიდან ძალიან მალე ვაშინგტონთან ახლოს მდებარე სამხედრო ბაზის აეროდრომზე დაეშვა თვითმფრინავი, რომელმაც იდუმალი მგზავრი ჩაიყვანა. ამერიკის მიწაზე ფეხი დადგა დამარცხებული მტრის ყველაზე ღირებულმა კადრმა — ნაცისტური გერმანიის ლეგენდამ, გენერალ-ლეიტენანტმა რეინჰარდ გელენმა.

1944 წლის დეკემბერში რეინჰარდ გელენი (1902-1979), „განსაკუთრებული ნიჭიერებისა და გამოცდილების“ გამო, აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანიის დაზვერვის მეთაურად დაინიშნა. ის ადრეც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებით იყო დაკავებული აბვერის მეთაურ ვალტერ შელენბერგთან ერთად გერმანიის გენშტაბში.

**1945 წლის მარტში, როცა მიხვდა, რომ მესამე რაიხის ეპოქა დასასრულს უახლოვდებოდა, გელენმა, რამდენიმე დაახლოებულ ოფიცერთან ერთად, მის ხელთ არსებული მასალების მიკროფილმები გადაიღო და ავსტრიის ალპებში რამდენიმე ადგილას დამალა.**

1945 წლის 22 მაისს ბავარიაში ვერმახტის გენერალ-ლეიტენანტი გელენი ტყვედ ჩაბარდა აშშ-ის მე-7 არმიას (გენერალი პატონი) და დაუყოვნებლივ მოითხოვა შეხვედრა აშშ-ის კონტრდაზვერვის წარმომადგენლებთან. გელენმა მათ თავისუფლების სანაცვლოდ თავისი აგენტურული ქსელი და შეგროვებული მასალები შესთავაზა.

ვიდრე საბჭოთა კავშირი ამაოდ ითხოვდა გელენის ექსტრადიციასა და მის მიერ მოპოვებული მასალების გადაცემას, პენტაგონში მხარეებმა ერთმანეთს შესანიშნავად გაუგეს: **ჟურნალ DER SPIEGEL-ის 1954 წლის 23 სექტემბრის ნომრის მიხედვით, ამერიკელებმა გელენის მასალები და აგენტურული ქსელი აღიარეს, როგორც „ფასდაუდებელი“ და გერმანელი გენერლის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს.** გელენმა აღადგინა თავისი სადაზვერვო აპარატი, რომელიც მხოლოდ გერმანელი ოფიცრებისგან შედგებოდა, ამ აპარატის დაფინანსება კი ამერიკის კონტრდაზვერვამ დაიკისრა. გელენთან მოლაპარაკებებს მართავდა ალენ დალესი — მომავალში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი.

პენტაგონისა და გელენის მოლაპარაკებების შედეგად ვერმახტისა და ეს-ეს-ის ასობით ოფიცერი გაათავისუფლეს ტყვეობიდან და შემდეგ სამუშაოდ ცენტრალური გერმანიის მთიან მასივ შპესარტში მდებარე გელენის შტაბში გადაიყვანეს. ასე ჩამოყალიბდა ორგანიზაცია, რომელშიც პირადად გელენის მიერ შერჩეული 350 ოფიცერი მსახურობდა. მათ შორის იყო **ალოის ბრიუნერი**, რომელმაც შექმნა საკონცენტრაციო ბანაკი პარიზთან ახლოს და 140 ათას ებრაელს მოუსწრაფა სიცოცხლე. როდესაც გელენის ორგანიზაციის საკადრო შემადგენლობამ 3000 კაცს მიაღწია, შტაბი გადავიდა მიუნხენთან ახლოს მკაცრად დაცულ ადგილზე. გელენის ორგანიზაციას მოკრძალებული სახელი დაარქვეს: „სამხრეთი გერმანიის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია“.

1950-იანი წლების დასაწყისში ეს ორგანიზაცია უკვე 4000 კაცს ითვლიდა. **გელენის აგენტურული ქსელი მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას კორეიდან ეგვიპტემდე და რუსეთის ციმბირიდან ჩილემდე.** ამ და სხვა ინფორმაციას აქვეყნებს 1946-1947 წლებში სამხედრო დანაშაულების აშშ-ის კომისიის წევრი, გერმანიის გეოპოლიტიკის ექსპერტი ტ. ტეტენსი თავის ნაშრომში „ახალი გერმანია და ძველი ნაცისტები“ (1961 წ.).

1955 წელს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, კანცლერ კონრად ადენაუერის მეთაურობით, დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1956 წლის აპრილში კი გელენის ორგანიზაცია ოფიციალურად შევიდა სახელმწიფო სტრუქტურებში დასავლეთი გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის სახელწოდებით — BND (Bundesnachrichtendienst), რომელსაც, ბუნებრივია, გელენი ხელმძღვანელობდა. მან ეს პოსტი 1968 წელს დატოვა.

ევროპელებისთვის გელენის სახელი ცნობილი იყო: უკვე 1950 წელს გელენის ორგანიზაციის მოღვაწეობაზე ბევრი რამ იცოდნენ გერმანიაში; საბჭოთა დაზვერვა წარმატებით ფილტრავდა გელენის აგენტურულ ქსელს, მაგრამ **ამერიკელმა საზოგადოებამ გელენის შესახებ მხოლოდ 1954 წელს შეიტყო გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ (9 სექტემბრის ნომერი) მეშვეობით, რომელმაც მას „ამერიკის №1 ჯაშუში“ უწოდა:**

**„გელენის გვარი არასოდეს უხსენებიათ კონგრესში ასიგნებების გაცემაზე დებატების მიმდინარეობისას, მაგრამ ის აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფილ 6 მილიონ დოლარს ხარჯავს ყოველწლიურად. მასთან სხვადასხვა ეროვნების ათასობით აგენტი მუშაობს გერმანიის ძველი არმიის ელიტურ კონტრმზვერავებთან ერთად...**

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და პენტაგონი, როგორც ჩანს, ამ გადამდგარ გერმანელ გენერალ-ლეიტენანტს უფრო ენდობა, ვიდრე მოკავშირეთა ნებისმიერ სახელმწიფო მოღვაწეს...“**

ფაშისტების დაზვერვის გენერალ-ლეიტენანტს ასეთი წარმატება იმიტომ ხვდა წილად, რომ აშშ ისევე, როგორც დიდი ბრიტანეთი, გეგმებს აწყობდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უინსტონ ჩერჩილმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც 1945 წლის 1 ივლისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 112-113 დივიზიით, მათ შორის, 12-მდე გერმანული სამხედრო შენაერთით, უნდა დაწყებულიყო ომი. ეს გერმანული დივიზიები 1946 წლის გაზაფხულამდე დანიის სამხრეთში (შლეზვინგ-გოლშტეინის მიწა) მზად იყვნენ საბრძოლველად. 1945 წლის მაისში პრეზიდენტი ტრუმენი დარწმუნებული იყო, რომ აშშ-ის შემდეგი მტერი საბჭოთა კავშირი იქნებოდა, მაგრამ ამერიკას არ ჰქონდა აგენტურული ქსელი აღმოსავლეთ ევროპაში, ამიტომ ძალიან სჭირდებოდა გელენი და მისი ორგანიზაცია. **გელენის ორგანიზაცია მრავალი წლის განმავლობაში რჩებოდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთადერთ შესაძლებლობად, „მოესმინათ“ და „ენახათ“, რა ხდებოდა სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში.**

**ამერიკის ისტებლიშმენტში ნაცისტების ასიმილაციის, მათი ბიოგრაფიის გასუფთავების და მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის პროგრამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1980-იან წლებშიც. ამ პროგრამაში თავისი წვლილი შეიტანა უკრაინის აწ უკვე ყოფილმა პირველმა ლედიმ კატერინა ჩუმაჩენკომაც, რომელიც ძალისხმევას არ იშურებდა, რომ აშშ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები უკრაინელი ნაცისტებისთვის სასჯელი აეცილებინა.**

**ვერც აკრძალვამ ამერიკაში ნაცისტების კადრების გამოყენების შესახებ, ვერც პარალელურად დაწყებულმა ნიურნბერგის პროცესმა და ვერც გელენის მისწრაფებამ, აღედგინა DEUTSCHLAND UBER ALLES, რომლის შესახებაც შეუძლებელია, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს არ სცოდნოდა, ხელი ვერ შეუშალა აშშ-ის მჭიდრო თანამშრომლობას ნაცისტებთან. მიზანი — ბრძოლა სსრკ-ის წინააღმდეგ — ამართლებდა საშუალებას.**

ამ მიზანს იზიარებდა გელენიც: ამერიკასთან თანამშრომლობა მისი ქვეყნის დამმარცხებელი სსრკ-ის წინააღმდეგ, ყველაზე ეფექტიან საშუალებად წარმოედგინა დიდი გერმანიის აღსადგენად. იმ მომენტში, როდესაც ნახევრად დანგრეული ქვეყანა, ნელ-ნელა იწყებდა აღდგენას, გელენი ვაშინგტონში შეტყობინებებს გზავნიდა საბჭოთა კავშირზე შეტევის აუცილებლობის შესახებ. გელენის ბიოგრაფ ე. კუკრიჯის განცხადების თანახმად, 1948 წელს გელენმა თითქმის დაარწმუნა აშშ, რომ საბჭოთა კავშირი მალე დაიწყებდა ომს დასავლეთის წინააღმდეგ და საჭირო იყო წინმსწრები დარტყმები. მოგვიანებით, 1950-იან წლებში გელენი ამტკიცებდა, რომ სსრკ უსწრებს აშშ-ის სამხედრო მშენებლობის სფეროში. **„რაკეტებში ჩამორჩენამ“ ანტიკომუნისტური ციებ-ცხელება გამოიწვია. სწორედ ამ მითის წყალობით მოიპოვა გამარჯვება 1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯონ კენედიმ.**

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი **ვიქტორ მარჩეტი** მოგვითხრობს: „ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში აღმერთებდნენ გელენს, რადგან ის ლაპარაკობდა იმას, რომ მოსმენაც ჩვენ გვსურდა. ჩვენ რეგულარულად ვიყენებდით მის მასალებს და მათ გადავცემდით სხვებსაც — პენტაგონში, თეთრ სახლში, პრესაში. მათაც მოსწონდათ ეს მასალები, მაგრამ ეს იყო ყალბი მასალები რუსულ საშინელებაზე, და მათ ბევრი ავნეს ამ ქვეყანას (აშშ-ს)“.

შესაძლოა, გელენის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო სსრკ-ის „ჩამოშორების“ კონცეფცია და აღმოსავლეთ ევროპის „გათავისუფლება“.

ზემოაღნიშნული კონცეფცია ეფუძნებოდა პოლიტიკურ ბრძოლას და იატაქვეშა ოპერაციების სტრატეგიას, რომელიც მესამე რაიხში შეიმუშავეს ალფრედ როზენბერგის ხელმძღვანელობით. ამ სტრატეგიის ნაწილი იყო სსრკ-ის ნაციონალური უმცირესობების რეკრუტირება მთავრობის დასამხობად. ამისათვის ამ უმცირესობებს „დიდი გერმანიის“ საზღვრებში ნომინალურ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ.

„გათავისუფლების“ თეორია კი, დემოკრატიის დამყარების საბაბით, აღმოსავლეთი ევროპიდან კომუნიზმის ამოძირკვას და სსრკ-ის დაშლას ითვალისწინებდა შემადგენელ ნაწილებად. ეს თეორია ცივი ომის წლებში აშშ-ში პოლიტიკურ მეინსტრიმად იქცა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძალისხმევით „თავისუფლებისთვის“ ჯვაროსნულ ლაშქრობაში გადაიზარდა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

(დასასრული შემდეგ ნომერში)



დივიზია გალიჩინას პლაკატი — „გალიჩინელი ეს-ეს-ელები საომრად მიდიან!“ ლვოვის გერბითა და ჰიტლერის ციტატით



შემართული მუშტი — ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკის სიმბოლო, რომელსაც იყენებდნენ მოძრაობები: „ოტპორ“ (სერბეთში), „კმარა“ (საქართველოში), „ხიბა“ (სომხეთში) და „ობორონა“ (რუსეთში)



გენერალი რეინჰარდ გელენი

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უმრავლესობა ხართ? ცოტაც მოიცადეთ და დაგანახვებთ ჩვენს ძალას – გუშინწინ თუ 0,1% ვიყავით (იმის წინათ კი – 0,001%!), გუშინ – 1%, დღეს უკვე 10 %-ს ვუკაკუნებთ დასავლეთის ქვეყნებში. ხვალ, ეჭვი არ შეგეპაროთ, გადაგისწრებთ კიდეც რაოდენობით, მთავარია, ღმერთმა კარგად გვიმყოფოს აშშ-ის ხელისუფლება, რომელიც თავზე გვევლება და იმ ქვეყნებშიც კი სასათბურე პირობებს გვიქმნის (ფერადი თუ არაფერადი(!) რევოლუციებით და ანტიდისკრიმინაციული კანონებით), რომლებშიც ხმას თუ ამოვიღებდით ოდესმე, არ გვეგონა. ყველას, ვინც ჩვენ გვაწყენინებს, პირად მტრად ჩათვლის ამერიკა და შურს იძიებს ეკონომიკური ან „არაეკონომიკური“(!) სანქციებით!**

# უნდა იკრძალებოდეს თუ არა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა

**მასალის სათაურად გამოტანილი შეკითხვა ბატონმა ვალერი კვარაცხელიამ დაუსვა სტუმრებს თავის ყოველკვირეულ გადაცემაში. იმის გათვალისწინებით, რომ კარგადაა ცნობილი მოსახლეობის უმრავლესობის, ჯერჯერობით ნორმალურად მიჩნეული ადამიანების, ანუ ჰეტეროსექსუალების აზრი, პასუხი ძალიან მოკლედ შეიძლება გაეცეს ამ, ჩვენი დროისთვის ყველაზე საჭირბოროტო კითხვას, მაგრამ უმრავლესობის პრინციპით ნუ გადავწყვეტთ ამ საკითხს, რადგან ყველამ ვიცით, რომ ეს პრინციპი ყოველთვის სამართლიანი არ არის; და ნურც იმ „გამოჩენილ“ მეცნიერთა აზრს დავეყრდნობით, რომლებიც გუშინ ნორმიდან გადახრად, ფსიქიკურ დაავადებად განიხილავდნენ ჰომოსექსუალიზმს, დღეს კი ნორმად მის გავრცელებას მიიჩნევენ; შევეცადოთ, ობიექტურად მივუდგეთ დასმულ საკითხს და გადავწყვიტოთ – უნდა აიკრძალოს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა თუ პირიქით — მიზანმიმართული პროპაგანდით მისაღები გავხადოთ იგი ყველა ოჯახისთვის.**




საერთოდ, სიტყვები — „პროპაგანდა“ და „აკრძალვა“ ცუდად ხვდება ყურს და უსიამოვნო წარსულის (მხოლოდ უსიამოვნო წარსულის) ასოციაციას იწვევს, მაგრამ ვერც ერთს ვერ გავექცევით: ზოგჯერ საჭიროა პროპაგანდა, ზოგჯერ — მისი აკრძალვა. საზოგადოებაში უამრავი რამ არის ასაკრძალავი თუ დასასჯელი (კანონებიც ხომ ამისთვისაა მოგონილი), **მაგრამ აუცილებლად უნდა ისჯებოდეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება, ხოლო მისი პროპაგანდა აუცილებლად უნდა აიკრძალოს!**

სწორედ ამ კრიტერიუმიდან უნდა ამოვიდეთ ყოველთვის, ამ ჭრილში განვიხილოთ ყველა ქმედება, თუ გვინდა, პასუხი ობიექტური გამოგვივიდეს და შემოდავებაც ვერავინ შეძლოს! **ასაკრძალი ქმედების (მოვლენის) ანტისაკაცობრიო არსი უნდა იყოს აქსიომასავით უდავო, ისეთი, რომელსაც დამტკიცება და კენჭისყრა არ სჭირდება!**

კაცობრიობის წინააღმდეგ ძალიან ბევრი დანაშაულებრივი ქმედებაა ჩადენილი, თუნდაც ბოლო საუკუნეში, მაგრამ ეს მაინც ლოკალურად ხდებოდა — მსოფლიო ომებმაც კი მხოლოდ ორი კონტინენტი მოიცვა. იყო კიდევ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული შავი ჭირი და „ისპანკად“ წოდებული გრიპი... დღეს კი ცისარტყელას ფერებით გაფორმებული ფერადი ჭირი (როგორც მას „სიძულვილის ენით“ მოლაპარაკენი უწოდებენ) ყველა კონტინენტზეა გადაჭიმული გიგანტურ ცისარტყელად.

ნუთუ მართლა შავ ჭირთან შესადარებელი მოვლენაა ჰომოსექსუალიზმი და დადებითი არაფერი სცხია? ბუნებაში ხომ ყველაფერს (ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ჩათვლით), სტიქიურ მოვლენებსაც კი, ორი მხარე აქვს — დადებითი და უარყოფითი, ყველაფერს, სიგარეტისა და ჰომოსექსუალიზმის გარდა! **როგორც კი დადგინდა, რომ სიგარეტის მწეველებში ყველა დაავადება (სიმსივნე, ტუბერკულოზი, გულ-სისხლძარღვთა და სხვ.) უფრო მეტი სიხშირით გვხვდება, ვიდრე არამწეველებში (5-ჯერ, 10-ჯერ და 20-ჯერაც), სახელმწიფოებმა, პირველ რიგში, აკრძალეს მისი რეკლამა, ანუ სიგარეტის წევის პროპაგანდა, სიგარეტის კოლოფზე სავალდებულო გახდა გამაფრთხილებელი წარწერების გაკეთება მისი მავნეობის თაობაზე და საზოგადოების თავშეყრის ადგილებშიც მოწევა აიკრძალა.**

ჰომოსექსუალიზმზეც ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ მას რაიმე დადებითი მხარე აქვს, რაიმე სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის; უარყოფითი კი, იცოცხლეთ, იმდენია! **ჰომოსექსუალობის მხოლოდ მორალურ-ესთეტიკურ მხარეზე, მის პათოლოგიურობასა და ცოდვაზე საუბრით ჰომოსექსუალებთან და მათ დამცველებთან დავა უპერსპექტივოა, ვერაფერს გავხდებით.** არადა, მხოლოდ ამ არგუმენტებს იყენებენ მათ გასაკრიტიკებლად, ჰომოსექსუალიზმის მიუღებლობის დასამტკიცებლად: რომ გულისამრევია ორი მამათმავლის ტუჩებში კოცნის ხილვა, ამ ორიდან ერთ-ერთის, ძველი სამედიცინო ტერმინოლოგიით — „პასიური“ პედერასტის ქალური ჩაცმულობა; რომ ჰომოსექსუალების სახით საქმე გვაქვს ავადმყოფებთან (ასე ითვლებოდა საუკუნეების განმავლობაში) და, უდიდესი ცოდვის ჩამდენ ადამიანებთან (ასე თვლიდა და თვლის ყველა ძირითადი რელიგია). ამ ბრალდებებზე ჰომოსექსუალებს ერთობ „მყარი“ კონტრარგუმენტები აქვთ: არ მოგწონთ ჩვენი მიხვრა-მოხვრა, ჩაცმულობა თუ კოცნაობა? — ეგ თქვენი პრობლემაა; ჩვენ მოგვწონს, თქვენ კი შეგიძლიათ, არ გვიყუროთ; ავადმყოფებად გვთვლით? კარგა ხანია, ეს დრო წარსულს ჩაბარდა — **ამერიკელმა მედიკოსებმა 40 წლის წინათ დაადგინეს, რომ ჰომოსექსუალობა აღარ არის ნორმიდან გადახრა, ამერიკელებს ევროპელებმაც მიბაძეს 10 წლის შემდეგ, ახლა უკვე თქვენ ხართ ავადმყოფები, ჩვენ რომ გვიყურებთ, როგორც ავადმყოფებს; რელიგია ამბობს, დიდი ცოდვააო? სოდომ-გომორის ზღაპრები თქვენთვის შეინახეთ, ჩვენ არ გვაინტერესებს ამგვარი რელიგია და ეკლესია, და, თუ მაინც დაგვჭირდა, ჩვენი მიმდევარი მღვდელ-ეპისკოპოსების ძებნაც არ გაგვიჭირდება**. კიდევ ერთი არგუმენტი გაქვთ ჰეტეროსექსუალებს: **უმრავლესობა ხართ? ცოტაც მოიცადეთ და დაგანახვებთ ჩვენს ძალას — გუშინწინ თუ 0,1% ვიყავით (იმის წინათ კი — 0,001%!), გუშინ – 1%, დღეს უკვე 10 %-ს ვუკაკუნებთ დასავლეთის ქვეყნებში. ხვალ, ეჭვი არ შეგეპაროთ, გადაგისწრებთ კიდეც რაოდენობით, მთავარია, ღმერთმა კარგად გვიმყოფოს აშშ-ის ხელისუფლება, რომელიც თავზე გვევლება და იმ ქვეყნებშიც კი სასათბურე პირობებს გვიქმნის (ფერადი თუ არაფერადი(!) რევოლუციებით და ანტიდისკრიმინაციული კანონებით), რომლებშიც, ხმას თუ ამოვიღებდით ოდესმე, არ გვეგონა.** ყველას, ვინც ჩვენ გვაწყენინებს, პირად მტრად ჩათვლის ამერიკა და შურს იძიებს ეკონომიკური ან „არაეკონომიკური“(!) სანქციებით! ჭკუით იყავით, ჰეტეროსექსუალებო, თორემ ხომ ხედავთ, ჩვენსავით სწრაფად ვერც ერთი ერი ვერ მრავლდება მსოფლიოში, და ჩვენისთანა სოლიდარობა, ჩვენისთანა ორგანიზებული ერთობა მსოფლიოში არავის აქვს!

**კაცობრიობას არასოდეს დამუქრებია ისეთი საფრთხე, როგორიც ჰომოსექსუალიზმია, მასთან შედარებით, ნებისმიერი ჭირი მონაგონია. მართალია, ჭირი მუსრს ავლებს მილიონობით ადამიანს, მაგრამ მასაც კი აქვს დადებითი მხარე –ბუნებრივი დეპოპულაციის შედეგად გასამრავლებლად რჩებიან ძლიერი იმუნიტეტის მქონე ადამიანები, ანუ ბუნებრივი შერჩევით ერის გენეტიკური გაუმჯობესება ხდება. ფერადი ჭირი — ჰომოსექსუალიზმი კი, გაუმჯობესების ნაცვლად, ადამის მოდგმას ჯერ გადაგვარებით ემუქრება და შემდეგ — გადაშენებით!**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავი **უნდა დავანებოთ იურიდიულად არაფრის მომცემი კატეგორიებით მსჯელობას, დავას; და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის დამცველებს პირდაპირ ბრალი უნდა დავდოთ (ხელისუფლებამ კი — წაუყენოს!) ისეთი ქმედების ხელშეწყობაში, რომელიც კაცობრიობას, ადამის მოდგმას უდიდეს საფრთხეს უქმნის.**

ერთი-ორი შვილი როცა ჰყავს ოჯახს, ის ერი დგას გადაშენების საფრთხის წინაშე და, როცა უშვილო ჰომოსექსუალური წყვილები მრავლდებიან, მაშინ ხომ ასეთი „გამრავლება“ თვითგადაშენების წინაპირობაა, მისი ტოლფასია?!

**კაცობრიობას არასოდეს დამუქრებია ისეთი საფრთხე, როგორიც ჰომოსექსუალიზმია, მასთან შედარებით, ნებისმიერი ჭირი მონაგონია.** მართალია, ჭირი მუსრს ავლებს მილიონობით ადამიანს, მაგრამ მასაც კი აქვს დადებითი მხარე — ბუნებრივი დეპოპულაციის შედეგად გასამრავლებლად რჩებიან ძლიერი იმუნიტეტის მქონე ადამიანები, ანუ ბუნებრივი შერჩევით ერის გენეტიკური გაუმჯობესება ხდება. **ფერადი ჭირი — ჰომოსექსუალიზმი კი, გაუმჯობესების ნაცვლად, ადამის მოდგმას ჯერ გადაგვარებით ემუქრება და შემდეგ – გადაშენებით!**

მიუხედავად ასეთი საგანგაშო სურათისა, არათუ ზომებს იღებენ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, პირიქით, ყველა საშუა- ▶



## ჩეხეთის პრეზიდენტმა ბანდერას მომხრეების მარში ფაშისტების აქციებს შეადარა

**1 იანვარს კიევში გაიმართა მსვლელობა ჩირაღდნებით, რომელიც უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერის — სტეპან ბანდერას დაბადებიდან 106-ე წლისთავს მიეძღვნა.**

„უკრაინაში უცნაური რაღაცები ხდება. მოაწყვეს მარში სტეპან ბანდერას პატივსაცემად, რომელიც, სხვათა შორის, ჰგავს რეინჰარდ ჰეიდრიხს — გერმანელი ფაშისტების მიერ ოკუპირებული ჩეხეთის რაიხსპროტექტორს. ყველაფერი ზუსტად ისევე იყო ორგანიზებული, როგორც ნაცისტების მარშები ჰიტლერელთა გერმანიაში. ეს 2015 წელს მოხდა უკრაინაში, სადაც, როგორც ჩანს, რაღაც ცუდი ხდება. ცუდი ხდება ევროკავშირშიც, რომელმაც ამ აქციის მიმართ პროტესტი არ გამოხატა“, — განაცხადა რადიოსადგურ Frekvence-სთვის მიცემულ ინტერვიუში ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის დამცველებს პირდაპირ ბრალი უნდა დავდოთ (ხელისუფლებამ კი — წაუყენოს!) ისეთი ქმედების ხელშეწყობაში, რომელიც კაცობრიობას, ადამის მოდგმას უდიდეს საფრთხეს უქმნის.

◀ ლებით (პრესით, ტელევიზიით, კანონებით) ხელს უწყობენ მის გავრცელებას! და ამ პოლიტიკას ატარებს დასავლეთი შეერთებული შტატების მეთაურობით.

ის, რაც ზემოთ ვთქვი ადამის მოდგმის გადაშენების საფრთხეზე, რომელიც ჩვენისთანა პატარა ერებს მოუღებს ბოლოს, შეუძლებელია, ნებისმიერ ადამიანს არ ესმოდეს. ასე რომ, ეს კარგად მოეხსენებათ იმათაც, ვინც განსაზღვრავს ამერიკისა და, დიდწილად, მსოფლიოო პოლიტიკას. მაშ, რა მოტივი უნდა ამოძრავებდეთ მათ? ეს მოტივი არც არის დამალული ძლიერთა ამა ქვეყნისა მიერ. სულ რაღაც რამდენიმე ათეული ან, რამდენიმე ასეული ადამიანის მიერ, კარგა ხანია, გადაწყვეტილია მსოფლიოს მზარდი მოსახლეობის შემცირება სხვადასხვა გზით, და მისი დაყვანა მილიარდამდე, ანუ შემცირება ექვს მილიარდზე მეტით! მათი ჩანაფიქრი თითქოს პრაგმატულ მიზნებს ემსახურება, ოღონდ დეპოპულაციის მეთოდებს — ომები იქნება ეს, შიმშილობა, გენმოდიფიცირებული საკვები, სავალდებულო ვაქცინაციები (მაგალითად, საშვილოსნოს ყელის კიბოს საწინააღმდეგო, რომელსაც მოზარდ გოგონებთან ერთად ზოგჯერ ბიჭებსაც(!) უტარებენ, თანაც, უფასოდ), ლაბორატორიებში ხელოვნურად გამოყვანილი ვირუსები და შესაბამისი ეპიდემიები (მაგალითისთვის ღორის გრიპიც კმარა, როდესაც ნახევარ მსოფლიოს იძულებით გააწყვეტინეს ღორი!) და ჰომოსექსუალიზმი — ისინი საზღვრავენ და, გადასაშენებელ ხალხთა სიისაც ადგენენ! მოხვედრილნი ვართ თუ არა ამ სიაში, უცნობია. რომც არ ვიყოთ, მაინც ვიტყოდი — ვის **აქვს უფლება, ერებს გამრავლება-გადაშენების ბედი გადაუწყვიტოს, პირში დემოკრატიაზე ელაპარაკებოდეს და ზურგს უკან სამარეს უთხრიდეს?!**

ამიტომ ყველა ერმა თავის ხელისუფლებას უნდა მოსთხოვოს არა ყბადაღებული ადამიანის უფლებების დაცვა, რომელსაც იქ აბამენ კუდს, სადაც მოესურვებათ, არამედ — თვითონ ადამიანის დაცვა!

თუ რამ შეუწყო ჰომოსექსუალების მომრავლებას ხელი, ამაზე ამჟამად არ შევჩერდები, ამის შესახებ ბევრი მაქვს ნათქვამი ექვსი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ წერილებში და ამიტომ შეიძლებოდა აქ დამესვა წერტილი, მაგრამ ბატონი ვალერი კვარაცხელიას გადაცემა ტყუილად არ მიხსენებია დასაწყისში.

განმაცვიფრა გადაცემის სტუმრის, ჟურნალისტიკაში გაწაფული, ამერიკელთა ცხოვრებაში ჩახედული და, საერთოდ, ცნობილი ადამიანის, ბატონი ნუგზარ რუხაძის პოზიციამ, მისმა მოსაზრებებმა. ბევრ რამეზე შეიძლებოდა გამოდევნება, მაგრამ მხოლოდ ორ ეპიზოდზე შევჩერდები. წამყვანის მიერ დასმულ კითხვაზე: „უნდა იკრძალებოდეს თუ არა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა?“ და, მის თხოვნაზე – პასუხი მოკლედ ყოფილიყო გაცემული: „ჰო თუ არა“, აი, რა უპასუხა ბატონმა ნუგზარმა (ერთობ ვრცლად გაცემული პასუხის გამო, მომყავს უმნიშვნელო შემოკლებით):

„ესე არ შეიძლება, ადამიანს პირს ვერ აუკრავ, **არავითარი პროპაგანდა არ უნდა იკრძალებოდეს, ომის პროპაგანდის გარდა.** ეს არის მისი თავისუფლების გამოხატვის უფლება. ვთვლი, რომ **ადამიანებს ვერ აუკრძალავ იმის თქმას, რაც მას მიაჩნია სწორად. რა შუაშია პროპაგანდა?!** ის ამბობს იმას, რაც მას მიაჩნია სწორად. **თანამედროვე სამყაროში ძალიან ძნელია, ადამიანებს აუკრძალო ლაპარაკი.** პროპაგანდა რა არის? პროპაგანდა არის ლაპარაკი, ხო, ხმამაღლა თქმა იმისა... ასე მარტივი არ არის თანამედროვე სამყაროში რაღაცების აკრძალვა. **პროპაგანდის აკრძალვა ნიშნავს, ადამიანს ლაპარაკის უფლება რომ შეუზღუდო, აზრის გამოთქმის უფლება“.**



**ვის აქვს უფლება, ერებს გამრავლება-გადაშენების ბედი გადაუწყვიტოს, პირში დემოკრატიაზე ელაპარაკოს და ზურგს უკან სამარე გაუთხაროს. ამიტომ ყველა ერმა თავის ხელისუფლებას უნდა მოსთხოვოს არა ყბადაღებული ადამიანის უფლებების დაცვა, რომელსაც იქ აბამენ კუდს, სადაც მოესურვებათ, არამედ — თვითონ ადამიანის დაცვა!**



მოკლედ, „შედევრებია“ პირდაპირ! დაახლოებით იმ კოლოს დღეში ვარ, ნუდისტების პლაჟზე რომ მოხვდა და ვერ გადაუწყვეტია, საიდან, რომელი შიშველი ნაწილიდან შეუდგეს საქმეს. ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ თანმიმდევრობით მივყვები და მოკლე კომენტარებით შემოვიფარგლები:

**„არავითარი პროპაგანდა არ უნდა იკრძალებოდეს, ომის პროპაგანდის გარდა“.**

ეს როგორ, ბატონო ნუგზარ, დავიჯერო, მართლა ასე ფიქრობთ?! ომის გარდა ყველა დანარჩენი პროპაგანდა დასაშვებია?! რაღა დაგიმალოთ და, ეს მაგონებს განსვენებული ბენდუქიძის სიტყვებს: ყველაფერი უნდა გავყიდოთ, ნამუსის გარდაო.

**„ადამიანებს ვერ აუკრძალავ იმის თქმას, რაც მათ მიაჩნიათ სწორად, რა შუაშია პროპაგანდა?!“**

ეგ სად არის ასე — ვისაც რაც უნდა, იმას სად ლაპარაკობენ საჯაროდ? გააჩნია რას ლაპარაკობ, თორემ, პროპაგანდის წამოწყებას კი არა, სიტყვის თქმას ვერ მოასწრებ ხეირიანად, ისე „აგიკრავენ“ პირს!

**„თანამედროვე სამყაროში ძალიან ძნელია, ადამიანებს აუკრძალო ლაპარაკი“.**

სრულიადაც არა! მთელ რიგ თემებზე საჯარო კრიტიკული გამოსვლები, ანუ საკუთარი აზრის გამოთქმა აკრძალულია კანონის(!) ძალით სწორედ დემოკრატიულ დასავლეთში და მსგავსი კანონები მიღებული აქვს არა მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებს, არამედ ევროკავშირსა და გაეროს! შეუძლებელია, ეს არ იცოდეს ბატონმა ნუგზარმა!

**„პროპაგანდის აკრძალვა ნიშნავს, ადამიანს ლაპარაკის უფლება რომ შეუზღუდო, აზრის გამოთქმის უფლება“.**

მაშ, რუსეთში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა რომ აიკრძალა და პრესა-ტელევიზიაში, კინოსა და თეატრში კიდევ — გინება, აზრის გამოთქმის უფლება 140 მილიონ რუსეთის მოქალაქეს შეეზღუდა?!

ერთი სიტყვით, ბატონმა ნუგზარ რუხაძემ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვას მხარი არ დაუჭირა! გაგაცნობთ მის შემაჯამებელ, გადაცემის მიწურულს გაკეთებულ მოსაზრებასაც:

„ამერიკაში არის ასეთი რადიოგადაცემა — „დოქტორი ლორა“. ეს არის დოქტორი ლორა შლესინგერი. ეს არის უჭკვიანესი ქალი, რომელიც თავის გადაცემაში დღეს არ გამოტოვებს, რომ ეს არ ახსენოს – ბავშვი რომ გაიზარდოს წესიერად და კარგად, მას სჭირდება დედა და მამა. საქმე რაშია, იცით? სად მივედით, იცით? **რაღაც გვეწვია ისეთი, რასაც კაცობრიობა ვერ გაექცევა.** ჩვენ ჩვენი ინტერესები გვაქვს, ეროვნული, **ჩვენ ამას, რაღაცნაირად, ალღო უნდა ავუღოთ, ისეთი ალღო, რომ ჩვენ ამან არაფერი დაგვიშავოს. აი, ჩემი განწყობა ასეთია...“.**

რაც შეეხება ლორა შლესინგერის გადაცემებს, ბატონმა ნუგზარმა უნდა იცოდეს (ვგონებ, ამერიკაში იყო იმ დროს), რომ სიმართლის საჯაროდ მთქმელ ამ ქალბატონს თავზედი აწყევლინეს ჰომოსექსუალებმა, როდესაც მან **ჰომოსექსუალიზმს „ბიოლოგიური შეცდომა“ უწოდა.** ამას ისეთი ანტიშლესინგერისეული კამპანია მოჰყვა ამერიკის მასშტაბით, რომ რადიოსადგურს დახურვა დაემუქრა, საქვეყნოდ ცნობილ ექიმ ქალს კი საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოუწია. და რისთვის? — სიმართლის თქმისთვის, თანაც სად? — ამერიკაში! ვერ აუკრძალეს, ბატონო ნუგზარ, ჰომოსექსუალებმა ადამიანს იმის თქმა, რაც მას მიაჩნდა სწორად და, რაც მართლაც სწორი იყო თუ რა?!

**„რაღაც გვეწვია ისეთი, რასაც კაცობრიობა ვერ გაექცევა“.**

უკაცრავად, მაგრამ საიდან გვეწვია? ზეციდან ჩამოვარდა?! დავიჯერო, აზრზეც არ არის ბატონი ნუგზარი?! „კაცობრიობა ვერ გაექცევა“ — როგორ გაექცევა, როცა ძალით გვტენიან ჰომოსექსუალიზმის გასაჯეჯილებელ კანონებს?! არც ამის შესახებ სმენია არაფერი ბატონ ნუგზარს?!

**„ჩვენ ამას რაღაცნაირად ალღო უნდა ავუღოთ, ისეთი ალღო, რომ ჩვენ ამან არაფერი დაგვიშავოს“.**

ეგრე სად არის თაყაო – შენ ხელი არ გაანძრიო, პირიქით, ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა არ აკრძალო, გეიაღლუმებისთვის ხელის შემშლელები დააპატიმრო, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტერმინი – პედერასტი აკრძალო, უძველესი ქართული ლიტერატურული შესატყვისის – მამათმავლობის ხმარებაც ამიკრძალო, მათი კრიტიკა სიძულვილის ენად ჩამითვალო და მაინც გინდა, რომ ამ ფერადმა ჭირმა „არაფერი დაგვიშავოს“ და, „რაღაცნაირად“, „ჩვენ ჩვენი ეროვნული ინტერესებიც“ დავიცვათ?! კარგია, მე და ჩემმა მზემ, მაგრამ ეგრე ზღაპრებშიც არ ხდება! ალღო, მე თუ მკითხავთ, ჩვენმა „მტერმა“ — რუსეთმა აუღო, როცა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა აკრძალა. რა, ჩვენ გვაწყენდა ანალოგიური კანონის მიღება? მაგრამ როგორ მივიღებთ, როცა „სტრატეგიულ მეგობარს“ სულ საპირისპირო ალღო აქვს აღებული — ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაც დაშვებული აქვს, ერთსქესიანთა ქორწინებაც და მამათმავალ-ლესბოსელი წყვილების მიერ შვილად აყვანის უფლებაც!

**იმ გამოცდილებიდან, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში დამიგროვდა და ბატონი ნუგზარის მოსაზრებებიდან გამომდინარე, «გონივრული ეჭვი» მიჩნდება, რომ ისევე, როგორც ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია და ე. წ. «დამოუკიდებელი» ექსპერტი, ბატონი ნუგზარ რუხაძეც და მისი ინგლისურენოვანი გაზეთიც უცხოეთიდან ფინანსდებიან**

თავს ვერ დავდებ, მაგრამ იმ გამოცდილებიდან, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში დამიგროვდა, და ბატონი ნუგზარის მოსაზრებებიდან გამომდინარე, „გონივრული ეჭვი“ მიჩნდება, რომ ისევე, როგორც ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია და ე.წ. დამოუკიდებელი ექსპერტი, ბატონი ნუგზარ რუხაძეც და მისი ინგლისურენოვანი გაზეთიც უცხოეთიდან ფინანსდებიან.

**იაკობ ლეჟავა**

მოკლედ

## სირია აღშფოთებულია მაკკეინის უკანონო ვიზიტებით



**სირიის ელჩმა გაეროში — ბაშარ ჯააფარიმ საპროტესტო წერილით მიმართა გაეროს ხელმძღვანელობას იმის თაობაზე, რომ დასავლელი მაღალჩინოსნები და პოლიტიკური მოღვაწეები, კერძოდ, ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, უვიზოდ, არალეგალურად ჩადიან სირიის ტერიტორიაზე, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „როიტერი“.**

„ასეთი ქმედება სირიის სუვერენიტეტის შებღალვა და სირიაზე გაეროს რეზოლუციის აღმაშფოთებელი დარღვევაა“, — დაწერა ჯააფარმა გაეროს ხელმძღვანელობისადმი მიმართვაში.

ელჩის განცხადების თანახმად, სირიაში უკანონოდ შედიან „გარკვეული ჟურნალისტები და მაღალჩინოსნები“. მაგალითად, 2013 წლის ივნისში სირიის ტერიტორიაზე უკანონოდ შევიდა სენატორი **ჯონ მაკკეინი**, 2014 წლის ნოემბერში — საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **ბერნარ კუშნერი**, 2014 წლის დეკემბერში — აშშ-ის ყოფილი დიპლომატი **პიტერ გალბრეიტი**.

ჯააფარი მოუწოდებს გაეროს გენმდივან პან გი მუნს და უშიშროების საბჭოს, ზემოქმედება მოახდინონ მთავრობებზე, რათა მათი მოქალაქეები სირიის ტერიტორიაზე უკანონოდ არ შევიდნენ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპაში ტაძრების დაკეტვა ევროპელთა შორის რწმენის შესუსტებაზე მიანიშნებს და მტკივნეულია ევროპელი სასოწარკვეთილი საზოგადოებისათვის, რადგან ისინი რწმენაში მნიშვნელოვან გამაერთიანებელ ძალას ხედავენ.**

# გასაყიდი ტაძრები

**იმის გამო, რომ ასობით ეკლესია დაიკეტა და ბევრს მრევლის შემცირების პერსპექტივა ელის, ჩნდება კითხვა: რა ბედი ეწევა ნაგებობებს? ახლახან ნიდერლანდებში, არნემში ძველისძველი ეკლესიის შენობაში ტრიუკების შესასრულებლად ოცამდე სკეიტბორდისტი შეიკრიბა.**



ეს ადგილობრივი „საკატაო“ მოედანი — Arnhem Skate Hall წმიდა იოსების ტაძრის გადაკეთების უგუნური მცდელობის შემდეგ გაჩნდა. ამ ტაძრის მრევლი ერთ დროს ათასამდე კაცს შეადგენდა.

**წმიდა იოსების ტაძარი ერთ-ერთია დასავლეთ ევროპაში იმ ასობით ტაძართა შორის, რომლებიც უკვე დაიკეტა ან დღედღეზე დაიკეტება მრევლის რაოდენობის შემცირების გამო და პრობლემად იქცევა ხელისუფლებისთვის** როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე. რა უნდა მოუხერხონ დაცარიელებულ შენობებს, რომლებიც დიდი ბრიტანეთიდან დანიამდე ყველგანაა?

გამორიცხული არ არის, რომ არნემის „საკატაო მოედანმა“ დიდხანს ვერ გაძლოს, რადგან ტაძრის ერთ დროს დიდებული შენობა ნესტის ზემოქმედების შედეგად იშლება და დაუყოვნებლივ რემონტს საჭიროებს. ქალაქის ხელმძღვანელობა „საკატაო მოედნის“ სტუმრებისგან გადასახადს იღებს, რომის კათოლიკური ეკლესია კი, რომელსაც ამ დრომდე ეკუთვნის აღნიშნული შენობა, ცდილობს, გაყიდოს ის საკმაოდ ძვირად.

რთული მდგომარეობა, რომელიც არნემის ტაძრის გარშემო შეიქმნა, დამახასიათებელია ევროპის მრავალი ტაძრისთვის, რომლებიც ახლა დაუნდობლად კარგავენ კავშირს ეკლესიასა და სულიერებასთან.

**ევროპაში ტაძრების დაკეტვა ევროპელთა შორის რწმენის შესუსტებაზე მიანიშნებს და მტკივნეულია ევროპელი სასოწარკვეთილი საზოგადოებისათვის, რადგან ისინი რწმენაში მნიშვნელოვან გამაერთიანებელ ძალას ხედავენ.**

ტენდენციები, რომლებიც ევროპის ქრისტიანულ მრევლში შეინიშნება, ასე საგრძნობი არ არის სხვა რელიგიებში. **ევროპაში უპირატესობის მქონე ორთოდოქსალური იუდაიზმი პრაქტიკულად არ განიცდის რაიმე ცვლილებებს. რაც შეეხება ისლამს, მან პოზიციები მხოლოდ გაიმყარა აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნებიდან იმიგრანტების ნაკადის ხარჯზე.**

ვაშინგტონის კვლევითი ცენტრის — Pew-ის მონაცემებით, 2010 წელს ევროპის მთელი მოსახლეობის რაოდენობიდან მუსლიმანთა რაოდენობა 6%-მდე გაიზარდა. 2030 წლამდე კი ამ მაჩვენებელმა, შესაძლოა, 8%-ს მიაღწიოს, ანუ 58 მილიონი ადამიანი შეადგინოს.

იმ ტაძრების დაკეტვა, რომლებიც ძირითადად ქალაქებისა და სოფლების ცენტრალურ მოედნებზეა განლაგებული, ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე. დაკეტვისთანავე ადგილობრივი ხელისუფლებები ცდილობენ, ისტორიულ ნაგებობებს რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია მოუძებნონ და ადგილობრივ მოსახლეობაში ერთიანობის ატმოსფერო შექმნან, მაგრამ, როგორც წესი, ამ შენობების შენახვა ძალზე ძვირი ჯდება, გარდა ამისა, ბიბლიოთეკებისა და საკონცერტო დარბაზების რაოდენობა, რომელთა შენახვაც ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია, შეზღუდულია. ამიტომ ტაძრების დიდებულ შენობებს, როგორც წესი, კომერციული პროექტებისთვის იყენებენ.

ევროპის მასშტაბით დაკეტილი ტაძრები ჯერჯერობით არც ისე ბევრია, მაგრამ, თუ ცალკეული ქვეყნების მიხედვით დავითვლით, შთამბეჭდავ ციფრებს მივიღებთ.

**ანგლიკანური ეკლესია ყოველწლიურად დაახლოებით 20 ტაძარს კეტავს, დანიაში 200-მდე ტაძარი მიტოვებულია, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მხოლოდ გერმანიაში 515 ეკლესია დაკეტა.**

**ეს სამწუხარო ტენდენცია ყველაზე მძაფრად ნიდერლანდებში შეინიშნება. ქვეყნის უმაღლესი კათოლიკური სამღვდელოების შეფასებით, მომავალი 10 წლის განმავლობაში ამჟამად მოქმედი 1600 ტაძრის ორი მესამედი შეწყვეტს ფუნქციონირებას.** მხოლოდ ჰოლანდიაში უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში, დიდი ალბათობით, დაკეტვა ემუქრება 700-მდე პროტესტანტულ ეკლესიას.

აშშ-ში ეკლესიების მასობრივად დაკეტვა ჯერჯერობით არ ხდება, მაგრამ, როგორც რელიგიათმცოდნენი ირწმუნებიან, მორწმუნეთა და რელიგიური წესების მიმდევართა რაოდენობის შემცირება ამერიკაშიც იმაზე მიანიშნებს, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში ეს ქვეყანაც ევროპის ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**ანგლიკანური ეკლესია ყოველწლიურად დაახლოებით 20 ტაძარს კეტავს, დანიაში 200-მდე ტაძარი მიტოვებულია, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მხოლოდ გერმანიაში 515 ეკლესია დაკეტა**



მრავალი ევროპული ტაძარი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ცენტრს, რომლის ირგვლივაც ერთიანდებოდა მოსახლეობა, ყალიბდებოდა თემები, ამიტომ მოსახლეობა ხშირად წინააღმდეგობას უწევს ამ შენობების მაღაზიებად ან რაიმე სახის დაწესებულებად გადაკეთებას.

მაგალითად, **ჰოლანდიაში** ერთი ტაძარი სუპერმარკეტად გადააკეთეს, მეორე — ყვავილების მაღაზიად, მესამე — წიგნების მაღაზიად, მეოთხე კი — სპორტულ დარბაზად. იმავე არნემში 1889 წელს აშენებული ეკლესიის შენობაში ახლა გახსნილია ტანსაცმლის მაღაზია სახელწოდებით „ჰუმანოიდი“.

**ბრისტოლში, წმიდა პავლეს ტაძარში ცირკის არტისტების სკოლა Circomedia ფუნქციონირებს.**

**შოტლანდიურ ედინბურგში მდებარე ლუთერანული ტაძარი კი ფრანკენშტეინის სტილის ბარად გადააკეთეს** — ინტერნეტი გაფორმებულია კობებით, ლაზერული ტექნიკითა და მონსტრი ფრანკენშტეინის უზარმაზარი ფიგურით, რომელიც ზუსტად შუა ღამეს ჭერიდან ეშვება. როგორც ამ ბარის მეპატრონე ირწმუნება, ეკლესიის შენობის ამგვარად გამოყენების გამო რაიმე საჩივარი ერთხელაც არ მოუსმენია.

მრავალი მომცრო ტაძარი საცხოვრებელ სახლადაა გადაკეთებული.

ინგლისისა და შოტლანდიის ეკლესიები ინტერნეტში აქვეყნებენ მათ მფლობელობაში არსებული შენობების აღწერილობებს, როგორც უძრავი ქონების ნამდვილი სააგენტოები. მაგალითად, ინგლისში, ბაკაპეში მდებარე წმიდა იოანეს ტაძარი მყიდველს სთავაზობს მაღალ, ბოძებით გაყოფილ შენობას და სარდაფებს ქვის ჭერით. ამ ნაგებობის ღირებულება 160 ათასი დოლარია.

ბრიტანული საიტი Our Property კი უფრო გულახდილად მოქმედებს. „თქვენ თვლით, რომ თანამედროვე ულიმღამო სახლებში ცხოვრება ჯოჯოხეთში ტანჯვის ტოლფასია? ხომ არ გეჩვენებათ, რომ გადაკეთებულ ტაძარში ცხოვრება სამოთხის სიამოვნების ტოლფასი იქნება? თუ ასეა, ჩვენ თქვენთვის მრავალი ტაძრის გადაკეთებული შენობა გვაქვს და ჩვენი სპეციალისტები მზად არიან, დაგეხმარონ, გადახტეთ უცნობ სამყაროში“.

მიტოვებული ტაძრები დღეისათვის საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და ამით სახელმწიფო ორგანოებიც უნდა დაკავდნენ. ნიდერლანდების ხელისუფლებამ რელიგიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა ამ შენობების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა. **ჰოლანდიური პროვინცია ფრისლანდია, რომლის ტერიტორიაზე მდებარე 729 ეკლესიიდან 250 დაიკეტა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად სპეციალურ ჯგუფს აყალიბებს.**

როდესაც ნიდერლანდების ავგუსტინური ორდენის მონასტრის წინამძღოლი პაულ კლემენტი ბერად 1958 წელს აღიკვეცა. იმ დროს მონასტერში 380 ბერი იყო, დღეს კი მათი რაოდენობა 39-მდე შემცირდა. ახლა ყველაზე ახალგაზრდა ბერი იქ 70 წლისაა და მამა კლემენტი, რომელსაც უკვე შეუსრულდა 74, მონასტრის შენობის გაყიდვას აპირებს.

საეკლესიო სტატისტიკის თანახმად, 2000-დან 2010-წლამდე პერიოდში 5000-მდე ახალი ეკლესია გაჩნდა, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამერიკას იგივე ხვედრი ელის, რაც ევროპას, რადგან, როგორც კონექტიკუტის შტატის ხარტფორდის სემინარიაში რელიგიის სოციოლოგიის მასწავლებელი, პროფესორი სკოტ ტუმა ირწმუნება, იმავე პერიოდში ხალხის ეკლესიურობა 3%-ით შემცირდა.

ტუმას მტკიცებით, იმ ამერიკელების კონტინგენტი, რომლებიც რეგულარულად დადიან ეკლესიებში, ბერდება. და თუ ეს ტენდენციები არ შეიცვლება, მომდევნო 30 წლის განმავლობაში აშშ-ში სიტუაცია ისეთივე იქნება, როგორიც ევროპაშია, ან უარესიც.

**არნემის ეკლესიაში, სადაც ახლა სკეიტბორდებით „საკატაო მოედანია“, საკურთხეველი და ორღანი დაშალეს და შენობიდან გაიტანეს. მტვრით სავსე სარდაფში ამ დრომდე ინახება გუნდისთვის განკუთვნილი ნოტები, რომლითაც, უკვე ათი წელია, არავის უსარგებლია. კედელზე ჩამოკიდულ სკეიტბორდზე კი წერია: „იკატავე“ ბნელ მხარეს“.**

ოცამდე ახალგაზრდა რამპების შუქზე კატაობს დაქანებული ხის დაფით და, როდესაც იატაკზე ეშვებიან, ხმაური ექოს გამოსცემს. ტაძრისკედლებში, სადაც ოდესღაც ფსალმუნები და გალობა ისმოდა, ახლა რეპი ჟღერს. წმიდანის გამოსახულებებზე ავტომანქანის საბურავები კიდია.

**The Wall Street Journal**



## მიშელ ობამა ხარივით ჭამს

**აშშ-ის პირველი ლედი მიშელ ობამა ჭამის დიდი მოყვარულია. ამის შესახებ ჟურნალ Washington Examiner-ის ჟურნალისტთან აშშ-ში ცნობილი კულინარიული გადაცემის წამყვანმა შეფმზარეულმა პოლა დინმა ისაუბრა.** ტელევარსკვლავის თქმით, აშშ-ის პირველმა ლედიმ 2008 წელს მის გადაცემაში სტუმრობისას შესანიშნავი მადა გამოამჟღავნა: „ის ხარივით ჭამდა, რეკლამის დროსაც კი არ გაჩერებულა. მაშინ მე ის ძალიან მომეწონა, რადგან ბევრ საკითხში ჩვენი გასტრონომიული გემოვნება დაემთხვა“, — ყვება პოლა. ამასთან, აშშ-ის პირველი ლედი ხორცით იკვებება, მაშინ, როდესაც მოსახლეობას ბოსტნეულის მირთმევას ურჩევს. მიშელისა და ბარაკის საყვარელი კერძი ყოფილა შემწვარი ფრთები, რომლებიც ცხიმიანობით გამოირჩევა. ობამების ოჯახში ჯანსაღი საკვები, რომლის პროპაგანდას პირველი ლედი მუდმივად აკეთებს, სულაც არ ჰყვარებიათ.



**ამ ბარბაროსულმა აქტმა, პირდაპირი გაგებით, გაანადგურა პრესა. ევროპაში ისლამური ტერორისტული კამპანიის ბოლოდროინდელი გამოხდომები ებრაელებსა და კარიკატურისტებს შეეხო, მაგრამ ტერორისტები მხოლოდ მათით არ შემოიფარგლებიან, თუკი მათ ვინმე არ შეაჩერებს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპა ალყაში

**საფრანგეთში სატირული ჟურნალის — Charlie Hebdo-ს რედაქციაში, რომელიც პარიზის მე-11 ოლქში მდებარეობს, 7 იანვარს დღისით სროლა ატყდა. პოლიციის უკანასკნელი მონაცემების თანახმად, 12 ადამიანი გარდაიცვალა და 11 დაიჭრა, მათგან 5 კრიტიკულ მდგომარეობაშია. მოკლულთა შორის არიან ჟურნალის მთავარი რედაქტორი სტეფან შარბონიე და კომიქსების სახელგანთქმული ავტორი ჟან კაბუ.**



პირველადი მონაცემების თანახმად, სროლა ატეხა შავ კაპიუშონიან პულოვერებში ჩაცმულმა ორმა ადამიანმა, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ კალაშნიკოვებითა და ყუმბარმტყორცნებით. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, მოკლულთა შორის 10 ჟურნალისტია, ორი კი — პოლიციელი, რომლებიც შენობას იცავდნენ. თავდასხმის შემდეგ ბოროტმოქმედებმა გატაცებული ავტომობილით შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

მომხდარის შემდეგ უსაფრთხოების ზომების გასაძლიერებლად საქმეში არმია ჩაერთო. არმია დაიცავს მასმედიის საშუალებათა ოფისებს, რელიგიურ დაწესებულებებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა ობიექტებს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ. საფრანგეთმა უკვე გამოაცხადა განგაში უმაღლესი დონის ტერორისტული მოქმედების წინააღმდეგ.

პარალელურად გრძელდება მასშტაბური ოპერაცია ჟურნალის რედაქციაზე თავდამსხმელთა დასაკავებლად. საფრანგეთის პოლიციამ დაადასტურა, რომ ბოროტმოქმედთა ვინაობა დადგენილია. ეჭვმიტანილი არიან ძმები — საიდ და შერიფ კუაშები, რომლებიც დაახლოებით 30 წლისანი არიან, და 18 წლის ამიდ მურადი. სავარაუდოდ, სამივე იემენური ჯიჰადისტური ქსელის წევრია.

დაზარალებული ჟურნალისტები საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მოინახულა. მომხდარის გამო წუხილი გამოთქვეს მსოფლიო ლიდერებმა და სამართალდამცავმა ორგანიზაციებმა.

Charlie Hebdo-ს რედაქციაზე თავდასხმა არის პირდაპირი შეტევა დასავლეთის უმნიშვნელოვანეს იდეალზე.

ევროპარლამენტის შენობათა კომპლექსი ჩაფიქრებული იყო, როგორც მშვიდობიანი ინტეგრაციის, შემწყნარებლობის, სიტყვის თავისუფლებისა და ღიაობის სიმბოლო, რაც მყარადაა დამკვიდრებული ევროპულ კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ. სწორედ ეს იდეალები აღმოჩნდა თავდასხმის მსხვერპლი, მაგრამ ყველაზე შემაძრწუნებელი ის იყო, რომ ევროპელთაგან ძალიან ცოტამ გაიზიარა აზრი იმის შესახებ, რომ მათი კავშირი და მათი ძირითადი თავისუფლებები საფრთხის წინაშე დგას.

Charlie Hebdo-ს რედაქციაში მომხდარი მკვლელობები განეკუთვნება მოვლენათა იმ კატეგორიას, რომლებიც შოკს იწვევენ თავიანთი სისასტიკით, მაგრამ, ამასთანავე, არავის აკვირვებენ. ეს თავდასხმა აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო. ისტერიული და ხშირად სასტიკი კამპანია ალაჰისა და მისი წინასწარმეტყველის დასაცავად (არადა, ადვილი მისახვედრია, რომ ორივე მათგანს სავსებით შესწევს ძალა, თავად დაიცვას საკუთარი თავი ელვის ან წყალდიდობის საშუალებით, რომელთაც აუცილებლად გამოიყენებდნენ, კარიკატურებს რომ ნამდვილად ემოქმედა მათ თავმოყვარობაზე) ჯერ კიდევ 1989 წლის ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაიწყო ირანის თაოსნობით. წიგნის დაწერისთვის ეს ქვეყანა სალმან რუშდის მკვლელობის მოწოდებებით გამოდიოდა. 2011 წელს Charlie Hebdo-ს რედაქციას ცეცხლი წაუკიდეს და ეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტერორისტული აქტის ტოლფას მოვლენად იქცა. ამ ტერაქტს თვალი უნდა აეხილა მსოფლიოსთვის ჯიჰადისტების გრძელვადიან გეგმებზე, მაგრამ ვერავის ვერაფერი ასწავლა.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ევროპა იღებდა კონკრეტულ და ხშირად სასიკვდილო გაფრთხილებებსაც ჯიჰადისტების შესაძლებლობებისა და განზრახვების თაობაზე: ავტომობილების დაწვა იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ბოლო ხმაზე გაჰყვიროდნენ Allah Akbar, თავდასხმა ბრიუსელის ევროპულ მუზეუმზე, რაც გასული წლის მაისში მოხდა და რასაც ოთხი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სხვათა შორის, ეს თავდასხმა, სავარაუდოდ, განახორციელა ალჟირული წარმომავლობის საფრანგეთის მოქალაქემ მეჰდი ნემუშმა, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მსახურობდა.

**2011 წელს Charlie Hebdo-ს რედაქციას ცეცხლი წაუკიდეს და ეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტერორისტული აქტის ტოლფას მოვლენად იქცა. ამ ტერაქტს თვალი უნდა აეხილა მსოფლიოსთვის ჯიჰადისტების გრძელვადიან გეგმებზე, მაგრამ ვერავის ვერაფერი ასწავლა.**

**ვინც ბოლო პერიოდში ევროპის მუზეუმში ყოფილა, ევროპის მომავალზე სავსებით კონკრეტული წარმოდგენა შეექმნებოდა: როდესაც მუზეუმის ზღურბლთან დგახარ, ეჭვის თვალით გიყურებენ პოლიციელები, გაკვირდებიან სათვალთვალო კამერებით, გამოწმებენ ლითონის საძებნი ხელის მოწყობილობებით — ყველა ეს ზომა უკიდურესად საჭიროა იმიტომ, რომ ებრაელები და ევროპის ებრაული ინსტიტუტები, უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ნახევრად ალყაშემორტყმული ცხოვრობენ. ძალიან მალე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზემოხსენებული ზომები მთელ ევროპაზეც გავრცელდება.**

ბრიუსელის თავდასხმამ გარკვეულწილად მოსალოდნელი გახადა Charlie Hebdo-ს რედაქციაზე თავდასხმა: ორივე შემთხვევა განხორციელდა მომზადებული მებრძოლების მიერ (თუმცა პარიზელი ტერორისტები უფრო გამოცდილები და მოხერხებულები აღმოჩნდნენ — „ალ ქაიდას“ სტილში, ვიდრე ის ჯიჰადისტები, რომელთაც ისლამური სახელმწიფო შთააგონებს), რომლებმაც სამიზნედ აირჩიეს ინსტიტუტები, რომლებიც ვერ განაპირობებდნენ ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით ან ავღანეთის ომში ევროპული ხელისუფლებების მონაწილეობით უკმაყოფილო მუსლიმანების რისხვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორივე ზემოხსენებული თავდასხმა მოტივირებული იყო უფრო სიძულვილით დასავლური იდეალებისა და მრწამსების მიმართ, ვიდრე ევროპული სახელმწიფოების ხელმძღვანელობების კონკრეტული ქმედებებით.

Charlie Hebdo-ს რედაქციაზე თავდასხმა იქცა ყველაზე არაორაზროვან შეტევად დასავლურ იდეალებზე ჯიჰადისტების მხრიდან. არაერთი არგუმენტი იქნა მოყვანილი იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ 11 სექტემბრის ტერაქტი იყო ისლამური მძვინვარების გამოვლინება კონკრეტული დასავლური იდეის — კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ რედაქციაზე თავდასხმის მიზეზად სატირა და ღვთის გმობა იქცა.

მომხდარის შესახებ ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ „ვერანაირი ბარბაროსული აქტი ვერ გაანადგურებს პრესის თავისუფლებას“, მაგრამ ამგვარი განცხადება თავის მოტყუებაა. ამ ბარბაროსულმა აქტმა, პირდაპირი გაგებით, გაანადგურა პრესა. ევროპაში ისლამური ტერორისტული კამპანიის ბოლოდროინდელი გამოხდომები ებრაელებსა და კარიკატურისტებს შეეხო, მაგრამ ტერორისტები მხოლოდ მათით არ შემოიფარგლებიან, თუკი მათ ვინმე არ შეაჩერებს.

დასავლეთის ლიდერებმა იზოლაციაში უნდა მოაქციონ რელიგიური ექსტრემისტული უმცირესობა ზომიერი მუსლიმანური უმრავლესობისგან. ამის განხორციელების ერთ-ერთი საშუალება ისიცაა, რომ მუსლიმანებს აგრძნობინონ, დასავლეთს არ სურს ომი ისლამურ ცივილიზაციასთან. ევროპას შეუძლია იცხოვროს იდეალების შესაბამისად, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები და საკუთარი პრინციპები ისლამური ტერორისგან, მაგრამ ამავე დროს უნდა დაიცვას რევანშიზმისგან უბრალო მუსლიმანებიც, რევანშიზმისგან, რომელიც ევროპული იდეალებისთვის კიდევ ერთ საფრთხედ იქცა.

**The Atlantic**




## სამი ტერაქტი სამ დღეში

**8 იანვარს, პარიზის ცენტრში ტერორისტების მიერ სატირული გამოცემა „შარლი ებდოს“ რედაქციაში 12 ადამიანის მკვლელობიდან მეორე დღეს, საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბანში ატყდა სროლა, რომლის შედეგადაც პოლიციელი ქალი დაიღუპა.**



უცნობმა მამაკაცმა სამართალდამცველებს სროლა აუტეხა, შემდეგ კი მიიმალა.

გარდა ამისა, 8 იანვარს საფრანგეთის აღმოსავლეთში აფეთქება მოხდა — ქალაქ ვილფრანშ-სურ-სონში, მეჩეთთან ახლოს მდებარე კაფეში; შემდეგ — ქალაქ ლე მანში უცნობმა პირებმა მეჩეთის ეზოში ოთხი ხელყუმბარა ააფეთქეს.

9 იანვარს კი პარიზის ერთ-ერთ მაღაზიაში ტერორისტები შეიჭრნენ და 5 მძევალი აიყვანეს. ბოროტმოქმედები ფრანგმა სამართალდამცველებმა დახოცეს.



## საფრანგეთი ლიბიაში შესაჭრელად ემზადება?

**„პარიზული სატირული გამოცემა „შარლი ებდოს“ ჟურნალისტების მკვლელობა, შესაძლოა, ლიბიაში საფრანგეთის სამხედრო ინტერვენციის საბაბი გახდეს“, — წერს ყატარის წამყვანი გაზეთის — „ალ-არაბ“-ის რედაქტორი აბდალა ბენ ჰამად ალ-აზბა.**

„როგორც ჩანს, საფრანგეთს სურს ლიბიაში შეჭრა ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით მას შემდეგ, რაც მან იმავე საბაბით დაიპყრო მალი.

მუსლიმანებს ვთხოვ, არ მოიბოდიშონ იმ ბოროტმოქმედების გამო, რომლებიც არ ჩაუდენიათ, რადგან დანაშაულის გამოძიებისას ჩვენ საქმე გვაქვს არა რელიგიასთან, არამედ ცალკეულ ადამიანებთან“, — წერს „ალ-არაბ“-ის რედაქტორი.

მოკლედ

## «ალ ქაიდა» საფრანგეთს ახალი ტერაქტებით ემუქრება

**„თქვენთვისვე უმჯობესია, მუსლიმთა წინააღმდეგ აგრესია შეწყვიტოთ, რათა უსაფრთხოდ იცხოვროთ“, — აცხადებს „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი ჰარით ალ ნადარი ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოში.** იგი ასევე ამბობს, რომ ისინი, ვინც მუსლიმთა წინააღმდეგ იბრძვიან, უსაფრთხოდ ვერ იქნებიან, ვიდრე ალაჰს, მის წარგზავნილებსა და მორწმუნეებს ებრძვიან. 7 იანვარს პარიზში ჟურნალ Charlie Hebdo-ს რედაქციაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა, 11 კი დაშავდა. სატირულმა ჟურნალმა ბოლოს „ტვიტერზე“ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის — აბუ ბაკრ ალ-ბაღდადის კარიკატურა გამოაქვეყნა. 2011 წელს Charlie Hebdo-ს რედაქციაზე თავდასხმა მას შემდეგ განხორციელდა, რაც ჟურნალმა წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები გამოაქვეყნა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა რომ იწერებოდეს რაიმე რომანი ამერიკის ომებზე, მას ნამდვილად დაამშვენებდა სახელწოდება „ლაჩრულად მეომარი ნაცია“ და ეს სათაური პირდაპირ გამიზნული იქნებოდა მათ დასაცინად, ვისაც არ სურს, წავიდეს ომში მაშინ, როდესაც სხვები მიდიან.**

# ამერიკული არმიის ტრაგედია

**გასული წლის შუა სექტემბერში პრეზიდენტი ობამა ფლორიდაში მდებარე მაკდილის ავიაბაზაზე გაემგზავრა, ცენტრალურ სამეთაურო შტაბში, მაშინ, როცა ერაყისა და სირიის კრიზისთან დაკავშირებით მას კრიტიკისგან თავის დაცვა უწევდა. ობამამ სამხედრო მოსამსახურეებს მოუწოდა აშშ-ის სამხედრო სტრატეგიის პრაქტიკაში განხორციელებისკენ.**

ჩვეულებრივ, ამგვარი მიმართვების სატელევიზიო ტრანსლირებისას მოსახლეობის უმეტესობა დიდი ინტერესით არ ისმენს პრეზიდენტის გამოსვლას, რადგან ხელმძღვანელი პირების სახალხო მიმართვებში ძალზე ბევრია ფორმალიზმი და რუტინა, მაგრამ ამ შოუს ბოლომდე ყურება ღირდა. ობამამ არაბუნებრივად მიმართა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს; თქვა, რომ ნაცია მადლობელია სამხედრო მოსამსახურეებისა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის, იმ არნახული დანაკარგებისა და დატვირთვის გამო, რომელსაც ისინი უძლებენ უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში მიმდინარე დაუსრულებელი ომების პირობებში. მისი აზრით, ამერიკის შეიარაღებული ძალები არა მხოლოდ აღემატება თავის ყველა მოწინააღმდეგეს, არამედ „ყველაზე მშვენიერი საბრძოლო ძალაა მსოფლიო ისტორიაში“.

დიდი ხანია, ამერიკელები ამგვარ ფრთიან ფრაზებზე აღარ ამახვილებენ ყურადღებას, რადგან მიეჩვივნენ არმიის უსაზღვრო ქება-დიდებას პოლიტიკოსების მხრიდან, რომელთა დამოკიდებულება ჯარისადმი მხოლოდ ამით შემოიფარგლება. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ წელს ამერიკიდან გაცილებით მეტი ახალგაზრდა წავა საზღვარგარეთ სასწავლებლად, ვიდრე ჯარში — უცხოეთში დაახლოებით 300 ათასი სტუდენტი გაემგზავრება, არმიაში კი 200 ათასზე ნაკლებ ახალწვეულს მიიღებენ. არადა, **ამერიკა ბოლო 13 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ომობს. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდგომ პერიოდში ერაყსა და ავღანეთში მსახურობდა დაახლოებით 2,5 მილიონი ამერიკელი.**

როდესაც მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, მისი ყველაზე ცნობილი გამშუქებლები იყვნენ საინფორმაციო სააგენტო ScrippsHoward-ის რეპორტიორი ერნი პაილი, რომელიც სამხედროების ყოველდღიურ ვაჟკაცობას, მათ მძიმე ცხოვრებას აღწერდა, და StarsandStripes-ის კარიკატურისტი ბილ მოლდინი, რომელიც დასცინოდა უმაქნის და ბრძოლის ქარ-ცეცხლიდან ძალზე შორს მდგომ გენერლებს.

პოპულარული და მაღალი ამერიკული კულტურა ომის მიმართ დამოკიდებულებას იქმნიდა მასობრივი მობილიზაციის საფუძველზე, ღრმა პატივისცემითა და სიამაყით, მაგრამ კრიტიკითა და ხუმრობითაც.

თუ დღევანდელობაში დავბრუნდებით — ერაყისა და ავღანეთის ომების ეპოქაში, როდესაც ყველა „მხარს უჭერს“ ჩვენს არმიას, ამ არმიის შესახებ, ფაქტობრივად, არავინ არაფერი იცის. პოპკულტურაში, რომელიც ამერიკული დაუსრულებელი ომების მონაწილე ადამიანების შესახებ ყვება, ხაზი ესმევა მათ ტანჯვასა და გამძლეობას, ასევე იმ ზიანს, რომელიც ომს მოსდევს. მაგრამ დღეს დისტანცია სამოქალაქო ამერიკასა და მის მუდმივად მეომარ არმიას შორის უზარმაზარია.

შარშან მწერალმა რებეკა ფრენკელმა გამოაქვეყნა წიგნი „ომის ძაღლები“. წიგნი იმ ძაღლებსა და მათ პატრონებზეა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ერაყსა და ავღანეთში. ავტორის თქმით, მან ეს თემა იმიტომ შეარჩია, რომ ძაღლები რაღაც საერთოს წარმოადგენენ სამხედროებსა და სამოქალაქო პირებს შორის. „როდესაც არ შეგვიძლია ვაჩვენოთ ან წარმოვიდგინოთ საბრძოლო მოქმედებების ეს შორეული სამყარო, მებრძოლი ძაღლები იქცევიან ხიდებად, რომლებიც გაჩენილ უფსკრულზე გადასვლის საშუალებას იძლევიან“, — დაწერა ფრანკელმა თავისი წიგნის წინასიტყვაობაში.

ეს მშვენიერი წიგნია და ძაღლებით კავშირი უკეთესია, ვიდრე კავშირის არარსებობა, მაგრამ ამერიკის წინა ომებისას სამხედროებსა და სამოქალაქო პირებს შეხების ადამიანური წერტილი ჰქონდათ.

**ახლა რომ იწერებოდეს რაიმე რომანი ამერიკის ომებზე, მას ნამდვილად დაამშვენებდა სახელწოდება „ლაჩრულად მეომარი ნაცია“ და ეს სათაური პირდაპირ გამიზნული იქნებოდა მათ დასაცინად, ვისაც არ სურს, წავიდეს ომში მაშინ, როდესაც სხვები მიდიან.** ეს იქნებოდა ისტორია ქვეყანაზე, რომელიც თავისი არმიისათვის მზადაა ყველაფრისთვის, გარდა მის მიმართ სერიოზული დამოკიდებულებისა. საბოლოოდ ამერიკულ შეიარაღებულ ძალებს დაემართა ის, რაც ემართება ყველა ორგანიზაციასა და ინსტიტუტს, რომლებიც არ ექვემდებარება სერიოზულ საგარეო შემოწმებებს და რომელთაც კავშირი არ აქვს საზოგადოებასთან.




**ამერიკა ბოლო 13 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ომობს. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდგომ პერიოდში ერაყსა და ავღანეთში მსახურობდა დაახლოებით 2,5 მილიონი ამერიკელი**




ადამიანებს სამხედროების მიმართ გადამეტებული მოწიწება და ამავე დროს ქედმაღლური უცერემონიობა ახასიათებთ, თითქოს მათ მიმართ, როგორც გმირისადმი, დამოკიდებულება კომპენსაციაა იმ უსასრულო ომებში მონაწილეობისთვის, რომლებშიც შეუძლებელია გამარჯვება.

ამერიკელები კი განაგრძობენ ჯარით აღფრთოვანებას ისე, როგორც არც ერთი სხვა ინსტიტუტით. ბოლო 20 წლის განმავლობაში ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა სასამართლოების, სკოლების, პრესის, კონგრესის, რელიგიური ორგანიზაციების, მსხვილი ბიზნესისა და თანამედროვე ცხოვრების პრაქტიკულად ყველა ინსტიტუტის მიმართ პატივისცემა. სამაგიეროდ **მკვეთრად გაიზარდა სამხედროებისადმი ნდობა 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ და დღემდეც ამ მაჩვენებელზე რჩება.**

გასულ ზაფხულს გელაპის ინსტიტუტმა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მონაწილეთა სამმა მეოთხედმა „დიდი“ ან „არსებითი“ ნდობა გამოხატა სამხედროების მიმართ, კონგრესისადმი იგივე დამოკიდებულება კი მხოლოდ 7%-მა დააფიქსირა. ასეთი უსაზღვრო თაყვანისცემა არმიის მიმართ და პარალელურად ძალზე სუსტი წარმოდგენა მომავალი ომის ტრაგიკულ შედეგებზე წარმოადგენს ამერიკელების მზაობის ნაწილს, ჩაებან ახალ-ახალ კონფლიქტებში და უდარდელად სჯეროდეთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გაიმარჯვებენ.

„ვგრძნობდით თუ არა, რომ ამერიკისთვის სულერთი არ არის, როგორ ვცხოვრობთ და ვომობთ? არა, ვერ ვგრძნობდით“, — იხსენებს ერაყის დროინდელ საკუთარ შეგრძნებებს საზღვაო ქვეითი სეთ მოულტონი. იგი ომში წავიდა 2001 წელს, ჰარვარდის დამთავრების შემდეგ, რადგან თვლიდა, რომ, როდესაც მისი თანაკურსელების უმრავლესობა უოლ-სტრიტისკენ მიემართებოდა, საზოგადოებრივი მსახურების მაგალითი უნდა ეჩვენებინა. თავად ერაყში შეჭრის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მთლიანობაში ოთხჯერ იყო იქ თავისი მეგობრების მიმართ ერთგულების გამო. „ჩვენ ვამაყობდით იმით, რომ ვმსახურობთ, მაგრამ ვიცოდით, რომ წარმოვადგენთ იმ ადამიანთა მომცრო ჯგუფს, რომელიც მთელი ქვეყნის საქმეს აკეთებს“, — ამბობს იგი.

მოულტონი, ისევე, როგორც საბრძოლო მოქმედებების სხვა მონაწილენი, მიიჩნევს, რომ, თუ კონგრესის წევრებს, საქმიან ელიტას და მასმედიის საშუალებათა ხელმძღვანელებს მეტი შვილები ეყოლებოდათ ჯარში, ერაყის ომს საერთოდაც არ დაიწყებდნენ.

სახელმწიფო მოღვაწეთა უმეტესობამ, დიკ ჩეინიდან დაწყებული კოლინ პაუელით დამთავრებული, ერაყი უკან მოიტოვა. ნაწილობრივ ეს განპირობებულია ობამას ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, „იყურონ წინ და უკან არ მოიხედონ“ და არ იფიქრონ, თუ რატომ წავიდა საქმე ესოდენ ცუდად ერაყისა და ავღანეთის ამერიკულ ომებში. მაგრამ ნებისყოფის დაძაბვით თავსმოხვეული ამგვარი ამნეზიის შენარჩუნება გაცილებით რთული იქნებოდა, თუ ამერიკელთა დიდი ნაწილი იგრძნობდა, რამდენად ნეგატიურად აისახა მათ ცხოვრებაზე იმ ომების შედეგები. ამერიკელ გენერლებს, პოლიტიკოსებსა და მოქალაქეთა უმეტესობას ომების წაგებისთვის არანაირი პასუხისმგებლობა არ დაკისრებიათ, მათ წარუმატებლობის არანაირი შედეგიც არ უგრძვნიათ. ეს კი სახიფათოა და, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ასე, მით უფრო მეტად სახიფათო გახდება.

ამერიკული შეიარაღებული ძალები ისტორიაში ყველაზე კარგად აღჭურვილი და ყველაზე ძვირადღირებული სამხედრო ძალაა. მასზე გაწეული ხარჯები სხვას არაფერს შეედრება. დღევანდელი პროფესიონალური არმია გაცილებით უკეთაა მომზადებული, მოტივირებული და დისციპლინირებული, ვიდრე გაწვევების პერიოდში იყო. მაგრამ, **მიუხედავად ამ ყველაფრისა, ამ მძლავრ საბრძოლო მანქანას რეგულარულად ამარცხებენ ნაკლებად თანამედროვე, ცუდად აღჭურვილი და პრაქტიკულად დაუფინანსებელი მტრები.**

ზუსტი ციფრები არავინ იცის და ამ ყველაფერზე უთანხმოებაა, მაგრამ ▶

მსოფლიო



## დევნილთა რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

**გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, მსოფლიოში დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 2014 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.** გაეროს დევნილთა საქმეების სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ მსოფლიოში 46,3 მილიონი ადამიანია საკუთარი სახლიდან იძულებით განდევნილი. „2014 წელს დავინახეთ, რომ ამ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ჩვენი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, უპრეცედენტოდ გაიზარდა“, — განაცხადა დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესმა კომისარმა ანტონიუ გუტერეშმა. დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარიატი დევნილთა რაოდენობის გაზრდას ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ომებს უკავშირებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკას ერაყში, ავღანეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში 12-წლიანი ომი დაახლოებით 1,5 ტრილიონი დოლარი დაუჯდა, თუმცა ახლახან ჰარვარდელმა ლინდა ბილმსმა დაითვალა და აღნიშნულზე 3-4-ჯერ მეტი თანხა მიიღო.

ამერიკას ერაყში, ავღანეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში 12-წლიანი ომი დაახლოებით 1,5 ტრილიონი დოლარი დაუჯდა, თუმცა ახლახან ჰარვარდელმა ლინდა ბილმსმა დაითვალა და აღნიშნულზე 3-4-ჯერ მეტი თანხა მიიღო.

სტრატეგიისა და ადამიანური დანაკარგების თვალსაზრისით, ეს წყალში გადაყრილი დოლარებია. „ამ მომენტში აბსოლუტურად ნათელი და უდავოა, რომ ერაყში ამერიკულმა არმიამ ვერ მიაღწია ვერც ერთ თავის სტრატეგიულ მიზანს, — წერდა საკუთარ ბლოგზე სამხედრო დაზვერვის ოფიცერი ჯიმ გორლი, — თუ სიტუაციას იმ მიზნების მიხედვით შევაფასებთ, რომლებიც სამხედრო მეთაურობამ დაისახა, ომი ჩვენი შეიარაღებული ძალების სრული მარცხით დასრულდა“.



ადმირალი მაიკ მალენი

**როდესაც ელისის ბოევიკებმა ერაყის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიითვისეს, იარაღის დამყრელი და მათგან გაქცეული ჯარისკაცები სწორედ იმ ნაციონალური არმიის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ამერიკელი მრჩევლები უზარმაზარი ფულის სანაცვლოდ, მაგრამ ძალზე არაეფექტიანად, ამზადებდნენ ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში**

უწყვეტი საბრძოლო მოქმედებების 13 წლის განმავლობაში (ეს ყველაზე ხანგრძლივი საომარი პერიოდია აშშ-ის ისტორიაში) ამერიკულმა ჯარმა მიაღწია ერთადერთ მკაფიო სტრატეგიულ წარმატებას: მოახერხა უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაცია. მრავალი ტაქტიკური გამარჯვება, სადამ ჰუსეინის დამხობიდან დაწყებული სუნიტების ლიდერებთან კავშირებით დამთავრებული, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ამერიკულ ჯარს მომზადება არ აკლია. მაგრამ ამ ყველაფერმა ვერ მოიტანა გრძელვადიანი და მტკიცე სტაბილურობა ამ რეგიონებისთვის და ხელი ვერ შეუწყო იქ ამერიკული ინტერესების გავრცელებას. როდესაც ელისის ბოევიკებმა ერაყის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიითვისეს, იარაღის დამყრელი და მათგან გაქცეული ჯარისკაცები სწორედ იმ ნაციონალური არმიის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ამერიკელი მრჩევლები უზარმაზარი ფულის სანაცვლოდ, მაგრამ ძალზე არაეფექტიანად, ამზადებდნენ ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

„ჩვენ სუსტები ვართ, — დაწერა ელისთან ბრძოლის თემაზე საზაფხულო დებატების პერიოდში ჟურნალისტმა უილიამ გრეიდერმა, — რადგან ჩვენი თავდაჯერება დაუძლეველ უპირატესობაში სულ უფრო ღრმად გვითრევს კონფლიქტებში, რომლებში გამარჯვებაც შეუძლებელია“. და ვინაიდან არმია იზოლირებულია საზოგადოებისგან, დარღვეულია ამ დამარცხებებიდან დასკვნების გამოტანის პროცესიც. უკანასკნელი ომი, რომელიც ამერიკისთვის გამარჯვებით დასრულდა და რომელიც დაახლოებით მაინც მივიდა ომამდე დაგეგმილ მიზნამდე, 1991 წელს სპარსეთის ყურეში მიმდინარე ხანმოკლე კონფლიქტი იყო.

სამხედრო ისტორიკოსი უილიამ ლინდი 1990-იან წლებში მონაწილეობდა იმ კონცეფციის დამუშავებაში, რომლის სახელწოდებაცაა „მეოთხე თაობის ომი“. მასში საუბარია პარტიზანებთან, ბოევიკებთან, ტერორისტებთან და სხვა „არასახელმწიფოებრივ“ დაჯგუფებებთან ბრძოლაზე, დაჯგუფებებთან, რომელთაც არ სურთ, იომონ ისე, როგორც ტრადიციული არმიები ომობენ. ცოტა ხნის წინათ ლინდმა დაწერა:

„მეოთხე თაობის ომებში ლიბიაში, სომალიში, ერაყსა და ავღანეთში ჩვენს მარცხზე ამერიკის ოფიცერთა კორპუსის სრული დუმილი გასაოცარია. ვიეტნამში დამარცხებამ სამხედრო რეფორმატორების თაობა აღზარდა... დღეს ამ მიმართულებით სიცარიელეა — არ ისმის სამხედროების არც ერთი ხმა, რომელიც მოუწოდებდა ცვლილებებისკენ, უბრალოდ, მეტ ფულს ითხოვენ და მორჩა.

წარმატებული ამერიკული ომების დროსა და მათ შემდეგ, მით უფრო კორეაში დაპირისპირებისა და ვიეტნამში დამარცხების შემდეგ, პროფესიონალი სამხედროების ლიდერული თვისებები და მათი მსჯელობები ხშირად ხდებოდა კრიტიკის საგანი და ეს ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა. ყველა ომში ზოგიერთი მეთაური კარგი იყო, ზოგიერთი — ცუდი. დღეს, სახალხო დისკუსიის ფარგლებში, უკლებლივ ყველა მეთაური გმირადაა ქცეული. როგორც 2012 წელს ტომას რიკსი წერდა, გასული ათწლეულების ომებში „მონაწილეობდა არმიის ასობით გენერალი, მაგრამ სამხედრო მეთაურობას ბრძოლებში არაეფექტურობისთვის არ გაუგდია არც ერთი მათგანი“. მისი განცხადებით, ეს არა მხოლოდ რადიკალური გადახვევაა ამერიკული ტრადიციებიდან, არამედ — უკანასკნელ ამერიკულ ომებში „დამარცხების მნიშვნელოვანი ფაქტორიც“.

ნაწილობრივ ამგვარი ცვლილებები იმის გამო ხდება, რომ საზოგადოება, რომელიც სრულ უსაფრთხოებაშია, არ მოითხოვს არმიისგან ანგარიშვალდებულებას. ნაწილობრივ ეს განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლები და თვით პრეზიდენტებიც კი აღიარებენ: პროფესიონალ სამხედრო პირებთან კამათი სარისკო და თითქმის უსარგებლო საქმეა. ბოლო პერიოდში პრეზიდენტები ოფიცრებს თუ ათავისუფლებდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, ამას, როგორც წესი, უღირს ქცევაზე ბრალდებები — სექსუალური სკანდალები, ფინანსური და სხვა დისციპლინარული დარღვევები უძღოდა წინ.

აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ორი სახელგანთქმული ოთხვარსკვლავიანი გენერალი, რომლებიც თავად გადადგნენ, ვიდრე ობამა მიიღებდა მათი გადაყენების გადაწყვეტილებას. ესენი არიან სტენლი მაკკრისტალი, რომელიც ავღანეთში საერთაშორისო ძალებს მეთაურობდა და დევიდ პეტრეუსი, რომელიც ბოლოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა.

საერთო წესების დამამტკიცებელი გამონაკლისი 12 წლის წინათ მოხდა, როდესაც მაღალი რანგის სამოქალაქო ხელმძღვანელმა პირმა პირდაპირ დაადანაშაულა ოთხვარსკვლავიანი გენერალი სამხედრო არაკომპეტენტურობაში. ერაყის ომის წინ კონგრესში ჩვენების მიცემისას გენერალი ერიკ შინსეკი, რომელიც იმ პერიოდში სახმელეთო ჯარების შტაბის მეთაური გახლდათ, ამბობდა, რომ ერაყის წარმატებული ოკუპაციისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს გაცილებით უფრო მეტი ჯარი, ვიდრე გათვალისწინებულია. იმჟამინდელმა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვულფოვიცმა სახალხოდ დასცინა მას, საკუთარი ხელქვეითის შეხედულებებს უგუნური და აბსოლუტურად არასწორი უწოდა. მას შემდეგ ვულფოვიცი და თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი დემონსტრაციულად ავიწროებდნენ შინსეკის.

მაგრამ მაშინ გენერალი მართალი იყო, პოლიტიკოსები კი ტყუოდნენ, მაგრამ დღეს სამხედრო პირები გაცილებით უფრო ხშირად და უფრო მოხერხებულად დგებიან განზე მრავალრიცხოვან სამხედრო მარცხის მიმართ, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ცდებიან.

სამხედრო საკითხების მიმომხილველებსა და რეპორტიორებს უყვართ საკუთარი საქმე და შეუძლებელია, არ უყვარდეთ ან სულ მცირე პატივს მაინც არ სცემდნენ მათ, ვისზეც წერენ და ყვებიან.

შეგნებულად კეთდება ეს თუ არა, სამხედრო პირები მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების სფეროში. უნივერსიტეტებისთვის სამხედრო სტუდენტები უცხოელი სტუდენტების გაუმჯობესებულ ვერსიას წარმოადგენენ, რადგან ყოველთვის დიდი მონდომებით სწავლობენ, დროულად იხდიან სწავლების საფასურს და, უცხოელი სტუდენტებისგან განსხვავებით, ენობრივი ბარიერიც არ უშლით ხელს.

მაგრამ, როგორც უნდა „უჭერდნენ მხარს“ და „პატივს სცემდნენ“ ამერიკელები სამხედროებს, ისინი მაინც მოწყვეტილი არიან მათგან, ეს კი განაპირობებს სახიფათო გადაწყვეტილებებს, რომელთაც საზოგადოება ვერც კი ამჩნევს. „ძალიან მაშფოთებს მზარდი განხეთქილება ამერიკელ ხალხსა და ჩვენს არმიას შორის“, — თქვა ერთხელ გადამდგარმა ადმირალმა მაიკ მალლენმა, რომელიც ჯერ ბუშის, შემდეგ კი ობამას პერიოდში შტაბების მეთაურების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა. მისი თქმით, სამხედროები პროფესიონალი და შემძლე ადამიანები არიან, მაგრამ ღირს ამ არაჩვეულებრივი თვისებების ნაწილის შეწირვა იმისათვის, რომ არმია უფრო ახლოს იყოს ამერიკელ ხალხთან?

მოქალაქეები ამჩნევენ, როდესაც მატულობს დამნაშავეობა, როდესაც იკლებს სასკოლო სწავლების დონე, როდესაც სასმელი წყალი სახიფათო ხდება ჯანმრთელობისთვის ანდა როდესაც სახელმწიფო უწყებები სათანადოდ აღარ მუშაობენ, მაგრამ არმიაში რაიმე ცვლილებას უკეთესობის ან უარესობისკენ მხოლოდ ერთეულები ხედავენ. ქვეყანა ძალიან იშვიათად და ძალიან კარგად ფიქრობს საკუთარი მოსახლეობის იმ ერთ პროცენტზე, რომელიც მუდმივად ცეცხლის ხაზზეა დანარჩენი 99%-ისთვის.

**TheAtlantic**

**როგორც უნდა «უჭერდნენ მხარს» და «პატივს სცემდნენ» ამერიკელები სამხედროებს, ისინი მაინც მოწყვეტილი არიან მათგან, ეს კი განაპირობებს სახიფათო გადაწყვეტილებებს**



## ერთნაირსქესიანთა ქორწინება კიდევ 2 შტატში დააკანონეს

**მაიამიში გეიწყვილმა უკვე გადაიხადა ქორწილი; ფლორიდაში — ემზადებიან.**

ფლორიდაში ძალაში შევა კანონი, რომელიც ერთნაირსქესიანებს ქორწინების უფლებას აძლევს, მაიამიში კი ეს კანონი 5 იანვრიდან ამოქმედდა.

ფლორიდა აშშ-ის 36-ე სტატია, სადაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება ნებადართულია. აშშ-ში გრძელდება ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია — შარშან ასეთი კავშირი 5 შტატში დააკანონეს. გარდა ამისა, ჰომოსექსუალთა უფლებები გაფართოვდა მრავალ სფეროში.

დიდი ბრიტანეთის სამეფოში კი ერთნაირსქესიანთა ქორწინება მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიაშია აკრძალული.



## ევროზონიდან საბერძნეთის გასვლის ალბათობამ ევროს კურსი დასცა

**ერთი კვირის წინათ სავალუტო ბირჟებზე ევროს კურსი დოლარის მიმართ 1,1860-მდე დაეცა. ეს 2006 წლის შემდეგ ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.**

ბევრი ფინანსისტის აზრით, ეს სავალუტო ბირჟების რეაქციაა ევროზონიდან საბერძნეთის პოტენციური გასვლის ალბათობაზე, — წერს Financial Times-ი.

ამერიკული დოლარის კურსი გამყარდა ყველა სხვა ვალუტის მიმართ, გარდა იაპონური იენისა, ევროპულმა ვალუტამ კი ბოლო 9 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა.



მოკლედ



## 2014 წელს ავიაკატასტროფების შედეგად 970 ადამიანი დაიღუპა

**„დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, „ავიალაინერების ავარიების მონაცემთა შეფასების ცენტრის“ განცხადებით, ეს მაჩვენებელი ოთხჯერ მეტია გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით.**

2013 წელს ავიაკატასტროფების შედეგად 251 ადამიანი დაიღუპა. „ავიალაინერების ავარიების მონაცემთა შეფასების ცენტრმა“ ასევე შეადგინა უსაფრთხო ავიაკომპანიების სია, რომელშიც მსოფლიოს 60 უმსხვილესი ავიაკომპანია მოხვდა.

ყველაზე უსაფრთხო ავიაკომპანიებად გერმანულმა ცენტრმა Cathay Pacific, Emirates, Eva Air და Air Canada დაასახელა. „მალაიზიის ავიახაზები“ 34-ე ადგილიდან 57-ე პოზიციაზე დაქვეითდა, გერმანული „ლუფთჰანზა“ კი რეიტინგში მე-12 პოზიციაზე დასახელდა.

ვულოცავთ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დააკავეს «თავისუფალი თაობის» რამდენიმე აქტივისტი




**სამართალდამცველებმა არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ 4 წევრი „თავისუფალი ზონის“ ოფისთან მიმდინარე აქციის მსვლელობისას დააკავეს.** „თავისუფალი თაობა“ ორთაჭალაში მდებარე „თავისუფალი ზონის“ ოფისთან ორგანიზაციის ლიკვიდაციის მოთხოვნით შეიკრიბა. ახალგაზრდებმა ოფისს კვერცხები ესროლეს, რამდენიმე მათგანი საპატრულო პოლიციამ ადმინისტრაციული წესით დააკავა.

# მადლობელი ვართ თქვენი, ბატონო ფრიდონ თოდუა!

**XIX საუკუნის ექიმის პატიოსნება და თანალმობა და XXI საუკუნის მეცნიერის მრავალმხრივი განსწავლულობა — ორიოდ შტრიხით ასე შეიძლება აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დახასიათება.**



ექიმი, მკურნალი, რომელიც მაშინ ჩამოვიდა საქართველოში, როცა აქ განვითარებული კატაკლიზმების მიზეზით ქვეყანაში პრაქტიკულად ყველაფერი დანგრევის პირას იყო მისული, ბუნდოვანი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს პერსპექტივა და სოციალური საკითხების, მათ შორის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისთვის არავის ეცალა.

ჩამოვიდა მოსკოვიდან, სადაც არა მარტო სამედიცინო-აკადემიურ წრეებში, არამედ ქვეყნის ხელმძღვანელებს შორისაც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა და, როგორც კომპიუტერული ტომოგრაფიის დამფუძნებელს, ბრწყინვალე კარიერა ელოდა.

ჩამოვიდა 21 თანამემამულე ექიმთან ერთად, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, იმ არეულ დროში მხარში ამოდგომოდნენ სამშობლოს და დარჩა მხოლოდ იგი — ერთადერთი.

დარჩა, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, რომელმაც საქართველოს დედაქალაქში ისეთი სამედიცინო კვლევითი ცენტრი დააარსა, უახლესი აპარატურით აღჭურვილი ისეთი სამკურნალო კომპლექსი შექმნა, რომელიც, საერთო აღიარებით, სანიმუშოა არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც კი. სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც ამ ინსტიტუტში დასაქმებულ ექიმებს საერთაშორისო კონფერენციებზე გააქვთ, თემატიკის აქტუალობითა და საყურადღებო დასკვნებით გამოირჩევა ყოველთვის.

მაგრამ მთავარი საქმე, რომელსაც ბატონი ფრიდონი და პროფესიონალ ექიმთა მისი კოლექტივი ემსახურება, რა თქმა უნდა, ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობის უზრუნველყოფაა: უზუსტესი დიაგნოზის დადგენიდან პაციენტის სრულ გამოჯანმრთელებამდე. განსაკუთრებით ხახზგასასმელია, რომ მკურნალობა თოდუას კლინიკაში, სხვა სამედიცინო დაწესებულებებთან შედარებით, გაცილებით იაფი უჯდება პაციენტს, რაც ჩვენს შეჭირვებულ ყოფაში ფრიად მნიშვნელოვანია.

საინტერესოა ისიც, რომ უახლესი სამედიცინო აპარატურა, რომლითაც თოდუას კლინიკაა აღჭურვილი, ინსტიტუტს საკუთარი სახსრებით აქვს შეძენილი. ბატონ ფრიდონს დახმარებისთვის ხელგაწვდილს არასოდეს მიუმართავს არც ერთი ხელისუფლებისთვის, თორემ მისი მდგომარეობის კაცს უარს არავინ ეტყოდა.

ფრიდონ თოდუას ბუნებაში აქვს გაჭირვებული ადამიანისთვის ხელის გაწვდენა, დახმარების აღმოჩენა, ამიტომაც უამრავი ადამიანია მისი მადლიერი.

ინსტიტუტის დირექტორის მისაღებში ყოველთვის რიგი დგას, რიგი მადლიერი პაციენტების და იმათი, ვინც მისი პირადი ჩარევისა და დახმარების იმედად არის.

ბიბლიური „ითხოვეთ და მოგეცემათო“, აქ მატერიალურად არის განხორციელებული.

9 იანვარს ბატონი ფრიდონ თოდუა 71 წლის გახდა. არ იყო ეს მრგვალი თარიღი, მაგრამ მადლობის სათქმელად მაინცდამაინც იუბილეს ხომ არ უნდა ველოდოთ?! მით უფრო, რომ მადლობის თქმის მეტი სხვა საშუალება არაფერი გვაქვს.

მადლობის მთქმელი არ გამოგლეოდეთ, ბატონო ფრიდონ!

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია**

# მადლობა Geo Hospitals-ის ექიმებს სიცოცხლისთვის

**„წუთია წუთის ქვეყანა,“ — უთქვამს ბრძენ კაცს და ვინ იცის, რამდენგზის მიხსენები ეს ფრაზა, მაგრამ წუთისოფლის წამიერობაზე არასდროს დავფიქრებულვარ. მხოლოდ იმ ავბედით ღამეს — 2014 წლის 7 ნოემბერს მივხვდი, რომ მართლა ცრუ და დაუნდობელია წუთისოფელი; იმ ღამეს, როცა ავარიის შედეგად სულთმობრძავი შვილი ვიხილე, ჩემი ერთადერთი გიორგი, რომელიც მცხეთის Geo Hospitals-ის რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.**

მთელი სამყარო დამემხო თავზე, სიცოცხლემ აზრი დაკარგა, წამში წამი გაჩერდა და გადაწყვეტილებაც მივიღე: გია თუ აღარ იქნება, მეც დავასრულებ სიცოცხლეს! ან როგორ გავიმეტებდი იმქვეყნიური მარტოობისთვის ჩემს გიორგის.

არანაირი ხსნა! თვით ექიმებიც შეძრწუნებულები იყვნენ, სიკვდილისთვის ვერ იმეტებდნენ სიცოცხლეზე შეყვარებულ ვაჟკაცს, რომელსაც მეუღლე და პატარა შვილი მარიკო ჰყავდა.

მე ვერაფერს ვშველოდი ჩემს ერთად ერთ ნუგეშსა და იმედს, ექიმები კი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, ებრძოდნენ სიკვდილს. დღეები დღეებს მისდევდა... თითქოს ხსნა არ იყო, დედა ვიყავი, მაგრამ მიკვირდა ექიმების სიჯიუტე, არაფრით ანებებდნენ თავს, ყველაფერს აკეთებდნენ სიცოცხლის გადასარჩენად.

ეს მათ შეძლეს! ჩემი შვილი გადარჩა! დიახ, მათ გადაარჩინეს სასიკვდილოდ განწირული ჩემი გიორგი, ეს საოცრება იყო, ღვთის სასწაული, საოცარი გამარჯვება იმ ადამიანებისა, რომლებმაც ჰიპოკრატეს ფიცი ბრწყინვალედ შეასრულეს.

მე მადლობას ვუხდი მცხეთის Geo Hospitals-ის კოლექტივს, ჰოსპიტლის მენეჯერს, ბატონ **ზაზა მეტრეველს**, მკურნალ ექიმებს, ბატონ **სოსო ყასელიშვილს**, რომელიც თავდადებულად იბრძოდა მედპერსონალთან ერთად ჩემი გიორგის გადასარჩენად, ქალბატონ **თამრიკო ტყეშელაშვილსა** და ბატონ **გიორგი გვარამაძეს**. უდიდესი მადლობა მოწვეულ ექიმს, ქალბატონ **ნატა შენგელაიას**, რომელმაც ხერხემლის VI მალის ოპერაცია ბრწყინვალედ გააკეთა.

დღეს მე ბედნიერი დედა ვარ, ჩემი დედისერთა გიორგი კვარაცხელია ცოცხალია, ჩემს შვილიშვილს ობლობა ააშორეს ჭეშმარიტმა ექიმებმა, ბრწყინვალე სპეციალისტებმა, უაღრესად ქრისტიანმა ადამიანებმა.

ახალ წელს გილოცავთ! მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე, ჩემო უკეთილშობილესო ადამიანებო, ყოველთვის დაგემარცხებინოთ სიკვდილი.

იცოცხლეთ და იხარეთ თქვენი ოჯახის, პაციენტებისა და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ.

ულრმესი პატივისცემითა და მადლიერებით,

**თქვენი პაციენტის — გია კვარაცხელიას დედა**

**დალი ძიგუა**

# არის ასეთი კაცი

# ვლადიმერ გოიაშვილი — 80

**დღეს იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობენ ისეთი პიროვნებები, რომლებიც სამაგალითონი არიან თავიანთი ცხოვრებით, მოღვაწეობით... სწორედ მათ რიცხვშია ჩვენი ყმაწვილკაცობის მეგობარი, ჩვენი ვოვა — ბატონი ვლადიმერ გოიაშვილი. დღეს იგი თავის 80 წლის იუბილეს ახალგაზრდული შემართებით ეგებება.**



კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე კაცია, საქმის ერთგული — უზომოდ, ფანატიკურად ულალატო, სამართლიანი, პროფესიონალი, პატრიოტი — სიყვარულით სავსე თავისი სამშობლოს, ქალაქის, ოჯახისა და მეგობრების მიმართ; ვალმოხდილი მისი აშენებული და დამშვენებული უნიკალური საცურაო კომპლექსის — „ლაგუნა-ვერეს“ წინაშე; მუდამ პრინციპული და შეუპოვარი მებრძოლი.

ჩვენი იუბილარი ასეთი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, როცა წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ღირსებას წყალბურთში. სწორედ მაშინ მიაღწია ჩვენმა გუნდმა პირველ დიდ გამარჯვებებს საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში...

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ წყალბურთისადმი სიყვარული არ განელებია. იმთავითვე ჩაება დამწყები წყალბურთელების მომზადებაში; როგორც მწვრთნელმა, არაერთი წარჩინებული წყალბურთელი გაზარდა. გარკვეულ პერიოდში თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა მთავარი მწვრთნელიც იყო, ხშირად გუნდის უფროსადაც იწვევდნენ... უფრო მეტიც, საქართველოში ქალთა წყალბურთის ერთ-ერთი ფუძემდებელიც გახლავთ. მისმა გაწვრთნილმა გოგონებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში.

ამ წერილში ვლადიმერ გოიაშვილის მრავალმხრივი საქმიანობის განხილვას არ ვაპირებთ. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ბევრ გაზეთში დაწერილა, გადაუციათ რადიოთი, ტელევიზიით. ხოლო წიგნი „კუპალნიიდან ლაგუნა-ვერემდე“ მისი ცხოვრების საინტერესო მატიანეა. ამ მისალოც-მისასალმებელ წერილში მხოლოდ უმთავრესს აღვნიშნავ.

ჩვენთვის, მისი კოლეგა-მეგობრებისთვის, ყველაზე საამაყოა ის, რომ ბატონი ვლადიმერ გოიაშვილი თითქმის ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს საწყლოსნო სპორტის სახეობათა ფედერაციას, ორჯერ მისი პრეზიდენტი გახლდათ და იმ პერიოდში არაერთ მნიშვნელოვან სპორტულ ტურნირს ჩაეყარა საფუძველი — უამრავი საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრება გაიმართა ცურვაში, წყალში ხტომაში, სინქრონულ ცურვაში, წყალბურთში. ვლადიმერ გოიაშვილის ინიციატივით შეიქმნა სპორტული სკოლა ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სექციებითა და ჯგუფებით. მოკლედ, ბატონი ვოვა გოიაშვილი ქართული საწყლოსნო სპორტის ცოცხალი ისტორიაა!

ღვაწლმოსილი ადამიანის ცხოვრებაში 80 წელი საზოგადოებისგან პატივის მიგების ასაკია, როცა დამაშვრალმა კაცმა ღმერთისგან ბოძებული ამქვეყნიური დრო დამსახურებული პატივისცემით მოსილმა უნდა გაატაროს, დაისვენოს, ახლა მაინც მოიხსნას ის ტვირთი, რომელიც ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ აქამდე დაუღალავად უტარებია.

მაგრამ ვოვა გოიაშვილი ასეთი ყაიდის კაცი არ არის. იგი დღესაც საზოგადო საფიქრალით წუხს.

— დიდებული საქმე გააკეთა ჩვენმა ხელისუფლებამ, — ამბობს ბატონი ვლადიმერი, — როცა საყოველთაო დაზღვევა დანერგა და ამით ხალხის გაჯანსაღებას, ეროვნული გენოფონდის შენარჩუნებას, სიცოცხლის გახანგრძლივებას შეუწყო ხელი. მაგრამ, მგონი, არანაკლებ ეფექტიანია ის საყოველთაოდ აღიარებული პრევენცია, რომელიც ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დევს. ეს სადავო არ უნდა იყოს. მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ის პოტენციური შესაძლებლობა, რომელიც თუნდაც ჩვენს „ლაგუნა ვერეს“ გააჩნია, აუმოქმედებელია.

იბრძვის ვოვა გოიაშვილი უფუნქციოდ დარჩენილი სპორტული კომპლექსის ასამოქმედებლად. ცივ, ნახევრად ჩაბნელებულ, ფუნქციადაკარგულ კომპლექსში ყოფილი გენერალური დირექტორი „დარაჯად“ დგას, მედგრად იცავს. ფიქრი და დარდი მოაწვება ხშირად, მაგრამ ვიცით მისი ხასიათი, აუზს „აამუშავებს“ გონიერი და კეთილი ადამიანების დახმარებით... თვითონ კი კვლავ გაილაღებს, გაიხარებს და ჩვენც გაგვახარებს.

ბატონ ვლადიმერ გოიაშვილს თამამად შეუძლია გაიმეოროს გალაკტიონის სტრიქონები:

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა!“

**ოთარ მიმინოშვილი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**„ჩემი ხელით უნდოდათ მთელი ოპოზიციის განადგურება: ვითომ მე ვარ კრემლის აგენტი და ქართული ოპოზიციის კურატორი. „ეროვნული საბჭო“ გამოვიდა იმ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე და სჭირდებოდათ „ფაქტობრივი“ მასალა მისი წევრების „გრუს“ აგენტობის დასამტკიცებლად. გვარამიამ, გენერალური პროკურორის მაშინდელმა მოადგილემ, რომელიც დღეს ასე „მშვენივრად“ უძღვება „რუსთავი 2“-ს, „მამხილებელი“ გადაცემების მთელი ციკლი მიუძღვნა ხელისუფლების ამ დაკვეთის „მაღალ დონეზე“ გაშუქებას“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 18 ნოემბრამდე 9 დღე რჩებოდა

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ყოფილი პოლიტპატიმარი მერაბ რატიშვილი.**

**— ბატონო მერაბ, არ დაგიმალავთ, ამ იშვიათი გვარის გაგონებაზე გალაკტიონის ერთი ლექსი მაგონდება:**

**უცხო ვინმე არ გეგონოთ,**
**მე ვარ რატი რატიშვილი,**
**ათი შვილი ცოცხალი მყავს,**
**ათი შვილის შვილიშვილი.**
**მათში სულ ყველაზე უმცროსს**
**ჩემი სახელი აქვს — რატი,**
**მე ასი წლის მოხუცი ვარ,**
**მას წელს შეუსრულდა ათი.**



**«ხელმეორედ რომ წავიკითხე «დათა თუთაშხია», მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა: არ შეიძლებოდა, რომ ბოროტებას გაემარჯვა სიკეთეზე და «დათა თუთაშხია» მრავალწერტილით დამთავრებულიყო. ისეთი აზარტით ვწერდი, რომ რომანი 2 თვესა და 16 დღეში დავასრულე. დღე და ღამე გაერთიანებული მქონდა. ციხის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებული ვიყავი: მე მათ არ ვეხებოდი, ისინი — მე. ეს ნიშნავდა, რომ ღამე საკანში შემეძლო ჩამერთო ნათურა, რომელიც პლასტმასის ქილაში იყო ჩამონტაჟებული, ჩამრთველად კი შპრიცი მქონდა გამოყენებული»**

ვიცინით. მე — იმიტომ, რომ ასამდე ჯერ კიდევ მაქვს ვადა. იგი, ალბათ, იმიტომ, რომ კარგა ხანია, ბიჭობის ასაკს გასცდა, და ისე იცხოვრა, ისეთი პერიპეტიები გადახდა თავს, სიზმრადაც რომ არ უნახავს დახვეწილი ფანტაზიის მქონე ადამიანსაც კი.

განვლილი ცხოვრების შესახებ ვეკითხები:

**— თქვენი რომანის — „დაკარგული ფურცლების“ წინათქმაში წერთ, რომ ამ რომანს უძღვნით XX საუკუნის ჭეშმარიტ რაინდს, სასტიკი ეპოქის ზნეობრივ მაგალითს — ჭაბუა ამირეჯიბს, „ბედნიერ ტანჯულს — ბერ დავითს“. და შემდეგ: „იმედს ვიტოვებ, რომ, როდესაც ციხიდან გავალ, მისი პირადად გაცნობის საშუალება მომეცემა“. რატომ „ციხიდან“, ბატონო მერაბ?**

— ჩემი ლიტერატურული შემოქმედება სწორედ ციხეში დაიწყო. პირველი ნაწარმოების წერა დავიწყე 2010 წლის ოქტომბერში, ანუ — 10.10.10-ში და დავამთავრე 11.01.11-ში.

**— ციფრების მაგია?**

— (*ღიმება*). ეს იყო „ჯუღა“. ამას მეორე რომანი მოჰყვა, მეორეს — მესამე, „ჯუღას“ გაგრძელება — „ილიადი“ და ასე შემდეგ. „თეთრი ლამას“ მესამე ტომის დაწერას ვიწყებდი, როცა ჭაბუა ამირეჯიბი დამესიზმრა. მელაპარაკებოდა, თან ვიღაცას თითის ქნევით ემუქრებოდა — ჩემს გათავისუფლებას ითხოვდა. ეს რაღას ნიშნავს-მეთქი, ვიფიქრე და ჩემს მეუღლეს ხმა მივაწვდინე — ციხეში „დათა თუთაშხია“ შემოაგზავნა...

**— რამდენი წელიწადი გქონდათ მისჯილი?**

— ცხრა.

**— ცხრა ბედნიერი ციფრია.**

— ხო, მაგიური ციფრია... მეოთხე წელიწადს ვიხდიდი იმ დროისთვის. შემომიგზავნეს ის წიგნი. ხელმეორედ წაკითხვა იმიტომ მინდოდა, რომ ერთია ახალგაზრდობაში აღქმული, სულ სხვაა ზრდასრული ადამიანის მიერ გადაკითხული, მით უფრო, თუ ლიტერატურაში აქვს ფეხი შედგმული.

წავიკითხე და მივხვდი, რას ნიშნავდა ის სიზმარი: **მე უნდა გამეგრძელებინა ის რომანი.**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ჩემმა იმდროინდელმა მდგომარეობამ დამარწმუნა — ბოროტებას შეუძლია გაიმარჯვოს სიკეთეზე.

აქ უპრიანი იქნება მერაბ რატიშვილის ცხოვრების გზა გავიხსენოთ, წარმატებული კარიერული აღმასვლა ახალგაზრდა კაცისა: დამთავრებული აქვს ორი უნივერსიტეტი, ერთი აკადემია (დიპლომატიური), პროფესია — ეკონომისტ-ფინანსისტი, საერთაშორისო სამართლის იურისტი, პოლიტოლოგი; მუშაობდა მოსკოვის რიგ სახელმწიფო დაწესებულებაში; ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას ენერგეტიკისა და ფინანსურ სფეროებში; იყო „ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი“ და ა. შ.

**2004 წელს, მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოს გარეთ მოღვაწე წარმატებულ თანამემამულეებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა, დაბრუნდა თბილისში და... 2007 წლის 26 ოქტომბერს დააპატიმრეს, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს... როგორც ნარკომანს, ქვეტექსტი კი ოპოზიციური პოლიტიკური ძალების აქტიური მხარდაჭერა იყო.**

— პოლიტპატიმარი გავხდი, უკანონოდ გასამართლებული. პირველი ვიყავი, ვისაც ნარკოტიკული ნივთიერების ინიექციაც გაუკეთეს და „წამალიც“ „აღმოაჩინეს“ ჩემს ბინაში, უჩემოდ ორჯერ ჩატარებული ორი ჩხრეკის დროს. **ჩემი ხელით უნდოდათ მთელი ოპოზიციის განადგურება: ვითომ მე ვარ კრემლის აგენტი და ქართული ოპოზიციის კურატორი. „ეროვნული საბჭო“ გამოვიდა იმ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე და სჭირდებოდათ „ფაქტობრივი“ მასალა მისი წევრების „გრუს“ აგენტობის დასამტკიცებლად. გვარამიამ, გენერალური პროკურორის მაშინდელმა მოადგილემ, რომელიც დღეს ასე „მშვენივრად“ უძღვება „რუსთავი 2“-ს, „მამხილებელი“ გადაცემების მთელი ციკლი მიუძღვნა ხელისუფლების ამ დაკვეთის „მაღალ დონეზე“ გაშუქებას.**

**— გამოძიებასთან თანამშრომლობა შემოგთავაზეს?**

— დიახ. საწადელს რომ ვერ მიაღწიეს, პირდაპირ მითხრეს, ციხიდან ვერ გახვალო. საუკეთესო შემთხვევაში, გაგიტანენო ფეხებით წინ.

**— ვინ დაგაპატიმრათ?**

— 22 სპეცრაზმელი (მეტი თუ არა) მონაწილეობდა ჩემს დაკავებაში — კოდუა პირადად და მისი ბანდა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს კვლავ თანამდებობებზეა: გამომძიებელი დაწინაურებულია, ასევე — პროკურორიც, ხელფასებიც გაზრდილი აქვთ.

მოსამართლე, რომელმაც 9 წელიწადი მომისაჯა — მერაბ ჯორბენაძე — დღესაც მოსამართლეა. პროკურორმა თორმეტი მოითხოვა. პროკურორს ვკითხე, რატომ მეტი არ მოითხოვეთ-მეთქი? ვითომ გაითვალისწინეს ჩემი დამსახურება საქართველოს წინაშე (ეცინება). ასეთი სამართლით სჭრიდნენ და კერავდნენ. სააპელაციო სასამართლოში იყო ქალბატონი ოთარაშვილი, მასთან ერთად — ორი ახალგაზრდა მოსამართლე. ქალი თუ კაცი, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მათ, ვინც უკანონობის გზას ადგას, არც ეროვნება აქვთ, არც სქესი, არც აღმსარებლობა...

**— არც სინდის-ნამუსი.**

— საოცარი რა არის, იცით? ამდენი დამკავებლიდან არავინ აღმოჩნდა ისეთი, სასამართლოზე რომ განეცხადებინა, მე დავიჭირე, ჩავსვი მანქანაში და სოდ-ში მივიყვანეო. სასამართლოს სხდომაზე ვკითხე კიდეც: ისე გამოდის, რომ მე ავტობუსით მივედი დასაპატიმრებლად ან ტაქსი გამოვიძახე და ჩემით ჩაგბარდით-მეთქი...

თავები ჩაღუნეს, ან რა უნდა ეპასუხათ?!

განაჩენი იმ დროისათვის ბანალური იყო — ნარკომანობა.

მოკლედ, ჩამსვეს. ჯერ „გუბერნსკის“ ციხეში ვიჯექი, გლდანის ციხე ჩემი „გახსნილია“ (*ღიმება*), იქიდან გამომაგდეს; ციხის უფროსმა თამაზ მელაძემ მითხრა, „პალაჟენიას“ გვიფუჭებო. დამაბრუნეს „გუბერნსკში“, იქიდან რუსთავის №6 საპყრობილეში გადამიყვანეს. 5 წელიწადი და 3 თვე „ბეტონზე ვცხოვრობდი“, მიწაზე ფეხი არ დამიდგამს.

გამათავისუფლეს ამნისტიით. 2013 წლის 13 იანვარს მე-13 საკნიდან გამოვედი... ბატონი ჭაბუა იმ წლის 13 დეკემბერს გარდაიცვალა.

**— კვლავ ციფრების მაგია?**

— „ჯუღას“ რომ წაიკითხავთ (*მაშინ წაკითხული არ მქონდა — ა. ს.*), „თეთრ ლამას“, მიხვდებით, რომ ციფრების მაგიას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— მითხარით, რომ სიზმარში გამოგეცხადათ ჭაბუა ამირეჯიბი...**

— დიახ. **ხელმეორედ რომ წავიკითხე „დათა თუთაშხია“, მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა: არ შეიძლებოდა, რომ ბოროტებას გაემარჯვა სიკეთეზე და „დათა თუთაშხია“ მრავალწერტილით დამთავრებულიყო. ისეთი აზარტით ვწერდი, რომ რომანი 2 თვესა და 16 დღეში დავასრულე. დღე და ღამე გაერთიანებული მქონდა. ციხის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებული ვიყავი: მე მათ არ ვეხებოდი, ისინი — მე. ეს ნიშნავდა, რომ ღამე საკანში შემეძლო ჩამერთო ნათურა, რომელიც პლასტმასის ქილაში იყო ჩამონტაჟებული, ჩამრთველად კი შპრიცი მქონდა გამოყენებული.**

**— დამიზუსტეთ, გეთაყვა: რომანის წერა დაიწყეთ მას შემდეგ, რაც ბატონ ჭაბუას მიმართეთ, თუ მანამდეც წერდით?**

— დავწერე, ავაკრეფინე. შემომიგზავნეს ანაწყობი და მაშინ ვიფიქრე: ღმერთო ჩემო, რას ვაკეთებ?! როგორ შეიძლება ასეთ საქმეს მოვკიდო ხელი და დიდ მწერალს არ გააგებინო, ნებართვა არ სთხოვო ჭაბუა ამირეჯიბს? დავწერე წერილი: ბატონო ჭაბუა, ცხოვრების თამაშის წესები ვიცი. მინდა, რომ წაიკითხოთ და, თუ თქვენი ნება იქნება, მაშინ ეს წიგნი ნახავს მზის სინათლეს. თუ არა, ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, რომ რაღაც დავწერე. სიტყვის კაცი ვარ და ამას შევასრულებ-მეთქი.

ველაპარაკე ქალბატონ თამარს და ჩემმა მეუღლემ მიუტანა რომანის ორი ეგზემპლარი, ერთი — საგანგებოდ ჭაბუასთვის, მსხვილი შრიფტით ამობეჭდილი, მეორე — თამრიკოსთვის — ჩვეულებრივი. გვერდები, ცხადია, დაუკაბადონებელი იყო.

გავუგზავნე და ველოდები განაჩენს. სასამართლო განაჩენზე იმდენი არ მინერვიულია, რამდენიც ჭაბუა ამირეჯიბის პასუხზე.

ცალკე ის მაწუხებდა, რომ ათი დღე მაინც ყოფილიყო ჩვენს განკარგულებაში, წიგნად შეგვეკრა თუნდაც რამდენიმე ეგზემპლარი, 18 ნოემბრისთვის დანიშნულ პრეზენტაციაზე საზოგადოებისთვის რომ წარგვედგინა. 18 ნოემბერი, იცით, ბატონ ჭაბუას დაბადების დღეა და მინდოდა, მისთვის მიძღვნილი ეს წიგნი საჩუქრად გადაგვეცა.

**— სად დაიბეჭდა თქვენი „დაკარგული ფურცლები“?**

— ჩემს წიგნებს არც ერთი გამომცემლობა არ ბეჭდავდა, — დაგვხურავენო. ჩემმა ცოლმა, რომელიც პროფესიით პიანისტია, ისწავლა დაკაბადონება, დიზაინი, შექმნა გამომცემლობა და ყველა წიგნი მისი დაბეჭდილია.

მოლოდინის რეჟიმში რომ ვარ, რეკავს ქალბატონი თამრიკო და მეუბნება: ჭაბუამ თქვა, რომ ეს წიგნი უნდა დაიბეჭდოს აუცილებლად, ძალიან კმაყოფილიაო.

9 დღეღა რჩებოდა.

სასწაული ჩაიდინა ეკამ და პრეზენტაციაც გაიმართა „თბილისი მერიოტში“.

ამ დროს უკვე ახალი ხელისუფლება მოვიდა.

სამწუხაროდ, პრეზენტაციას ვერ დავესწარი: ახალი ხელისუფლების პირობებში 3 თვე უკანონო პატიმრად ვრჩებოდი, ახლების უნიათობის გამო.

**„დაკარგული ფურცლები“ ვთარგმნეთ რუსულად, ითარგმნა ფრანგულად და გამოიცა. ახლა „დათა თუთაშხიას“ ინგლისურად ვათარგმნინებ, შემდგომ — მის გაგრძელებასაც.**

მთავარი, რაც მოვასწარი, ბატონ ჭაბუას ვუთხარი, რომ აუცილებელია „დათა თუთაშხიას“ ახალი ეკრანიზაცია. კიო, — დამეთანხმა. გიგა ლორთქიფანიძის გადაღებული მრავალსერიანი ფილმი, რა თქმა უნდა, კარგია, პოპულარულია, ხალხს მოსწონს, მაგრამ თანამედროვე ტექნიკური საშუალება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სხვა ფორმატით, უფრო მაღალი ხარისხით წარვუდგინოთ მაყურებელს. მონახაზი გაკეთებული მაქვს, მაგრამ ჯერ ვიღებთ „ჯუღა-ილიადის“ — 24-სერიან მხატვრულ ფილმს; რიგში დგას „თეთრი ლამა“ — ჩემი რომანი — 3 სერიად, დაახლოებით 6-საათიანი.

ერთ რამესაც დავამატებ. **ბატონმა ჭაბუამ მითხრა: ამ სამი რომანის არსი რა არის, რაზე წერდიო. ვუპასუხე, რომ ეს არის ტრილოგია ქართულ გენზე, ქართველებზე, რომლებიც სამშობლოს გარეთ აღმოჩნდნენ. სად არის გასული ეს ქართული გენი და სად არის ჩაკარგული, ამის ჩვენება მინდოდა შეძლებისდაგვარად. გამომივიდა თუ არა, განსაზღვროს მკითხველმა, რომელიც ცოტა დაგვრჩა, მაგრამ ვინც არის, სასწაულად განათლებული და მაღალი დონისაა.**

სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობა მოწყდა წიგნს, მაგრამ ეს ჩვენი ბრალია და არა მისი დროისა და ეპოქისა.

**— „დაკარგული ფურცლები“ — იგივე ხელნაწერები, საიდან გაჩნდა, სად იპოვეთ?**

— ვიპოვე იქ, სადაც ბატონმა ჭაბუამ, აცხონოს მისი სული ღმერთმა!

**— იპოვეთ, გადაარჩინეთ... იწვის ხელნაწერები?**

— არასოდეს. არ არსებობს ისეთი ცეცხლი, რომელიც ხელნაწერებს დაწვავს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველო და მსოფლიო“ იწყებს ახალ რუბრიკას სახელწოდებით „მსოფლიოს გარშემო“, სადაც სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფიას, კლიმატს, ღირსშესანიშნაობებს, იქ მცხოვრები ხალხების ტრადიციებსა და კულტურას გაგაცნობთ. დღეს გთავაზობთ მასალას ამომავალი მზის ქვეყნის — იაპონიის შესახებ.**




# ბანზაი, იაპონია!

**ევროპელებმა იაპონია 1540 წელს აღმოაჩინეს. 100 წლის შემდეგ იაპონელებმა თავიანთ ქვეყანაში უცხოელების შესვლა კატეგორიულად აკრძალეს. იაპონიის სრულფასოვნად აღმოჩენა კი XIX საუკუნის შუა წლებში მოხდა, როცა თვითიზოლაცია დასრულდა და იაპონია მსოფლიოს წარუდგა: ულამაზესი და მედიდური ფუძიამას მთით; აყვავებული საკურებით (იაპონური ალუბალი); მომხიბვლელი გეიშებით; გააფთრებული სამურაებით; მოხდენილი კიმონოებით; ნატიფი გრავიურებითა („უკიზე“) და ჩაის სმის ცერემონიით...**




## გეოგრაფია და დემოგრაფიული მონაცემები

იაპონია (ოფიციალური სახელწოდება „ნიპონ კოკუ“ („ნიჰონ კოკუ“) აღმოსავლეთი აზიის წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფოა, ტერიტორია 377,944 ათასი კვ.კმ-ია (სიდიდით 61-ე მსოფლიოში) და 6 852 კუნძულისგან შედგება, მათგან ყველაზე დიდია 4 — **ჰონსიუ, ჰოკაიდო, კიუსიუ** და **სიკოკუ**, რომლებიც იაპონიის მთელი ტერიტორიის 97 პროცენტს შეადგენს. კუნძულების უმრავლესობა მთაგორიანია, ვულკანური წარმოშობის. უმაღლესი წერტილია ტოკიოდან 80 კმ-ით დაშორებული ვულკანი **ფუძიამა** — 3776 მ. იაპონიასთან ახლოს მდებარეობს დედამიწის ყველაზე დიდი — **მარიანის ღრმული**, რომლის სიღრმეც 11022 კმ-ია. იაპონიის უდიდესი ქალაქებია ტოკიო (დედაქალაქი, მოსახლეობა გარეუბნებით — 13,3 მლნ ადამიანი), იოკოჰამა (3,7 მლნ), ოსაკა (2,6 მლნ) და საპორო (1,9 მლნ). სულ იაპონიის **მოსახლეობა 127,1 მლნ** კაცს შეადგენს და ამ მაჩვენებლით მე-10 ადგილზეა მსოფლიოში.

## მმართველობის ფორმა და რელიგია

იაპონია კონსტიტუციური მონარქიაა და 47 ადმინისტრაციული ერთეულისგან (პრეფექტურა) შედგება. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება კი მინისტრთა კაბინეტის ხელშია. იაპონიის იმპერატორია **აკიჰიტო** (1989 წლიდან), პრემიერმინისტრი — **სინძიო აბე.**

იაპონია დიდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოა, მას მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია ნომინალური შიგა ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლით. მეოთხეა როგორც ექსპორტიორი, მეექვსე — როგორც იმპორტიორი. იაპონიის კონსტიტუციის მე-9 მუხლი ქვეყანას თავისი არმიის ყოლას და ომებში მონაწილეობას უკრძალავს. თანამედროვე შეიარაღებულ ძალებს, სადაც 250 ათასამდე კაცი მსახურობს თავდაცვის ძალებს უწოდებენ.

ქვეყნის მოსახლეობის 99 პროცენტს იაპონელები შეადგენენ, თუმცა არის ეთნიკური უმცირესობებიც: ჩინელები, კორეელები, ფილიპინელები, აგრეთვე, იაპონელი ბრაზილიელები და პერუელები.

ქვეყანა **მსოფლიოში პირველ ადგილზეა სიცოცხლის ხანგრძლივობისა (82,1 წელი) და ბავშვთა სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლებით,** თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, მოსახლეობა მცირდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის იაპონელთა რაოდენობა 85 მლნ-მდე შემცირდება.

იაპონელთა უმრავლესობა ნაკლებად რელიგიურია, თუმცა ქვეყანაში დიდ როლს თამაშობს ორი რელიგია: **ბუდიზმი**, რომელიც V საუკუნეში შევიდა ჩინეთიდან და **სინტოიზმი** — ბუდიზმამდელი რელიგია, რომელიც პატივს სცემს ბუნებისა და წინაპრების ღმერთებს. არიან ქრისტიანებიც (მოსახლეობის 1,02%).

სახელმწიფო ენა — იაპონური. დამწერლობას საფუძვლად დაედო ჩინური იეროგლიფები, სწორედ ჩინური ანბანის ნიშნებითაა შედგენილი იაპონური ანბანი „კანა“, რომლის ორი ვარიანტი არსებობს — „ჰირაგანა“ და „კატაკანა“.

იაპონიის სატელეფონო კოდია **+81**, ინტერნეტდომენი — **JP**. 2013 წლის მონაცემებით, ინტერნეტით სარგებლობდა მოსახლეობის 86,2%.

## ბუნებრივი საფრთხეები

იაპონიის კუნძულები წყნარი ოკეანის ვულკანურ-ცეცხლოვან რკალში შედის. 1990-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში ვულკანური აქტივობის 10% იაპონიაში აღირიცხა. ყოველწლიურად 4-დან 6-მდე მაგნიტუდის 1500 მიწისძვრა ამ ქვეყანაში ჩვეულებრივი ამბავია.

***1923 წლის 1 სექტემბერს** მოხდა კანტოს დიდი მიწისძვრა (8.3 მაგნიტუდა), რომელმაც ტოკიო და იოკოჰამა დააზიანა, დაიღუპა 143 ათასი ადამიანი, 542 ათასი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება;

*** 2011 წლის 11 მარტს** ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოხდა 9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა, რომელმაც დამანგრეველი ცუნამი გამოიწვია, ყველაზე მეტად დაზარალდა მიაგის პრეფექტურა და ქალაქი სუნდაი, სადაც ტალღების სიმაღლემ 10 მეტრს მიაღწია. 25 მარტამდე გაგრძელდა მიწისძვრების ტალღა (1-დან 9-მდე მაგნიტუდის), რომელმაც ქვეყანას გადაუარა და ატომური ელექტროსადგური „ფუკუსიმა-1“ დააზიანა.

## ეკონომიკა

იაპონიის ეკონომიკაში წამყვან როლს თამაშობს ისეთი სფეროები, როგორიც არის: მანქანათმშენებლობა, საბანკო მომსახურება, დაზღვევა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, ტელეკომუნიკაცია, მშენებლობა, გემთმშენებლობა, ქიმიური, ტექსტილისა და საკვები პროდუქტების წარმოება, საფონდო ბირჟები. უდიდესი კომპანიებია: „ტოიოტა“, „ნინტენდო“, „ქენონი“, „ჰონდა“, „სონი“, „მიცუბიში“ და სხვ. განვითარებულია ატომური ენერგეტიკა, თუმცა 2011 წლის მარტში ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-ზე მომხდარი კატასტროფის შემდეგ იაპონელებმა ყველა ატომური პროექტის შეჩერება გადაწყვიტეს.

ეროვნული ვალუტა: **იენი.**

## ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვა

აშშ-მა პირველად გამოიყენა ატომური ბომბები კაცობრიობის ისტორიაში და 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჰიროსიმა და ნაგასაკი დაბომბა. ჰიროსიმაში ატომური აფეთქების შედეგად მყისიერად დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, ნაგასაკიში — 60 ათასი. სრულიად დიანგრა შენობების 88%. სულ კი, ნგრევისა და რადიაციის ზემოქმედების შედეგად, 2013 წლის მონაცემებით, დაღუპულია 450 ათასი ადამიანი.

## მეცნიერება და კულტურა

იაპონია, რობოტოტექნიკასა და ბიომედიცინაში სამეცნიერო კვლევების მიხედვით, ლიდერი ქვეყანაა მსოფლიოში. ამ სფეროებში კვლევების ჩასატარებლად ქვეყანა ყოველწლიურად 130 მლრ დოლარს ხარჯავს, კვლევებში კი 700 ათასი მეცნიერი მონაწილეობს. **იაპონელთა შორის არის 19 ნობელიანტი ფიზიკის, ქიმიისა და მედიცინის დარგებში, აგრეთვე, ფილდსისა (მათემატიკა) და გაუსის (გამოყენებითი მათემატიკა) პრემიების ლაურეატები**. იაპონურ კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ჯერ ჩინურმა, 1869-1889 წლებში ჩატარებული რეფორმების (მეიძი) შემდეგ კი — დასავლეთ ევროპულმა კულტურამ.

იაპონურ კულტურაში შავი ფერი კეთილშობილების, ზრდასრულობისა და გამოცდილების სიმბოლოა; აგრეთვე, რანგის — საბრძოლო ხელოვნებებში („შავი ქამარი“), თეთრი ფერი კი — ახალგაზრდობის.

იაპონური არქიტექტურის ნიმუშებია ბუდისტური ტაძრები და სინტოური სიწმინდეები, აგრეთვე, კიოტოსა (ძველი დედაქალაქი) ნარის ციხესიმაგრეები.

იაპონია განთქმულია კიდული ხიდების მშენებლობით. ხიდი აკასი-კაიკიო, რომელიც აკავშირებს ქალაქებს — კობესა და ავაძის, ყველაზე გრძელია მსოფლიოში (3,9 კმ).

1950-60-იანი წლები იაპონური კინემატოგრაფის აყვავების პერიოდად ითვლება. სწორედ ამ პერიოდში ქმნიდნენ შედევრებს სახელგანთქმული იაპონელი კინორეჟისორები **აკირა კუროსავა** („რასიომანი“, „იდიოტი“, „7 სამურაი“, „დერსუ უზლა“); **კენძი მიძოგუტი** („წითელი ფანრების რაიონი“, „გეიშა“) და **სიოჰეი იმამურა** („ლეგენდა ნარაიამაზე“).

იაპონური ლიტერატურა სათავეს იღებს VII-VIII საუკუნეებიდან. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლების — **აკუტაკავა რიუნოსკეს** („რასიომანი“), **კობო აბესა** („ქალი ქვიშაში“) და **ქენძაბურო ოეს** ნაწარმოებები დღესაც პოპულარობით სარგებლობს.

## სამზარეულო

იაპონური ეროვნული სამზარეულო მინიმალურად დამუშავებული ახალი ნატურალური პროდუქტებით, სპეციფიკური გაფორმებითა და სუფრასთან კერძის მირთმევის ეტიკეტით გამოირჩევა. იაპონური კერძების ძირითადი ინგრედიენტებია: ბრინჯი, ზღვის პროდუქტები (თევზი, მოლუსკები, კალმარი და სხვ.), სოია, ლობიო, სტაფილო, კიტრი, ვასაბი (იაპონური პირშუშხა), ლოტოსი, ხორცი (ღორის, ძროხის), მაკარონი.

დიდი ყურადღება ექცევა სუფრის გაწყობას — ჭურჭელს, საკვებ ჩხირებს (ჰასი).

იაპონიაში ყველაზე გავრცელებული კერძია სუში **ნიგირიძუსი** (ხელით მოზელილი ბრინჯის მოგრძო გუნდა უმი თევზისგან (კალმახი, ორაგული, თინუსი, ყვითელკუდა, გველთევზა და სხვ.) დამზადებული შიგთავსი-სატენით; ნორით — წყალმცენარეები) და როლი **„ურამაკი“** (გარედან ბრინჯით).



### „ურამაკის“ რეცეპტი

ინგრედიენტები 4 ულუფისთვის:

**როლის ბრინჯი** — 400 გრ.

**კალმახი ან თინუსი** — 200 გრ.

**კიტრი** — 100 გრ.

**ყველი** (დაფხვნილი) — 8 სუფრის კოვზი.

**ქუნჯუთის თესლი** — 4 სუფრის კოვზი.

**ნორი** — 2 ცალი (1 ულუფა „ურაკამის“ მოსამზადებლად დაგჭირდებათ ნორის სტანდარტული ფოთლის ნახევარი)

**მომზადების დრო: 5 წუთი.**

**მომზადება:**

მოხარშეთ ბრინჯი. წვრილი ბამბუკისგან ან ჩხირებისგან შეკრულ, მოქნილ (ისე, რომ დახვევა შეიძლებოდეს) ფორმას გადააფარეთ პოლიეთილენი და მის ნახევარზე დადეთ ნორი გლუვი მხრით. ხელები დაისველეთ ძმრიან წყალში, შემდეგ აიღეთ ბრინჯი და თხელ ფენად გაანაწილეთ ნორიზე ისე, რომ მისი ერთი მხარე 1 სმ-ზე ცარიელი იყოს, მეორეზე კი — ბრინჯის ფენა 1 სმ-ით გადმოდიოდეს. მოაყარეთ ქუნჯუთის თესლი. შემდეგ მას ბამბუკისგან (ან ჩხირებისგან) დამზადებული ფორმის მეორე ნახევარი გადააფარეთ და გადააბრუნეთ. ახლა ბრინჯი ქვევით უნდა იყოს, ნორის ფოთოლი კი — ზევით. დაადეთ სატენი: დაფხვნილი ყველი, კალმახის ან თინუსის, აგრეთვე, კიტრის თხელი ნაჭრები. მიღებული მასა დაახვიეთ. როლი უნდა დაჭრათ წყალში დასველებული ბასრი დანით. გააფორმეთ საწებლით, პირშუშხათი ან კოჭას (ჯანჯაფილის) მარინადით.



ხიდი აკასი-კაიკიო

**P.S. ბანზაი — აღტაცების, მოწონების გამომხატველი შეძახილია, ქართული „ვაშას“ მსგავსი.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**14 -23 იანვრის პერიოდის დიდი ნაწილი სასიკეთო იქნება მიწის ნიშნით დაბადებულთათვის — კუროებისთვის, თხის რქებისა და ქალწულებისთვის, აგრეთვე, ვერძებისა და თევზებისთვის. წარმატების მისაღწევად მეტი შრომა და თავდადება მართებთ კირჩხიბებსა და სასწორებს.**

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**14-23 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

ვერძებისთვის ეს პერიოდი წარმატებულია. სწორედ ახლა დგება სრულფასოვანი ურთიერთობების, ინფორმაციის გაცვლის, ნაცნობობის გაბმის, მოგზაურობისა და საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად იდეალური დრო. **19 და 20 იანვარი კარგი დღეებია** ახალი შეხვედრებისთვის, ამიტომ შინ ნუ დარჩებით და ეცადეთ, ხალხმრავალ საზოგადოებაში იტრიალოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ დოკუმენტების ხელმოწერისა თუ ხელშეკრულებების დადებისას – არ არის გამორიცხული, თაღლითობის მსხვერპლად იქცეთ ან კონტრაქტი თქვენი საქმიანი რეპუტაციისა და ბიუჯეტისთვის საზიანო აღმოჩნდეს, სამაგიეროდ, მოვლენების განვითარება გაიძულებთ, ძველ, დაუმთავრებელ პროექტებს მიუბრუნდეთ, რაც თქვენს საქმიანობას ახალ სიცოცხლეს შთაბერავს და საკმაო მოგებასაც მოგიტანთ. ვერძების ფინანსური მდგომარეობა ამ პერიოდში სტაბილური იქნება. ხარჯების დიდი ნაწილი გართობასა და ოჯახის სიამოვნებას მოხმარდება, ნეგატიური სიურპრიზები კი მოსალოდნელი არ არის.

**ამ პერიოდში ვერძებისთვის რთული დღეებია 14-16 და 23 იანვარი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

კირჩხიბებისთვის საკმაოდ დატვირთული პერიოდია. მთავარი იქნება ადრე გაცემული დაპირებების შესრულება. ბიზნესისთვის აქტიური პერიოდია, თუმცა სწორედ ახლა შეიძლება იმედგაცრუების წინაშე აღმოჩნდეთ. მოსალოდნელია დიდი ხარჯები, რომლებიც სწორედ ზემოთ აღნიშნული დაპირებების შესრულებას დასჭირდება. უნდა ელოდოთ უთანხმოებებს საქმიან პარტნიორებთან, რომლებიც ერთსა და იმავე საკითხისადმი სხვადასხვა მიდგომით იქნება გამოწვეული. ბიზნესმენ კირჩხიბებს საქმის გასაფართოებლად დიდძალი თანხის დაბანდება მოუწევთ. თუ ძვირად ღირებულ ქონებას შეიძენთ, შესაძლოა, გაყიდვა მოგიწიოთ. ლაპარაკია, პირველ რიგში, უძრავ ქონებაზე. შეყვარებულ ან დაქორწინებულ კირჩხიბებს შორის უთანხმოებები ფინანსური საკითხების ან მიმდინარე ცხოვრებისეულ მოვლენებზე განსხვავებული წარმოდგენის გამო შეიძლება შეექმნათ. საუკეთესო, რაც ახლა შეგიძლიათ გააკეთოთ, მოთმინება და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავების გამოჩენაა.

**დადებითი დღე: 15 იანვარი.**
**უარყოფითი დღეები: 22, 23 იანვარი**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

სასწორებს სამსახურში ბევრი მუშაობა მოუწევთ, შინ დაბრუნებისას კი — საყვარელ ადამიანთან მომავალ ურთიერთობებზე ცხარე მსჯელობა. მენეჯერმა სასწორებმა ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი თანამშრომელებს, რომელთა დაუდევრობითაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი საქმე გაფუჭდეს. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ხარჯი გელოდებათ და ეცადეთ, ეკონომია გასწიოთ, სესხის აღება რომ არ დაგჭირდეთ, რაც მომავალში მძიმე ტვირთად დაგაწვებათ.

უკეთ დაგეგმეთ თქვენი დღის რეჟიმი — დრო ოჯახსაც უნდა ეყოს, სამსახურსაც და დასვენებასაც. ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი არც ისე მაღალი იქნება, ამიტომ ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და თავი გაციებისა და ინფექციებისგან დაიცავით.

**დადებითი დღე: 20 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 14 იანვარი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

თხის რქას დისციპლინის, სიფრთხილისა და თავგანწირვის უნარის გამოვლენა მოუწევს. თუმცა გახსოვდეთ, რასაც ახლა გაიღებთ, მომავალში ათმაგად დაგიბრუნდებათ. საქმიან პარტიორებთან მოსალოდნელია უთანხმოებები. სადავო საკითხებს შორის იქნება უძრავი ქონება. მაღალია მოუგვარებელი იურიდიული პრობლემების წინა პლანზე წამოწევის ალბათობაც. 14-15 იანვარი ხარჯების გაღების დღეები იქნება. 21-22 იანვარს კი მოსალოდნელია შემოსავლების მიღება.

კარგი პერიოდია ახალი რომანტიკული ურთიერთობის დასაწყებად, იმ წყვილებს შორის კი, რომლებსაც ისედაც არეული ჰქონდათ ურთიერთობა, შეიძლება ქონებრივი დავა დაიწყოს. ჯანმრთელობის მხრივ, სადარდებელი არაფერი გაქვთ, თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი მაღალია და ვერანაირი დაავადება ვერ მოგერევათ.

**დადებითი დღე: 17 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 22 იანვარი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

ამ პერიოდში ფორტუნა კუროებს მხარეს იქნება, როგორც სამსახურებრივ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში. მიიღებთ საინტერესო წინადადებას — შეიძლება დადოთ კონტრაქტი, რომელიც თქვენს მომავალზე დადებით გავლენას იქონიებს. დაქირავებული კუროებიდან ზოგიერთი ხელმძღვანელობის კეთილგანწყობით კარიერის კიბეზე დაწინაურდება. ბიზნესმენი კუროები კი მომგებიან ხელშეკრულებებს დადებენ.

ამ პერიოდში შეყვარებულ კუროს რამდენიმე უსიამოვნო მომენტი ელის. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ფინანსებთან, მეგობრებთან ურთიერთობასთან ან სამსახურზე განსხვავებულ თვალსაზრისთან, თუმცა დაძაბულობა მალე შეიცვლება და ვითარება უწინდელ კალაპოტში ჩადგება.

**კუროებისთვის ამ პერიოდში სასიკეთო დღეა 17 იანვარი.**

**რთული დღეები: 14 და 15 იანვარი**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

ლომებს ბევრი საქმის ერთდროულად კეთება მოუწევთ, ამიტომ დროა, მკლავები დაიკაპიწოთ და მუშაობას შეუდგეთ. ამ პერიოდში პასუხისმგებლობის ტვირთი დაგიმძიმდებათ, რადგან გარშემო მყოფები თქვენი იმედით ყოფნას მიეჩვივნენ. კამათი გექნებათ საქმიან პარტნიორებთან, რომლებსაც საერთო პროექტებზე თავიანთი თვალსაზრისი აქვთ და კომპრომისს არ მოინდომებენ, თუმცა თქვენც გექნებათ არგუმენტები, ამიტომ ორივე მხარისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები გამოსავალი მაინც გამოიძებნება. აკონტროლეთ თქვენი გარემოცვის ქმედებები და ყოველთვის მზად იყავით მათ შესამოწმებლად. მარტოხელა ლომებს საინტერესო ნაცნობობა ელით — შესაძლოა, მეორე ნახევარსაც კი შეხვდნენ, თუმცა სიფრთხილე გამოიჩინეთ 21 იანვრიდან 11 თებერვლამდე პერიოდში გაცნობილ ადამიანებთან, რადგან მათთან ურთიერთობა შესაძლოა ხანმოკლე, მაგრამ მტკივნეული გამოდგეს.

**დადებითი დღე: 15 იანვარი.**
**უარყოფით დღე: 18 იანვარი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

მორიელების ცხოვრებაში ცვლილებებია მოსალოდნელი. ბიზნესმენ მორიელებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ, ეს იქნება ოფისში რემონტის ჩატარება თუ ახალი თანამშრომლების მიღება. ცვლილებების ტალღა შეიძლება თებერვალშიც გაგრძელდეს. სამსახურებრივი იერარქიის საშუალო რგოლში მომუშავე მორიელები დიდ დროს ოჯახური საკითხების მოგვარებას დაუთმობენ, თანაც — სამსახურის ხარჯზე, რაც მათი ხელმძღვანელობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. დიდი თანხის დახარჯვა მოგიწევთ ბიზნესის გაფართოებაზე ან ახლობელი ადამიანების საჭიროებებზე. ახლობლებთან ურთიერთობა დაძაბული იქნება. განსაკუთრებით — ბავშვებთან, რომლებსაც თავიანთი პრობლემების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი დასჭირდებათ.

ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი საკმაოდ მაღალია, საჭესთან კი ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან დიდია ავტოავარიის ალბათობა.

**დადებითი დღე: 18 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 14 და 22 იანვარი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

მერწყულებისთვის საკმაოდ დინამიკური პერიოდია, თუმცა ამასთანავე — კონფლიქტურიც. მოსალოდნელია უთანხმოება საქმიან პარტნიორებთან ბიზნესის განვითარების სამომავლო გეგმებზე. მაგრამ, თუ სითამამეს გამოიჩენთ, ოპონენტები უკან დაიხევენ. არ არის გამორიცხული, საყვარელმა ადამიანმა იეჭვიანოს, რისი მიზეზიც ნამდვილად მიეცით. ამიტომ მზად იყავით სერიოზული საუბრისა და გადაწყვეტილებისთვის, ღირს თუ არა თქვენი ურთიერთობის გაგრძელება. ნუ იჩქარებთ, მაგრამ იცოდეთ, რომ პასუხის გაცემა მაინც მოგიწევთ. რაც შეეხება ჯანმრთელობას, ავადმყოფობა ვერ მოგერევათ, რადგან თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი მაღალია.

**დადებითი დღე: 14 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 21 იანვარი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

საუკეთესო პერიოდია განმარტოებისა და სამომავლო გეგმებზე დასაფიქრებლად, რუტინისა და ყოველდღიური ყოფითი პრობლემებისგან თავის დასაღწევად. აიღეთ შვებულება და წადით სამოგზაუროდ! თუ საქმეს თავს ვერ ანებებთ, გახსოვდეთ, რომ ამ პერიოდში მთავარია პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობების გაღრმავება. სწორედ ახლა უნდა გადადგათ ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც თქვენს ბიზნესსაქმიანობაზე მოახდენს გავლენას. არ არის გამორიცხული, არჩევანის გაკეთება მოგიწიოთ ახალ და ძველ საქმიან პარტნიორებს შორის. ეს პერიოდი სტაბილური არ იქნება ფინანსური თვალსაზრისით, თუმცა გაკოტრება არ გელით. თავს შეიძლება დაღლილობა შეამჩნიოთ, ამიტომ დაუყოვნებლივ ეცადეთ დასვენების დრო გაზარდოთ. 20 იანვრიდან კი ახალი მთვარე პოზიტიურ ენერგიას მოგანიჭებთ, შედეგად თქვენი ფიზიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

**დადებითი დღეები: 14 და 21 იანვარი.**
**ნეგატიური დღე: 18 იანვარი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

ქალწულები წარმატებით მოახერხებენ პროფესიული საქმეების შეთავსებას პირად ცხოვრებასთან. ეს პერიოდი ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად საუკეთესო იქნება. დაიწყებთ ახალი პროექტების განხორციელებას, გამართავთ ბევრ შეხვედრას საქმის გაფართოებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ. თქვენი პირადი ცხოვრება ოჯახური საზრუნავით იქნება სავსე — თქვენ ოჯახის ცენტრალური ფიგურა იქნებით, თუმცა მცირე დაძაბულობა ოჯახში შეიძლება სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს. თუ თქვენთვის ურთიერთობები ახლობელ ადამიანებთან ძვირფასია, ისწავლეთ თავშეკავება და ეძებეთ კომპრომისი. მით უფრო, რომ სიყვარულით სავსე ოჯახში, ადრე თუ გვიან, სერიოზული დაპირისპირებაც კი თანხმობით შეიცვლება. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას — ცხოვრების ჯანსაღი წესი, ფიზიკური დატვირთვა და დიეტა წამლებზე შედეგიანი იქნება.

**დადებითი დღე: 16 იანვარი.**
**უარყოფითი დღეები: 17 და 18 იანვარი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

მშვილდოსანმა საკუთარ თავს ამოსუნთქვის საშუალებაც უნდა მისცეს და დრო სამომავლო გეგმებზე, მიზნებზე, ცხოვრებაზე დაფიქრებისთვისაც გამონახოს. შესაძლოა, მიიღოთ საინტერესო და პერსპექტიულ წინადადებები და რთული არჩევანის წინაშე დადგეთ. არ აჩქარდეთ, გავა დრო და გამოსავალი თავისთავად მოიძებნება. პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე იქნება. მეუღლეებმა და შეყვარებულებმა თავს ერთობლივი დასვენების უფლება უნდა მისცენ, რაც მათ სიყვარულს კიდევ უფრო გააღრმავებს. კარგი პერიოდია რემონტის ან ახალი ბინის შესაძენად. თუმცა მზად იყავით, რომ ამ საკითხების მოგვარება გაჭიანურდება და საბოლოოდ ყველაფერი მხოლოდ მარტში დასრულდება. შესაძლოა, დაგეძაბოთ ურთიერთობები ნათესავებთან, უფრო მეტიც: თუ მოთმინებას არ მოუხმობთ, არ არის გამორიცხული ყველაფერი კონფლიქტში გადაიზარდოს.

**დადებითი დღე: 18 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 16 იანვარი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

თევზების ურთიერთობა ზოგიერთ ადამიანთან შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს, თუმცა ცვლილებებისთვის მზად იქნებიან და თამაშის საკუთარი წესების თავს მოხვევასაც მოახერხებენ. მენეჯერი თევზები ყურადღებით უნდა იყვნენ, რადგან შესაძლოა, თანამშრომლების ინტრიგების მსხვერპლად იქცნენ, რაც ზოგიერთ პიროვნებასთან ურთიერთობის გაწყვეტას გამოიწვევს. დიპლომატიურობა გამოიჩინეთ და პრობლემები თავისთავად შემცირდება. მოგიწევთ ხარჯების გაღება მეგობრების დასახმარებლად ან პირადი საჭიროებებისთვის, თუმცა შესაძლოა, 16-18 იანვარს მნიშვნელოვანი შემოსავალი მიიღოთ. წარმატებას მოგიტანთ თავდადებით შრომა. როცა ვითარებაში უკეთ გარკვევას მოინდომებთ, ენდეთ ინტუიციას! ამ პერიოდში ჯანმრთელობა არ გიღალატებთ, თუმცა 21-23 იანვარს სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ.

**დადებითი დღე: 15 იანვარი.**
**უარყოფითი დღეები: 17, 18 იანვარი**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალკოჰოლის გადაჭარბებულ მიღებას აუცილებლად მოჰყვება ნაბახუსევი, მაგრამ ყველაზე მეტად ეს მოსალოდნელია ბრენდის, პორტვეინის, ლიქიორის, რომისა და ბურბონ ვისკის მიღების შემდგომ.**

# ყველაფერი ნაბახუსევის შესახებ

**საქმის მცოდნენი ირწმუნებიან, რომ ნაბახუსევზე თავი არ სტკივა არა მას, ვინც ცოტა დალია, არამედ მას, ვინც სწორად დალია. სიტყვა ნაბახუსევი დიონისეს ბახუსს უკავშირდება, თუმცა ქართულმა სინამდვილემ ის, ცოტა არ იყოს, თავისებურად თარგმნა — როგორც სასმელისგან გადახურებული მდგომარეობა, რომელსაც საზოგადოების ძირითადი ნაწილი რუსულენოვანი სახელწოდებით — „პახმელიით“ იცნობს. ექიმები მას ძმარმჟავა ალდეჰიდით მოწამვლას უწოდებენ, რადგან თანმდევ უსიამოვნებებს სწორედ ეს ნივთიერება იწვევს.**



ალდეჰიდი ორგანიზმის მიერ ეთილის სპირტის, ანუ ალკოჰოლის გადამუშავების დროს წარმოიქმნება და შინაგანი ორგანოებისა და ქსოვილების მოწამვლას იწვევს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ დიდი რაოდენობით სასმელის მიღების შემდეგ ადამიანები პირის გაშრობით, თავის ტკივილით, თავბრუსხვევითა და გულისრევის განცდით იტანჯებიან, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმპტომები უმრავლესობისთვის კარგად ნაცნობია, ისინი არც დიდი რაოდენობით სასმელის მიღებას ერიდებიან და არც იმ წესებს იცავენ, რომლებსაც მათ ექიმები და სხვა სპეციალისტები ურჩევენ. არადა, მათი გათვალისწინებით ალკოჰოლით მიღებული სიამოვნების შენარჩუნება ნამდვილად შესაძლებელია.

**ალბათ, ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ გამოუცდია სადღესასწაულო სუფრასთან უზომო სმის შედეგად გამოწვეული თავის ტკივილი. ასეთ დროს ღვიძლი უარს ამბობს მიღებული სითხის გადამუშავებაზე და ორგანიზმი იწამლება.**

უნდა ვეცადოთ, რომ ალკოჰოლი მივიღოთ არა ერთდროულად, ერთბაშად და დიდი რაოდენობით, არამედ მცირე ულუფებით, დროში გაწელილად. ალკოჰოლის მიღების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სითხის მოხმარებას. ამ დროს რეკომენდებულია წყლის ან გაზგასული მინერალური წყლის მიღება. ერთ ჭიქა ალკოჰოლზე 1-2 ჭიქა სითხე უნდა მოდიოდეს. ასევე უნდა მოვერიდოთ შუშხუნა სასმელების მიღებას და ვეცადოთ, მივირთვათ ცხიმიანი საკვები.

იმისათვის, რომ სუფრაზე თქვენს ყოფნას არ მოჰყვეს უარყოფითი ეფექტი და დილით არ შეგაწუხოთ ნაბახუსევმა, დაიმახსოვრეთ:

**თუ წინასწარ იცით, რომ სუფრაზე მოგიწევთ დალევა და ქეიფი დიდხანს გასტანს, რეკომენებულია 2-3 საათით ადრე დალიოთ 50 გრამი არაყი, რათა ორგანიზმი წინასწარ შეეგუოს იმ დატვირთვას, რომელსაც შემდგომ მიიღებს.**

სუფრის დაწყების წინ მიირთვით ფინჯანი ჩაი პიტნით ან ლიმონით.

სუფრაზე დალიეთ მხოლოდ ერთი სახის სასმელი, სხვადასხვა სასმელს ნუ აურევთ. თუ ვერ აცდით ამ პროცესს, მაშინ ეცადეთ, დაიცვათ თანმიმდევრობა — სასმელის მიღება ალკოჰოლის სიმაგრის მატებასთან ერთად უნდა მიმდინარეობდეს. მაგალითად, თუ ჯინი-ტონიკით დაიწყებთ, არყით დაამთავრეთ.

არასდროს დაიწყოთ სუფრა ტკბილი, სადესერტო, შამპანური ღვინოებითა და კონიაკით.

შესაძლებელია, სუფრაზე მაგარ ალკოჰოლიან სასმელებთან ერთად მცირე დოზებით მიირთვათ ლიქიორები, ვერმუტები, შემაგრებული ღვინოები, ოღონდ დილით ნაბახუსევის სინდრომი მეტად მძიმე იქნება.

ყოველ ულუფა სასმელს აუცილებლად დააყოლეთ პური, კარტოფილი, მჟავე კომბოსტო, რადგან ანეიტრალებენ ალკოჰოლის მოქმედებას.

**მოდურია მაგარი სასმელების გაზავება ლიმონათით, კოლას ტიპის სასმელებით, ტონიკებით. დაიმახსოვრეთ, რომ ნახშირმჟავა აირის მიღება ხელს უწყობს ალკოჰოლის სწრაფ შეწოვას და აჩქარებს სიმთვრალეს.**

**თუ წინასწარ იცით, რომ სუფრაზე მოგიწევთ დალევა და ქეიფი დიდხანს გასტანს, რეკომენებულია 2-3 საათით ადრე დალიოთ 50 გრამი არაყი, რათა ორგანიზმი წინასწარ შეეგუოს იმ დატვირთვას, რომელსაც შემდგომ მიიღებს**



თუ ატყობთ, რომ თვრებით, მიირთვით ერთი ულუფა კონიაკი და შემდეგ შეწყვიტეთ სმა.

თუ ზომაზე მეტად დათვერით და ცივი ამინდია, გარეთ მაშინვე ნუ გახვალთ, რადგან სასმელი უფრო მოგეკიდებათ და შეიძლება გრძნობაც დაკარგოთ.

სასურველია, სუფრის დამთავრების შემდგომ მიიღოთ ფინჯანი მაგარი ჩაი პიტნით ან ლიმნით და ყავა ლიმნით.

გულისრევის განცდის შემთხვევაში უნდა მიირთვათ ფინჯანი ცხელი ყავა მარილით.

**თუ მთვრალ ადამიანს გული მისდის, რეკომენდებულია, სწრაფი მოძრაობით დაუზილოთ ყურები. იგი მალე მოეგება გონს.**

მაძღარზე დალევა შეამცირებს ორგანიზმის მიერ ალკოჰოლის ათვისებას, რადგან საკვები კუჭში დამცავი სარჩულის როლს თამაშობს. დილით საუზმე, რომელიც შეიცავს კვერცხს, ბანანსა და ხილის წვენს, ხელს შეუწყობს ორგანიზმის რეაბილიტაციას, რადგან ეს პროდუქტები შეიცავს პოტაციუმს, ფრუქტოზასა და სხვა ნივთიერებებს, რომელთა ნაკლებობასაც განიცდის ორგანიზმი ნაბახუსევზე. ყავის დალევა ნაბახუსევზე არ არის რეკომენდებული, რადგან ყავა ორგანიზმის გაუწყლოებას იწვევს.

**ალკოჰოლი ყველაზე ცნობილი დეპრესანტია. მას ძალიან ცუდი მოქმედება ახასიათებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. პირველად მასზე თავის ტვინის ქერქი რეაგირებს, როდესაც ალკოჰოლი მეტყველების ან მხედველობის უბნებს აღწევს, ადამიანს მხედველობა ებინდება, ხანდახან კი გაორება აქვს და გაურკვევლად ლუღლუღებს.**

საბოლოოდ თავის ტვინის ქერქი მთლიანად წყვეტს მოქმედებას, ამ დროს ადამიანი უგონო მდგომარეობაშია. ალკოჰოლის მაღალმა კონცენტრაციამ, შესაძლოა, სუნთქვის შეკავება გამოიწვიოს. ალკოჰოლის ძლიერ მომხმარებლებს „ალკოჰოლური ფსიქოზი“ ემართებათ, ისინი საკუთარი ოჯახის წევრებს ვერ ცნობენ, ვერ აღიქვამენ საკუთარ თავს და აქვთ საშინელი ჰალუცინაციები. ხშირად ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღება ადამიანის სიკვდილის მიზეზიც ხდება.

ალკოჰოლის მიღების საშუალო, საორიენტაციო დოზა ცნობილია და ის შეადგენს ერთ გრამ ეთილის სპირტს ადამიანის მასის ერთ კილოგრამზე. მოზრდილი მამაკაცისთვის, რომლის წონა 80 კილოგრამია, ეს ზღვარი 100 მილილიტრი აბსოლუტური ალკოჰოლის რაოდენობაა, რომელსაც საშუალოდ 250 მილილიტრი არაყი შეიცავს.

**თუ ატყობთ, რომ სასმელი მეტისმეტად მოგეკიდათ, შეგიძლიათ რამდენიმე მარტივი გზით იხსნათ თავი:**

*** 1 ჭიქა ცივ წყალში გააზავეთ 12 წვეთი პიტნის ნაყენი და სწრაფად დალიეთ.**

*** 1 ჭიქა ცივ წყალში გააზავეთ 2 წვეთი ნიშადურის სპირტი. ძლიერი თრობის დროს 6 წვეთი სპირტი გახსენით და მაშინვე დალიეთ.**

ფართოპირიან არყის ჭიქას გამოავლეთ ზეთი ისე, რომ კედლებზე დარჩეს, ჩააგდეთ შიგ 1 კვერცხის გული, მწიკვი წითელი და შავი წიწაკა, ჩაასხით 2 ჩაის კოვზი პომიდვრის ტომატი, რამდენიმე წვეთი არაყი და ცოტაოდენი ლიმონის წვენი. დალიეთ სულმოუთქმელად.

1 ჩაის კოვზი კონიაკი, ერთი კვერცხის გული, 2 ჩაის კოვზი ტომატი, 1 ჩაის კოვზი მცენარეული ზეთი, მწიკვი მარილი, წითელი და შავი წიწაკა ერთმანეთში აურიეთ. ნარევს დაამატეთ ნაკლული ჩაის კოვზი ცხარე პირშუშხა და მიიღეთ. მყისვე გამოფხიზლდებით.

**ალკოჰოლის გადაჭარბებულ მიღებას აუცილებლად მოჰყვება ნაბახუსევი, მაგრამ ყველაზე მეტად ეს მოსალოდნელია ბრენდის, პორტვეინის, ლიქიორის, რომისა და ბურბონ ვისკის მიღების შემდგომ.** მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ამ სასმელებს წყლით, წვენებით ან ყინულით განაზავებთ და ამცირებთ ალკოჰოლის რაოდენობას, ფაქტობრივად, ამას სასურველი ეფექტი არ ახლავს, რადგან ეს სასმელები წინასწარი დუღილისა და შემდგომი გამოხდის შედეგად იმდენ პროდუქტებს იძენენ, რომ მათი ტოქსიკური თვისებები აუცილებლად უარყოფით გავლენას მოახდენს ორგანიზმზე.

ეს პროდუქტებია: რახის ზეთები, ალდეჰიდები, ორგანული მჟავები, რომელთა რაოდენობა გამოხდის დროს ალკოჰოლურ პროდუქტებში მცირდება და, რაც მეტჯერ არის დისტილირებული ესა თუ ის სპირტი (რომლისგანაც შემდგომ სასმელი მზადდება), იმდენად ნაკლებია მათი შემცველობა.

**ის, ვინც არაყს მოიხმარს, გაცილებით ადვილად იტანს ნაბახუსევის სინდრომს, ვიდრე ის, ვინც სისტემატურად ბურბონ ვისკის მიირთმევს.**

როგორც კი ალკოჰოლი სისხლში აღმოჩნდება, მაშინვე ტვინი წყვეტს ვაზოპრესინის გამომუშავებას. ვაზოპრესინი რთული ორგანული ამინომჟავური ნივთიერება და ჰორმონია, რომელიც ასტიმულირებს ორგანიზმის მიერ სითხის შენარჩუნებას და მის მოხმარებას. ვაზოპრესინის არარსებობის შემთხვევაში კი ჩვენ მიერ მიღებული სითხე შარდის ბუშტში გროვდება. სწორედ ამიტომაა, რომ ალკოჰოლის მიღების შემდეგ ორგანიზმი ოთხჯერ მეტ სითხეს კარგავს, ვიდრე იღებს და აქედან გამომდინარე, იგი გაუწყლოებას განიცდის. რადგანაც ორგანოები სითხის ნაკლებობას განიცდიან, ისინი დასახმარებლად ტვინს მიმართავენ, რომელიც საბოლოო ჯამში ტვინის შეკუმშვას იწვევს. შეკუმშული ტვინი კი მემბრანებს ექაჩება, რომელიც მას თავის ქალასთან აკავშირებს. სწორედ ამიტომ გვტკივა თავი ნაბახუსევზე.

სისუსტეს იმიტომ განვიცდით, რომ შარდვა განდევნის ორგანიზმიდან მარილს, პოტასიუმსა და მაგნეზიუმს, რომლებიც აუცილებელია კუნთებისა და უჯრედე- ▶

# ზოგი სპეციალისტის აზრით, ნაბახუსევის სინდრომის მოსახსნელად საუკეთესოა ნახევარ ლიტრ ცხელ ჩაიში გახსნილი 8-10 კოვზი თაფლისა და ერთი ლიმონის წვენის ნაზავი, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა თვალებში გამოიხედოს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბის ფუნქციონირებისთვის. ალკოჰოლი ასევე იწვევს გლიკოგენის დაშლასა და ორგანიზმიდან განდევნას, რაც საარსებო ნივთიერებაა ღვიძლის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის.

ორგანიზმის მიერ ალკოჰოლის ათვისების შემდეგ ღვიძლი გამოყოფს უკიდურესად მომწამვლელ ნივთიერებას, რომელსაც აცეტალდეჰიდი ჰქვია. ადამიანის ორგანიზმი გამოყოფს ამ მომწამვლელი ნივთიერების გასანეიტრალებლად სხვა ნივთიერებასაც, მაგრამ ალკოჰოლის დიდი ოდენობის მიღების შემთხვევაში, ეს თავდაცვის მექანიზმი ველარ უმკლავდება მოზღვავებულ ტოქსინებს. აღნიშნული მომწამვლელი ნივთიერება ორგანიზმში გროვდება, რომელიც თავის ტკივილსა და გულის რევას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ნაბახუსევის დროს გახშირებულია შარდვა. შესაბამისად, ორგანიზმი დიდი რაოდენობით ნატრიუმსა და კალიუმს კარგავს, რაც უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს.

**ნაბახუსევი ძილის საშუალებას არ იძლევა. სისხლში ალკოჰოლის მაღალი შემცველობა ორგანიზმს აღაგზნებს. ამიტომ ძნელია ღრმად ჩაძინება, ზოგჯერ კი — საერთოდ, ძილი. ამ დროს ფერხდება გონების კონცენტრირებისა და მახსოვრობის პროცესი. საქმე ის არის, რომ ორგანიზმიდან ალკოჰოლის გამოდევნა იმუნური სისტემის ანთებით რეაქციას იწვევს.**

ნაბახუსევი იწვევს სტრესს. ტვინის, ჰიპოფიზისა და თირკმელზედა ჯირკვლის ურთიერთქმედება ეხმარება ორგანიზმს სტრესზე რეაქციის რეგულირებაში. თირკმელზედა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ჰორმონი — კორტიზოლი გადამწყვეტ როლს თამაშობს სტრესთან ბრძოლაში, თუმცა ჭარბი რაოდენობით კორტიზოლი აქვეითებს ორგანიზმის სტრესთან ბრძოლის უნარს.

ნაბახუსევზე უფრო ადვილია გაციება, ორგანიზმი უფრო მგრძნობიარე ხდება და ადვილად ავადდება. ამ დროს ის უძლურია, წინააღმდეგობა გაუწიოს ბიოლოგიურ სტრესფაქტორებს. საბედნიეროდ, ეს პროცესი 24 საათზე მეტხანს არ გრძელდება.

ნაბახუსევი იწვევს დაღლილობას. ეს იმიტომ ხდება, რომ ღვიძლი გლიკოგენის დაშლას და მის გლუკოზად გარდაქმნას იწყებს, რომლებიც ორგანიზმიდან შარდთან ერთად გამოიდევნება. სწორედ გლიკოგენი ეხმარება ორგანიზმს ენერგიის შენარჩუნებაში. გახშირებული შარდვის დროს კი მისი ნაკლებობა დაღლილობის შეგრძნებით გამოიხატება.

ალკოჰოლი ამაღლებს კუჭის მჟავიანობას, ამან კი შეიძლება, გულძმარვა და პირღებინება გამოიწვიოს.

ნაბახუსევზე შეიძლება კანკალი დაგეწყოთ. ორგანიზმისთვის ალკოჰოლის მიწოდების შეწყვეტა ნევროლოგიური წონასწორობის დარღვევას იწვევს. ეს პროცესი შეიძლება გამოიხატოს, როგორც სუსტი კანკალით, ისე უფრო რთული ფორმით — კრუნჩხვებით. ამ დროს ადამიანმა შეიძლება ორიენტაციის უნარიც დაკარგოს.

ნაბახუსევზე ხშირია ჰალუცინაციებიც. ამ მოვლენას თეთრ ცხელებას უწოდებენ. ამ დროს ავტონომიური ნერვული სისტემა ჰიპერაქტიური ხდება. ქალებში ეს მდგომარეობა გაცილებით იშვიათია, ვიდრე მამაკაცებში.

ადამიანის ორგანიზმი ინდივიდუალურია და ამიტომ უნივერსალური რეცეპტი, რომელიც ითვალისწინებს, თუ რა საშუალებები უნდა გამოიყენო ნაბახუსევის დასაძლევად, ძალზე ძნელი შესარჩევია.

ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები შეცდომას უშვებენ, როდესაც ნაბახუსევის დაძლევის ერთადერთ გზად ისევ იმავე ან სხვა სახის ალკოჰოლური სასმელის მიღებას მიიჩნევენ. ნარკოლოგები თვლიან, რომ აბსოლუტურად დაუშვებელია სიმპტომების მოხსნა იმავე სასმელით. ამ დროს ორგანიზმს დამატებით შხამს ვაწვდით, გარდა ამისა, ამ დროს არის გადაბმული თრობის განვითარების საშიშროება, როდესაც ადამიანს უვითარდება ჯერ ფიზიკური, შემდეგ კი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება სასმელზე.

ნაბახუსევზე ორგანიზმს კომპლექსურად უნდა დაეხმაროთ. ნაქეიფარზე უებარი წამალი ძილია – ნაბახუსევზე თავის ტკივილისა და სხვა დისკომფორტის გადატანა ძილში უფრო იოლია. რაკი ამ დროს ორგანიზმი გაუწყლოებას განიცდის, ჭარბად სვით სითხე, მაგრამ არა წყალი; ხმელი ხილის კონცენტრილებული კომპოტები, რომლებიც შეიცავს მინერალური ნივთიერებების მთელ კომპლექსს, ორგანულ მჟავებსა და ვიტამინებს, სწრაფად დაგაყენებთ ფეხზე.

გარდა ამისა, ხმელი ხილის კონცენტრირებული კომპოტები შეიცავს ნახშირწყლებს, რომლებიც აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და მხნეობას შეგმატებთ. კომპოტები შეგიძლიათ წვენებით შეცვალოთ, განსაკუთრებით ეფექტიანია ვაშლისა და ყურძნის წვენი.



# თუ ატყობთ, რომ სასმელი მეტისმეტად მოგეკიდათ, შეგიძლიათ რამდენიმე მარტივი გზით იხსნათ თავი:
# * 1 ჭიქა ცივ წყალში გააზავეთ 12 წვეთი პიტნის ნაყენი და სწრაფად დალიეთ.
# * 1 ჭიქა ცივ წყალში გააზავეთ 2 წვეთი ნიშადურის სპირტი. ძლიერი თრობის დროს 6 წვეთი სპირტი გახსენით და მაშინვე დალიეთ.



ნაბახუსევზე მარგებელია მწვანე ჩაი, რომელშიც სასურველია, აურიოთ ლიმონის წვენი და თაფლი. მიირთვით რძე და კეფირი – მათში შემავალი ცილები გაანეიტრალებს ნაწლავებში დაგროვილ ტოქსინებს, რომლებიც თქვენს ალკოჰოლით დასუსტებულ ორგანიზმს უტევს.

შესანიშნავი საშუალებაა საზამთროც. სამწუხაროდ, ზამთარში ის ძნელად ხელმისაწვდომია. გარდა იმისა, რომ საზამთრო სითხის წყაროა, ის ჭარბად შეიცავს მაგნიუმს, რომლის მწვავე უკმარისობას განიცდის ადამიანი ნაბახუსევზე.

ნაბახუსევზე გეამებათ და გარგებთ კიტრის ან კომბოსტოს მწნილიც. ასევე შეგიძლიათ მიიღოთ აქტივირებული ნახშირის რამდენიმე აბი. თუ C ვიტამინს მიირთმევთ დალევამდე 30-40 წუთით ადრე, თავიდან აიცილებთ ჰაერის ნაკლებობას, თავის ტკივილს და ნაბახუსევის სხვა სიმპტომებს.

ძველი, მამააპური წესით, სასარგებლოა კიტრის მწნილის წვენის მიღება, რომელიც სასიამოვნო დასალევია და ამავე დროს ხელს უწყობს წყლისა და მარილების დისბალანსის დაძლევას, რომელსაც ადგილი აქვს ორგანიზმში.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ცხელი სუფებისა და კერძების მიღება, რასაც ასევე ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

რეკომენდებულია ცივი კომპოტებისა და წვენების მიღება, რადგანაც მათში არსებული გლუკოზა, საქაროზა და ფრუქტოზა ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზაციასა და წესრიგში მოჰყავს ორგანიზმში მჟავიანობა. ამ პრინციპით საუკეთესოა ვაშლისა და ბროწეულის წვენი.

**ზოგი სპეციალისტის აზრით, ნაბახუსევის სინდრომის მოსახსნელად საუკეთესოა ნახევარ ლიტრ ცხელ ჩაიში გახსნილი 8-10 კოვზი თაფლისა და ერთი ლიმონის წვენის ნაზავი, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა თვალებში გამოიხედოს.**

რძისა და მაწონის სიკეთე ბევრს თავის თავზე გამოუცდია, რადგან ისინი შეიცავს ცილებს, რომლებიც ანეიტრალებენ ტოქსიკურ ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმში გროვდება.

ნაბახუსევის დროს საჭიროა, თავი შეიკავოთ ზოგიერთი პოპულარული ჩვევისგან, რომელიც ვითომდა მტანჯველი სიმპტომების მოხსნას უწყობს ხელს, ამიტომ არ მიიღოთ მაგარი ჩაი და მაგარი ყავა, რადგან ისინი გულზე ამაჩქარებლად მოქმედებს და შესაძლოა, სავალალო შედეგით დამთავრდეს. ასევე უკუეფექტი მოაქვს ცხელი გოგირდის აბანოს და საუნას, რადგან ნამთვრალევზე ცხელი ორთქლი და მაღალი ტემპერატურა თავბრუსხვევასა და გულის წასვლას იწვევს.

აუცილებელია იმის ცოდნაც, თუ რომელი ალკოჰოლური სასმელია განსაკუთრებით მავნე ადამიანის ორგანიზმისთვის. სპეციალისტები მათ შორის კონიაკს, პორტვეინსა და ლიქიორს გამოყოფენ. ეს სასმელები, მართალია, არყისა და ღვინისგან განსხვავებით, ძლიერ თრობას არ იწვევს, თუმცა ორგანიზმს გაცილებით მეტი მომწამვლელი ნივთიერებით ავსებს, რომლებიც სასმელში შაქრიდან ან მუხის კასრებიდან გადადის.

ბევრი ფიქრობს, რომ ქართველები ღვინისა და საერთოდ, ალკოჰოლის მოყვარული ერი ვართ, თუმცა სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. ალკოჰოლის მომხმარებელ 200 ქვეყანას შორის საქართველო მხოლოდ 67-ე ადგილზეა. მონაცემები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა. ამ გათვლებით, ერთი საშუალო სტატისტიკური ადამიანი ყველაზე მეტ ალკოჰოლს ბელარუსში მოიხმარს (17,5 ლიტრი წლის განმავლობაში). მეორე ადგილზეა მოლდოვა (16,8 ლიტრი), მესამეზე — ლიტვა (15,4), რუსეთი მეოთხე ადგილზეა (15,1 ლიტრი), მეხუთეზე კი რუმინეთია (14,1 ლიტრი).

**რაც შეეხება ქართველებს, ამ სტატისტიკის მიხედვით, შარშან ერთ საშუალო სტატისტიკურ ქართველს 7,7 ლიტრი ალკოჰოლი დაულევია.**

შედეგებში გათვალისწინებულია როგორც მამაკაცები, ასევე ქალები და 15 წელზე ზემოთ ახალგაზრდები. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ მონაცემებში გათვლილია აღურიცხავი, შინ დამზადებული ალკოჰოლიც.

რეიტინგში მოყვანილია მომავალი წლის პროგნოზიც. მას თუ დავუჯერებთ, 2015 წელს ერთი საშუალო სტატისტიკური ქართველი უფრო ნაკლებს — 6,7 ლიტრ ალკოჰოლს მიიღებს წლის განმავლობაში.

დასასრულ, ძველ ეგვიპტურ, ასურულ და შუამდინარულ უკვდავ რეცეპტებს შორის „გამოზარხოშებისთვის“ საჭირო რეცეპტებს ვერ იპოვით. ალბათ, ძველად შესწევდათ უნარი, ისე მოელხინათ, რომ საკუთარი ჯანმრთელობისთვის არ ევნოთ. ღვინის სმაში ზომიერებას ოდითგანვე აქცევდნენ ყურადღებას. **ძველი ბერძნები ღვინის მოყვარულებს ასწავლიდნენ, რომ პირველი თასი ჯანმრთელობაა; მეორე — სიამოვნება; მესამე — ტკბილი ძილი; მეოთხე — თავხედობა; მეხუთე — დებოში და ალიაქოთი; მეექვსე — ტაკიმასხრობა; მეშვიდე — სიბრმავე და სიყრუე; ხოლო მერვე — დანაშაული.**



# ნაბახუსევზე უფრო ადვილია გაციება, ორგანიზმი უფრო მგრძნობიარე ხდება და ადვილად ავადდება. ამ დროს ის უძლურია, წინააღმდეგობა გაუწიოს ბიოლოგიურ სტრესფაქტორებს. საბედნიეროდ, ეს პროცესი 24 საათზე მეტხანს არ გრძელდება

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## კუბოების ყველაზე ეროტიკული რეკლამა

პოლონურმა ფირმა LINDNER-მა გადაწყვიტა, არ ჩამორჩენოდა ყველაზე ტრენდულ სტატუსს და მიიწვია საუკეთესო მოდელები, რათა თავისი წარმოებული კუბოებისთვის რეკლამა ეროტიკულ კონტექსტში გაეწია. ეს იყო მოდელების ყველაზე უცნაური ეროტიკული ფოტოსესია მიცვალებულთა ჩასასვენებელ სასახლეებთან.





## ადრე გაღვიძება ინფარქტს იწვევს

**იაპონელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ადრე გაღვიძების აუცილებლობა გულსისხლძარღვთა სისტემაზე ნეგატიურად აისახება. კიოტოს რამდენიმე უნივერსიტეტის კლინიკის სპეციალისტებმა 23-90 წლის ასაკის 3 ათასი ადამიანის მონაცემები გააანალიზეს.**

დადგინდა, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარებისკენ მიდრეკილი ის ადამიანები არიან, რომელთა ცხოვრების წესი ადრე გაღვიძების აუცილებლობას უკავშირდება. მათ ხშირად ჰიპერტონია და ინფარქტი უვითარდებათ.

ადრე ადგომა გამოუძინებლობასთან არის დაკავშირებული, ეს კი გულზე დატვირთვას ზრდის. კვლევის შედეგები ავსტრალიაში სამედიცინო სიმპოზიუმზე წარმოადგინეს.



## ტყუპმა ერთმანეთის შესახებ «ფეისბუქით» შეიტყო

ტყუპი და — სამანტა ფუტერმანი და ანაის ბორდიე — სამხრეთ კორეაში 1987 წლის 19 ნოემბერს დაიბადა. გოგონები შვილად აიყვანეს ოჯახებმა, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდნენ: სამანტა — ნიუ ჯერსიში, ანაისი კი — საფრანგეთში. მათ ერთმანეთის არსებობის შესახებ კარგა ხანს არაფერი იცოდნენ.

2012 წელს ანაისის მეგობარმა „ფეისბუქზე“ სამანტას ფოტო დადო, რომელიც ამჟამად ლოს ანჯელესში მსახიობია და მეგობარს მისწერა, ნახე როგორ გგავსო. ანაისი თვალებს არ უჯერებდა.

დაინტერესებულმა გოგონამ ინფორმაციის შეგროვება დაიწყო მსახიობზე და აღმოაჩინა, რომ ისინი ერთ დღეს დაბადებულან. ანაისი სამანტას დაუკავშირდა და ყველაფერს ნათელი მოეფინა. ამჟამად ისინი ერთად ფილმს იღებენ საკუთარ ისტორიაზე.

# 2014 წლის უმნიშვნელოვანესი სამედიცინო აღმოჩენები

**იმას, რაც ადრე წარმოუდგენელად მიგვაჩნდა, მეცნიერები ნელ-ნელა რეალობად აქცევენ. ყველაზე დიდი მიღწევები ბოლო დროს სამედიცინო სფეროში მოხდა.**



### თაგვი ადამიანის ტვინით

თაგვებს უნერგავენ ადამიანის ტვინის უჯრედებს და შედეგად თაგვები ჭკვიანდებიან. როჩესტერის უნივერსიტეტის სამედიცინო ხელმძღვანელი ამბობს, რომ ასეთი თაგვები გაცილებით განვითარებულნი არიან: მათ უუმჯობესდებათ მეხსიერება და სწრაფად სწავლობენ.

### ბავშვი, რომელსაც სამი მშობელი ჰყავს

მეცნიერებმა ეს ექსპერიმენტი იმისთვის ჩაატარეს, რომ პატარები მძიმე მემკვიდრეობითი დაავადებებისგან განეკურნათ. სტატისტიკის მიხედვით, 6 500 ბავშვიდან ერთი ახალშობილი მიტოქონდრიალური დარღვევით იბადება, რომელმაც შეიძლება მიიყვანოს კუნთების დისტროფიამდე, სიბრმავემდე, გულის გაჩერებამდე და სიკვდილამდეც კი. ეს გენეტიკური დაავადება ბავშვს დედისგან გადაეცემა. იმისთვის, რომ ბავშვი ჯანმრთელი დაიბადოს, მეცნიერებმა მოიფიქრეს განაყოფიერების ტექნოლოგია, რომელშიც მონაწილეობს მამის სპერმა და ორი კვერცხუჯრედი — დედის და დონორი ქალის. რევოლუციური მეთოდი უკვე მზადაა გამოყენებისთვის.

### სიმსივნის მოშორება რობოტების დახმარებით

ეს ადამიანის სხეულის იმ ნაწილებს ეხება, რომლებზეც რთულია ქირურგისთვის მუშაობა; მაგალითად, საყლაპავ სივრცესთან და ტვინის საწყისებთან. იქ განლაგებული ნერვები და სახის კუნთები საკმაოდ ართულებს ქირურგიულ ჩარევას. კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს რობოტი ქირურგი, რომლის მართვაც სამგანზომილებიანი კამერით შეიძლება. რობოტის მინიატურული თითები მარტივად უდგება პაციენტის სხეულის ვიწრო მონაკვეთებს.

### მარტოობის გენი

პეკინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი 5HTA1. ხანგრძლივი კვლევების შემდეგ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს გენი ყველას არ აქვს. ის, ვისაც ეს გენი გააჩნია, სხვებთან შედარებით 20%-ით უფრო ხშირად რჩება მარტო. ამას გარდა, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ამ გენის ორი სახეობა არსებობს: ჯი და სი. პირველის მატარებლები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი მარტოობისკენ. მათი ტვინი გამოიმუშავებს ნაკლებ სეროტონინის ჰორმონს, რომელიც კარგ განწყობაზეა პასუხისმგებელი. ასეთი ადამიანები გაცილებით რთულად ეწყობიან სხვებს და ხშირად იტანჯებიან დეპრესიით.

### ვაქცინა ებოლას წინააღმდეგ

ის ჯერ საბოლოოდ მზად არაა, მაგრამ შემქმნელები ამბობენ, რომ სულ ცოტაღა დარჩა მის დასრულებამდე. ყოველ შემთხვევაში, მოქმედი ხსნარი უკვე მზადაა. სამუშაოები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კონტროლქვეშ მიმდინარეობს.

# ყველაზე მოდური უსახლკარო

**არ არის აუცილებელი, იყო მდიდარი, რათა ცნობილი პიროვნება გახდე. უსახლკაროები, მიუხედავად ბევრი პრობლემისა, საკუთარ ქალაქებში ზოგჯერ პოპულარულები არიან. 55 წლის სლავიკი მოდით შეპყრობილი უსახლკარო კაცია, რომელიც უკრაინაში, ქალაქ ლვოვში ცხოვრობს.**

სლავიკი უკრაინელმა ფოტოგრაფმა იურკო დიაჩუშინმა შეამჩნია, რომელმაც 100-მდე ფოტო გადაუღო მას და სერია შექმნა, სახელწოდებით „სლავიკის მოდა“.

„სლავიკი 55 წლისაა. ის უსახლკარო ბოშაა, მაგრამ არაორდინალურია. მისი ცხოვრება სხვა უსახლკაროებისგან განსხვავებულია. ის არ ატარებს ბევრ ჩანთებს, არც ნაგვის ურნებში იქექება. სლავიკს თითქმის არასოდეს აცვია ერთი და იგივე ტანსაცმელი, რაც ძალიან უცნაურია უსახლკარო კაცისთვის.

გარდა ტანსაცმლისა, ის ვარცხნილობასაც ხშირად იცვლის“, — ამბობს ფოტოგრაფი იურკო დიაჩუშინი.

სლავიკი ქუჩაში დახეტიალობს და დახმარებას ითხოვს, ოღონდ თავს არავის აბეზრებს. ალკოჰოლს ყოველდღიურად სვამს, ძირითადად ლუდს, თუმცა ლოთი არაა. სლავიკი ყველაზე მოდური უსახლკაროა დედამიწაზე.

„ყველა ფოტო (ასი პორტრეტი) გადაღებულია ორი წლის მანძილზე. ზოგჯერ სლავიკს ყოველდღე ვხვდებოდი, ზოგჯერ — კვირაში ერთხელ. მოგვიანებით მიმეჩვია. როცა თავისუფალი დრო მქონდა, ისეთ ადგილებში მივდიოდი, სადაც ვიცოდი, რომ გადავეყრებოდი. სხვანაირად ვერ ვითანხმებდი შეხვედრებზე“, — ყვება სლავიკთან დამეგობრებული ფოტოგრაფი.

სამწუხაროდ, ფოტოგრაფს სლავიკი 2013 წლის იანვრის შემდეგ აღარ უნახავს.



## სვეტიცხოველი მსოფლიოს 60 ულამაზეს ეკლესიას შორისაა

ინტერნეტგამოცემა MSN-მა მსოფლიოს 60 ყველაზე ლამაზი ეკლესიის რეიტინგი შეადგინა. ჩამონათვალში სვეტიცხოველიც მოხვდა.

მან მსოფლიოს ულამაზეს ტაძრებს შორის 49-ე ადგილი დაიკავა.



ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამა ბასილი 68 წლისაა

**„აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მთ. 11-29).**



## თქვენ ქრისტეს მიერ დატკეპნილ ბილიკს მიუყვებით, მიუხედავად უამრავი სიძნელისა, არაოდეს ჩაგიმუხლიათ. მამაო ბასილ, ბევრი გაჰყვება ამ ბილიკს, მოეგება გონს და გაითვითცნობიერებს თქვენს ღვაწლს, დამსახურებას სარწმუნოების დაცვის საქმეში



უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ 12 მოციქული — მოწაფენი გამოირჩია. მამა ბასილ, იმხანად რომ გეცხოვრათ, თქვენც იქნებოდით ქრისტეს მოწაფე, რამეთუ, როგორც ვიცით, ბავშვობიდანვე თქვენში ღმრთის სათნო სული სუფევდა; ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა თავის გზაზე დაგაყენათ და საკუთარი შვილივით სულიერად გასაზრდოებთ დღემდე. თქვენც ქრისტეს ეკლიან გზას შედგომილი მოაბიჯებთ, მრავალი ჭირ-ვარამი დაითმინეთ, მრავალი განსაცდელი, დამცირება, წინააღმდეგობა, მაგრამ უფლის მცნებების ერთგული დამცველი დარჩით ბოლომდე. თქვენთვის, ისევე, როგორც ყველა ქრისტიანისთვის მართლმადიდებლობა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა. მისი დაცვა მეტად რთულია, მაგრამ სათნო. სწორედ ეს რთული გზა აირჩიეთ თქვენ და ჭეშმარიტი სარწმუნოების ღალატს არავის მიუტევებთ, რის გამოც მსოფლიოს ყურადღება მიიპყარით, რამეთუ ბრძოლა მართლმადიდებლობისათვის სიხარულს ანიჭებს ყოველ მორწმუნეს, ხოლო შურით ავსებს სარწმუნოების დაუძინებელ მტრებს, რომლებთანაც უკომპრომისო ბრძოლა გაქვთ დღემდე. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, რასაც ვისმენთ და ვხედავთ, რეალურად თქვენი უზადო ერთგულებაა ქრისტეს მცნებებისა. თქვენი სიტყვა და საქმე განუშორებელ არს: „ჰოი, კაცო ამაოო, რამეთუ სარწმუნოებაი თვინიერ საქმისა მტყუარ არს“ (კათოლიკე იაკობისი 2-2-).

თქვენ ყოველთვის საკუთარი ერის ინტერესების, ტრადიციების სიწმიდის, ზნეობის დამცველი ბრძანდებით. არანაკლებ იღვწით მისთვის, რათა ქართველ ერს, მომავალ თაობას ძეგლად დაუდგათ თქვენი ნამოღვაწარი. 5 ეკლესია გაქვთ აგებული, მაგრამ იმას, რასაც დღეს აკეთებთ გლდანის რაიონში, მართლაც ყველა ქართველმა უნდა იხილოს. ყოვლადწმიდა დედის დავალებით ააგეთ მისი სახელობის გრანდიოზული ტაძარი, რომელსაც ამჟამად აპირკეთებთ. მილიონები ხმარდება სხვა ეკლესიების შემოსვას, თქვენ კი მრევლის შემოწირულობით თქვენივე მორჩილებთან ერთად ასრულებთ ამ ურთულეს საქმეს. ეკლესიის მორჩილები, თქვენი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით, პროფესიონალებად აქციეთ. თქვენი ნამოღვაწარი საუკუნეების განმავლობაში შემორჩება საქართველოს, რამეთუ ქმნით კულტურულ-სასულიერო კერას, რომელშიც არასოდეს შეწყდება ახალგაზრდობის სულიერი აღზრდა.

„მართალნი კი საუკუნოდ იცოცხლებენ, მათი საზღაური უფალთანაა და უზენაესი ზრუნავს მასზე“. მართლაც, უანგაროდ ემსახურებით ეკლესიაში საცხოვრებლად მოსულთ. თქვენთვის ყველაზე პრიორიტეტული და აღმატებული ღვთისმსახურებაა. ეს თქვენ დაამტკიცეთ — არაერთხელ მიიტანეთ საკუთარი სიცოცხლე უფლის სამსხვერპლოზე. ბევრჯერ ცდილობდნენ თქვენს განადგურებას, მაგრამ თქვენი მფარველი ანგელოზი უფლისა და ყოვლადწმიდა დედის დავალებით გმფარველობდათ, რამეთუ თქვენ კიდევ დიდხანს სჭირდებით უფალს მიწიერ ცხოვრებაზე ღვთიური საქმის აღასრულებლად. ერი კიდევ ბევრს ელის თქვენგან, რამეთუ თქვენ ხართ ის მანათობელი წერტილი, საიმედო დასაყრდენი, რომელიც ამშვენებს საქრისტიანოს.

თქვენ ქრისტეს მიერ დატკეპნილ ბილიკს მიუყვებით, მიუხედავად უამრავი სიძნელისა, არაოდეს ჩაგიმუხლიათ. მამაო ბასილ, ბევრი გაჰყვება ამ ბილიკს, მოეგება გონს და გაითვითცნობიერებს თქვენს ღვაწლს, დამსახურებას სარწმუნოების დაცვის საქმეში.

დღეს უკვე ბევრნი, ერის კაცია თუ სასულიერო პირი, ამართლებენ თქვენს გზას. ის, რაც თქვენ გტკიოდათ და მოსვენებას არ გაძლევდათ, ერის უმეტესმა ნაწილმა დაინახა და ხშირად გვესმის: „მამა ბასილი მართალი ყოფილა“. ჭეშმარიტად, მამა ბასილი ყოველთვის მართალი იყო, ყოველთვის გამიზნული გზით მიდიოდა და დღესაც ამაყად მიაბიჯებს.

მამაო ბასილ, თქვენ ბრძანდებით ის მოძღვარი, რომელსაც წარსული ცხოვრება სულიერად ამაღლებულ სინანულს არ გგვრით, აწმყო, მუხლჩაუხრელი შრომით გაჯერებული, რამეთუ თქვენგან ვისწავლეთ შრომის ფასი, რაც შეეხება მომავალს, იმედი ღვთის შემწეობისა და საქართველოს, სარწმუნოების გადარჩენისა.

მართლმადიდებლობის ებგურო, უძილო დამცველო, ხუროთმოძღვარო, სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულებით დამაშვრალო მოძღვარო, მწყემსო კეთილო, გონება და მარჯვენა დაგილოცოთ მაღალმა ღმერთმა, მფარველი კალთა გაფაროს ყოვლადწმიდა დედამ, გაძლიერებდეთ თქვენი კეთილი ანგელოზი ყოველგვარი ქრისტიანული საქმის განხორციელებაში. ყოველგვარი უსიამოვნო განცდები სიხარულად და სიმრთელედ შეგეცვალოთ, რათა დამშვიდებული ჯანმრთელი კმაყოფილი შეჰყურებდეთ თქვენ ნაშრომს სულიერ შვილებთან ერთად და ნეტარებდეთ.

მამა ბასილ, გილოცავთ უდიდეს დღესასწაულს — შობას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, საერო ახალ წელს, წმიდა ბასილი დიდის ხსენების დღეს და თქვენი დაბადებიდან 68 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სულიერ შემართებას, ღმრთის მადლი არ მოგკლებოდეთ!

**ქრისტესმიერი სიყვარულით, კეთილი სურვილებით**

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრის მოძღვარი მამა ვახტანგ მარგიანი, მრავალრიცხოვანი მრევლი**


## გახდომა უმადლობით

ერთ- ერთ არხზე მოუსმინე „მედეადან დღემდე“ წიგნის ავტორს, ქ-ონ ნუნუს, რომელმაც ყურადღება გაამახვილა გასახდომ კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებულ ნაყენზე. ნაყენის ყოვლისშემძლეობა და უნიკალურობა თავად გამოვცადე. დიდი წონის გამო ხშირად მიწევდა „მშრალი შიმშილობა“ , გამომეფიტა ორგანიზმი, დამიზიანდა ნერვული სისტემა. ნაყენის მიღებიდან რამდენიმე დღეში დამიქვეითდა მადა, გაქრა შეშუპებები, გულის უკმარისობა, შევძელი სიარული ქოშინის გარეშე, თანდათან მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის და ქალური პრობლემები , დავმშვიდდი, მცირე ულუფაც მაკმაყოფილებდა. სწორედ ეს ნაყენი აღმოჩნდა ჩემი გალამაზების და გაჯანსაღების საშუალება. დავიკელი ორგანიზმისთვის ბუნებრივი პროცესებით ყოველგვარი გვერდითი ჩვენებების გარეშე, გავლამაზდი და თითქოს ხელხლა დავიბადე. ხალხური მედიცინის საოცრებებში უკვე მერამდენედ დავრწმუნდი, მადლობა ქ-ონ ნუნუს!

გავიგე, ქ–ნი ნუნუ მხატვარი ყოფილა, ამიტომ თავიდან ეჭვიც კი გამიჩნდა, როგორ გაუმკლავდებოდა ჩემს პრობლემას–სიმსუქნეს. მრავალი მცდელობა შევებრძოლებოდი ჭარბ წონას სხვადასხვა საშუალებებით ფუჭი აღმოჩნდა, პირიქით გავირთულე ჯანმრთელობა და უარესად მოვიმატე. მოკლედ უკიდურესად მძიმე სულიერი და ფიზიკური მდგომარეობით დავიწყე ქ–ონ ნუნუს ნაყენის სმა, რომელსაც გემოთიც ეტყობა , რომ კენკრა–მარცვლოვანზეა დამზადებული. ნაყენმა თავიდანვე დამარწმუნა ბუნების ყოვლისშემძლებაში, ყოველდღე ვგრძნობდი ორგანიზმზე მის სასიკეთო მოქმედებას, კერძოდ, დამიქვეითდა მადა , მომემატა ენერგია, გავხდი ხალისიანი. პირველ რიგში ნაყენი ახდენს ორგანიზმის აქტიურ ბიოწმენდას (ტოქსინი, მარილი, ნალექი), ამიტომ მომიგვარდა კანის სერიოზული (ფსორიაზი) დაავადება, რომელიც წლები მტანჯავდა და ქალური პრობლემებიც. საბოლოოდ კი დავიკელი 17 კილო ბუნებრივად ხელოვნური მანიპულაციების გარეშე. მის მერე არც მომიმატია, სტაბილურად ვინარჩუნებ დაკლებულ წონას და მოწესრიგებულ ნივთიერებათა ცვლას. ვარ უზომოდ ბედნიერი ჩემს ოჯახთან ერთად, რომლების ჩემზე მეტად განიცდიდნენ ჩემს მდგომარეობას. თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა მინდა შობა–ახალ წელი მივულოცო ქ–ონ ნუნუს!

თ. ნემსიწვერიძე

**ქალბატონ ნუნუს მიმართეთ: 2-93-47-51; 599-25-11-58**



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩევენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



## სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. — დიეტისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე, ძვალ-სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: ალმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**



## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: ალმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი, და ეს ფაქტია, ზნეობის დეფიციტს განიცდის, როდესაც ბრმად სოლიდარულია მკრეხელობისა და რელიგიური გრძნობების შელახვის, არაცივილიზებული საქციელის მიმართ.

ისტორია მეორდება — ევროპა კვლავ ფაშიზმისკენ მიექანება და ამის მაგალითი დღეს ისლამის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიაა. გავიხსენოთ, რომ წინა საუკუნის 20-30-იან წლებში მუსლიმანები ევროპაში ამ რაოდენობით არ ცხოვრობდნენ, სამაგიეროდ იყვნენ იუდეველები, რომლებსაც ევროპელები თავიანთი უბედურების მთავარ მიზეზად თვლიდნენ. შედეგი – ადოლფ ჰიტლერი...

დღეს იუდეველებს მუსლიმანები ჩაენაცვლნენ...

საქართველო შემდგარი სახელმწიფო რომ ყოფილიყო და მას ნორმალური საზოგადოება ჰყოლოდა, ეს საზოგადოება აუცილებლად მიმართავდა ქვეყნის პრეზიდენტს მსგავსი წერილით:

ღრმადპატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ამა წლის 7 იანვარს პარიზში მომხდარმა ხოცვა-ჟლეტამ თვალნათლივ დაგვანახვა, რა საშინელება შეიძლება მოჰყვეს ადამიანის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფას. ადამიანის ძალადობრივი სიკვდილი ყოველთვის ტრაგედიაა, მაგრამ ორმაგი ტრაგედიაა, როდესაც მსხვერპლი თავისივე პროვოკაციული ქმედებებით იწვევს სისხლიან დრამას.

ამ ტრაგიკულმა მაგალითმა უკვე მერამდენედ დაგვანახვა, რომ სიტყვის თავისუფლებასაც აქვს ზღვარი, რომლის გადალახვა სასიკვდილოდ სახიფათოა. ეს ზღვარია ადამიანის რელიგიური გრძნობა.

როდესაც ღმერთმა შექმნა ადამიანი, მასში ჩადო როგორც ზნეობრივი გრძნობა სინდისის ხმის მეშვეობით, ისე რელიგიური — რწმენა, ანუ არ არსებობს ადამიანი რელიგიური და ზნეობრივი გრძნობების გარეშე. აქვე ჩნდება კითხვა: მაშ, რატომ არის ამდენი ურწმუნო ადამიანი? პასუხი: ყველა ადამიანი როდი იკმაყოფილებს რელიგიურ გრძნობას რელიგიური რწმენით. ჩვენ, ყველამ ვიცით და თვალნათლივ ვხედავთ, რაში გადაიზრდება რელიგიური გრძნობა რელიგიური რწმენის გარეშე — ადამიანი თაყვანს სცემს კერპებს, იქნება ეს რომელიღაც პოლიტიკური მოღვაწე, მომღერალი, მსახიობი, სპორტსმენი და ა. შ.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მომრავლდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქციელით საჯაროდ შეურაცხყოფენ მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობას. ამ ორგანიზაციებს მხარს უბამენ მარგინალი  მწერლუკები და ლექსმწერები.

ყველა ეს ქმედება არის პროვოკაციული და შორსმიმავალი მიზნები აქვს. ერთ-ერთი მიზანი საზოგადოებაში სისხლიანი ექსცესების გამოწვევაა, რომელიც ქვეყნისთვის უმძიმესი შედეგით დასრულდება.

ამ და სხვა უბედურების თავიდან ასაცილებლად მოგმართავთ თხოვნით, დაავალოთ საკანონმდებლო ორგანოებს, შეიმუშავონ კანონი, რომელიც გაითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადამიანის რელიგიური გრძნობის საჯაროდ შეურაცხყოფისთვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ კანონის შემოღებით საქართველო, როგორც სახელმწიფო, თავიდან აიშორებს დიდ ტრაგედიას.




საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.



მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru



ISSN 2233-3894